

თეფურ ბოგაჩაბე, რევაზ ზოსიბე, რევაზ ჰორღანია

# აჭარის იუვიათი და გაღაშენების გზაზე მღებრი სსოველები



შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Государственный университет им. Шота Руставели  
Shota Rustaveli State university

---

აჭარის იშვიათი და გადაშენების  
გზაზე მღვარი ცხოველები

РЕДКИЕ И НАХОДЯЩИЕ ПОД УГРОЗОЙ  
ИСЧЕЗНОВЕНИЯ ВИДЫ ЖИВОТНЫХ  
АДЖАРИИ

RARE AND ENDANGERED SPECIES  
OF ANIMALS IN ADJARA

აჭარის კოოპერაციული ინსტიტუტის გამომცემლობა „მეცნიერება“

ბათუმი – Батуми – Batumi

2009

მონოგრაფია – პირველი მცდელობა წარმოაჩინოს აჭარის ტერიტორიაზე გავრცელებული იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგარი ცხოველების ბიო – ეკოლოგია. მასში ზუსტად არის განსაზღვრული მათი სტატუსი, წარმოშობა, ანატომიის ზოგიერთი საკითხები, გავრცელება, მათი დღევანდელი მდგომარეობა, რიცხოვნობა, გამრავლება, კვება, კონკურენტები, მტრები და დაავადებები, რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები, დასაცავად მიღებული ზომები და ა. შ.

მონოგრაფიაში მოცემულია ასევე – ფრინველების, ქვეწარმავლების, ამფიბიებისა და თევზების ის სახეებიც, რომლებიც ამა თუ იმ სპეციფიკური ნიშნების მიხედვით მოხედნენ გინეისის რეკორდების წიგნში. მონოგრაფიას თან ერთვის შავი ზღვის აუზის სანაპირო აკვატორიუმში და საქართველოში გავრცელებული ცხოველების „წითელი ნუსხა“ და ბიბლიოგრაფია.

წიგნი – გარდა სტუდენტებისა, გამოადგებათ საშუალო სკოლებისა და კოლეჯების, როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს, მეცნიერ მუშაკებს, მონადირეებს, ბუნებისდამცველებს, ეკოტურისტებს და ცხოველთა სამყაროთი დაინტერესებულ ყველა პირს.

შესაძლებელია ის გამოყენებული იქნას, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

სარედაქციო კოლეგია: შაქრო ფალავანდიშვილი (მთავარი რედაქტორი), ანზორ დიასამიძე, მურმან დავითაძე, აკაკი კომახიძე

Редакционная коллегия: Шакро Палавандишвили (главный редактор), Анзор Диасамидзе, Мурман Давитадзе, Акаки Комацидзе

Editorial board: Shakro Palavandishvili, Anzor Diasamidze, Murman Davitadze, Akaki Komaxidze

რეცენზენტები: ვანო პაპუნიძე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ შაინიძე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

ნოდარ ბერიძე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორი  
Рецензенты: Вано Папунидзе, Д.Б.Н., профессор, член-кор. Академии Грузии  
Отар Шайнидзе, Док. Биол. Наук, профессор

Нодар Беридзе, К.Б.Н., доктор

Vano Papunidze, Doctor of Biological Sciences, Professor, Member-correspondent of Academy of Sciences of Georgia

Otar Shainidze, Doctor of Biological Sciences, Professor

Nodar Beridze, Candidate of Biological Sciences, Doctor

წიგნი ეძღვნება ცნობილი მეცნიერების, შეუდარებელი მეგობრებისა და მასწავლებლების, პროფესორების ოსიკო ცხოველიძისა და ჯაბა ინიანის ნათელ ხსოვნას

## წ ი ნ ა თ ქ მ ა

ბუნებისადმი სიყვარული, მის უმშვენიერესი პეიზაჟების წიაღში დროის ტარება ბავშვობის ასაკიდან მომყვება. აქედან მოყოლებული ჩემს მუდმივ ინტერესს წარმოადგენდა ცხოველთა ილუმინაციების სამყაროში მიმდინარე პროცესები.

გულდასმით მოუსმინე მეცნიერთა ერთ ჯგუფს, რომლებმაც შემომთავაზეს წინადადება, აჭარის იშვიათი და გაქრობის პირას მისული ფაუნის გამოცემის შესახებ. გადაწყვეტი, ერთხელ კიდევ გადაძველო თვალი ზოგიერთ სამეცნიერო ლიტერატურისათვის, გავსაუბრებოდი კომპეტენტურ სპეციალისტებს.

სიძარტლე ვითხრათ დაინტერესდი შემომთავაზებული წინადადებით და საამოვნებით დავთანხმე ამ მეტად საჭირო წიგნის გამოცემაზე.

ვფიქრობ დღეს ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ კაცობრიობის არსებობა შეუძლებელია საარსებო გარემოს და ადამიანის ჰარმონიული ურთიერთობის გარეშე. ცხოველთა დაცვა, ნიადაგის დაცვა და მათი რაციონალური გამოყენება შეუნელებელი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს, იგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა, რომლის გონივრულ გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება, ხალხის სულიერი და სოციალური პრობლემების გაუმჯობესება, მომავალი თაობების კეთილდღეობა.

წინამდებარე წიგნის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეიცავს საქართველოს რეგიონებს შორის ბიოლოგიური მრავალფეროვნებით ყველაზე მდიდარი, უნიკალური მხარის, აჭარის იშვიათი და გაქრობის პირას მისულ ცხოველთა გადარჩენის სამუშაო პროგრამას. ამ მხარის ბიომრავალფეროვნების მაღალი მახასი-

ათებული, გარკვეულ წილად, იმითაცაა განპირობებული, რომ ისტორიულად აჭარა ცნობილია ადამიანის ყოფა – ცხოვრებაში გამოყენებული ბუნებრივ მცენარეულ ფორმაციებში არსებული, მაღალი თვისებების მქონე მცენარეთა და ტყის ბინადართა სახეობრივი სიმრავლით.

სამწუხაროდ, წარსულში არარაციონალური, ინტენსიური ექსპლუატაციის, სოფლის მეურნეობის განვითარების, მშენებლობისათვის ფართობების ათვისების მკვეთრმა ზრდამ, მცენარეული ნედლეულის არახელსაყრელმა შეცვლამ, საბოლოო გაქრობამდე მიიყვანა მრავალი სახეობა.

მიმაჩნია, რომ აჭარის უნიკალური ბუნების ლანდშაფტებზე მომავალში მოსალოდნელი მზარდი ანთროპოგენური ზემოქმედების პირობებში, ტურისტებისათვის, მასწავლებლებისათვის, მოსწავლეებისათვის და საერთოდ ბუნების იშვიათი და გაქრობის პირას მისული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ აჭარის წიგნის გამოცემის აუცილებლობას ისიც განაპირობებს, რომ ასეთი ლიტერატურა ჯერ კიდევ არასაკმარისია.

დარწმუნებული ვარ, ამ წიგნის გამოცემა, რამდენადმე შეავსებს ამ პრობლემას. ამასთან იგი ხელს შეუწყობს ბუნების კანონზომიერებისადმი საზოგადოების შემეცნებითი აზროვნების გაფართოებას, გააძლიერებს მათ დაინტერესებას და მოქმედებას ფაუნის იშვიათი გენოფონდის შენარჩუნებისა და გამრავლებისადმი.

*თ. გოგმაჩაძე*



მას შემდეგ, რაც ადამიანმა გონიერი თვალთ შეხედა გარეგან სამყაროს, იგი დღითიდღე, წლითი წლობით, მრავალი ათეული საუკუნის განმავლობაში ცვლის მას — როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზემოქმედებით, როგორც დადებითად ისე უარყოფითად, გაფართოვდა ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების უნარიც და შესაძლებლობანიც, რამაც შეკვეცა ცხოველთა სამყაროს სივრცეები, დაირღვა ეკოლოგიური თანაფარდობა.

მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში შეიცნო კაცობრიობამ იმ ზიანის მნიშვნელობა, რომელიც მან გარემომცველ ბუნებას მიაყენა. დანახული ჭრილობა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ლამის ცოტა აკლდა და უიმედოდ ხელის ჩაქნევის მეტი არა დაგვრჩენოდა რა.

ცხოველთა რიგი სახეობების გადაშენების საფრთხემ ადამიანები მათი დაცვისა და გადარჩენის საკითხებზე ჩააფიქრა. წარმოიშვა აქტიური სახალხო და სახელმწიფო მოძრაობები, რომელთა შედეგად მივიღეთ საერთაშორისო მნიშვნელობის დადგენილებები ბუნების დაცვის საქმეში. დღეს უკვე ფართო მნიშვნელობით გაგებულია ეკოლოგია და მასთან დაკავშირებული საკაცობრიო პრობლემები ყველგან და ყველას ყურადღების ცენტრში დგას. ცხადია, დღეს ისინი ვერ გაიმეორებენ იმ სავალალო შეცდომებს, რასაც ადგილი ჰქონდა ადამიანისა და ბუნების წარსულ ურთიერთობაში. მათ ღრმად სწამთ, რომ ველური ბუნების ყოველი დაკარგული და გადაშენებული წარმომადგენლები აუნაზღაურებელი დანაკლისია როგორც ახლანდელი, ისე მომავალ თაობათა ეკონომიკური ინტერესებისათვის.

მსოფლიოს მცირე თუ დიდი ქვეყნების ერთ — ერთ მთავარ საზრუნავს თავისი ბუნების დაცვა წარმოადგენს, რის შედეგადაც ცხოველთა მრავალი სახეობა გადაურჩა აშკარა გადაშენებას, მაგრამ

ფაუნის სახეობათა უკანასკნელი წლების აღწერა — აღრიცხვამ გვიჩვენა, რომ გასაკეთებელი ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი ყოფილა.

ჩვენ გადავწყვიტეთ დაგვედგინა და გამოგვეცა აჭარაში იშვიათი და გადაშენების გზაზე მღვარი ცხოველები. მოგვეცა მათი გავრცელების საზღვრები, რიცხოვნობა, დღევანდელი მდგომარეობა და შეგვემუშაებინა მათი დაცვის ღონისძიებები.

აჭარა ნაწილია იმ რთული და მრავალფეროვანი ქვეყნისა, რომელიც კავკასიის სახელწოდებითაა ცნობილი. მაგრამ ის, იმდენად განსხვავებულია და თავისებური ბუნებრივი პირობებით ხასიათდება, რომ ბევრი მკვლევარი მას იხილავს, როგორც ცალკე ოლქს, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული ბუნებრივი საზღვრები აქვს. აჭარას სამი მხრიდან საზღვრავს წყალგამყოფი ქედები, ხოლო ერთი მხრით იგი უშუალოდ ზღვას ებჯინება. აჭარაში, ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, ლანდშაფტთა დიდ სხვადასხვაობას ვხვდებით, რაც გამოწვეულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით, გეოლოგიური წარსულით, ზედაპირის მოყვანილობით, შავი ზღვის უშუალო კლიმატური გავლენით და სხვა ფაქტორებით.

აჭარის უაღრესად მრავალფეროვანმა ფიზიკურ — გეოგრაფიულმა პირობებმა და თავისებურმა გეოლოგიურმა წარსულმა განაპირობა მდიდარი და მრავალფეროვანი ცხოველური სამყაროს ჩამოყალიბება. აჭარა, საქართველოს სხვა ნაწილებთან ერთად, წარმოადგენს „ფაუნისტურ და ფლორისტულ კვანძს“, სადაც ადგილობრივი წარმოშობის ე.წ. ენდემური ცხოველების გარდა, თავს იყრის ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან გადმოსახლებული სახეობები. მათი დაცვისა და მომრავლებისათვის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტარდება მთელი რიგი ღონისძიებანი. აქ არის თიკერის, კინტრიშის და ცისკარას ნაკრძალები, აღკვეთილები, მიწერილი მეურნეობები და სხვა, რომლებშიაც გულმოდგინედ იცავენ ცხოველებს.

წიგნის გამოცემა ხელს შეუწყობს ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში მოქცეული იშვიათი და გადაშენების წინაშე მყოფი

ცხოველების უკეთეს შესწავლასა და დაცვას. მასში შეტანილია 34 სახის ცხოველი, 9 სახის ძუძუმწოვარი, 12 სახის ფრინველი, 3 სახის ქვეწარმავალი, 3 სახის ამფიბია, 7 სახის თევზი.

The Adjarian autonomous republic is a region of that complicated and multiform country which is known under of the Caucasus. But the region of Adjara is so much distinguished by its natural conditions, that some explorers consider it to be a separate region possessing its own clear – cut natural bounds.

The rich and diverse vegetable cover and the animal world have been formed with the help of various physical, geographical and specific geological construction of the soil in the territory of the Adjara Autonomous republic.

Adjara, together with other regions of Georgia, presents „Faunistic and floristic knot“, demonstrating both endemic forms of the animals which were migrated from European and Asian countries.

Aiming at save rare and endangered species of animals within the limits of Adjara, we have decided to publish. The book, that of Adjara information of thirty – two species of rare and endangered animals.

For each species the following information is given: the status, distribution, the place of inhabitation and their present state, the quantity of animals in natural conditions, breeding, competitors, enemies, illness, the reasons for changes in their quantity in captivity, necessary safeguarding measures, and the sources of information.

The book contains information of one hundred and twelve rare and endangered species of animals. For each species the following information is presented: the life form, importance, distribution, place of inhabitation, status, breeding, the reasons for reduction in stock, the necessary safeguarding measures, and the sources of information.

Адджарская автономная республика – является регионом той сложной и многообразной горной области, которая известна под названием – Кавказ. Но аджарский регион так отличается от прочих своими природными условиями, что некоторые исследователи рассматривают его как отдельную область, имеющую четко выраженные естественные границы.

Многообразными физико – географическими условиями и, в прошлом, своеобразными геологическими строениями почвы, на территории Адджарской автономной республики сформировался богатый и разнообразный растительный покров и соответственный животный мир.

Адджария вместе с другими регионами Грузии является „фаунистическим и флористическим узлом“, где вместе представлены – как эндемичные формы животного мира, так и переселенцы из стран Европы и Азии.

С целью спасения редких и находящихся на грани исчезновения видов животных в пределах Адджарии мы решили издать книгу „Редкие и находящиеся под угрозой исчезновения виды животных“. В книге приведены сведения о тридцати четырех видах редких и исчезающих животных.

Для каждого вида животных приводится: статус, распространение, места обитания и их современное состояние, численность животных в природе, размножение, конкуренты, враги, болезни, причины изменения численности, численность в неволе, размножение в неволе, принятые меры охраны, необходимые меры охраны, источники информации.

ცხოველები

ЖИВОТНЫЕ

ENIMALS

## ბიომრავალფეროვნება – მისი კრიტიკერიუმები

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად იხმარება ტერმინი ბიოლოგიური მრავალფეროვნება – ბიომრავალფეროვნება, რაც ნიშნავს დედამიწაზე არსებული სიცოცხლის ფორმების სიმრავლეს, ანუ მილიონობით სხვადასხვა მცენარეს, ცხოველსა და მიკროორგანიზმებს, აგრეთვე გენებს, რომლებსაც ისინი ატარებენ და ცოცხალი ორგანიზმების მიერ წარმოქმნილ რთულ სისტემებს.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების ერთეული არის სახეობა, ხოლო საზომი – სახეობის რაოდენობა. სახეობები ერთად ქმნიან თანასაზოგადოებებს, რომლებიც თავის მხრივ ერთიანდებიან ეკოსისტემაში. ცნობილი ფაქტია, რომ მრავალი სახეობის გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ ერთადერთ სპეციფიკურ ეკოსისტემაში.

ბიოლოგიური მრავალფეროვნება განიხილება ძირითადად სამ: გენეტიკურ, სახეობრივ და ეკოსისტემურ დონეებზე.

*გენეტიკური მრავალფეროვნება* საშუალებას აძლევს სახეობებს, შეეგუონ მათ საარსებო გარემოში მიმდინარე ცვლილებებს და გადარჩნენ ახალ, შეცვლილ პირობებში. ამიტომ გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს განსაკუთრებით შეეხება მცირე, იზოლირებულ პოპულაციებს, რომელშიაც გენეტიკური ცვალებადობის დაქვეითების განსაზომად ხშირად იყენებენ მოლეკულური გენეტიკის მეთოდებს. განსაკუთრებით ასეთი მეთოდები გამოიყენება რიცხოვნების დაცემისას პოპულაციის ეფექტური ზომების განსასაზღვრავად, ასევე გენეტიკური ცვალებადობის მოსაღიღნელი შემცირების შესაფასე-

ბლად, რაც შემდგომში ტყვეობაში გამრავლებისა და აღდგენის პროგრამისათვის საფუძვლის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

პოპულაციის სიმცირემ შეიძლება გამოიწვიოს გენების შემთხვევითი დრეიფი, რაც ნიშნავს თაობათა რიგში ალელების სიხშირის ცვლილებას — ე.ი. რაც უფრო მცირეა პოპულაციაში გამრავლებაში მონაწილე ინდივიდების რაოდენობა, გენების დრეიფით განპირობებულ მით უფრო მეტ ცვლილებებს განიცდიან ალელთა სიხშირეები. მაშასადამე, რაც უფრო მცირე რიცხოვანია პოპულაცია, მით უფრო მეტად ქვეითდება მასში გენეტიკური მრავალფეროვნება გენების დრეიფის შედეგად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოპულაციის რიცხოვნობაზე სწორ წარმოდგენას იძლევა არა პოპულაციაში არსებული ინდივიდების საერთო რაოდენობა, არამედ გამრავლებაში მონაწილე ინდივიდების რაოდენობა, რომელსაც პოპულაციის ეფექტური რიცხოვნობა ეწოდება.

*სახეობათა მრავალფეროვნება.* სახეობა არის გენეტიკურად მსგავსი ორგანიზმების ერთობლიობა, რომლებსაც ერთმანეთთან შეჯვარება და ნაყოფიერი შთამომავლობის მოცემა შეუძლიათ. სახეობათა მრავალფეროვნება ანუ სახეობათა სიმდიდრე ჩვეულებრივ იზომება სახეობათა სრული რაოდენობით გარკვეული გეოგრაფიული საზღვრების შეგნით. სახეობების მრავალფეროვნების გაზომვის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ეკოსისტემაში ყველა სახეობის აღრიცხვა (განსაკუთრებით მცირე ზომის სახეობების) ზოგჯერ შეუძლებელია.

*ეკოსისტემების მრავალფეროვნება.* ეკოსისტემა მოიცავს ცოცხალი ორგანიზმების თანასაზოგადოებების და მათ ფიზიკურ საარსებო გარემოს (ნიადავს, წყალს, ჰერს, მინერალებს და ა. შ.). ეკოსისტემების დახასიათებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას სხვადასხვა ეკოსისტემაში სახეობების მრავალფეროვნება (მრავალფეროვანი ეკოსისტემები მეტ სახეებს შეიცავენ) და თვით ეკოსისტემების მრავალფეროვნება, რომელიც გვხვდება გარკვეულ ბიოგეოგრაფიულ ან პოლიტიკურ საზღვრებს შიგნით.

## ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილები

„ცხელი წერტილისათვის“ დამახასიათებელია: სახეობათა გა-  
ნსაკუთრებული მრავალფეროვნება, მაღალი ენდემიზმი და ძლიერი  
საფრთხე, რომელიც ემუქრება მათზე მცხოვრებ ცოცხალ ორგა-  
ნიზმებს.

დღეისათვის დედამიწაზე აღნიშნული ნიშნების მიხედვით გამ-  
ოყოფილია 25 ცხელი წერტილი, რომელიც დედამიწის ზმელეთის  
1,4% შეადგენს, მაგრამ მათზე ბინადრობს დედამიწაზე არსებული  
ხმელეთის ხერხემლიანთა (ამფიებიების, ქვეწარმავლების, ფრინ-  
ველებისა და ძუძუმწოვრების) 35%. საქართველოს შედის 23-ე  
(კავკასია) „ცხელი წერტილის“ შემადგენლობაში. ჩვენი ქვეყნის-  
ათვის და მათ შორის აჭარისათვის დამახასიათებელია ყველა ის  
ნიშანი, რომლის მიხედვითაც ზდება „ცხელი წერტილების“ გამოყ-  
ოფა. აჭარაში შედარებით მცირე ტერიტორიაზე ხვდებით მცენა-  
რების და ცხოველების დიდ მრავალფეროვნებას, მათ შორის  
მრავალი ენდემი ბინადრობს. გარდა ამისა, აჭარის მთიანეთი  
ტექნოგენურად აგებულია ახალი, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი,  
მოძრავი ქედებით, ამიტომ ძლიერია, როგორც ბუნების ისე ადამი-  
ანის უარყოფითი ზემოქმედება ცოცხალ ორგანიზმებსა და მათ  
საბინადრო გარემოზე: იჩეხება ტყეები, ბინძურდება მდინარეები,  
ფაქტიურად ტყე ცხოველთა საცხოვრებლად, თავმასაფრად უვარ-  
გისი ზდება, რის გამოც დიდია იშვიათი ცხოველების მიგრაციები  
მეზობელ რეგიონებში, ხშირია უკანონო ნადირობის შემთხვევებიც.  
აღნიშნული და სხვა მრავალი მიზეზების გამო აჭარის ტერიტო-  
რიაზე გადაშენების საფრთხის წინაშე დადგა მრავალი იშვიათი  
მცენარე და ცხოველი. საკმარისია დავასახელოთ ნიამორი, რომე-  
ლიც არსიანის ქედის დასავლეთ კალთებზე ბინადრობდა და დღე-  
ისათვის ერთეულები იშვიათად გამოჩნდებიან. საფრთხის წინაშეა  
არჩვი და შველი, მურა დათვი, მგელი; ზოგიერთი ფრინველი, რო-  
გორიცაა შურთხი, როჭო, სვაგი, ორბი, მთის არწივი; ქვეწარ-  
მავლებიდან – კავკასიური (კაზნაკოვის) და რქოსანი გველგესლა;

ამფიბიებიდან — კაკკასიური სალამანდრა, მცირეაზიური ტრიტონი, კაკკასიური ვკარულა და სხვები.

თუ მივიღებთ მხედველობაში ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (JUCN) ბოლო მონაცემებს, რომ 1600 წლიდან დღემდე დედამიწაზე უკვე გადაშენდა ძუძუმწოვრების 86, ფრინველების 104, ქვეწარმავლების 20, ამფიბიების 5, თევზების 92 სახეობა და იმის გათვალისწინებით, რომ მრავალი სახეობა იმყოფება დღეს გადაშენების საფრთხის წინაშე დიდ შემოფოტებას იწვევს მსოფლიოს ყველა კონტინენტზე და ქვეყანაში.

განსაკუთრებით გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ველური ბუნება, რასაც ერთის მხრივ ხელი შეუწყო მთელ მსოფლიოში სწრაფმა ურბანიზაციამ და მეორეს მხრივ კლიმატის გაუთვალისწინებელმა მკვეთრმა ცვალებადობამ.

ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გაგვეცნო მკითხელთა ფართო საზოგადოებისათვის დღეს მსოფლიოში აღიარებული საერთაშორისო ბუნებათდაცვითი სამართლის ისეთი ფორმები, როგორცაა კონვენციები (საერთაშორისო ხელშეკრულებები), რომელთა ძირითადი დანიშნულებაა: 1. ბუნებათდაცვით საქმიანობაში ერთიანი პრიორიტეტებისა და მიზნების ჩამოყალიბება; განსაკუთრებით კი მოწყვლადი სახეობებისა და ეკოსისტემების სიების განსაზღვრა; 2. დაცვის ზომების უნიფიცირება; 3. ბუნებათდაცვითი კანონმდებლობის დახვეწა. დღეს მოქმედი ძირითადი კონვენციები შემდეგია:

*1. ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების კონვენცია*, რომლის მთავარი მიზანია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, მისი კომპონენტების მდგრადი გამოყენება.

ის მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, ხელმოწერილია 1992 წელს, ძალაშია 1993 წლიდან. სამდივნო მდებარეობს ქ. მონრეალში (კანადა).

ამ კონვენციას საქართველო მიუერთდა 1994 წ.

*2. კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების დაცვის შესახებ (რამსარის კონვენცია).*

კონვენცია ხელმოწერილი იქნა რამსარში (ირანი) 1971 წელს, ძალაშია 1975 წლიდან, რატიფიცირებულია 110-ზე მეტ ქვეყანაში.

მსოფლიოში იდენტიფიცირებულია 800 რამსარსაიტი, ანუ კონვენციის მიხედვით დაცვას დაქვემდებარებული წყალჭარბი საფარგული, რომელთა საერთო ფართობი მსოფლიოში 52 მლნ კა აღემატება. სამდივნო მდებარეობს ქ. გლდანში (შვეიცარიაში).

საქართველო რამსარის კონვენციას 1996 წელს მიუერთდა.

**3. კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ (ბონის კონვენცია).**

ის მიღებულია ბონში (გერმანია) 1979 წელს. ძალაშია 1983 წლიდან. სამდივნო განლაგებულია ბონში და მოქმედებს გაერთიანებული ერების ბუნებათდაცვით პროგრამასთან.

კონვენციით დიდი ყურადღება ენიჭება არახელსაყრელი სტატუსის მქონე მიგრირებად სახეობებს.

ბონის კონვენციას საქართველო 2000 წელს მიუერთდა.

**4. კონვენცია ვეროპაში გარეული ფლორის, ფაუნისა და მათი კბიტატების დაცვის შესახებ (ბერნის კონვენცია).**

მიღებულია ბერნში (შვეიცარია) 1979 წელს, ძალაშია 1982 წლიდან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოწყვილად და გადაშენების პირას მყოფ სახეობებს, მიგრირებადი სახეობების ჩათვლით.

**5. კონვენცია ვადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ.**

კონვენციის მიღება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ბოლო პერიოდში გაძლიერდა გარეული ცხოველებით ვაჭრობა. ვაჭრობს ზოომალაზიები, მოყვარულები, ბრაკონიერები და სხვა. ვაჭრობენ ანაკონდებით, ზღვის კუებით, ალიგატორებით, აქლემებით, ჟირაფებით, ბიზონებით, ლოსებით, მარალებით, თევზებით. გარეული ცხოველებით ვაჭრობამ განსაკუთრებით საშიში სახე მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ინგლისში და ა. შ. ამ მიზნით XX საუკუნის ბოლო მონაცემებით ამერიკაში შეყვანილია 74 300 ბუბუმწოვარი, 203 280 ფრინველი, 40 510 ქვე-

წარმავალი, 140 000 ამფიბია, 28 მლნ თევზი და სხვა. აშშ – ში 36 000 ზოომალაზია ეწევა ვაჭრობას იშვიათი და მოწყვეილადი ცხოველებით.

კონვეციით იშვიათი და გადაშენებადი ცხოველებით ვაჭრობა სასტიკად აკრძალულია.

კონვენცია მიღებული იქნა 1973 წელს ქ. ვაშინგტონში (ამერიკის შეერთებული შტატები). ძალაში შევიდა 1975 წელს. რატფიცირებულია 145 ქვეყანაში. შეთანხმების მიხედვით ეს ქვეყნები კრძალავენ საერთაშორისო ვაჭრობას იმ სახეობებით, რომლებიც შეტანილია საფრთხის ქვეშ მყოფთა სიაში; აწარმოებენ აგრეთვე ისეთი სახეობებით ვაჭრობის რეგულირებასა და მონიტორინგს, რომლებიც არ არის შეტანილი ზემოთხსენებულ სიაში, მაგრამ საფრთხე მათ შესაძლებელია დაემუქროთ მომავალში.

საქართველო აღნიშნულ კონვენციას 1996 წელს შეუერთდა.

აღნიშნული საერთაშორისო კონვენციების გარდა დღეისათვის მთელს მსოფლიოში ბუნების დაცვის საკითხებზე მრავალი ორგანიზაცია მუშაობს, რომელთაც დიდი წვლილი შეაქვთ პლანეტის ბიომრავალფეროვნების დაცვის საქმეში.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია – *ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირი (IUCN)*. დაფუძნებულია 1948 წელს. ის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციაა. იგი აერთიანებს 78 ქვეყანას, 112 სამთავრობო დაწესებულებას, 735 არასამთავრობო ორგანიზაციას, 35 ასოცირებულ წევრს და დაახლოებით 12 000 მეცნიერსა და ექსპერტს 181 ქვეყნიდან.

ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის მთავარი მისიაა – ბუნების დაცვის საერთაშორისო მოძრაობის ხელმძღვანელობა და მხარის დაჭერა იმისათვის, რომ შენარჩუნდეს ცოცხალი ბუნება. ადამიანის მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენება უზრუნველყოფილი იქნას სამართლიან საფუძველზე. შტაბ – ბინა ქ. გლდანში (შვეიცარია) მდებარეობს. მისი დაფინანსება ხდება საწევროების, ქვეყნების, გაეროს სააგენტოების, ბანკებისა და სხვა ორგანიზა-

ციების, ფონდების და კერძო პირების შემოწირულობების ხარჯზე.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოსდაცვით ორგანიზაციას წარმოადგენს – ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი – WWF, რომელიც დაარსდა 1961 წელს. ორგანიზაციის შტაბ – ბინა იმყოფება ქ. გლდანში (შვეიცარია). WWF-ის მთავარი ამოცანაა პლანეტის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და გარემოს დაბინძურების შეფასება მსოფლიოს 100 ქვეყანაში. მას მთელს პლანეტაზე 5 მლნი ადამიანი უჭერს მხარს. საქართველოში ფუნქციონირებს – ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის საქართველოს ოფისი, რომლის მიზანს წარმოადგენს საქართველოში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

14445-  
მსოფლიოში ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სპეციალურ პროექტებს ახორციელებს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF). ის დაარსდა საერთაშორისო თანამშრომლობისა და დაფინანსების წარსამართავად. ის აფინანსებს კრიტიკული საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებს, ეკოსისტემებს, კლიმატის ცვლილებებს, საერთაშორისო წყლების დეგრადაციებს და ოზონის გაიშვიათების წინააღმდეგ ბრძოლას. ფონდი შეიქმნა 1991 წელს, როგორც ექსპერიმენტული ფონდი. 1994 წელს 34 ქვეყანამ 2 მლრდი დოლარი გაიღო გარემოსდაცვითი გლობალური ფონდის მისიის მხარდასაჭერად, ხოლო 1998 წელს კი 2,75 მლრდ.

მსოფლიო ბანკის დაფინანსების პრიორიტეტებში შედის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის პროექტების ხელშეწყობა, განსაკუთრებით მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების „ცხელ წერტილებში“ (უახლოესი მონაცემებით დედამიწის ზედაპირის ტერიტორიის 1,4% უჭირავს „ცხელ წერტილებს“, სადაც ბინადრობს დედამიწის ხმელეთის სახეობების 60%), რომელშიაც საქართველოც შედის.

გარდა აღნიშნულისა, არსებობს კიდევ მრავალი ორგანიზაცია, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ გარეული და შინაურ ცხოველთა დაცვის საქმეში. ერთ-ერთი ასეთია – ცხოველთა დაცვის მსოფლიო კავშირი – WSPA. იგი დაარსდა 1953 წელს, რომლის



შტაბ – ბინა განლაგებულია ლონდონში (ინგლისი). ორგანიზაციის მთავარი მისია არის სხვადასხვა ქვეყნებში ცხოველების კეთილდღეობის ხელშეწყობა.

ველური ცხოველებისა და მცენარეების კონსერვაციას უკვე მრავალი წელია ხელს უწყობს ერთ – ერთი ცნობილი ორგანიზაცია – FFI, რომელიც დაარსდა 1903 წელს და რომლის შტაბბინაც განლაგებულია კემბრიჯში (ინგლისი). ორგანიზაციის მთავარი მიზანია ჩვენი პალნეტის მცენარეთა და ცხოველთა სახეობების შენარჩუნება და აღდგენა. FFI მხარს უჭერს კონსერვაციულ ინიციატივებს მთელს მსოფლიოში, თანაშრომლობს მათთან, უწევს ტექნიკურ დახმარებას, კონსულტაციებს და აფინანსებს. ორგანიზაციის მიერ რამდენიმე პროექტი იქნა დაფინანსებული საქართველოშიც.

წიგნში შეუძლებელია მსოფლიოში დღეს მოქმედი ყველა გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ჩამოთვლა, რომლებიც უდიდეს როლს თამაშობენ ცოცხალი ბუნების დაცვასა და შენარჩუნების საქმეში, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ მთელი მსოფლიო შემოთხუთებულია დედამიწაზე მიმდინარე პროცესებით, განსაკუთრებით კლიმატის მკვეთრი მოსალოდნელი ცვალებადობით, რის გამოც გარემოსდაცვითი ღონისძიებები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ითვლება პრიორიტეტულად, ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან. ერთი სიტყვით, ცდილობენ დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისათვის შექმნან აუცილებელი პირობები.

ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის მიერ შემუშავებულ წითელ ნუსხაში სახეობების შეტანა ხდება იმ კატეგორიების მიხედვით, რომელიც დამუშავებული იქნა მეისისა და ლენდის მიერ (1991 წ) გადაშენების ალბათობის შეფასების საფუძველზე. საფრთხის კატეგორიები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: კრიტიკული, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი და მოწყვდილი.

საფრთხის კატეგორიების საფუძველზე შემუშავებულია ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის კატეგორიები, რომლებითაც ფასდება წითელ ნუსხაში შესატანი ნებისმიერი სახეობა.

კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ სახეობის კონსერვაციულ სტატუსს არის შემდეგი:

- EX - Extinct – გადაშენებული;
- EW - Extinct in the Wild – ბუნებაში გადაშენებული;
- CR - Critically Endangered – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი;
- EN - Endangered – საფრთხეში მყოფი;
- VU - Vulnerable – მოწყვილადი;
- LR - Lower Risk – დაბალი რისკი;
- CD - Conservation Dependent – კონსერვაციაზე დამოკიდებული;
- NT - Near Threatened – საფრთხესთან ახლოს მყოფი;
- LC - Least Concern – საჭიროებს ზრუნვას;
- DD - Data Deficient – არასრული მონაცემები;
- NE - Not Evaluated – არ არის შეფასებული;

ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის მიერ შემუშავებული კატეგორიების მიხედვით აჭარის ფაუნის წითელი ნუსხა იძლევა შემდეგ სურათს:

აჭარის იშვიათი და გადაშენების პირას მდგარი ცხოველთა სახეობების „წითელი ნუსხა“

**Список редкий и находящихся под угрозой исчезновения видов животных Аджарии**

**List of rare and endangered animals of the Adjara**

ტუბუშწოვრები	Млекопитающие	Mamalia
გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობები	исчезнувшие или сохранившиеся в недоступных местах виды	Extincted species or those survived in inaccessible places
თეთრმუცელა სელაპი	Тюлень монах или белобрюхий тюлень	Monachus monachus, Hermann, 1779


გადაშენების პირას მისული სახეობები	Исчезающие виды	Endangered species
წავი	Выдра	Lutra lutra meridionalis Ogn. 1931
კავკასიური ფოცხვერი	Кавказская рысь	Felix lynx orientalis Sat., 1905
იშვიათი სახეობები	Редкие виды	Rare Species
გრძელფრთიანი ღამურა	Обыкновенная длиннокрылая вечерница	Miniopterus schreibersi Kuhl, 1881
მცირე მელამურა	Малая вечерница	Nyctalus leisleri Kuhl, 1819
შველი	Косуля	Capreolus capreolus capreolus Linn., 1758
არჩვი	Серна (лесная антилопа)	Rupicapra rupicapra L., 1758
დათვი	Медведь	Ursus arctos caucasicus Smirnov, 1919
მგელი	Волк	Canis lupus Linne, 1758
ფრინველები	Птицы	Aves
გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობები	исчезнувшие или сохранившиеся в недоступных местах виды	Extincted species or those survived in inaccessible places
კასპიური შურთხი	Каспийкий улар	Tetraogallus caspius Gmelin, 1784
წითელთავა ღაბუაჩიტი	Красноголовый королек	Regulus ignicapillus Temminck, 1820

შავარდენი	Обыкновенный сокол или сапсан	Falco peregrinus Gmelin, 1788
შთის არწივი	Беркут	Aquila chrysaetos Linnaeus, 1758
შაკი	Скопа	Pandion haliaetus Linnaeus, 1758
კავკასიური როჭო	Кавказский тетерев	Lyrurus mlokosiewiczii Taczanowski, 1875
სვავი	Черный или серый гриф	Aegypius monachus Linnaeus, 1766
ორბი	Белоголовый сип	Gyps fulvus Hablize, 1783
დიდი ოყარი ანუ დიდი თეთრი ყანჩა	Большая белая цапля	Egretta alba Linnaeus, 1766
პატარა ოყარი ანუ პატარა თეთრი ყანჩა	Малая белая цапля	Egretta garzetta Linnaeus, 1766
მყვიანნი (ყვითელ-ნისკარტა) გელი	Лебедь – крикун	Cygnus cygnus Linnaeus, 1758
დიდ კოჭობა	Большая чечевица	Carpodacus rubicilla Guldénstätt, 1775
<b>ქვეწარმავლები</b>	<b>Пресмыкающиеся или рептилии</b>	<b>Reptilia</b>
იშვიათი სახეობები	Редкие виды	Rare Species
გრძელი მცურავი	Эскулапов полоз	Elaphe longissima Laurenti, 1768
კავკასიური გველგესლა	Кавказская гадюка или гадюка казнакова	Vipera kaznakovi Nikolsky, 1910
ცხვირქოსანი გველგესლა ანუ გველგესლა – მარტორქა	Носатая гадюка	ipera ammodites Linnaeus, 1758

ამფიბიები	Земноводные или амфибии	Amphibia
იშვიათი სახეობები	Виды находящиеся под угрозой исчезновения	Endangered species
მცირეაზიური ტრიტონი	Малоазиатский тритон	triturus vittatus jenins, 1935
კავკასიური გრძელკულა სალამანდრა	Кавказская саламандра	Mertensiella caucasicus Boulenger, 1896
კავკასიური ვეპარულა	Кавказская крестовка	Pelodytes caucasicus Boulenger, 1896
<b>თევზები</b>	<b>РЫБЫ</b>	<b>Pisces</b>
იშვიათი სახეობები	Редкие виды	Rare Species
სვია	Белуга	Huso huso Linne
ფორეჯი (ჯარღალა)	Шип	Acipenser nudiventris Lovetzky
შავი ზღვა-აზოვის (კოლხური) ზუთხი (თართი)	Черноморско-азовский (колхидский) осетер	Acipenser güldenstädti colchicus V. marti
ტარაღანა	Севрюга	Acipenser stellatus Pallas
ატლანტური ზუთხი	Атлантический осетер	Acipentes sturio Linne, 1758
შავი ზღვის ორაგული	Черноморский лосось (кумжа)	Salmo fario morpha labrax (Pallas)
მცირეაზიური ხრამული	Малоазиатская хр-муля	Varicorhinus tinca (Heskel)

თეთრმუცელა სელაპი  
**ТЮЛЕНЬ – МОНАХ ИЛИ БЕЛОБРЮХИЙ**  
*Monachus monachus Herman, 1779*

რივი – ფეხფარფლიანები – Pinnipedia  
ოჯახი – სელაპისებრნი – Phocidae




**სტატუსი** – CR – მეტად იშვიათი და მცირერიცხოვანი, გადაშენების გზაზე მდგარი ფორმა.

**გავრცელება** – თეთრმუცელა სელაპი არის ატლანტის ოკეანეში, აფრიკის ნაპირებთან, ხმელთშუა ზღვაში, შავ ზღვაში. იშვიათად გვხვდება ანატოლიის, ბულგარეთისა და რუმინეთის ნაპირებთან, უფრო იშვიათად – ყირიმთან.

შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლში გვხვდება გამონაკლისის სახით: 1939 წელს ამ ცხოველის ერთ – ერთი ეგზემპლარი აღნიშნულია ბათუმის მახლობლად, ხოლო 1933 წელს ციხისძირის მიდამოებში.

**ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა** – თეთრმუცელა სელაპის ადგილსამყოფელია შავი ზღვის სანაპირო ზონა. საწოლები გვხვდება სანაპიროზე, კლდეთა ნაპრალებში, ქვალორიდან ადგილებში. ადგილსამყოფელის უმეტესობა განიცდის ადამიანის სამეურნეო ზეგავლენას.

**რიცხოვნობა ბუნებაში** – უკანასკნელი ცნობებით შავ ზღვაში 4 -5 ეგზემპლარი არის დაფიქსირებული.



*გამრავლება* – თეთრმუცელა სელაპი მრავლდება ივნისიდან სექტემბრამდე. მკვობა გრძელდება 11 თვემდე. ახალშობილის სხეულის სიგრძე აღწევს 120 სმ-ს, წონა 20 კგ-ს. დედის რძით იკვებება 8 კვირის განმავლობაში. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 4 წლის ასაკში.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* – ცნობები არ გაგვაჩნია. *გამრავლება ტყვეობის პირობებში* – ცნობები არ არის.

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* – რეწვა, შემაწუნებელი ფაქტორების ზრდა, ზღვის გაჭუჭყიანება ალამიანის სამეურნეო საქმიანობა.

*ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა* – მონაცემები არ გაგვაჩნია.

*დასაცავად მიღებული ზომები* – შეტანილია „საერთაშორისო წითელ წიგნში“, „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“, „საქართველოს წითელ წიგნში“.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* – ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, შეხვედრის პუნქტების ზუსტი აღრიცხვა და დაცვა.

*ინფორმაციის წყაროები* – „საქართველოს წითელი წიგნი“, შავი ზღვისპირეთის „წითელი ნუსხა“.


წავი  
БЫЛПА

*Lutra lutra meridionalis* Ogn. 1931

რივი — მტაცებელი — Carnivore  
ოჯახი — კვერნისებრნი — Mustelidae

სტატუსი — EN —  
გადაშენების საფრთხის  
წინაშე მდგარი იშვიათი  
და მცირერიცხოვანი  
ქვესახეობაა.

წავი ზოგან ცნობი-  
ლია „წყლის ძაღლის“  
სახელით. მისი სხეული  
წაგრძელებულია, უკანა  
ნაწილი რამდენადმე გა-  
მსხვილებული და მოქ-



ნილია, ხოლო წინა ნაწილი — შევიწროებული. სხეული მძლავრი და მკრივკუნთოვანია. საკმაოდ მოძრავი კისერი კარგადაა გამოხატული. კიდურები მოკლე და მძლავრია. თითები ურთიერთშორის დაკავშირებულია საცურავი აპკებით, რაც იმის მანიშნებელია, რომ წავი წყლის გარემოში ცხოვრებასაა შეგუებული. თითები ბლოვდება მოკლე, ბლავი და მაგარი ბრჭყალებით, რომლებიც მიწის სათხრელადაა მომარჯვებული. კუდის ფუძესთან საკმაოდ მსხვილია, ხოლო წვეროსაკენ რამდენადმე წვრილდება, იგი გვერდებიდან შესამჩნევად გაბრტყელებულია. ცურვის დროს კუდი საჭის როლს ასრულებს, ხოლო მიწაზე სიარულის დროს ცხოველი მას ოდნავ მიათრევს.

სხეული შემოსილია ნაზი, რბილი და მოკლე ბალნით. ფაცახი სხეულის მთელ სიგრძეზე თითქმის თანაბარი სიგრძისაა: თავსა და ფეხებზე იგი შედარებით მოკლეა. თივთიკი გრძელი და ხშირია.

დამახასიათებელია სხეულის ერთფეროვანი შეფერილობა, რაც მერყეობს სეზონურად, ასაკისა და გეოგრაფიული გავრცელების მიხედვით. ყელი და მუცელი მურა — მორუხოა, ილღიები და ბოქვენი მორუხო — მოთეთრო, მურა ელფერით. კუდის ქვედა მხარე მურა — მორუხოა მოთეთრო ელფერით. ცხვირისა და ტუჩების ტიპველი ნაწილები მუქი მურაა. ბრჭყალები — ბაცი მურაა. ახალგაზრდა წავის სხეული მორუხო — მურა ფერისაა. წავის შეფერილობაში სქესობრივი სხვაობა არ შეინიშნება.


განგური მიმდინარეობს შეუჩნევლად და ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ხშირად წავის ზამთრის ბალნიანი საფარველი არ განსხვავდება ზაფხულის ბალნისაგან.

ბუბუთა რაოდენობა ოთხია.

წავის ზომა — წონა მერყეობს სქესის, ასაკისა და გეოგრაფიული გავრცელების მიხედვით. აჭარაში ბინადარი პოპულაციების სხეულის სიგრძე აღწევს 82 — 85 სმ-ს, აქედან კუდზე მოდის 44-46 სმ. ლიტერატურულ წყაროებში მითითებულია, რომ წავის სიგრძემ შეიძლება მიაღწიოს 100-დან — 175 სმ-მდე. წავის წონა 5,5 — 8 კგ-ია. ზოგიერთი მკვლევარის მონაცემებით წონა შეიძლება იყოს 10 -16 კგ. ჩვეულებრივ მამლები დედლებზე გამოირჩევიან დიდი ზომა — წონით.

**გავრცელება** — წავი გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ჩრდილო ამერიკაში, ჩრდილო აფრიკაში, ირანში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში. საქართველოში მრავალ ადგილას გვხვდება ერთეულების სახით, შედარებით უფრო მეტია მდინარე მტკვრის ხეობაში (ასპინძისა და ახალციხის რაიონების ფარგლებში), სუფსის, რიონის, ალაზნისა და ივრის ჭალებში. აჭარაში ის მეტ-ნაკლებად ყველა მდინარეში გვხვდება, მეტია კონტრიმის, ჩაქვისწყლისა და აჭარისწყლის ხეობაში. ზღვის დონიდან ვერტიკალურად 2500 მ-მდე ვრცელდება.

**ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა** — წავი ცხოვრების ნირით წყალთანაა დაკავშირებული. იქ პოულობს საკვებსა და თავშესაფარს. მას შორ მანძილზე არ სცილდება. ამიტომ



ირჩევს ისეთ მდინარეებს, სადაც წყალი ჩქარი, წმინდა, გამჭვირვალეა და მისი საყვარელი საკვები — თევზი, ბაყაყი, მრავლად მოიპოვება. მდორე ან მღვრიე მდინარეებს ერიდება. თავს აფარებს იქ, სადაც მდინარეს ჩახერგილი, მიუღვომელი ქვაკლდიანი ნაპირი აქვს და თავისებურ ჩიხებსა და მორევებს ქმნის. ასეთ ადგილებშიც მეტი სიმყუდროვეა და წავიც სოროს იქ იკეთებს, აწყობს დასასვენებელ ბაქნებს. თუ მდინარე არ იყინება, ის საუკეთესო პირობებს ქმნის წავის გამრავლებისა და არსებობისათვის. როცა მდინარე იყინება, წავი ადგილს ინაცვლებს ერთი წყალსატევედან მეორეში.

ამ პერიოდში მდინარის მოშორებითაც გვხვდება, ზოგჯერ კი ტყეში არსებულ ფშების გუბებთან გამოჩნდება, მაგრამ იქ დიდხანს არ ჩერდება.

წავის ადგილსამყოფელი ბევრგან განიცდის ადამიანის უარყოფით გავლენას, მაგრამ მისი საიმედო თავშესაფარი, მთის მდინარეების სანაპირო ადგილები ისევ ხელშეუხებელია და სრულყოფილი სახით არსებობს.

*რიცხოვნობა ბუნებაში* — აჭარაში რაოდენობითი აღწერა მეტად რთულია და არც ჩატარებულა. წარსულში უფრო მრავლად

იჭერდნენ. ამჟამად ყველგან ერთეულების სახით გვხვდება. ყველაზე მეტია აჭარისწყლის ხეობაში.

**გამრავლება** — მამრი წავი სქესობრივად 3 წლის ასაკში, ხოლო მდედრი 2 წლის ასაკში მწიფდება. მიუნაობს სხვადასხვა დროს, უფრო თებერვალ — აპრილში. ამის მიხედვით პატარებიც სხვადასხვა დროს (აპრილ — მაისში, ივნის — აგვისტოში, ხშირად დეკემბერ — თებერვალშიც) იბადებიან. მაკეობის ხანგრძლივობა აღწევს 63 — 70 დღემდე, შობს 2-5 თვალაუხელებს და უსუსრ ნაშიერს, რომლებსაც თვალები 12-15 დღის შემდეგ ეხილებათ. პატარები ნახევარ წლამდე დედასთან არიან. წავი ცოცხლობს 20 წლამდე.

**კონკურენტები, მტრები, დაავადებები** — წავს საქართველოს ბუნებაში კონკურენტები თითქმის არ ჰყავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ევროპულ წაულას, ანკარებსა და წყლის ვირთაგვებს, რომლებიც ხშირად ბაყაყებით, თევზებითა და კიბორჩხალებით იკვებებიან. ასევე ნაკლებად ჰყავს ბუნებრივი მტრებიც, პატარა წავს თავს ესხმის ფოცხვერი, გარეული კატა, კვერნა, ზარნაშო, ქორი, არწივი. ავადდება კოკციდიოზით, ფილტვების ტუბერკულოზით, ენდოკარდიტით. ჰელმინთური დაავადება შესწავლილი არაა.

**რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები** — წავის რიცხოვნობის შემცირების ძირითადი მიზეზებია ძვირფასი ბეწვის გამო მასზე ნადირობა და ხშირი ბრაკონიერობა. ხაფანგშიც ადვილად ებმება. ამევე დროს მაკეობა და მშობიარობა ხშირად ზამთარშიც უწევს, როცა მდინარეები გაყინულია, რის გამოც შთამომავლობა იღუპება. ხშირია ბერწიანობაც.

**გამრავლება ტყეობის პირობებში** — საქართველოში წავი ტყეობაში არაა აღნუსხული. მიუხედავად ამისა წავი ადვილად ერგევა ადამიანს. სათანადო ხელშეწყობით ტყეობაში მრავლდება, მაგრამ დიდხანს ვერ ცოცხლობს.

**დასაცავად მიღებული ზომები** — წავი იშვიათი ცხოველია, რის გამოც ის შეტანილია შავი ზღვის აუზის „წითელ წიგნში“, საქართველოს „წითელს წიგნში“. ის კანონით დაცულია.


დაცვის აუცილებელი ღონისძიებები — აჭარის ტერიტორიაზე გავრცელებული წავის დაცვისა და შენარჩუნებისათვის მიგვაჩნია ფართო ახსნა — განმარტებითი მუშაობის ჩატარება მოსახლეობაში, უმაღლეს სასწავლებლებში, სასტიკად უნდა აიკრძალოს ბრაკონიერობა. მდინარეების (კინტრიში, ჩაქვისწყალი, აჭარისწყალი) შესაფერის ადგილებში შეიძლება მოეწყოს წავის ლეკვებისათვის საზამთრო თავშესაფარი, საკვებურები.

კავკასიური ფოცხვერი  
**КАВКАЗСКАЯ РЫСЬ**

*Felis lynx Orientalis Sat. 1905*

რიგი — მტაცებელი — *Carnivora*

ოჯახი — კატისებრნი — *Felidae*



სტატუსი — CR — იშვიათი, მცირერიცხოვანი სახეობაა.

ფოცხვერი გვარის ფარგლებში ყველაზე დიდი ზომისაა, ხოლო ოჯახის წარმომადგენლთა შორის მას საშუალო ადგილი უჭირ-


ავს. თავი მოზრდილი და ამობურცულია, კისერი მოკლე და მკრივკუნთოვანია. ყურები მაღალი, წვეტიანი და გრძელი ფუნჯებით მთავრდება. წინა ფეხები მასიური და მძლავრია. მათზე ხუთ — ხუთი თითია, ხოლო უკანა ფეხზე — ოთხ-ოთხი, კული მოკლეა და მთავრდება გრძელბალნინიანი ფუნჯით.

სხეული შემოსილია გრძელი, ნაზი და ფუმფულა ბალნით. ფაცახი რამდენადმე უხეშია, ხოლო თივთიკი საკმაოდ ნაზი და რბილი, ვიბრისები გრძელია და მკვრივი.

სხეულის შეფერილობა იცვლება ადგილმდებარეობის მიხედვით. ზოგჯერ ერთსა და იმავე ადგილას მცხოვრები ინდივიდებიც ერთმანეთისაგან შესამჩნევად განსხვავდებიან. ფოცხვერს ზურგის მხარე და გვერდები მორუხო — მურა — მოქარცისფროა. ზურგზე, გვერდებსა და კიდურებზე მოზრდილი მოშავო ან შავი ხალები აყრია. მათი ზომა და სიმკვეთრე თანდათანობთ კლებულობს ზურგიდან მუცლის მიმართულებით. მუცლის მხარე თეთრია, ოდნავი მორუხო ელფერით გვერდების საზღვართან. თავზე ბალანი მორუხო — მოქარცისფროა. ყურებზე შავი არშია აქვს შემოვლებული. ასეთივე ფერისაა ყურის ფუძე უკანა მხრიდან. თვალს აკრავს თეთრი რგოლოვანი არშია. ნიკაბი თეთრია. ქილულვაშები თეთრია, მაგრამ სშირად ურევია შავი წვეროების მქონე ბალნები. ვიბრისები თეთრია. კული ზევიდან მუქია, მორუხო, ხოლო ქვედა მხარე — თეთრი. ბრჭყალები მოთეთრო — მოყვითალოა. ზაფხულობით ფოცხვერის სხეულის შეფერილობა უფრო ნათელია და ხალებიც შედარებით მკაფიოდ მოჩანს. სქესთა შორის სხეულის შეფერილობის სხვაობა არ შეინიშნება.

ფოცხვერისათვის დამახასიათებელია განგური (ბეწვის ცვლა), რომელიც მიმდინარეობს ადრე გაზაფხულზე, მაგრამ თბილი ზამთრის შემთხვევაში თებერვლის მეორე ნახევრიდან. სექტემბრის დასაწყისიდან მიმდინარეობს შემოდგომის განგური, რაც ნოემბრის დასაწყისისათვის მთავრდება. განგურის დასასრული აღინიშნება ხალების შესამჩნევი გამკრთალებით, ან სრული გაქრობით.

საქართველოში მობინადრენი ჩვეულებრივად მცირე ზომის არიან. მათი სიგრძე არწევს 76-106 სმ-ს, ხოლო კულის სიგრძე



არ აღემატება 10-24 სმ-ს. წონა 8-22 კგ-ის ფარგლებში ცვალებადობს (იშვიათად 32 კგ-მდე აღწევს). მამრი ზომა — წონით ნაწილობრივ სჭარბობს მდედრს.

*გავრცელება* — ფოცხვერი გავრცელებულია დასავლეთ ევროპაში (მრავალ ადგილას მოსპობილია) გვხვდება რუსეთის ევროპულ ნაწილში, ციმბირში, ალტაიში, შუა აზიის მთებში, კავკასიაში. საქართველოს ტყეებში ფოცხვერი თითო — ოროლა ყველგან მოიპოვება. უმეტესად იქ, სადაც შველი, ირემი და არჩვი ბინადრობს. უფრო ხშირია ბორჯომის, ბაწარისა და ლაგოდეხის ნაკრძალებში, ზეკარის სამონადირეო მეურნეობაში, აბასთუმნის ტყეში, ალაზნის, ივრის, არაგვის, ქსნის, ლიახვის ხეობათა სათავეებში. აფხაზეთში: გუმისთის, ბზიფისა და კოდორის ხეობაში. აჭარაში ხშირია კინტრიშის ნაკრძალში. თითო-ოროლა გვხვდება ჭვანის ხეობაში, ღორჯომის ჩრდილო — აღმოსავლეთით, ღომას მთის სამხრეთ — დასავლეთით, აჭარისწყლის ზედა ნაწილში. ვერტიკალურად ზღვის დონიდან 3000 მ-მდე ვრცელდება.

*ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა* — ფოცხვერი ტყის ტიპური ცხოველია. ის მონათესავე ცხოველებისაგან

იმით განსხვავდება, რომ მას თავი მოზრდილი და ამობურცული აქვს, კისერი მოკლე და მკვრივკუნთოვანია.

ფოცხვერი კარგად დაძვრება და იმალება ხეებზე. უტყეო ადგილას და ბუჩქნარებში დიდხანს არ ჩერდება, უფრო უღრან ტყეებში ან ტყის ზედა სარტყელში ბინადრობს. დღისით წვეს კლდის ნაპრალებში, წაქცეული ხეების ქვეშ, ზოგჯერ ხშირტოტიან ხეზე აფარებს თავს. ღამის ცხოველია. გარემოსთან ყოველთვის შეხამებული და ჩასაფრებულია. ამიტომ ადამიანი მას იშვიათად ხედავს. ფრთხილი და ჩუმი ცხოველია.

საკვებად ფოცხვერი მეტწილად იყენებს მსხვილ ძუძუმწოვარ ცხოველებს – ირემს, შველს, გარეულ ღორს (მეტწილად მოზარდებსა და გოჭებს), ზამთრობით ტყეებში შეხიზნულ ჯიხვებს, შინაურ ცხოველებს, ნაირგვარ ფრინველებს, აგრეთვე მათ კვერცხებს. აღნიშნულია ფოცხვერის ადამიანზე თავდასხმის შემთხვევებიც.

*რიცხოვნობა ბუნებაში* – საქართველოში დღეისათვის 750-მდე ფოცხვერს ითვლიან. მიუხედავდ მისი მავნებლობისა მას წელიწადში სულ რამდენიმე ცალს ძლივს იჭერენ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ფოცხვერის რაოდენობა მეტად მცირეა. აჭარის ტერიტორიაზე უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ფოცხვერის დაჭერის ან მოკვლის ფაქტი არ აღნიშნულა (მხოლოდ ერზელ 2000 წლის ივლისში შუახევის რაიონის ტერიტორიაზე ღომის მთის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე, ადგილობრივი მონადირეების მიერ დაჭერილი იქნა დაახლოებით 15 წლის ასაკის ფოცხვერი, რის შესახებაც არსებობს ვიდეო ფირი).

*გამრავლება* – ფოცხვერი სქესობრივად 2 წლის ასაკში მწიფდება. მშენარობს თებერვალ – მარტში. მაკობის ხანგრძლივობა გრძელდება 64-67 დღემდე. შობს 2-6 უსუსურ ნაშიერს, რომელთაც თვალები 10-12 დღის შემდეგ ეხილებათ. შთამომავლობის გაზრდაში ორივე მშობელი მანაწილეობს, ცოცხლობს 20 წლამდე.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* – ფოცხვერის ბუნებრივი მტრებია: მგელი, დათვი, მოხეტიალე ძაღლები. პატარებს თავს ესხმის ზარნაშო, არწივი, ზოგჯერ კვერნები და სხვა. კონკურენტე-

ბია: მგელი, ძელა, ტურა, კვერნა, ტყის კატა, ჯიქი. ავადდება ცოფით, ქეცით, კოკციდიოზით. რეგისტრირებულია ცესტოდები (2 სახეობა), ნემატოდები (3 სახეობა).

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* — ფოცხვერის რიცხო-  
ბრივი ცვლილებების მთავარი მიზეზია საცხოვრებელი გარემოს  
ფაქტორთა ნაწილობრივ შეცვლა, საკვების უკმარისობა, მიგრა-  
ციები და ამვე დროს მასზე ნადირობა. ხშირად ვარდება მგლისა  
და ტურისათვის დაგებულ მახეში.

*გამრავლება ტყეობის პირობებში* — ცნობები არ არის.

*რიცხოვნების ცვლილებების მიზეზები* — შემდეგია: უკანონო  
რეწვა, შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა, საცხოვრებელი გარემოს  
გაჭუჭყიანება, ადამიანის სამეურნეო საქმიანობა.

*ტყეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა* — ფოცხვერს ინ-  
ახავენ მხოლოდ მოყვარულები. თბილისის ზოოპარკში ფოცხვერი  
ამჟამად არ არის.

*გამრავლება ტყეობის პირობებში* — ფოცხვერი ადვილად ეჩ-  
ვევა ადამიანს, მაგრამ დიდხანს ვერ ძლებს. ტყეობის პირობებში  
იშვიათად მრავლდება.

*დასაცავად მიღებული ზომები* — საქართველოში 1975 წლამდე  
თუ ფოცხვერი ირიცხებოდა სამონადირეო და სოფლის მეურნეო-  
ბისათვის მავნე მტაცებელ ცხოველთა სიაში და მისი მოკვლე-  
ვისათვის ჯილდო იყო დაწესებული — ამჟამად ჯილდოს გაცემა  
შეწყვეტილია. შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“. მისი  
მოკვლისათვის პიროვნება ისჯება კანონით.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* — მიზანშეწონილია კინ-  
ტრიშის ხეობასა და მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში ფართო  
ახსნა — განმარტებითი საუბრების ჩატარება, ფოცხვერზე ნადირო-  
ბის მკაცრად აკრძალვა და ა. შ.

## ზოგადი ცნობები მფრინავი ძუძუმწოვრების უმსახეობა

აღმოსავლეთის ქვეყნებში ხელფრთიანებს ბედნიერების სიმბოლოდ თვლიან. ჩინურ ენაზე სიტყვები „ღამურა“ და „ბედნიერება“ ერთიანად ჟღერს. სამხრეთ ამერიკაში, ინკებში ხელფრთიანების ბეწვით მორთული ტანსაცმლის ტარების უფლება მხოლოდ სამეფო გვარის წარმომადგენლებს ჰქონდათ.

მფრინავი ძუძუმწოვრების რიგში გაერთიანებულია თავისებური ცხოველების 950-მდე სახე და გავრცელებულია ყველა კონტინენტზე (გარდა ანტარქტიდისა). საფრენი აპკი გადაჭიმულია II – IV თითებს, წინამხრის, მხრის, უკანა კიდურებსა და კუდს შორის. ღამურების ფრთის კუნთულობა განსხვავდება ფრინველების ანალოგიური კუნთულობისაგან. გააჩნიათ პატარა თავი, ფართო პირი, პატარა თვალები და რთულად აგებული ყურის ნიჟარა კანის გამონაზარდით. გარედან დაფარულია ხშირი ბალნოვანი საფარველით. კარგად აქვს განვითარებული ლავიწი, ნაწლავების სიგრძე სხეულის სიგრძის 1,5 – 4-ჯერ ჭარბობს. განსაკუთრებით კარგად აქვთ განვითარებული სმენა, შესების, გრძნობათა ორგანო და ექოლოკაციის უნარი. ახასიათებთ ცალადი ან ჯგუფური ცხოვრების ნირი. გამოსაზამთრებლად ქმნიან ვეებრთელა კოლონიებს. ახასიათებთ სეზონური მიგრაციები.

რიგი თავის მხრივ ორ ქვერიგად იყოფა: მეგახელფრთიანები (ფრთეულები) დაახლოებით 150 სახეობას აერთიანებს, რომლებიც გავრცელებული არიან აღმოსავლეთ ნახევარსფეროს სუბტროპიკულსა და ტროპიკულ სარტყელში და მიკროხელფრთიანები (ღამურები), რომელიც მოცავს 800-ზე მეტ სახეობას და გავრცელებულნი არიან თითქმის მთელს დედამიწაზე (ზოგიერთი კუნძულისა და მუდმივი თოვლის სარტყელის გამოკლებით).

თუ დავაკვირდებით ღამურების ფრენას, ისინი ძალზე მოხერხებულად ფრენენ ღამით, არ ერიდებიან ტოტებში ფრენას და არც ეჯახებიან მათ. ისმება კითხვა: როგორ ახერხებენ ისინი

ამას? ამ საკითხით 1793 წელს დაინტერესდა იტალიელი აბატი ლაცარო სპალანცანი. მან დაიჭირა რამდენიმე ღამურა, დააბრმავა ისინი და გაუშვა. ღამურებმა ისევ ჩვეულებრივად გააგრძელეს ფრენა და როდესაც აბატმა მორე დილით ზეღმორედ დაიჭირა ღამურები, რომელთა შორის მოხდა ბრმა ღამურებიც, ნახა, რომ ისინი ნაჭამებიც იყვნენ. შემდგომში გაიომორა თავისი შვეიცარიელი კოლეგის შარლ ჟიურინის ექსპერიმენტი, რომელიც დაბრმავების გარდა, ყურებს უცობდა ღამურებს. ამ ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ დაყრუებული ღამურებს ორიენტაცია უკვე აღარ შეეძლოთ. XX საუკუნის შუა წლებში იტალიელი აბატის ექსპერიმენტებით მრავალი მეცნიერი დაინტერესდა, ხოლო ამერიკელმა ჰაირემ მაკსიმმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ღამურები გამოსცემენ ბგერებს, რომლებიც ადამიანების სმენისათვის მიუწვდომელი იყო. იმავე მოსაზრება დადასტურდა მეცნიერების – დონალდ გრიფინისა და რობერტ ვალამბოსის ექსპერიმენტების შედეგადაც. მეცნიერებაში დადასტურებულია, რომ ხელფრთიანები სწორედ ულტრაბგერების გამოშვებითა და მათი საგნებზე ანარეკლის გაგონების საშუალებით ორიენტირებენ სივრცეში, რაც შეიძლება შევადაროთ იმ მოვლენას, როდესაც ადამიანი მთებში დაიყვინტებს და შემდეგ ესმის თავისივე ექო, ოღონდ ღამურებს ეს ექო ორიენტაციასა და საკვების მოძიებაში ეხმარება. ექოლოკაცია მარტო ღამურებისათვის არ არის დამახასიათებელი, მას ვეშაპისნაირებიც, ზვიგენებიც და ფრინველებიც იყენებენ. დადგენილია, რომ ღამურები დღისით, როდესაც ნათელი ამინდია, ძირითადად მხედველობით სარგებლობენ – ღამით კი, სიბნელეში იყენებენ ექოლოკაციის ფენომენს.

ხელფრთიანები იკვებებიან მეტად მრავალფეროვანი საკვებით, დაწყებული ნექტრით, მცენარეების მტვრითა თუ ხილით, დამთავრებული მწერებით, მორიელებით, სისხლით, ბაყაყებით, ფრინველებით, თევზებით და თვით ღამურებით. უმეტესი სახეობების ნორმალური ცხოველქმედებისათვის ერთი ღამის განმავლობაში მათ თავიანთი წონის ნახევრის ოდენი საკვები უნდა მოიპოვონ.

მაგალითად, სახეობები, რომლებიც იკვებებიან კოლოებით, ერთი საღამოს გაფრენის განმავლობაში იჭერენ დაახლოებით 500 კოლოს: ამ სახეობის 20 -25 ინდივიდიანი კოლონია ზაფხულის განმავლობაში დაახლოებით მილიონნახევრამდე კოლოს ჭამს.

განსხვავებით სხვა ცხოველებისაგან, რომლებიც თვითონ იშენებენ თავშესაფარს, ღამურები იყენებენ ადამიანის საცხოვრებელსა თუ სხვადასხვა ნაგებობების სხვენებს, ხის ფულუროებს, გამოქვაბულებებს, კლდის ნაპრალებს, შეშის საწყობებს, ხის ტოტებს და ა. შ. თავშესაფარში მათი რაოდენობა შეიძლება იყოს რამდენიმე ერთეულიდან — დიდ დაჯგუფებამდე, რომლებსაც კოლონიები ეწოდება. ასე მაგალითად, აშშ-ს სამხრეთში არსებული ბრაკენის მღვიმეში „აღწერილია“ 20 მლნ-ზე მეტი ცხოველი. აღსანიშნავია, რომ ღამურები თავიანთ თავშესაფარებს ძალიან არიან მიჯაჭვულნი და წლიდან წლამდე ერთსა და იმავე პერიოდში ბრუნდებიან ერთსა და იმავე თავშესაფარში.

გამრავლების პერიოდის დადგომისას მდედრების მოსაზიდად მამრები გამოსცემენ სპეციალურ ბგერებს. ზოგიერთი სახეობის მამრები მკაცრად იცავენ თავიანთ ტერიტორიებს. სპერმის გამოშვება პიკს აღწევს გვიან გაზაფხულსა და ადრეულ შემოდგომაზე და ღამურების შეჯვარება სწორედ ამ პერიოდში ხდება, მაგრამ ხელფრთიანების მრავალი სახეობისათვის შეიძლება გაგრძელდეს ზამთარშიც.

ნაშიერის გამოჩენისას ზოგიერთი სახეობა იცვლის მისთვის დამახასიათებელ თავით ქვევით ჩამოკიდებულ ფორმას, ეკიდებიან თავით მაღლა და მშობიარობენ, გამოწვევენ რა უკანა კიდურების შორის არსებულ აპკს, სადაც ახალდაბადებული ნაშიერი ვარდება, რომელთაც კარგად აქვთ გამოძევალი დედის სხეულზე აცოცებისა და ჩაჭიდების უნარი. პირველი დღეების განმავლობაში მდედრი თავის ნაშიერთან ერთად დაფრინავს და იკვებება, მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ მდედრი ტოვებს თავის ნაშიერებს დამოუკიდებლად თავშესაფარში. ღამურებში მდედრსა და ნაშიერს შორის დაბადებიდანვე ყალიბდება მჭიდრო ურთიერთობა,

რაც საშუალებას აძლევს მდებარე იპოვოს თავისი ნაშიერი. ახალდაბადებულები 2-3 კვირის განმავლობაში აღწევენ მშობლების ჩონჩხის 90 – 95 %-ს ზომაში და მასის 70 %-ს.


ლამურებისათვის დამახასიათებელია ზამთრის ძილქუში. დასაწყისში ისინი ფაქტიურად წყვეტენ აქტიურ ცხოვრებას და გადადიან მოსვენებით მდგომარეობაში: წყვეტენ კვებას, ეცემა სუნთქვის ტემპი (წუთში 5-6 ამოისუნთქავს), იკლებს გულის შეკუმშვათა რიცხვი. აქტიურ მდგომარეობაში ლამურის გული წუთში დაახლოებით 420-ჯერ იკუმშება, ძილქუშის პერიოდში კი 8,5-მდე ეცემა. იკლებს სხეულის ტემპერატურაც, მათი სხეულის ტემპერატურა აქტიურ პერიოდში 37,9<sup>0</sup> C-ის ტოლია, ძილქუშის დროს კი 0,1<sup>0</sup> C-მდე ეცემა. ლამურები ძილქუშიდან აქტიურ ცხოვრებად გადადის ადრე გაზაფხულზე, ტემპერატურის მომატებასთან ერთად.

ხელფრთიანებში სიცოცხლის ხანგრძლივობას განსაზღვრავს შთამომავლობის ნაყოფიერი მიღება, საცხოვრებელი ადგილი კარგი მიკროკლიმატით, საკვები ბაზა და ანთროპოგენური ფაქტორები. პირველ წელს გადარჩენილ ლამურებს აქვთ (40-80%) შანსი იმისა, რომ მიღწიონ 7-8 წლის ასაკს, მაგრამ არის იმის მაგალითიც, როდესაც ველურ პირობებში ცალკეული ინდივიდები 10-30 წელს აღწევენ.

საქართველოში სავარაუდოდ გავრცელებულია მიკროხელ-ფრთიანების 29 სახეობა, რომლებიც გაერთიანებულია 10 გვარსა და 3 ოჯახში. ამათგან 7 შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში, ხოლო 10 – ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის წითელ ნუსხაში.

აჭარაში დღეისათვის იშვიათობას წარმოადგენს გრძელფრთიანი ლამურა – *Miniopterus scgriebersi* Kuhl, 1818, რომელიც ძირითადად გვხვდება ქობულეთისა და ხელვაჩაურის ტერიტორიებზე და მცირე მელამურა – *Vystalus leisleri* Kuhl, 1819, რომელიც შედარებით მრავალრიცხოვანია, ვიდრე გრძელფრთიანი ლამურა, რის გამოც გადავწყვიტეთ მათი სტატუსის განსაზღვრა და შესაბამისი, მოკლე ცნობების მიწოდება მკითხელისათვის.

გრძელფრთიანი ღამურა  
**ОБЫКНОВЕННАЯ ДЛИННОКРЫЛАЯ ВЕЧЕРНИЦА**  
*Miniopretus schreibersi* KUhl, 1818  
 რიგი — ხელოფრთიანები — *Chiroptera*  
 ოჯახი — ღამურასნაირნი — *Vespertilionidae*




**სტატუსის** — CR — იშვიათი, გადაშენების გზაზე მდგომი სას-  
 ეობაა.

**გავრცელება** — მოიპოვება ევროპაში, აზიის უმეტეს ნაწილში, დასავლეთ აფრიკაში, ჩრდილო — დასავლეთ ავსტრალიაში. საქართველოში გვხვდება თბილისსა და მის მიდამოებში, ზუგდიდის შემოგარენში. აჭარაში გვხვდება ქობულეთისა და ხელვაჩაურის ტერიტორიაზე.

**ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა** — ბინადრობს შენობათა ნანგრევებში, სახლების სხვენში, სარდაფებში, გამოქვაბულებში, კედლების ნაპრალებში, ზის ფულუროებში, ტაძრებსა და სამრეკვლოების გუმბათებს ქვეშ.

**რიცხოვნობა ბუნებაში** — მთელი არეალის ფარგლებში მცირე რაოდენობითაა. ზუსტი მონაცემები არ მოიპოვება.

**გამრავლება** — გრძელფრთიანი ღამურა მრავლდება ზაფხულობით. ივნისს — ივლისში. შობს ერთ ნაშიერს, რომელიც საკმაოდ დიდი ზომისაა.



*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* – ცნობილი არ არის. რეგისტრირებულია ტრემატოდები (2 სახეობა).

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* – საცხოვრებელი გარემოს შეცვლა (გაურესება), შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.


*ტყეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა* – ცნობები არ მოიპოვება.

*დასაცავად მიღებული ზომები* – შეტანილია „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“, „საქართველოს წითელ წიგნში“.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* – ფართო ახსნა – განმარტებითი მუშაობის ჩატარება მოსახლეობაში.

მცირე მელამურა  
МАЛАЯ ВЕЧЕРНИЦА  
*Nystalus laisleri* Kuhl, 1819

რივი – ხელოფრთიანები – *Chiroptera*  
ოჯახი – ღამურასნაირნი – *Vespertionidae*



სტატუსი – EN – იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგომი სახეობაა.

გავრცელება – გვხვდება ევროპასა და კავკასიაში. საქართველოში გვხვდება აჭარაში, ფოთისა და ქუთაისის მიდამოებში.

ადგილსამყოფელი, მათი აზღანდელი მდგომარეობა – ბინადრობს ნაირგვარ ლანდშაფტში, ძირითადად ტყეებში, ძველ პარკებში, სადაც ხშირადაა ფულუროვანი ხეები, რომლებშიც მეტ – წილად თავს აფარებს. შემოდგომით მიფრინავს თბილ ქვეყნებში. უკან ბრუნდება გაზაფხულზე.

რიცხოვნობა ბუნებაში – აჭარის ფარგლებში ყველგან გვხვდება ერთეულების სახით. რიცხოვნობის შესახებ სრული ინფორმაცია არ გავაჩნია.

გამრავლება – ივნისში შობს 1-2 ნაშიერს.



*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* — კონკურენტები ცნობილი არ არის. ბუნებრივ მტრებს შორის აღსანიშნავია ბუსნაირი და ზოგიერთი მტაცებელი ფრინველი, ზოგან შინაური კატები. რეგისტრირებულია ტრემატოდა (1 სახეობა), და ნემატოდა (1 სახეობა).

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* — შესაფერისი ადგილსამყოფელის ნაკლებობა. შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.

*ტყვეობაში მყოფი ცხოველების რაოდენობა* — ცნობილი არ არის.

*გამრავლება ტყვეობის პირობებში* — ცნობები არ მოიპოვება.

*დასაცავად მიღებული ზომები* — საქართველოში 1980 წლამდე არაერთარი ზომები მცირე მელამურას დასაცავად მიღებული არ იყო. 1982 წელს ის შეტანილი იქნა „საქართველოს წითელ წიგნში“ და გამოცხადებული იქნა იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგომი სახეობა.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* — აჭარის მოსახლეობაში, უმაღლესი და საშუალო განათლების დაწესებულებებში ფართო ახსნა — განმარტებითი მუშაობის ჩატარება.

იშვიათი სახეობები, რომლებსაც ჯერ — ჯერობით არ  
ებუჯრება გადაშენება, მაგრამ იმდენად მცირეა, რომ  
შესაძლებელია სწრაფად გადაშენდნენ

შველი  
КАСУЛЯ


*Capreolus capreolus* Linn, 1758

რიგი — წვეილხლიქიანები — *Artiodactyla*


ოჯახი — ირმისებრნი — *Cervidae*

სტატუსი — EN  
— მცირერიცხოვანი  
საფრთხის ქვეშ მყოფი  
ქვესახეობა.

გავრცელება —  
შველი გავრცელებულია  
დასავლეთ და აღმოსავლეთ  
ევროპაში, კავკასიაში, შუა  
აზიაში, ყაზახეთში  
ციმბირში წყნარ ოკეანეებზე,  
მონღოლეთში, ჩინეთში, სამხრეთ



აფრიკაში და წინა აზიაში. საქართველოში გავრცელებულია ევროპული შველი. აჭარაში იგი გვხვდება თითქმის ყველა ტყეში. შედარებით მეტია მდინარე აჭარისწყლის ხეობის ზემო წელში. კერძოდ, კამანსერის ქედის სამხრეთ — დასავლეთით მდინარე სხალთის ხეობაში, მდინარე ჩირუხისა და ტბეთის ზედა და შუა წელის მიდამოებში. მდინარე ღორჯომისა და ჭვანიწყლის ხეობებში. საკმაო რაოდენობით გვხვდება მდინარე კინტრიშის ნაკრძალში. ვერტიკალურად ვრცელდება ტყის ზონის ზედა საზღვრამდე.



*ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა* — შველი ტყეში ცხოვრობს, მაგრამ ის ამჯობინებს ტყეშუა მინდვრებზე ყოფნას, სადაც მდინარეები ჩამოდის. ველებს არ ეტანება. ზაფხულში წითელი ფერისაა, ზამთრობით ფერი ეცვლება მოყვითალო — რუხ ან წითურ — რუხ ფერად. შველი იკვებება გაზაფხულზე ბალახით, ბუჩქებისა და ხის ტოტების ნეკერით. შემოდგომაზე ეტანება ხილს, წიფლის თესლს, რკოს და სხვადასხვა სოკოს. ზამთრობით ისინი ერთად არიან, ზაფხულობით კი ცალკე — ცალკე. საკვებისათვის მხოლოდ სადამოლობით გამოდიან, დასასვენებლად კი დილით ადრე მიდიან. სიცხეში წყლის სასმელად დღისით გამოდიან.


აჭარის ტეროტირაზე შველის ადგილსამყოფელი ნაწილობრივ მცირდება ტყეების ინტენსიური ჩეხვის გამო.

*რიცხოვნობა ბუნებაში* — შველის რიცხოვნობა აჭარაში ამჟამად 2000 სულს არ აღემატება.

*გამრავლება* — შველი სქესობრივად მწიფდება 2 — 2,5 წლის ასაკში, ხურაობა ეწყებათ აგვისტო — სექტემბერში. ერთ ფურს რამდენიმე ხარი დასდევს. მაკეობა 9 თვეს გრძელდება. ბადებს

2-3 ნუკრს, ხშირად კი ერთს. ზოგჯერ როგორც გამონაკლისი შეიძლება 4 ჰყავდეს. 6-7 დღის შემდეგ შველი უკვე დედას დასდევს. მამლებს პირველ წელში რქა უვითარდებათ, მესამე წელში რქა უკვე ორტოტიანია.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* — შველის ძირითადი კონკურენტი არჩვი და გარეული ღორია, უფრო მეტად კი შინაური პირუტყვი. მტრებიდან აღსანიშნავია მგელი, რომელიც განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს ზამთრობით (მასიურად ანადგურებს). მისი მტრებია აგრეთვე დათვი, მელა, ტყის კატა, ფოცხვერი. ნუკრებს ანადგურებს მთის არწივი და ჭოტი. მტაცებლების გარდა შველს ზიანს აყენებს გარეგანი და შინაგანი პარაზიტები. განსაკუთრებით ის ავაადდება ჰელმინთებით (8 სახეობა), რომელიც იწვევს სასუნთქი მილების, ფილტვების, კუჭ — ნაწლავის, ღვიძლის და ბრმა ნაწლავის დაავადებებს. აღნიშნულია აგრეთვე თვალის ლიბრი (1), ყბის ძვლების ქრონიკული ოსტეომელიტი (2), ლოყის გარქოვანება — ჰიპერკერატოზი (3).



*რიცხოვნების ცვლილებების მიზეზები* – აჭარაში შველის რიცხოვნების შემცირების ძირითადი მიზეზებია არეალის ფარგლებში მგლისა და დათვის სიმრავლე, ბრაკონიერობა, ადამიანის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენით შველის ადგილმონაცვლეობისა და გავრცელების შეზღუდვა, ტყეების გაჩეხვა, მათი შევიწროებულ ადგილებში თავმოყრა.

*გამრავლება ტყეების პირობებში* – შველი ადვილად ეჩვევა ადამიანს, კარგად იტანს ტყეობას და მრავლდება.

*დასაცავდ მიღებული ზომები* – შველზე ნადირობა ჩვენს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით აკრძალულია.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* – საჭიროა შველის დაცვისათვის ჩვენს ქვეყანაში მიღებული კანონების ცხოვრებაში გატარება. აუცილებელია აჭარაში შველის ბიოლოგიის უკეთ შესწავლისათვის სამეცნიერო მუშაობის გაშლა. სპეციალისტების მონაწილეობით მათი რიცხოვნობის დადგენა. შველის ადგილსამყოფელში შეძლებისდაგვარად ტყის ჩეხვის, გზის გაყვანის, პირუტყვის ძოვებისა და ბრაკონიერობის აღკვეთა. მგლის რაოდენობის შემცირება, ხელუვნური საკვებურების მოწყობა. შველზე ნადირობის და ბუნებაში ნუკრების დაჭერის 10 წლის ვადით სრული აკრძალვა.


*ინფორმაციის წყაროები* – არაბული 1960 წ, 1971 წ; ჯანაშვილი 1979 წ.

არჩვი (ფსიტი)  
СЕРНА (ЛЕСНАЯ АНТИЛОПА)  
*Rupicapra Rupicapra L., 1758*

რივი — წვეილჩლიქოსნები — *Artiodactyla*  
ოჯახი — ირბისებრნი — *Cervidae*

**სტატუსი** — EN —  
იშვიათი, საფრთხის  
ქვეშ მყოფი და მცირე-  
რიცხოვანი სახეობაა.


**გავრცელება** — გავ-  
რცელებულია აზერბაი-  
ჯანში, სომხეთში, მცირე  
აზიაში, თურქეთში, ბა-  
ლკანეთში, კარპატებზე  
ალპებში, აპენინზე, პი-  
რინეის ნახევარკუნძუ-  
ლზე. აჭარაში ის  
გვხდება ხულოსა და  
შუახევის რაიონებში.  
კერძოდ: არსიანის ქედ-



ის დასავლეთ ფერდობებზე, მდინარე ჩირუხისწყლის ხეობაში,  
შავშეთის ქედის ჩრდილო ფერდობზე, დაცულია კინტრიშის ნა-  
კრძალში.

**ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა** — არჩვის  
ძირითადი ადგილსამყოფელი ტყის ზედა სარტყელი და ალპური  
ველებია. ზამთარს ატარებს ტყის ზონაში, სადაც ზოგჯერ შუა  
სარტყლამდე ჩამოდის. ვერტიკალური გავრცელება ზღვის დონი-  
დან 800-900 მეტრიდან იწყება და 3500 მეტრამდე აღწევს.

**რიცხოვნობა ბუნებაში** — არჩვის გავრცელების კერებში შესამ-  
ჩნევად შემცირებულია მათი საერთო რაოდენობა. ამოწყვეტილია  
ადიგენის რაიონში. ჯერ კიდევ სრულყოფილად არაა შესწავლილი



მისი ბიოეკოლოგია. აჭარის მონადირეთა საზოგადოების ცნობით ამჟამად აჭარაში 600-მდე არჩვია.

*გამრავლება* — არჩვის სქესობრივი მომწიფება ხდება მესამე წელიწადში. ქერშილობა მიმდინარეობს ოქტომბრის II ნახევრიდან დეკემბრის დამლევამდე. მაკეობა გრძელდება 6 თვემდე. შობს 1 ან 2 ციკანს.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* — აღსანიშნავია, რომ მეტად ნელა მრავლდება, რაც თავის მხრივ ძლიერ მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორია ძალზე შემცირებელი რაოდენობის აღდგენისათვის. დიდ როლს თამაშობს ანტროპოგენური ფაქტორი (ბრაკონიერობა, მოსახლეობის მიერ ტყეების მასიური ჩეხვა). კონკურენტებია: შველი და შინაური პირუტყვი. ბუნებრივი მტრებია: მგელი, დათვი, ტურა და მელა. ამ ცხოველში რეგისტრირებულია ჰელმინთური დაავადებები.

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* — არჩვის რიცხოვნობის ცვლილების ძირითადი მიზეზებია: მისი ადგილსამყოფელის ინტენსიური ათვისება, ბრაკონიერობა, ბუნებრივი მტრების (მგელი, დათვი) მომრავლება, სუსტი ინფორმაცია არჩვის, როგორც იშვიათი ცხოველის შესახებ.

*გამრავლება ტყვეობის პირობებში* — არჩვი ძლიერი, ფრთხილი და მხრთალი ცხოველია. საქართველოში მისი ტყვეობაში ყოფნის ფაქტი არა არის აღნიშნული.

*დასაცავად მიღებული ზომები* — არჩვზე ნადირობის აკრძალვა განუსაზღვრელი დროით.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* — საქართველოში არსებული კანონის (იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგარი ცხოველების დაცვის შესახებ) აჭარის მოსახლეობამდე დაყვანა, სპეციალისტების მონაწილეობით არჩვის სულადობისა და არეალის დადგენა, ადგილსამყოფელის მოვლა, ზამთრობით საკვებურების მოწყობა. აუცილებლად მიგვაჩნია არჩვის ბიოლოგიის დაწვრილებითი შესწავლა.

*ინფორმაციის წყაროები* — „საქართველოს წითელი წიგნი“ 1982 წ., „სსრკ წითელი წიგნი“ 1984 წ.

## **ზოგადი ცნობები**

### **მტაცებელი ძუძუმწოვრების შესახებ**

მტაცებელი ძუძუმწოვრების რიგში გაერთიანებული ცხოველებისათვის დამახასიათებელია ნაირგვარობა, როგორც გარეგანი აგებულებით, ისე ზომით, ბიოლოგიური თავისებურებებით, ლოკომოციის საშუალებებით და სხვა. მათი სიდიდე მერყეობს 14 სმ-დან 3 მ-მდე, წონა 100 გ-დან 1 ტონამდე. რიგში გაერთიანებულია მინიატურული დედოფალაც, ვეება ვეფხვიც და თეთრი დათვიც. ზოგს ლამაზი და გრძელი კიდურები ახასიათებთ, ზოგს კი მოკლე და მოუხეშავი; თითოეულ კიდურზე 4 თითია (ძაღლებს და დათვებს ხუთ — ხუთი აქვს); ზოგს ახასიათებს გამომწვევადი ძლიერი ბრჭყალები, ზოგს კი ბრჭყალები ფრჩხილებად აქვს გადაქცეული; ზოგს გრძელი კუდი აქვს, ზოგსაც მოკლე ან სულაც მოსაჭიდებელი ტიპისაა; უმეტესობა კარგად აქვს განვითარებული გარეთა

ყურის ნიჟარები. ყველას კარგად აქვთ განვითარებული ბალნოვანი საფარველი; კბილების რაოდენობა 28-48 (მათგან საყურადღებოა ნაირგვარი ეშვები); ზოგს გააჩნია მკვეთრი კბილები; თავის ტვინი სრულყოფილია, კარგად განვითარებული ჰემისფეროებით, რომლებზედაც მრავალი ნახვევი და სამი ღარია, ყნოსვის მსხვილი წილანები სრულყოფილად არის განვითარებული. საშვილოსნო ორრქიანია; სათესლეები გამოტანილია სხეულის გარეთ და სპეციალურ პარკშია მოთავსებული; პლაცენტა ჩამოვარდნი ტიპისაა; უმრავლესობას გააჩნია საასოე ძვალი. ძირითადად ხმელეთის ფორმებია; ზოგი ჯოგურად ბინადრობს და ნადირობს. იკვებებიან ძირითადად ცხოველური საკვებით (ზოგიც მცანარეული საკვებითაც). გავრცელებულნი არიან მთელს დედამიწის ზურგზე (ანტარქტიდისა და ზოგიერთი ოკეანური კუნძულების გარდა). მტაცებელ ძუძუმწოვართა რიგი მოიცავს 7 ოჯახს, 100-მდე გვარს და 240 სახეს. თითქმის ყველას გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა: ზოგი გამოირჩევა ძვირფასი ბეწვით; ზოგს დიდი სარგებლობა მოქვს მღრნელების განადგურებით; ზოგიც პოტენციური მავნებელია და ზიანს აყენებს ადამიანის მუურნეობას ან საშიში დაავადებების გადამტანია.

მსხვილ მტაცებელ ძუძუმწოვარ ცხოველთა შორის საქართველოს ფაუნაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დათვს და მგელს.

მსოფლიოში დღეისათვის ბინადრობს 8 სახეობის დათვი. ესენია: 1. ვიგანტური პანდა — *Ailuropoda melanoleuca*, რომელიც გავრცელებულია ჩინეთის ტერიტორიაზე; 2. მალაიური დათვი — *Helarctos malayanus* — ბინადრობს მალაიზიის არქიპელაგის კუნძულებზე და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე; 3. ტუჩა დათვი — *Melursus ursinus* — გავრცელებულია ინდოეთის ნახევარკუნძულზე; 4. ჰიმალაიური დათვი — *Ursus thibetanus* — გვხვდება ევრაზიის კონტინენტის აღმოსავლეთ და სამხრეთ — აღმოსავლეთ ნაწილში; 5. სათვალღიანი დათვი — *Tremarctos ornatus* — ბინადრობს სამხრეთ ამერიკის ანდების ჩრდილოეთ ნაწილში; 6.

ბარი — ბალი — *Ursus americanus* — ბინადრობს ჩრდილოეთ პოლუსზე; 7. მურა დათვი — *Ursus arctos* — ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული და მოიცავს მსოფლიოს ჩრდილოეთ ნახევარსფეროს — ევრაზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტებს.

აჭარაში ბინადრობს მურა დათვის ქვესახე — კავკასიური მურა დათვი — *Ursus arctos caucasicus* Smirnov, 1919. გარდა აღნიშნული დათვის ქვესახისა, აჭარის სასაზღვრო ზოლში ნომადობს (მიგრირებს), მეზობელი თურქეთიდან ჭანეთის დათვი — *Ursus arctos lasistanicus* Satunin, 1913. აღნიშნული ქვესახეები ყველაზე უფრო მეტად განიცდიან ანთროპოგენური ფაქტორების ზეგავლენას, რის შედეგადაც მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირებულია და თუ არ იქნა გარკვეული დამცავი ღონისძიებები შემუშავებული მათ ემუქრებათ მომავლში გადაშენების საშიშროება.

*კავკასიური მურა დათვი*

**КАВКАЗСКИЙ БУРИЙ МЕДВЕДЬ**


*ქვესახე — Ursus arctos caucasicus Smirnov, 1919*

*რიგი — მტაცებლები — Carnivora*

*ოჯახი — დათვისებრნი — Ursidae*

**სტატუსი** — EN — იშვიათი, საფრთხის ქვეშ მყოფი და მცირერიცხოვანი ქვესახეა.

**გავრცელება** — საქართველოს ფარგლებში ის გავრცელებულია ძირითადად მთავარ კავკასიონის ქედზე, კერძოდ ლაგოდეხის, ყვარლის, თელავის, ახმეტის რაიონის ტყეებში, ერწოთიანეთში, თუშეთში, ხვესურეთში, არაგვის ხეობაში, ყაზბეგთან, ფასანაურთან, მღვითთან, ლარსთან, ანანურთან, კობისა და გუდაურის მიდამოებში, სამხრეთ ოსეთში, ბორჯომის ხეობაში, ბოლნისის რაიონში, გარდაბანის რაიონში, ცივ — გომბორის ქედზე, ქართლ — ოსეთის ქედზე, რაჭაში, სვანეთში, აფხაზეთში, გურიის მთებზე, იშვიათად ქუთაისის, ზესტაფონის, ხარაგაულის რაიონებში.



გარდა საქართველოსი, ის გვხვდება კავკასიონის ჩრდილო კალთებზე, დაღესტანში, აზერბაიჯანში და სომხეთში.

გურია-აჭარის ქედზე და მთლიანად შიდა აჭარაში კავკასიური მურა დათვი გავრცელებულია: კინტრიშის ნაკრძალში, ხულოს რაიონის ტერიტორიაზე – სოფელ ღორჯომის, ლაბაძეების, აგარის, რიქეთის, დანისპარაულის, ხიზაძირის, თხილვანას მიდამოებში. შუახევის რაიონის მაღალ მთიანეთში. ქედის რაიონის სოფელ წონიარისის, გობრონეთის, ვარჯანისის, ნამონასტრევისა და მერისის მაღალ მთიანეთში და ჩაქვის მთიანეთში და ა. შ. ვერტიკალურად აღწევს 2500-3000 მ-მდე ზღვის დონიდან.

აჭარის მაღალმთიანი სასაზღვრო ზოლის მთელ პერიმეტრზე მიგრირებს თურქეთის ტერიტორიიდან ჭანური დათვი, რომელიც განსხვავდება კავკასიური მურა დათვის პოპულაციისაგან შეფერილობით (მისი ფერი მორუხო – მოჩალისფროაა, ხოლო კავკასიური მურა დათვის ფერი კი ცვალებადობს ჩალისფერიდან მუქ წაბლისფერამდე), ჭანურ დათვის ქეროზე მკვეთრად აქვს გამოხატული მუქი მურა მორუხო ხალი. ქალას კოლოფი თხემის ძეგლების



მიდამოებში გვერდებიდან გამოზნექილია. თვალბუდის უკანა მორჩის უკანა ქალა განიერია და არაა შეზნექილი.

*ადგილსამყოფელი, მათი აზღანდელი მდგომარეობა* — დათვი ძირითადად ბინადრობს აჭარის მაღალ მთიანეთის უღრან ტყეებში, ბევრს მიგრირებს, არ ერიდება დასახლებულ კულტურულ ლანდშაფტებსაც. ზამთარს ატარებს ტყის ზონაში, ზაფხულობით მეტდროს ატარებს მერისის, ღომის, ჩირუხის, საიჩარის და სხვათა საძოვრების ახლოს — ტყეებში.

*რიცხოვნება ბუნებაში* — აჭარაში დათვის საცხოვრებელი გარემო დღეისათვის განიცდის ანტროპოგენური ფაქტორების დიდ ზეგავლენას. მასიურად გაჩეხილია ტყეები, ადგილი აქვს ბრაკონიერობას, ხშირად დათვი დაგებული მახეების მსხვერპლი ხდება, დაბალია რეპროდუქციის უნარი. ხშირი მეწყერების გამო ხშირად იშლება დათვის საცხოვრებელი ადგილები, განსაკუთრებით — ადგილობრივი მოსახლეობა ამ ცხოველებს ანადგურებს ყანებში შესვლის ან საძოვრებზე გამოჩენის შემთხვევაში.

დღეისათვის აჭარაში დათვის რიცხვნობა მთად ცვალებადია, ფაქტიურად აჭარაში დათვის ბიოეკოლოგია საერთოდ შეუსწავლელია, რის გამოც მათი რიცხვნობის მიახლოებითი დადგენაც კი ჭირს. ვფიქრობთ ორთავე სქესის რაოდენობა არ აღემატება 280-350.

**გამრავლება** – მძუნაობა იწყება მაის – ივნისში, მაკეობის ხანგრძლივობა 7 თვეა. ბელების მოსაგებად აუცილებელად ბუნაგში წვება. შობს ერთ, ორ, იშვიათად სამ ბელს. ახალშობილი ბელი თვალაუხილავია და წონით 500 გ აღწევს. მხედველობის საბოლოო ჩამოყალიბება ემთხვევა ბუნაგიდან გამოსვლის პერიოდს. ბელები მიჰყებიან დედას და ცდილობენ ყველა მისი მოძრაობა გაიომეორონ. მძუნაობის პერიოდში ხშირია მამრების მიერ ბელების დახოცვის შემთხვევები, ამიტომ ხვალების გამოჩენისას დედა ცდილობს პატარები მას მოარიდოს.

**კვება** – დათვი ყველაფრისმჭამელი ცხოველია. კვების რაციონში შედის: მსხლის, ვაშლის, ბალის, წაბლის, მუხის, ასკილის, მაცყლის ნაყოფები. არ ერიდება სიმინდის ყანებში შესვლას, რის გამოც ის ხშირად ხდება ადგილობრივი მოსახლეობის მსხვერპლი. განსაკუთრებით დათვი ზაფხულობით ნომადობს საზოვრების ირგვლივ, რაც აჭარაში საკმაოდ ბევრია. სანადიროდ არჩევს ნისლიან ამინდს. საძოვრების ყველა მწყემსი ადასტურებს, რომ არ არის არცერთი ნისლიანი დღე, რომ დათვმა არ მოიტაცოს ცხოველი – ძროხა, მოზარდი ცხვარი თუ თხა. საინტერესოა, რომ მას ამ დროს კონკურენციას უწევს მგელი, რომელიც წმინდა ზოოფავია. დათვი ხშირად ებმება ხაფანგებში, რომელსაც მწყემსები საძოვრების ირგვლივ აწყობენ, ან კიდევ მათზე სპეციალურად ნადირობენ. გარდა ამისა ის თავს ესხმის არჩვს, შველს, ღორს და ა.შ.

**კონკურენტები, მტრები, რიცხვნობის ცვალებადობის მიზეზები** – ერთი შეხედვით კავკასიურ მურა დათვის კონკურენტი არ უნდა ჰყავდეს, მაგრამ ეს ასე არ არის. მას დიდ კონკურენციას უწევს თურქეთიდან მიგრანტი ჭანური დათვი, რომელიც შედარებით უფრო ძლიერია და აქტიური. კონკურენცია მიმდინარეობს საკვე-

ბის, ადგილსამყოფელისა და სამიგრაციო გზების გამო. ასევე დიდ როლს თამაშობს აჭარაში გავრცელებული მგელი, რომელიც ხშირად თავს ესხმის ბელებს და ანადგურებს მათ. ნაწილობრივ კონკურენტებისა და მტრების სახით გვევლინებიან ფოცხვერი, ტურა და სხვა.

დათვის რიცხოვნობის შემცირების მთავარ მიზეზს, მაინც ადგილსამყოფელის დეგრადაცია წარმოადგენს, რაც გამოწვეულია აჭარის მაღალმთიანეთში გახშირებული ეროზიული და მეწყერული მოქმედებების შედეგად. დიდ როლს თამაშობს ანთროპოგენური ფაქტორები, კერძოდ იჩეხება ტყეები, დიდია ბრაკონიერობა, დაბალია რეპროდუქციის უნარი, შეიძლება საკვების ნაკლებობაც, რაც იწვევს ადგილმონაცვლეობას, რის გამოც ხშირია სიკვდილიანობა. მურა დათვისა და ჭანური დათვის ბიოლოგიის შესახებ ცნობები ძალზე მწირია და არასაკმარისი, რაც ართულებს მისი დაცვისა და შენარჩუნებისათვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებას.

აჭარაში კავკასიური მურა დათვის დაცვისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელია პოპულაციის დამატებითი შესწავლა. განსაკუთრებით შესასწავლია როგორ და სად იკეთებს ბუნავს ძუ დათვები, როგორაა დაცული, რამდენ ხანს რჩებიან ისინი ბელებთან. შესასწავლია სამიგრაციო გზები. საჭიროა ფართო ახსნა – განმარტებითი სამუშაოების ჩატარება ადგილობრივ მოსახლეობაში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში. კანონით დათვის მოკვლა აკრძალულია, მაგრამ ის ყოველთვის დაცული არ არის. ხშირია ბრაკონიერობა.


ისმის კითხვა, თუ რატომ არის საჭირო ამდენი დროის და რესურსების ხარჯვა დათვის ბიოლოგიის შესწავლისათვის. ამისათვის არის მარტივი პასუხი: WWF-ის ბოლო მონაცემებით მთლიანად საქართველოში სავარაუდოდ 650 დათვი დარჩა, რაც შემოფოტებას იწვევს. უახლოეს მომავალში დათვი შეიძლება მთლიანად გადაშენდეს. ამიტომ ჩვენი აზრით ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ დავიცვათ იგი განადგურებისაგან და მომავალს შეუნარჩუნოთ საქართველოს ერთ – ერთ ლამაზ კუთხეში – აჭარაში ეს ლამაზი და ეფექტური ცხოველი.

მგელი  
BO.IK

*Canis lupus Linne, 1758*

რივი — მტაცებლები — *Carnivora*

ოჯახი — ძაღლისებრნი — *Canidae*



*სტატუსი* — EN — საფრთხეში მყოფი. მთელ მსოფლიოში მგლისადმი დამოკიდებულება არის მეტად უარყოფითი. ადგილობრივი მოსახლეობა მასში ხედავს ნადირს, მხეცს, ველურ ცხოველს, რომელსაც ძალუძს დიდი უსიამოვნების მოტანა ადამიანისათვის. ამიტომ ადამიანი მას ღვენი, კლავს, რისთვისაც იყენებს ყველა აკრძალულ მეთოდს, რათა განდევნოს ან მოსპოს მოცემულ ტერიტორიაზე და ვერ ათვიცნობიერებს თუ რა შედეგი მოჰყვება მას. ადამიანისა და მგლის ურთიერთდამოკიდებულების რამდენიმე კლასიკური მაგალითი არსებობს. მაგალითად უკანასკნელი მგელი შოტლანდიაში 1745 წელს მოკლეს. ისევე როგორც ევროპის მრავალი ქვეყანაში, ბრიტანეთშიც აქტიური ბრძოლა იყო გამოცხადებული ამ მტაცებლის წინააღმდეგ. იყო პერიოდები,

როცა ყველა ზრდასრულ მამაკაცს მეფის ბრძანებით ევალებოდა მგელზე ნადირობა, და ვინც განსაკუთრებით ბევრ მგელს დახოცავდა კარგ გასამრჯელოსაც მიიღებდა. უნდა ითქვას, რომ ბრიტანელებმა მგელთან „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლაში სრული გამარჯვება მოიპოვეს — მგელი, როგორც სახე ბრიტანეთში მთლიანად მოისპო. მაშინ ცოტა რამ გაეგებოდათ ეკონისტიტმაში რთული კავშირების შესახებ. შესაბამისად ვინ იფიქრებდა, თუ ისეთი დროც დადგებოდა, როცა ბრიტანელებს მგელი მოენატრებოდათ და მისი პოპულაციის აღდგენაზე დაიწყებდნენ საუბარს. ისმის კითხვა რად უნდათ შოტლანდიელებს მგელი? მათ ხომ დიდი ხანია არც მეცხვარე ძაღლები სჭირდებათ და არც ღამით ტყეში გასვლისა ეშინიათ ამ „საშინელი მხეცის“ გამო. ერთი რამ ცხადია, რომ როცა რაიმეს დავკარგავთ, მხოლოდ მერე ვაფასებთ დანაკლისს. ბრიტანელებსაც ასე მოუვიდათ. ეხლა კი საზოგადოების დიდ ნაწილს სურს რათა ველური ბუნება ჰქონდეთ თავისი მტაცებლებითა და მრავალფეროვნებით. ეს ერთი მხარე, მაგრამ მეორეს მხრივ, რაც უფრო მნიშვნელოვანი არის ის,



რომ შოტლანდია პირდაპირი მნიშვნელობით გადაჭამეს ირმებმა. ერთ — ერთი მიზეზი მგლის სრული განადგურება იყო და მეორედ კი ტყეები მთლიანად გაიჩრება, რის გამოც ერთ დროს ფიჭვნარით დაფარული მთა — გორები ალპურ მდელოებს დაემსგავსა. ბუნებრივი კონტროლის მექანიზმის ანუ მტაცებლის არ არსებობის გამო ირმის პოპულაცია არა მარტო რიცხოვრივად იზრდება, არამედ მასში მთელი რიგი სხვა არასასურველი პროცესებიც მიდის, იცვლება გენეტიკური მახასიათებლები, იზრდება ეპიდემიების რისკი, ირღვევა სქესთა ბუნებრივი თანაფარდობა და ა.შ. ეს ტიპური მაგალითია იმისა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ეკოლოგიურ სისტემაში ბალანსის დარღვევას, კონკრეტულ შემთხვევაში ეკოსისტემიდან მგელის განდევნას.


მგელი ძაღლისებრთა ოჯახის ერთ — ერთი ყველაზე მსხვილი ცხოველია. მისი სიმაღლე 60-80 სმ-ია, ძუს წონა 18-55, ხვადისა — 20-80 კგ. შეფერილობა მეტად განსხვავებულია, შეიძლება შეგვხდეს ფერის ყველა ვარიანტი.

**გავრცელება** — გავრცელებულია ევრაზიისა და ამერიკის კონტინენტებზე ჩრდილოეთ განედის 20<sup>0</sup>-დან ზემოთ.

საქართველოში გავრცელებულია მგლის ქვესახეობა — კავკასიური მგელი (*Canis lupus cubanensis* Ognev, 1922). ის გვხვდება: წითელწყაროს, სიღნაღის, ლაგოდების, ყვარელის, თელავის, ახმეტის, გურჯაანის, კაკრეთის, საგარეჯოს, ვარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის რაიონებში. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება: არაგვის ხეობაში, ბაზალეთთან, კასპისა და გორის რაიონებში, სამხრეთ ოსეთში, სურამთან, ბორჯომის ხეობაში, ბაკურიანთან, ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში. თრიალეთის, ქართლ — იმერეთის ქედზე, რაჭაში, სვანეთში, აფხაზეთში და ა.შ.

საქართველოს ფარგლების გარედან ცნობილია — ჩრდილო კავკასიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ირანში, თურქეთში.

აჭარაში მგელი წარსულში თითქმის ყველა რაიონში გვხვდებოდა — ამჟამად ის გავრცელებულია ზულოს, შუახევისა და ქედის რაიონებში (ახლო წარსულში ის მოსპობილია ქობულეთისა და



ხელვაჩაურის რაიონებში). იშვიათად გურია-აჭარის ქედზე, საიდანაც შემთხვევით კინტრიშის ნაკრძალშიც იქნა შემჩნეული, ასევე მთა პერანგას მიდამოებშიც იქნა დაფიქსირებული.

კონკრეტულად — მგელი ხულოს რაიონის სოფელ ჯახაურისა და ლაბაძეების მიდამოებში მიგრირებენ, ხოლო ამხრეთ-აღმოსავლეთით სოფელ ლაქვას ტერიტორიაზე; ქედაში — სოფელ ნამონასტრევის მიდამოებში მიგრირებს.

*ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა* — მგელს ახასიათებს შეგუების ფართო დიაპაზონი: ბინადრობს აჭარის ტრანსსასაზღვრო ზოლის მაღალმთიან ველებზე, ტყის გავრცელების ყველა ზონაში, სუბალპურსა და ალპურ სარტყლებში. განსაკუთრებით — საძოვრების მიმდებარე ტერიტორიებს არჩევს, ბევრს მიგრირებს, არ ერიდება დასახლებულ პუნქტებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მგლის ძირითადი ადგილსამყოფელი აჭარაში განიცდის როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედებას, რის გამოც დიდია მიგრაციები, მოზარდების სიკვდილიანობა და ა.შ.

*რიცხოვნობა ბუნებაში* — ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიის ფარგლებში მგელის არსებობა ბოლო 50 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა. ვარაუდით ქედის, შუახვევისა და ხულოს მიდამოებში 20-25 ოჯახის არსებობაა შესაძლებელი. აჭარაში დაახლოებით 80-90 სული მიგრირებს. აჭარის მგლის პოპულაციის ბიოეკოლოგიის საკითხი მოითხოვს სპეციალურ შესწავლას.

*გამრავლება* — მგლის ოჯახში იერარქიულ სტრუქტურას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის შიგნით სტაბილიზაციის შენარჩუნებაში. დროადადრო აუცილებლად ხდება რანგების გადანაწილება. ურთიერთობის გამწვავებას დაბალი რანგის წევრების გაძევება მოყვება. ხშირად გაძევებული ინდივიდები ახალგაზრდები ან ბებრები არიან. კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი გამრავლების ინსტიქტია, თუ ის გარკვეულ მდგომარეობას ვერ დაიჭერს ოჯახში. თუ ინდივიდებმა ამის მიღწევა ვერ შეძლო, მაშინ იგი იძულებულია ოჯახი დატოვოს და სხვაგან ეძებოს გამრავლების შესაზღებლობა. საყურადღებოა, რომ ოჯახში დომინანტი მგელი რომ იყოს არ არის აუცილებელი ის ფიზიკურად ყველაზე ძლიერი იყოს, არამედ დიდ როლს თამაშობს მისი გამოცდილება და გონებრივი შესაძლებლობები.

მგლის ოჯახი, როგორც წესი, შედგება რეპროდუქციული წყვილისაგან დომინანტი (ძუ) და დომინანტი (ხვადი) და სხვა ინდივიდებისაგან. ოჯახში, ჩვეულებრივ მხოლოდ დომინანტი წყვილი მრავლდება, ხოლო დანარჩენები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ პატარების აღზრდაში.

მძუნარობა იწყება ადრე გაზაფხულზე (ზოგჯერ ზამთრის დამლევს). მაკეობის ხანგრძლიობა 63 დღემდე აღწევს. შობს 3-10 თვალაუხედელ და უსუსურ ლეკვს, რომლებიც თვალებს ახელენ 9-10 დღის ასაკში. პატარებზე ზრუნავენ არა მარტო ორივე მშობელი, არამედ ოჯახის ყველა წევრი.

*კვება* — მგელი ზოოფაგია. ის ძირითადადში არჩევს დიდი ზომის ცხოველებს, თუმცა გაჭირვების დროს არც წვრილ-წვრილ ცხ-

ოველებზე ამბობს უარს. სარჩოს მოსაპოვებლად მას ევოლუციამ ბასრი კბილები, ძლიერი ყბები და საერთო ფიზიკური ამტანობა არგუნა. მგლებისათვის დამახასიათებელია ჯგუფური ნადირობა — თანაც ზედმიწევნით ორგანიზებული და მოწესრიგებული. ჯგუფს ჰყავს ლიდერი, რომელსაც ჯგუფის სხვა წევრები ემორჩილებიან; თითოეულ წევრს აქვს თავისი ფუნქცია და პასუხისმგებლობა ნადირობის დროს. ამდაგვარად მგელი შეიძლება წარმოვიდგინოთ იდეალურ მტაცებელ ცხოველად, მაგრამ ბოლო დროინდელი კვლევებით დგინდება, რომ მგელი არც მკვლელად და არც მტაცებლად არ იბადება. მგლის ლეკვები ჯერ მშობლების მიერ მოტანილი წვრილი ცხოველების ჭამას „სწავლობენ“, მერე კი იმას თუ რომელია მათი მსხვერპლი. მგელში ეტაპობრივად ვითარდება მტაცებლური და მონადირული ქცევა, სწორედ უფროსებისაგან ნასწავლისა და საკუთარი გამოცდილების წყალობით ყალიბდება ის წარმატებულ მტაცებლად და მონადირედ.

მგლის ძირითად საკვებს შეადგენენ მსხვილი და წვრილი ძუძუმწოვრები, კერძოდ არჩვი, შველი, კურდღელი, არ ერიდება შინაურ პირუტყვს, რითაც დიდი ზიანი მოქვს ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ბევრს მიგრირებს, ხშირად ნისლიან ამინდში თავს ესხმის საძოვრებზე ცხვრის ფარას, თხას, მოზარდ ძროხებს და სწრაფად, იქვე ტყეს აფარებს თავს.

*კონკურენტები, მტრები* — მგლის ორი სახეობა ზოგად ეკოლოგიური კანონების თანახმად, ერთსა და იმავე ეკოლოგიურ ნიშაში ვერ იცხოვრებს: მათ შორის მძფერი კონკურენცია გარდაუვალია და საბოლოოდ ერთ-ერთი განდევნის მეორეს. აჭარის მაგალითზე მის კონკურენტად, მხოლოდ კავკასიური მურა დათვი გვევლინება, თუმცა ისიც არიდებს თავს მგელთან შერკინებას. სხვა კონკურენტებიდან შეიძლება გამოვყოთ ტურა, მელა, ფოცხვერი, რომლებიც როგორც მგელი ზოოფაგებია და მათ შორის კონკურენცია მხოლოდ საკვების დარგში გამოიხატება. ხშირად კონკურენცია თვით მგლის ოჯახებს შორის არის მკვეთრად გამოხატული სანადირო არეალების ან კიდევ სამიგრაციო გზების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ მგელის მოკვლა კანონით აკრძალულია ადგილობრივი მოსახლეობა მაინც ახერხებს მის მოკვლას, ხშირად ისინი ვარდებიან ბრაკონიერების მიერ დაგებული ხაფანგებში, რაც უარყოფითად მოქმედებს მგლის პოპულაციაზე.

*დასაცავად მისაღები ზომები* – მგელთან ბრძოლა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენთანაც, სახელმწიფო დონეზე იყო აყვანილი. ბევრ ქვეყანაში ეს ბრძოლა „წარმატებითაც“ დამთავრდა და მგლის მსოფლიო არელი დღეს საგრძნობლად შემცირებულია, სადაც გადარჩა, მხოლოდ ჯერ კიდევ შემორჩენილი თავშესაფარის წყალობით. ყველგან, სადაც ის აღარ არსებობს, მგლის განადგურების ეკოლოგიურ შედეგებს დღეს იმკიან (მაგალითისათვის ინგლისი და შოტლანდია კმარა). გამომდინარე აქედან, პირველ რიგში აჭარის მოსახლეობაში უნდა შეიცვალოს შეხედულება მგელზე. მას სამკედრო – სასიცოცხლო ბრძოლა კი არ უნდა გამოუცხადოს, არამედ ის უნდა დაიცვას, რადგანაც მგელი ტყის ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობს, მით უმეტეს როცა მგლის პოპულაცია აჭარაში ძალზე შემცირებულია და დიდ პრობლემებს არ ქმნის.

## კუპუშფოვრაპი „ბინესის რეპორტების წიგნიდან“

ცხოველის მიერ გამოცემული ყველაზე ხამაძალი ბგერა

ცისფერი ვეშაპები ერთმანეთთან ურთიერთობისას გამოსცემენ 188 რივის დეციბელის დაბალსინშირიან იმპულსებს, რაც საშუალებას იძლევა ჩავთვალოთ ეს ბგერები ყველაზე ხამაძალ ბგერებად, რომელთა გამოცემაც ცხოველებს ძალუძთ. მათი მოსმენა შესაძლებელია 850 კმ-ის მანძილზე.

### 306 ოხრის სოროს ყველაზე სწრაფად

მსოფლიო ჩემპიონად სოროების გათხრაში ითვლება ევრაზიური ბრმა თხუნელა (*Sprlax microphthalmus*) რუსეთის სამხრეთ ნაწილში ნაპოვნი ერთ-ერთი სოროს სიგრძე შეადგენდა 363 მ-ს, მაგრამ ეს ფაქტი ზუნდება მეორესთან შედარებით, ნაპოვნი იყო 114 ნაყარი გორაკის მომცველი სორო, რომელთაგან ორი უკანასკნელი იმყოფებოდა 169 მ-ის დაშორებით ერთმანეთისაგან.

### ყველაზე მყარლი ცხოველი

მსოფლიოში ყველაზე მყარლი ცხოველია აფრიკული გორილა (*Ictongx striatus*). მის ანალური ჯირკვლებს შეუძლიათ საზიზღარი სუნის მქონე სითხის გამოყოფა, რომლის შეგრძნობა შესაძლებელია 1,6 კმ-ის რადიუსის ტერიტორიაზე. ცნობილია შემთხვევა, როდესაც გორილა დაეუფლა ზებრას გვამს და რამდენიმე საათის განმავლობაში მასთან არ უშვებდა ათ ზდასრულ ლომს.

### ყველაზე მსხვილი ვეფხვი

ეს ვებერთალა ინდური ვეფხვი მოკლა 1967 წლის ნოებერში ჩრდ. უტარ პრადეში დევიდ გ.ჰიუნგერმა(აშშ). მისი სიგრძე შეადგენდა 3,22 მ-ს, წონა-388,7 კგ. ამჟამად იგი ამერიკის საბუნისმეტყველო ისტორიის მუზეუმშია გამოფენაზე (ვაშინგტონი, აშშ) მოთავსებული.

### სხეულის ყველაზე მაღალი ტემპერატურა

ცხელი ძაღლი — მექსიკის უბალნო ძაღლს გააჩნია ძუძუმწოვრებს შორის ყველაზე მაღალი სხეულის ტემპერატურა — 40.

### ყველაზე კვირფასი ცხოველი

კომერციული თვალსაზრისით ყველაზე ძვირფასი ცხოველებია წმინდა სისხლის საჯირითო ცხენები. 1983 წლის აგვისტოში ცნობილი გახდა, რომ შეიხმა მაქტუმ-ელ-მაქტუმმა შეაფასა თავისი ცხენი „შერიფ დანსერი“ 40 მილიონ დოლარად. ზოოპარკში

მყოფი ცხოველებიდან ყველაზე ძვირფასად მიჩნეულია გიგანტური დათვი პანდა (*Ailuropods melanoleuca*) სახელად „ჩი-ლინი“, მა-დრიდის ზოოპარკიდან, შეფასებული მილიონ გირვანქა სტერლინ-გზე ძვირად. ამჟამად, ჩინეთის საზღვრებს გარეთ, ტყვეობაში ცხოვრობს მხოლოდ 14 გიგანტური დათვი პანდა, სულ კი მოით-ვლიან მათ 600-700 ინდივიდს, ყველზე ძვირადღირებულ ზღვის ცხოველად ითვლება დელფინ-ორცინუსების (*Orcinus orea*) წყვილი – ორკი და კორკი, რომლებიც ტყვეობაში ცხოვრობენ ზერილენ-დში (პალტოს ვერდესი, ლოს-ანჯელესი). 1985 წელს ისინი შე-ფასდნენ 2 მილიონ დოლარად (1650 000 გირვანქა სტერლინგი).

### ყველაზე დიდი და ყველაზე მძიმე

ყველაზე გრძელი და ყველაზე მძიმე ტუტუშწოვარი ქვეყანაზე, აგრეთვე, მეცნიერებისათვის ცნობილი ყველაზე მსხვილი ცხ-ოველია ცისფერი ანუ მოყვითალო-მომწვანო ვეშაპი (*Bolenoptera musculus*) ცნობილია აგრეთვე, ზოლიანი ვეშაპის სახელწოდებით. ყველაზე დიდ ინდივიდად ითვლება ვეშაპის მდედრი, ნაპოვნი კომ-პანია არგენტინა დე პესკას (გრიტვიკენი, სამხ. ჯორჯია) მიერ 1909 წ., რომლის სხეულის სიგრძე შეადგენდა 33,58 მ. მეორე მდედრი, მოპოვებული 1947 წლის 20 მარტს საბჭოთა ვეშაპო-მომპოვებელი ფლოტილია „სლავას“ მიერ, იწონიდა 187 ტ. მისი ენა იწონიდა 4,22 ტ. ზოლო გული – 698,5 კგ.

დიდი ბრიტანეთის წყლებში ნახული ყველაზე დიდი ვეშაპი მოპოვებული იყო 1904 წ. სადგურ ბუნავენდირედან ახლოს ხერი-სში (დასავლეთი კუნძულები, შოტლანდია). 1851 წლის დეკემ-ბერში, ნავსადგურ ბენტროში (კორკი) ჩამოტანილ იქნა ზღვაში ნაპოვნი მკვდარი ცისფერი ვეშაპის გვამი, სიგრძით 28,87 მ. კიდევ ერთი ვეშაპი, ნაპოვნი ლუისის დას. ნაპირზე (დასავლეთი კუნძუ-ლები), დახლოებით 1870 წ. სავარაუდო სიგრძით ყოფილა 32 მ, მაგრამ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაანაწილეს გვამი მან-ამდე, სანამ მისი ზუსტი სიგრძე დადგინდებოდა. მისი სიგრძე, ალბათ, ან გადაჭარბებულია ან გაყოფილი იყო ირიბად – სხეუ-

ლის გასწვრივ, იმის ნაცვლად, რომ გაზომილიყო სწორხაზოვნად – ცხოველის ცხვირიდან კულის ფარფლის კბილაკებამდე.

ცისფერი ვეშაპები წლის უმეტეს ნაწილს ბინადრობენ უფრო ცივ ზღვებში და თბილ წყლებში მიგრირებენ გამრავლების პერიოდში. 1947-1948 წ.წ. ანტარქტიკაში ჩატარებულმა დაკვირვებებმა გვიჩვენეს, რომ ცისფერ ვეშაპებს, თუ ისინი ძლიერ შეშინებულნი არიან, შეუძლიათ ცურვა 37 კმ/ს სიჩქარით 10 წუთის განმავლობაში. გამოთვლილი იყო, რომ 27 მ-ის სხეულის სიგრძის ვეშაპს, რომელიც მოძრაობს 37 კმ/ს სიჩქარით, გააჩნია 520 ცხენის ძალის სიძლიერე. ვეშაპის ახალშობილი ნაშიერის სხეულის სიგრძე შეადგენს 6,5-8,6 მ. წონა 2,95 ტ-მდე.

გამოთვლილი იყო, რომ ამჟამად მსოფლიოს ოკეანეებში ბინადრობს მხოლოდ 12 000 ვეშაპი, რაც განპირობებულია მათი ჭარბმონადირებით. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში მათი რიცხოვნობა შეადგენდა 220 000 ინდივიდს. ამჟამად ეს იშვიათი ცხოველები დაცულია კანონით 1967 წლიდან, თუმცა ქვეყნებს, რომლებიც არ არიან ვეშაპის დაცვის საერთაშორისო საზოგადოების წევრები, ისეთებს, როგორცაა პანამა და ტაივანი, არ აუღიათ იმის ვალდებულება, რომ ვეშაპებს არ მოკლავენ. მსოფლიოს კანონი, რომელიც კრძალავს ვეშაპთა მოპოვებას კომერციული მიზნით, ძალაში შევიდა 1985-1986 წლების სეზონის დასაწყისში, მაგრამ სამხ. კორეა, ფილიპინები, ისლანდია და ნორვეგია დღემდე განაგრძობენ ვეშაპთა მოპოვებას, თუმცა ნორვეგია უკვე თანახმაა ხელი აიღოს ამ ძვირფასი ცხოველების მოპოვებაზე 1987 წლის შემდეგ.

#### ჩაყვინთვა მამსიმაღურ სიღრმეზე

ვეშაპის მაქსიმალური რეგისტრირებული ჩაყვინთვის სიღრმეა 1134 მ. სწორედ ამ სიღრმეზე იყო ნაპოვნი 14,32 მ-ის სხეულის სიგრძის კამალოტი (*Physeter macrocephalus*), დაღუპული იმის გამო, რომ მისი ყბა მოედო წყალქვეშა ნავის კაბელს, რომელიც გაყვანილია წმინდა ელენეს კუნძულს, ეკვადორსა და ჩორილოსს (პერუ) შორის – 1955 წლის 14 ოქტომბერს. ასეთ სიღრმეზე

კაშალოტი განიცდის სხეულის ზედაპირზე 11 583 კპა (კილოპასკალის) წნევას. 1969 წლის 25 აგვისტოს დარბანიდან 160 კმ-ით სამხრეთით მოპოვებული იყო მეორე კაშალოტი, მას შემდეგ, რაც იგი ამოვიდა წყლის ზედაპირზე წყალქვეშ 1 საათისა და 52 წუთის ყოფნის შემდეგ. მის კუჭში ნაპოვნია ორი პატარა ზვიგენი, გადაყლაპული ერთი საათით ადრე. მოგვიანებით დადგინდა, რომ ზვიგენები მიეკუთვნებიან სახე Scimnodon-ს და ბინადრობენ მხოლოდ ზღვის ფსკერზე. ამ ადგილას, 48-64 კმ-ის რადიუსით, ზღვის სიღრმე შეადგენს 3193 მ-ზე მეტს, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ საკვების ძიებაში კაშალოტები ზოგჯერ ეშვებიან 3 000 მ-ზე უფრო ღრმად და შეზღუდულნი არიან მხოლოდ წყალქვეშ დიდი ხნით ყოფნით და არა წყლის სიღრმის წნევით.

#### სამელეთის ყველაზე მსხვილი ბინადარი

სამელეთის ყველაზე მსხვილი ბინადარია აფრიკული სპილო (*Loxodonta Africana*). საშუალო ზრდასრული სპილოს სიმაღლე მინდაოში შეადგენს 3,2 მ წონა 5,7 ტ. მეცნიერებისათვის ცნობილი ყველაზე დიდი სპილო იყო მამრი, მოპოვებული 1974 წლის 7 ნოემბერს ტუკუსოდან 40 კმ-ით ჩრდილო-აღმოსავლეთით (სამხ. ანგოლა). დაწოლილი იგი სიგრძით – მინდაოდან ფეხის საფუძვლამდე – იყო 4,16 მ, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი სიმაღლე ფეხზე ღვომისას შეადგენდა დაახლოებით 3,96 მ. მისი სხეულის საერთო სიგრძე შეადგენდა 10,67 მ (დაჭიმული ხორთუმის წვერიდან დაჭიმული კუდის ბოლომდე), წინა ფეხის გარშემოწერილობა – 1,80 მ, წონა საგარაუდოდ 12,24 ტ.

ბრიტანეთის კუნძულზე ყველაზე მსხვილი გარეული ძუძუმწოვარია – კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*). ზრდასრული მამრის სიმაღლე მინდაოში შეადგენს 1,11 მ. წონა 109-113 კგ. ყველაზე მძიმე იყო, როგორც ჩანს, ზარ-ირემი, მოკლული 1831 წ. გლენფილიჩში (ბანტი), რომელიც იწონინდა 238 კგ. ნაკრძალში მობინადრეთა შორის ყველაზე მძიმე, როგორც ჩანს, იყო ზარ-ირემი, რომელიც იწონინდა 215 კგ (სიმაღლე შეადგენდა 1,378),

რომელიც თოვით მონადირეს მოეკლა ვობენრში (ბედფორდშირი) 1863 წელს. გარეული პონი (*Equus caballus*) შეიძლება იწონიდეს 320 კგ-მდე, მაგრამ დღეისათვის გარეული პონის პოპულაციები აღარ არსებობენ.

### ზღვის ყველაზე მსხვილი ბინადარი

ყველაზე მსხვილი კბილიანი ძუძუმწოვარია ვეშაპი — კაშალოტი. ცნობილი კაშალოტებიდან ყველაზე მსხვილი იყო მამრი, სიგრძით 20,7 მ. მოპოვებული საბჭოთა ვეშაპმომპოვებელი გემის მიერ 1950 წ. ზაფხულში წყნარი ოკეანის ჩრდ. ნაწილში, კურილიის კუნძულებთან. უფრო ადრე მოგვეპოვებოდა ცნობები უფრო დიდი კაშალოტის შესახებ. მამრი-კაშალოტის ქვედა ყბა, სიგრძით 5 მ, გამოფენილი ბრიტანეთის მუზეუმში, ეკუთვნოდა ცხოველს, რომლის სხეულის სიგრძე შეადგენდა დაახლოებით 25,6 მ; იყო ცნობები სხვა მსხვილი კაშალოტების შესახებაც, რომლებსაც თითქმის იგივე ზომები ჰქონდათ.

1913 წ. 13 კაშალოტი მოპოვებული იყო დიდი ბრიტანეთის ნაპირებთან. მათგან ყველაზე მსხვილი, 19 მ-ის სიგრძის მამრი, გამორიყული იყო ნაპირზე ბირჩინგტონში (კენტუი) — 1914 წლის 18 ოქტომბერს. მეორე მამრი, სიგრძით დაახლოებით 19,8 მ., მაგრამ ძლიერ დაზიანებული სხეულით, გამორიყული იყო ნაპირზე დერილუგამში (ჰოლუეი, ირლანდია) 1952 წლის 2 იანვარს.

### ყველაზე მაღალი ცხოველი

დედამიწაზე მობინადრე ცხოველებიდან ყველაზე მაღალია ყირაფი (ყირაფ კამელოპარდალის *Giraffa camelopardalis*), რომელიც ამჟამად შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ მშრალ სავანებში და აფრიკული უდაბნო საჰარას სამხ. რაიონებში. ცნობილი ცხოველებიდან ყველაზე მაღალი იყო მამრი, სახელად ჯორჯი, რომელიც 1959 წლის 8 იანვარს ჩამოიყვანეს ჩესტერის ზოოპარკში (ინგლისი) კენიიდან. როდესაც იგი 9 წლის იყო, მისი „რქები“ თითქმის სწვდებოდა 6,09 მ-ის სიმაღლის ნაგებობის სახურავს.

ჯორჯი მოკვდა 1969 წლის 22 ივლისს. როგორც გვაცნობეს, არანაკლებ შთამბეჭდავი სიმაღლისა ყოფილან (7 მ) მოკლეული თავისუფლადმცხოვრები მამრები.

#### ხმელეთის ყველაზე პატარა ბინადარი (მუშუშოვარი)

ხმელეთის ყველაზე პატარა ბინადარია (გრასეონიქტერის თინგლონგაი – *Graseongcteris Hhonglongai*) კიტის ლამურა, რომელსაც ეძახიან ბამბობის. მისი საბინადარო არეალი შემოფარგლულია ოცი კირქვიანი გამოქვაბულით მდ. კვაიუ ნოი კანცანა-ბარიზე (ტაილანდი). ზრდასრულ ინდივიდებს (ორივე სქესისას) ფრთების შლილი შეადგენს 160 მმ, წონა 1,75 გ.-ს.

დიდ ბრიტანეთში ყველაზე პატარა ტუტუმწოვარია ჯუჯა ბიგა (სორექს მინუტუს – *Sorex minutus*). ზრდასრული ინდივიდის თავიდან ტანის სიგრძეა 43-64 მმ, კუდის სიგრძე 31-46 მმ, წონა 2,4-5,1 გ.

#### ზღვის ყველაზე პატარა ბინადარი

ზღვაში მობინადრე წონით ყველაზე პატარა ტუტუმწოვარია, ალბათ, სამხ. აფრიკის კონცხის წყლებში მცხოვრები კომერსონის დელფინი (ცეფალორინზუს კომერსონი – *Cephalorynchus commersoni*), ცნობილი აგრეთვე იაკობიტის სახელითაც. ექვსი ზრდასრული დელფინის წონა მერყეობდა 23-დან 35 კგ-მდე. ზღვის წავი (ენჰიდრა ლუტრის – *Enhidra lutris*), მობინადრე წყნარი ოკეანის ჩრდ. ნაწილის წყლებში, იწონის 25-38,5 კგ, შტორმის დროს ამ სახის წარმომადგენლები ზოგჯერ ზღვიდან ხმელეთზე ამოდიან.

#### ხმელეთის ყველაზე იშვიათი ბინადარი

არსებობენ ტუტუმწოვრები, რომელთა შესახებაც ჩვენ წარმოდგენა გვაქვს გარკვეული სახის მხოლოდ ერთადერთი ან ტიპობრივი წარმომადგენლის მიხედვით. ერთ-ერთი მათგანია გარიდოს აგუტი (კაპრომის გარიდოი – *Capromys garidoi*). ამ სახის ერ-

თადერთი წამომადგენელი ნაპოვნი იყო კუნძულ კაიო მაიაზე, კუბიდან სამხრეთით – 1967 წლის აპრილში. ტასმანიური ვეფხი (თილაცინუს ცინოცეფალუს – *Thylacinus cynocephalus*), რომელიც ამომწყვდარად ითვლებოდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელი მოკვდა 1936 წლის 7 სექტემბერს – ბომარის ზოოპარკში (ზობარტი), ხელახლა იქნა აღმოჩენილი 1962 წლის ივლისში, როდესაც გარეული ცხოველი მკვლევარმა-ნატურალისტმა დაინახა იგი თავისი ავტომობილის ფარების შუქზე. მაგრამ ამის შემდეგ არავითარი დაზუსტებული ცნობა ამ იშვიათი ცხოველის შესახებ არ მოიპოვება.

### ზღვის ყველაზე იშვიათი ბინადარი

ზღვის ყველაზე იშვიათ ძუძუმწოვრად ითვლება ლონგბანიუსული ვეშაპი (ინდოპაცეტუს პაციფიკუს – *Indopacetus pacificus*), რომელსაც გააჩნია ნისკარტი; იგი ცნობილია მხოლოდ ორი ქალას მიხედვით. ერთი მათგანი ნაპოვნი იყო 1922 წ. მაკეისთან ახლოს, ოლაჟზე (კუინსლენდი, ავსტრალია), მეორე კი 1955 წ. მოგადიშოსთან ახლოს (სომალი, აღმ. აფრიკა).

### ხმელეთის ყველაზე სწრაფი ცხოველი

ხმელეთის ცხოველებიდან მოკლე მანძილს (549 მ-მდე) ყველაზე სწრაფად ფარავს აფრიკის, ირანის, თურქმენეთისა და ავღანეთის ღია ვაკეების ბინადარი ჰეპარდი (აცინონიქს იუბატუს – *Acynonix jubatus*), რომელსაც შედარებით სწორ ზედაპირზე შეუძლია განავითაროს 96-101 კმ/ს სისწრაფე. იყო ცნობები ერთეული ცხოველების თაობაზე, რომლებიც თითქოს მოძრაობდნენ 114, 135 და 145 კმ/სიჩქარით, მაგრამ ეს ციფრები გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს. ლონდონში 1937 წ. ჩატარებულმა სპეციალურმა გამოცდებმა ცხადყვეს, რომ 316 მ-ის სიგრძის ოვალურ ტრეკს მდებრი ჰეპარდი მოირბენდა ხოლმე საშუალო სიჩქარით 69,8 კმ/ს (ყველაზე სწრაფი დოლის ცხენი დარბის სიჩქარით 69,6 კმ/ს), მაგრამ აღსანიშნავია, რომ ცხოველი ამ შემთხვევაში

დარბოდა არა სწორხაზოვნად, და, ამრიგად, ხარჯავდა მეტ დამატებით დროს მოსახვევებში. ხმელეთის ცხოველი, რომელიც ყველაზე სწრაფად ფარავს დიდ მანძილებს (914 მ-ზე მეტს) არის აშშ დასავლეთ ნაწილში მობინადრე რქაფიწალა ანტილოპა (ანტილოკაპრა ამერიკანა — *Antilocapra Americana*). არის მონაცემები ანტილოპების შესახებ, რომლებიც 6 კმ-ის მანძილს ფარავდნენ 56 კმ/ს სიჩქარით, 1,6 კმ-ს — 67 კმ/ს სიჩქარით, 08 კმ-ს — 88,5 კმ/ს სიჩქარით.

დიდ ბრიტანეთში ხმელეთის ცხოველებიდან დიდ მანძილებს ყველაზე სწრაფად ფარავს შველი (კაპრეოლუს კაპრეოლუს — *Capreolus capreolus*), რომელიც 32 კმ-ის მანძილს გაიბრუნს ხოლმე 40-48 კმ/ს სიჩქარით, ზოგჯერ ანვითარებს სისწრაფეს 64 კმ/ს-მდე. 1970 წლის 19 ოქტომბერს სტელიბრიჯის ქუჩაზე (მანჩესტერი — შეშინებული კეთილშობილი ირემი — როგორც პოლიციის მანქანის ხელსაწყოებმა დააფიქსირეს — გარბოდა სიჩქარით 67,5 კმ/ს.

#### ყველაზე სწრაფი ზღვის ცხოველი

ყველაზე სწრაფი ზღვის ცხოველია დელფინი — ორცინუსი (ორცინუს ორკა — *Orcinus orca*). 1958 წლის 12 ოქტომბერს აღმოჩენილი იყო 6,10-7,62 მ-ის სიგრძის მამრი, რომელიც წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ წყლებში მოძრაობდა 55,5 კმ/ს სიჩქარით. არსებობს მონაცემები ზღვის ღორების (ფოცენოიდეს დალი — *Phocoides dali*) თაობაზე, რომლებიც მიექანებოდნენ მცირე მანძილზე 55,5 კმ/ს სიჩქარით.

#### ხმელეთის ყველაზე ნელი ცხოველი

ხმელეთის ყველა ძუძუმწოვარზე ნელა მოძრაობს ამერიკის ტროპიკულ ზონაში მობინადრე სამთითა ზარმაცა (ბრადიპუს ტრიდაქტილუს — *Bradipus tridactylus*). მიწაზე იგი მოძრაობს საშუალო სიჩქარით 1,83-2,44 მ/წუთში (0,109-0,158 კმ/ს), მაგრამ ხეებზე მას შეუძლია „აჩქარება“ 4,37 მ/წუთამდე (0,271

კმ/ს; შეადარეთ: ჩვეულებრივი ბალის ლოკოკინა მოძრაობს 0,05 კმ/ს სიჩქარით, ვიგანტური კუ კი 0,27 კმ/ს სიჩქარით).

#### პილის ყველაზე მატად მოყვარული ცხოველი

ზოგიერთი ჯავშნოსანი (დაზიპოდიდე – *Dasypodidae*), ოპოსუმი (დიდელოფიდე – *Didelphidae*) და ზარმაცა (ბრადიპოდიდე – *Brady-podidae*) ცხოვრების 80% ძილქუშში ან თვლემში ატარებს.

#### ყველაზე ხანგრძლივი პილი

პონტი-ბეროუში (ალიასკა, აშშ) ბინადარ მიწის ციყვს (სპერ-მოფილუს პარით ბაროვენზის – *Spermophilus parryi barovenssis*) ძინავს წელიწადში ცხრა თვე. დარჩენილი სამი თვის განმავლო-ბაში იგი ჭამს, ქმნის შთამომავლობას და იგროვებს თავის ფუ-ღუროში საკვების მარაგს.

#### უხნიერაში დღევრამელი ცხოველებს შორის

დღევრამელობაში ვერც ერთი ძუძუმწოვარი ვერ შეედრება ადამიანს (ჰომო საპიენს – *homo sapiens*: 120 წელი). როგორც ჩანს, წლოვანების ამ ზღვართან ყველაზე ახლოსაა აზიური სპილო (ელფას მაქსიმუს – *Elphas maximus*). ყველაზე დღევრამელ ცხო-ველად, რომლის წლოვანებაც ზუსტადაა დადგენილი, ითვლება ძროხა, სახელად „მოდოკი“, რომელმაც იცოცხლა 78 წელს. ის მოკვდა 1975 წლის 17 ივლისს სანტა-კლარაში (კალიფორნია, აშშ); ჩამოყვანილი იყო 1989 წელს ორი წლის ასაკში, გერმანი-იდან. ცნობილი იყო, რომ ნეპალის სამეფო სპილო „პრემ პრასადი“ მოკვდა 1985 წლის 27 თებერვალს კასრაში (ჩიტვანი) – 81 წლის ასაკი, მაგრამ ზოგიერთების ფიქრით, სინამდვილეში იგი 65-70 წლისა უნდა ყოფილიყო.

#### ვინ ბინადრობს ყველაზე მაღლა

მსოფლიოში ყველა ძუძუმწოვარზე მაღლა ბინადრობს ტიბე-ტის მთებში, ალპებსა და ჩინეთში მცხოვრები იაკი (ბოს გრუნიენს

– *Bos gruniens*). სიბერეს მიახლოებული, იგი ადის 6100 მ-ის სიმაღლეზე.

#### ყველაზე დიდი დაჯგუფება

ყველაზე დიდ რეგისტრირებულ არვედ XIX ს-ში ითვლება გაზელების (ანტიდორკას მარსუპიალის – *Antidorcas marsupialis*), არვე, რომელსაც თვალყურს ადევნებდნენ სამხ. აფრიკის დასავლეთ ვაკე რაიონებში მიგრაციის დროს. 1949 წელს ჯონ (შემდგომში სერ ჯონ) ფრაიზერი აკვირდებოდა არვეს, რომელიც სამი დღის განმავლობაში დასახლება ბილფორდ უესტზე (კეიპ პროვინსი). მეორე არვე, რომელიც ნახული იქნა 1938 წელს პურტისთან (კეიპ პროვინსი) მიახლოებითი გამოთვლით მოითვლიდა ოც მილიონ თავს, თუმცა ციფრი 10 მილიონი უფრო რეალურად გვეჩვენება. 1896 წლის ივლისში მიღებული იქნა ცნობები 160 კმ-იანი სიგრძის და 24 კმ-იანი სიგანის არვეს შესახებ, რომელიც გაჩნდა კლუბში (ნარინჯოვანი მდინარე, სამხ. აფრიკა). გარეული თუქმუწოვრების ყველაზე დიდ ზროვად დღეისათვის ითვლება მექსიკური კუდიანი ღმერთის (ტადარიდა ბრაზილიენზის – *Tadarida brasiliensis*) პოპულაცია გამოქვაბულ ბრულენში (სან-ანტონიო, ტეხასი), სადაც მიგრაციის შემდეგ შეიკრიბა 20 მილიონამდე ინდივიდი.

დიდ ბრიტანეთში ღამურების ყველაზე დიდი კოლონია იმყოფება გარეულ კენელ ტანელში (ჰემფშირი); იგი მოითვლის 6 სხვადასხვა სახის 2 ათასამდე ინდივიდს.

#### მაკეობის ყველაზე ბრძალი და ყველაზე მოკლე პერიოდი

ყველა თუქმუწოვარს შორის ყველაზე ხანგრძლივი, ადამიანზე ორნახევარჯერ უფრო მეტი, მაკეობის პერიოდი ახასიათებს აზიურ სპილოს (ელეფას მაქსიმუმს *Elaphas maximus*) -609-დან (20 თვეზე მეტია)- 760 დღემდე. 1981 წლისათვის დარჩენილია ამ ცხოველის 35 ათასი თავი. ამერიკული (ცნობილია აგრეთვე, როგორც ვირჯინიული) ოპოსუმის (დიდელფის მარსუპიალის *Dile-*

phis marsupialis) სამხ. აფრიკის ცენტრალურსა და ჩრდ. რაიონებში ბინადარი იშვიათი წყლის ოპოსუმის ანუ იანოკის (ხირომექტეს მინიმუს) და აღმოსავლური გარეული კატის (დასიურუს ვივერნუს) მაკეობის პერიოდი, ჩვეულებრივ, გრძელდება 12-13, დღეს, მაგრამ იგი შეიძლება უფრო მოკლევც იყოს-8 დღემდე.

#### ყველაზე დიდი შთამომავლობა

ახალშობილთა ყველაზე დიდი რაოდენობა ერთ ნაყარში- 31 (რომელთაგან იცოცხლა 30-მა) რეგისტრირებულია უკულო ტენრეკთან ანუ ჯაგროსან ზღარბთან (ტენრეკ ეკაუდატუს – *Tenrec ecaudatus*) რომელიც ნაპოვნია მადაგასკარსა და კომორის კუნძულებზე. ნაშიერთა ნორმალური რაოდენობა შეადგენს 12-15, თუმცა მდედრს შეუძლია გამოკვებოს 24-მდე ნაშიერი.

#### ყველაზე სწრაფი „ალსაზრდელი“

ზოლიანი ტენრეკის (ჰემიციენტეტუს სემისპინოზუს – *Hemicentetes semispinosus*) ნაშიერი რძის წოვას სწყვეტს უკვე 5 დღის ასაკში, თუმცა მდედრს შეუძლია მისი კვება 3-4 კვირის მანძილზე.

#### ყველაზე მსხვილი მტაცებელი ცხოველი

არსებობს დაუზუსტებელი მონაცემები იმის შესახებ, რომ პოლარული დათვის (ურსუს მარიტიმუს – *Yrsus maritimus*) წონა აღწევს 907 კგ. მაგრამ საშუალო ზრდასრული მამრი იწონის 386-408 კგ, სხეულის სიგრძე კი ცხვირიდან კუდამდე შეადგენს 2,4 მ. არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ 1960 წ. ვინმე არტურ დაბს, შეფორდიდან (ორეგონი, აშშ) თითქოს მოეკლას კოცებუს ყურეში, ალიასკის ჩრდ. ნაწილში, დათვი, რომელიც იწონიდა 1002 კგ. 1962 წლის აპრილში სიეტლის მსოფლიო გამოფენაზე აჩვენებდნენ 3,38 მ სიმაღლის დათვს, მაგრამ სხვა მონაცემები მის შესახებ არ მოგვეპოვება.

დიდ ბრიტანეთში ხმელეთის ყველაზე დიდი მტაცებელი ცხოველია მაჩვი (მელეს მელეს – *Meles meles*). საშუალო ზრდას-

რული მამრის სხეულის სიგრძეა 90 სმ, აქედან 10 სმ კუდის სიგრძეა, და იწონის ადრე გაზაფხულზე 12,3 კგ, ზაფხულის დასასრულს კი, როდესაც იგი „ქონს მოიგდებს“ – 14,5 კგ-ს. მდელი ოდნავ უფრო მცირე ზომისაა. 1952 წ. დეკემბერში როტერჰემის ახლოს (სამხ. იორქშირი) მოკლული იქნა 27,2 კგ წონის მამრი.

#### ყველაზე პატარა მტაცებელი ცხოველი

ხმელეთის პატარა მტაცებელი ცხოველია ყარყუმი (მუსტელა რიქსოზა – *Mustela rixsosa*), რომელიც პოლარულ რაიონებში ბინადრობს, ხანდახან მას – ყარყუმსაც ეძახიან. არჩევენ ყარყუმების ოთხ ჯიშს, რომელთაგანაც ყველაზე პატარაა ციმბირული პიგმეი (პიგმეა – *Pygmea*), რომლის ზრდასრული ინდივიდების სხეულის სიგრძე შეადგენს 177-207 მმ, წონა კი 35-დან 70 გ-მდე.

#### კატინებრთა ყველაზე მსხვილი წარმომადგენელი

კატინებრთა ოჯახის ყველაზე მსხვილი წარმომადგენელია – კანონით დაცვას დაქვემდებარებული – გრძელბეწვა ციმბირული ვეფხვი (პანთერა ტიგრის ალტაიკა – *Panthera tigris altaica*), ცნობილი, აგრეთვე, ამურული ვეფხვის სახელწოდებითაც. ზრდასრული მამრი საშუალოდ 3,15 მ სიგრძისაა (ცხვირიდან გაშლილი კუდის ბოლომდე). მისი სიმაღლე მინდაოში შეადგენს 99-107 სმ, წონა 265 კგ-მდე. 1950 წ. სიხოტე – აღინის მთებში (პრიპორიეს მხარე, რუსეთი) თოფით მოკლეს 384 კგ წონის მამრი. ცნობილია, რომ ციმბირული ვეფხვის შვიდწლიანი მამრი, სახელად ჯაიპერი, რომელიც ეკუთვნოდა მომთვინიერებელ ჯოან ბაირონ-მარასეკს კლარქსბურგიდან (ნიუ-ჯერსი, აშშ), 1986 წლის ოქტომბერში – იწონიდა 423 კგ-ს.

ტყვეობაში მცხოვრები ამჟამად ყველაზე მსხვილი „დიდი კატა“ ლაიტიგონის ინდური ლომისა და ტაიგონის (ვეფხვისა და ლომის ნაჯვარი) ჰიბრიდი, სახელად კიუბანაკენი – ალინორის ზოოლოგიური ბაღიდან (კალკუტა), რომლის წონა, როგორც ვა-

რაუდობენ, შეადგენს – სულ უკანასკნელი 363 კგ-ს. ამ ცხოველის სიმაღლე მინდაოში შეადგენს 1,32 მ (შედარებისათვის, ლომ სიმბას სიმაღლე მინდაოში შეადგენს 1,11 მ), სიგრძეში მან მიაღწია სარეკორდო ზომას – 2,5 მ-ს.

აფრიკული ლომის (პანთერა ლეო – *Panthera leo*) საშუალო ინდივიდი სიგრძით 2,7 მ-ია, სიმაღლით (მინდაოში) 91-97 სმ და იწონის 181-კგ-ს. ცნობილი გარეული ვე ზემკლარებიდან ყველაზე მძიმე, მისი წონა შეადგენდა 313 კგ, მოკლული იყო 1936 წ. – ლენოქს ანდერსონის მიერ ჰექტორსპურთან ახლოს, აღმ. ტრანსვაალში. ცნობილი იყო, რომ კოლჩესტერის ზოოპარკში (ესექსი) მცხოვრები ლომის; სახელად სიმბა (დაიბადა 1959 წ. დუბლინის ზოოპარკში) წონა 1970 წ. ივლისში შეადგენდა 375 კგ. იგი მოკვდა 1973 წლის 16 იანვარს სარესგორის ზოოპარკში (ჩრდ. იორქშირი; ამჟამად ეს ზოოპარკი აღარ არსებობს), სადაც შემდგომში გამოფენილი იყო მისი ფიჭული.

**კატისებრთა ოჯახის ყველაზე წვრილი წარმომადგენელი**

კატისებრთა ოჯახის ყველაზე წვრილი წარმომადგენელია სამხ. ინდოეთსა და შრი-ლანკაში მობინადრე ჟანგა-ლაქებიანი კატა (ფელის რუბიგინოზა – *Felis rubiginosa*). ზრდასრული მამრი საშუალოდ აღწევს სიგრძეში 64-71 სმ. (კუდის სიგრძეა 23-25 სმ) და იწონის 1,35 კგ.-მდე.

### **ფარფლფეხიანები:**

**სელაპები, ზღვის ლომები, მორჩები**

#### **ყველაზე მსხვილები**

ფარფლფეხიანების ცნობილი სახეებიდან ყველაზე დიდია სუბ-არქტიკული კუნძულების რაიონში ბინადარი სამხრეთული ზღვის სპილო (მირონუნა ლეონინა – *Mirounga leonina*). საშუალო ზრ-

დასრული მამრის სხეულის სიგრძეა 5 მ, ტანის მაქსიმალური გარშემოწერილობა 3,7 მ, წონა 2268 კგ-მდე (სხეულის სიგრძე იზომება ჰაერით სავსე ხორთუმის წვერიდან — გაჭიმული კულის ბოლომდე). ამ სახის საგულდაგულოდ გაზომილ წარმომადგენლებს შორის ყველაზე დიდი აღმოჩნდა მამრი, მოკლული 1913 წლის 28 თებერვალს, ზღვის უბე პოზეშნი (სამხ. უკრაინა): მას შემდეგ, რაც იგი გაატყავეს, მისი სიგრძე შეადგენდა 6,5 მ (პირველად მისი სიგრძე შეადგენდა დაახლოებით 6,85 მ), ვარაუდით იწონიდა სულ ცოტა 4 ტ-ს. შემოინახა ძველი ჩანაწერები, რომლებშიც სიგრძით 7,62—9,14 მ და 10,66 მ-მდეც კი მიღწეული მამრები ფიქსირდებოდა, მაგრამ ეს ციფრები გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს. ზრდასრული მდედრები მამრებზე გაცილებით მცირეებია, სიგრძეში ისინი საშუალოდ 3 მ და იწონიან 680 კგ-მდე.

ბრიტანეთის ფაუნის ყველაზე დიდ ფარფლფეხიანად ითვლებად რუხი (ატლანტური ან გრძელდინგა) სელაპი (ჰალიხერუს გრიპუს — *Halichoerus grypus*). ფარნის კუნძულებზე (ნორტუნბერლენდი) გამრავლების პერიოდში თავშესაყარზე ჩატარებულმა საკონტროლო დაკვირვებებმა ცხადჰყვეს, რომ ყველაზე დიდი სელაპი (მამრი) იწონიდა 310 კგ (მისი სხეულის სიგრძე ცხვირის წვეროდან კულის ფარფლებამდე აღწევდა 2,45 მ).

### ყველაზე პატარა

ფარფლფეხიანებს შორის ყველაზე პატარა არქტიკის წყლებში ბინადარი რგოლა სელაპი (ფოკა ისპიდა — *Phoca hispida*) და მისი უახლოესი ნათესავები — ბაიკალის სელაპი (ფოკა სიბირიკა — *Phoca sibirica*) და კასპიური სელაპი (ფოკა კასპიკა — *Phoca caspica*), რომლებიც შესაბამისად ბაიკალის ტბასა და კასპიის ზღვაში ბინადრობენ. ზრდასრული ინდივიდები (მამრები) სიგრძეში აღწევენ 1,67 მ და იწონიან 127 კგ-ზე მეტს. მდედრები მათზე თითქმის 1,5-ჯერ პატარებია.

ფარფლფეხიანების ყველაზე პატარა წარმომადგენელი ბრიტანეთის ფაუნაში არის ჩვეულებრივი სელაპი (ფოკა ვიტულინა

– *Phoca vitulina*). ზრდასრული მამრის სხეულის სიგრძე შეადგენს 1,5 – 1,85 მ, წონა – 105 კგ. მდედრები მამრებზე 1,25-ჯერ მცირეებია.

#### ყველაზე მრავალრიცხოვანია

ფარფლფეხიანებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია არქტიკაში მობინადრე სელაპი – კირჩხიბჭამია (ლობოდონ კარცინოფაგუს – *Lobodon carcinophagus*). ვარაუდობენ, რომ 1978 წელს მისი რიცხოვნობა შეადგენდა 15 მილიონ ინდივიდს.

#### ყველაზე იშვიათი

უკანასკნელი (სარწმუნო მონაცემებით) კარიბული ანუ ვესტ-ინდური სელაპი – ბერი (მონახუს ტროპიკალის – *Monachus tropicalis*) ნახული იყო სერანიულ მახრჩობთან, ნახულია კუნძულ იატაკანის მახლობლად (მექსიკა) 1952 წ. 1974 წ. ორი სელაპი შემჩნეული იყო ბაგამის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ვერდესა და ბუროს რიფებთან, მაგრამ 1979 წ. ორგანიზებულმა ძებნამ არავითარი შედეგი არ გამოიღო, რომ უნდა ყოფილიყო (ისევე, როგორც რიგ სხვა შემთხვევებში) ტყვეობიდან გაქცეული კალიფორნიული ზღვის ლომები (ზალოფუს კალიფორნიანუს – *Zalophus californianus*), რომლებიც რამდენჯერმე გამოჩნდნენ მექსიკის ყურეში.

#### ყველაზე სწრაფი

ყველაზე სწრაფი მოცურავე ფარფლფეხიანებს შორის არის კალიფორნიული ზღვის ლომი, რომელსაც შეუძლია ადგილიდან (მოკლე სპრიტში) განავითაროს 40 კმ/ს სიჩქარე. ხმელეთზე ფარფლფეხიანებიდან ყველაზე ჩქარი გადაადგილება შეუძლია კირჩხიბჭამია სელაპს, რომლის სიჩქარე შეიძლება აღწევდეს 19 კმ/ს.

### ყველაზე ღრმად მყვინთავები

ფარულფეხიანებისათვის ყველაზე დიდ სიღრმეზე — 630 მ ჩაყვინთა 1983 წლის 1 მარტს ჩრდილოური ზღვის სპილოს (მირუნგა ანგუისტიროსტრის — *Mirounga anguistirostris*) მღედრსა ანო-ნუევოს კონცხთან (კალიფორნია). ამ სიღრმეზე სელაპი განიცდის 6335 კილოპასკალის წნევას. ამავე სახის უფრო მსხვილ მამრებს ალბათ შეუძლიათ ჩაყვინთვა უფრო დიდ სიღრმეებზედაც.

### ყველაზე ბაზრები

1969 წლის 23 აპრილს შანი-უიკთან, შოტლანდიის კუნძულების რაიონში მოკლული რუხი (გრძელდინგა) სელაპის წლოვანება შეადგენდა სულ ცოტა 46 წელს. ტყვეობაში სიცოცხლის ხანგრძლივობის რეკორდი — 41 წელი. ამდენ ხანს იცოცხლა სკანსების ზოოპარკში სელაპმა, სახელად იაკობმა (1901-1942 წ.წ.)

## ღამურები

### ყველაზე მსხვილები

მერინავი ძუძუმწოვრების ერთადერთი — ხელფრთაინთა კლასის წარმომადგენლებია ღამურები, რომლებიც 950 სახეს მოითვლიან. მათ რიცხვს მიეკუთვნება ბისმარკის მელა (პტეროპუს ნეოიბერიკუს — *Pteropus neohibericus*), რომელიც ბინადრობს ბისმარკის არქიპელაგზე და ახალ გვინეაში და რომელსაც გააჩნია ყველაზე დიდი ფრთების შლილი. ამერიკის ეროვნული ისტორიის მუზეუმში დაცული ეგზემპლარის ფრთების შლილი შეადგენს 165 სმ-ს. მაგრამ წინასწარი მონაცემებით, ზოგიერთ ინდივიდთან იგი შეიძლება აღწევდეს 183 სმ-ს.

ბრიტანეთში ბინადარი ყველაზე მსხვილი ღამურაა — დიდი მღამიობი (მიოტის მიოტის — *Myotis myotis*), რომელიც ძალიან

იშვიათად გვხვდება. ზრდასრული ინდივიდების (მდედრობითი სქესის) ფრთების შლილი შეადგენს 355-450 მმ, წონა 45 კგ-ს.

#### ყველაზე პატარამი

მსოფლიოში ყველაზე პატარა ღამურაა - კიტისნალცხვირა.

ბრიტანეთში მობინადრებიდან ყველაზე პატარა ღამურაა ჩია ღამურა (პიპისტრელუს *Pipistrellus*). ზდასრული ინდივიდების ფრთების შლილი შეადგენს 190-250 მმ, წონა-3-8 გ-ს.

#### ყველაზე იშვიათები

ღამურების სულ ცოტა სამი სახე ცნობილია მხოლოდ ცალადი ეგზემპლარით. ასეთია წვრილკბილა ხილიჭამია (ნეოპტერიქს ფროსტი *Neopteryx frosti*) - ტამალტანიდან, დას. ცელებესი (1938-1939 წწ) პარაცელოფსი (პარაცელოფს მეგალოტის *Paracelops megalotis*) ვინზიდან, ვიეტნამში (1945წ.) და ლატიდეუსი (ლატიდეუს სალიმალი—*Latideus salimalii*) მაღალი ტალღოვანი მთებიდან, სამხ. ინდოეთში (1948 წ.).

ბრიტანეთში მობინადრე 15 სახიდან ყველაზე იშვიათად ითვლება სამხ. ინგლისში მობინადრე დიდი მელამურა. სუსექსში 13 წლის მანძილზე მცხოვრები ცალადი მამრი ბოლო დრომდე ითვლებოდა ამ სახის ერთადერთ წარმომადგენლად, მაგრამ 1986 წ. დიდი მელამურების პატარა კოლონია აღმოჩენილი იყო მედბერის ახლოს (დოსეტი).

#### ყველაზე სწრაფები

დიდი პრაქტიკული ხასიათის სიძნელეების გამო, მონაცემები ღამურების ფრენის სისწრაფეზე იშვიათად ქვეყნდება. ღამურებისთვის მაქსიმალური სისწრაფე 51 კმს განავითარა მექსიკურმა გრძელკუდად, მაგრამ შესაძლებელია მნიშვნელობა ჰქონდა ზურგის ქარს. ამერიკელების მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებში გამოყენებული იყო მთის ხელოვნური გვირაბი. ღამურების 17 სხ-

ვადასხვა სახიდან მხოლოდ ოთხმა შესძლო- ჰორიზონტალურ ფრენაში- გადაეჭარბებინა სიჩქარისათვის 20,8 კმ/ს.

### ყველაზე ბებრეპი

ღამურებისათვის ყველაზე მაქსიმალური, სარწმუნოდ დაფიქსირებული სიცოცხლის ხანგრძლიობაა 31 წელი და 5 თვე. ამ ხნისა 1979 წლის 11 იანვარს ლონდონის ზოოპარკში მოკვდა ინდური მფრინავი მელა (პტეროპუს გიგანტეუს *Pteropus giganteus*) დარგოლილი ღამურებისათვის სიცოცხლის მაქსიმალური ხანგრძლიობა შეადგენს სულ მცირე 24 წელს- ასეთი იყო პატარა მურა ღამურას (მიოტის ლუციფუგუს *Myotis lucifulus*) მდედრის ხნოვანება, როცა 1960 წლის 30 აპრილს იგი აღმოაჩინეს მთა აეოულუსის გამოქვაბულში (ვერმონტი, აშშ). იგი დარგოლი იყო უკვე ზდასრულ ასაკში, 1937 წლის 22 ივნისს- მაშინში (მასაჩუსეტსი), სადაც იმყოფებოდა ამ ღამურების მოზაფხულე კოლონია.

### ყველაზე მაღალი ბარჩეპადი- ბებრეპი

თავისი ულტრაბგერული ექოლოტების წყალობით ღამურებს გააჩნიათ ყველაზე მახვილი სმენა- ხმელეთის ხერხემლიანებს შორის. ვამპირებს (დესმოდონტიდე *Desmodontidae*) და ხილიჭამიებს (პტეროპოდიდე - *Pteropodidae*) შეუძლიათ 120-210 კჰც სიხშირის ბგერის აღქმა (შესადარებლად: ზდასრულ ადამიანს ესმის 20 კჰც სიხშირის, ჩვეულებრივ დელფინს (დელფინუს დელფის *Delphinus delphis*) კი -280 კჰც სიხშირის ბგერები.

## პრიმატები

### ყველაზე მსხვილები

დღეს არსებული პრიმატებიდან ყველაზე მსხვილია აღმ. ზაირის დაბლობის ტყეებსა და უგანდის სამხ. დასავლეთში მობინადრე-აღმოსავლური დაბლობის გორილა (გორილა გრანერი *Gorilla gorilla*).

rilla g. graneri). საშუალო ზდასრული მამრის სიმაღლეა 175 სმ. წონა-165 კგ. დას. რუანდის ვულკანური მთიანი ქედების რაიონში, სამხ.-დასავლეთ უგანდაში და აღმ. ზაირში მობინადრე მთის გორილასათვის (გორილა გორილა ბერინგეი G.g. beringei) დამახასიათებელია მსგავსი სიდიდე; სიმაღლე 175,5 სმ, წონა 155კგ. განსაკუთრებით მსხვილი ეგზემპლარებისა უმრავლესობა ეკუთვნის სწორედ ამ ქვესახეს. გორილასათვის ყველაზე დიდი სიმაღლე (195 სმ კეფიდან ქუსლამდე) დაფიქსირებული იყო გერმანული ექსპედიციის მიერ 1938 წლის 16 მაისს მამრ გორილასთან (მთის გორილა)- ალიმბონგოს რაიონში (ჩრდ. კიეუ ) ტყეობაში მყოფი ყველაზე მძიმე გორილად ითვლება მთის გორილლას მამრი, სახელად ნგავი, რომელიც 1944 წლის 12 იანვარს 18 წლის ასაკში მოკვდა სან- დიეგოს ზოოპარკში (კალიფორნია) ყველაზე მეტს იგი იწონიდა 1943 წელს- 310 კგ. სიკვდილის მომენტისათვის მისი წონა შეადგენდა 288 კგ. სიმაღლე 1,72 მ; იგი ითვლება რეკორდსმენი მკერდის მოცულობის თვალსაზრისითაც-198 სმ.

ბრიტანეთში ტყეობაში მყოფი ყველაზე დიდი გორილა, როგორც ჩანს არის ცხოველი, სახელად ჯოუმი (დაბადებული 1969წ) ჰოულიტის ზოოპარკიდან (კენტი), რომლის წონაც 1968წ შეადგინდა 213 კგ. ამავე ქვესახის მეორე მამრი, სახელად შუქსამა(დაბადებული 1960 წ) დადლის ზოოპარკიდან (უესტ-მიდლენდი), 1969წელს იწონიდა 227 კგ. მაგრამ ამის მერე იგი აღარ აუწონიათ.

#### ყველაზე მცირეები

პრიმატებიდან ყველაზე წვრილია იშვიათად შემხვედრი, მაღალიზაში, სუმატრასა და ბორნეოზე მობინადრე – ბუმბულკულა ტუპაია (პტილოცერკუს ლოვი – Ptilocercus lowii). ზრდასრული ინდივიდები სიგრძეში აღწევენ 230-330 მმ (სხეულის სიგრძე, თავით – 100-140 მმ, კუდის სიგრძე – 130-190 მმ) და იწონის 35-50 გ-ს. ამაზონის სუქსის სათავეებთან მობინადრე ჯუჯა მაროზეტას (ცებუელა პიგმეა – Cebuella pygmea) და მადაგასკარზე

ლუსერის თაგვა—რამურას (მიკროცებუს მურინუს — *Microcebus murinus*) იგივე სივრძე გააჩნიათ, მაგრამ მეტს იწონიან: ზრდასრული ინდივიდების წონა შეადგენს 50-75 გ და, შესაბამისად, 45-80 გ-ს.

#### ყველაზე იშვიათები

დღეს არსებული პრიმატებიდან ყველაზე იშვიათია მადაგასკარული ფართოცხვირა კეთილშობილი ლემური (ჰაპალენურ სიმუს — *Hapalenur simus*), რომლის გაქრობის შესახებ იუწყებოდნენ 70-წლების დასაწყისში. 1986 წ. დიუკის უნივერსიტეტის (დურხემი, ჩრდ. კაროლინა, აშშ) ექსპედიციის წევრების მიერ კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთის მოშორებულ ტროპიკულ ტყეში აღმოჩნდა 35 ცხოველისაგან შემდგარი პოპულაცია.

#### ყველაზე ბაზრამბი

1977 წლის 9 თებერვალს ფილადელფიის ბიოლოგიურ ბაღში (პენსილვანია) მომკვდარმა ორანგუტანმა (ჰონგო პიგმეუს — *Pongo Pygmaeus*), სახელად გუასნა იცოცხლა დაახლოებით 59 წელი — ეს სარწმუნოდ დაფიქსირებული რეკორდული წლოვანება ადამიანისმაგვარი მაიმუნებისათვის. 1931 წლის 1 მაისს, როცა ორანგუტანი ჩაიყვანეს ზოოპარკში, იგი იყო სულ მცირე 13 წლის. ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ხნერი შიმპანზე — მამრი (პან ტროგლოდიტუს — *Pan troglodytes*), სახელად ჯინნი, მოკვდა სენეკას ზოოპარკში (როჩესტერი, შტატი ნიუ-იორკი) 1985 წლი 17 სექტემბერს — 55 წლისა და 6 თვის ასაკში. ცნობილი დაბლობის გორილა, სახელად მასა (დაიბადა 1931 წლის ივლისში) მოკვდა 1984 წლის 30 დეკემბერს — 53 წლისა და 5 თვის ასაკში.

#### ყველაზე ღონივრები

1924 წ. ბრონექსის ზოოპარკში (ნიუ-იორკი, აშშ) მამრმა — შიმპანზემ, სახელად ბობმა, რომელიც იწონიდა 74,80 კგ-ს, მარჯვენა ხელით (ფეხები ამ დროს შეკრული ჰქონდა) დინამომეტ-

რზე აჭიმა 384 კგ (შედარებისათვის — ამავე წონის მამაკაცს შეუძლია 95 კგ აჭიმა). მეორედ, იმავე ზოოპარკში, ზრდასრულმა მღერმა — შიმპანზემ, სახელად სიუსეტმა (წონა დაახლოებით 61 კგ), გააფთრებულ მღვთმარეობაში აჭიმა მარჯვენა ხელით 572 კგ. ის ფაქტი, რომ 45 კგ წონის შიმპანზემ ორივე ხელით აწია 271 კგ, საშუალებას იძლევა გამოითქვას ვარაუდი იმაზე, რომ წვრთნაგავლილ გორილას მამრს შეეძლება 907 კგ-ის აწევა (აშშ).

## მღრღნელები

### ყველაზე მსხვილები

მღრღნელების ოჯახის მსოფლიოში ყველაზე მსხვილი წარმომადგენელია სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ სარტყელში მობინადრე კაპიბარა (ჰიდროხერუ ჰიდროხერის — *Hydrochaeru hydrochceris*) ანუ წყლის გოჭი. ზრდასრული ინდივიდების ტანის სიგრძე (თავის ჩათვლით) შეადგენს 0,99-1,4 მ, წონა კი 113 კგ-მდე (ტყვეობაში მყოფი ცხოველები). ბრიტანეთის ტერიტორიაზე მობინადრე ყველაზე მსხვილი მღრღნელია კოიპუ, ჭაობის თახვი ანუ ნუტრია (მიოკასტორ კოიპუს — *Myocastor coypus*) შემოყვანილი 1923 წ. აღმოსავლეთ ინგლისის ბეწვეულის ფერმებში — არგენტინიდან. სამი წლის შემდეგ დაფიქსირდა ცხოველთა ტყვეობიდან გაპარვის პირველი შემთხვევები, 1960 წლისათვის კი სულ ცოტა 200 ათასი ნუტრია ბინადრობდა აღმოსავლეთ ინგლისის ტერიტორიაზე. ცხოველთა 80% მოკლული იყო 1963 წლის ზამთრისათვის, რის შემდეგაც, ამ ცხოველთა განადგურების სამთავრობო კამპანიის შედეგად, პოპულაციის სიდიდე შემცირდა ათას ინდივიდამდე. გარეულ პირობებში ზრდასრული მამრების ტანის სიგრძე (მოკლე კუდის ჩათვლით) შეადგენს 76-91 სმ, წონა 13 კგ-მდე (ტყვეობაში 18 კგ).

### ყველაზე წვირილები

დღეს არსებული მღრღნელებიდან ყველაზე წვირილი, ცენტრალურ მექსიკაში, სამხრეთ არიზონასა და ტეხასში მობინადრე – ჩრდილოური ჯუჯა-თაგვი (ბაიომის ტაილორი – *Baiomys taylori*) სიგრძეში (კუდიანად) აღწევს 10,9 მმ და იწონის 7-8 გ.

ბრიტანეთში მობინადრეთა შორის ყველაზე პატარა მღრღნელი ევროპული მემინდვრიაა (მიკრომის მინუტუს – *Micromys minutus*) სიგრძეში (კუდიანად) აღწევს 135 მმ და იწონის 7-10 გ.

### ყველაზე იშვიათნი

მღრღნელებს შორის ყველაზე იშვიათი წარმომადგენლებაა, კუბის სამხრეთ ნაპირებთან ახლოს მდებარე – კუნძულ ზუან გარსია კეიზე მობინადრე გარიდოსეული აგუტი და პატარა აგუტი (კაპრომის სანფელიპენზის – *Capromys sanfelipensis*). მიწის აგუტი აღმოჩენილ იქნა 1970 წელს და ამის შემდეგ მასზე არავითარი ცნობა აღარ შემოსულა.

### ყველაზე ბებრები

მღრღნელების მაქსიმალური სარწმუნო სიცოცხლის ხანგრძლივობაა 27 წელი და 3 თვე; ამდენი იცოცხლა სუმატრულმა ქოჩორა მაჩვზღარბამ (ჰისტიქს ბრახიურა – *Hystix brach*), რომელიც მოკვდა 1965 წლის 12 იანვარს ეროვნულ ზოოლოგიურ პარკში, ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი, აშშ).

### ყველაზე სწრაფი გამრავლება

ბროტანეთში მდელოს მემინდვრიის (მიკროვუს აგროსტის – *Microtus agrostis*) მდებარე აღწარმეობის უნარი გააჩნია 23 დღის ასაკში; წელიწადში მას შეუძლია მოგვცეს 17 ნაყარი, 6-8 ნაშიერთ თვითუელში.

## ანტილოპები

### ყველაზე მსხვილები

ყველაზე მსხვილი ანტილოპაა — იშვიათად შესახვედრი, ცენტრალურსა და დასავლეთ აფრიკაში მობინადრე გიგანტური კანა (ტრაგელაფუს დერბიამუს — *Tragelaphus derbianus*) მისი წონა შესაძლებელია აჭარბებდეს 907 კგ-ს. აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკაში მობინადრე ჩვეულებრივ კანას (ტრაგელაფუს ორიქს — *Tragelaphus orix*) იგივე სიმაღლე გააჩნია მინდოში — 1,78 მ, მაგრამ ის ნაკლებად მასიურია, გიგანტურ კანასთან შედარებით, თუმცა, აღრიცხული იყო შემთხვევა (დაახლოებით 1907 წ.), როცა ნიასალენდში (ამჟამად მალავი) მოკლეს ჩვეულებრივი კანას მამრი, წონით 943 კგ და სიმაღლით 1,65 მ.

### ყველაზე წვრილები

ჩვენთვის ცნობილი ანტილოპებიდან ყველაზე პატარაა — დასავლეთ აფრიკაში მობინადრე — სამეფო ანტილოპა ანუ ნეოტრაგუსი — პიგმეი (ნეოტრაგუს პიგმეუს — *Neptragus pygmeus*). ზრდასრული ინდივიდების სიმაღლე მინდოში შეადგენს 25-31 სმ, წონა არაუმეტეს 3-3,6 კგ-ისა. ამავე ზომას აღწევენ კურდღლები (ლექუს ევროპეუს — *lepus europaeus*). ანტილოპა სიკდასეული დიკდიკი (მადოქუა სალტინა — *Madoqua saltina*) იწონის მხოლოდ 2,2 — 2,7 კგ, მაგრამ სიმაღლეში იგი აღწევს 35,5 სმ-ს.

### ყველაზე იშვიათები

მსოფლიოში ყველაზე იშვიათი ანტილოპაა თეთრი არაბული ორიქსი (ორიქს ლეუკორიქს — *Orix leucaryx*). 1972 წელს სამი არაბული ორიქსი მოკლეს და ოთხიც დაჭრეს — ჯიდათ-ელ-ხარასის პლატოზე (სამხრეთ ომანი). ამის შემდეგ არც თუ შორეულ დრომდე ბუნებაში ამ სახის არსებობის შესახებ არაფერი იყო ცნობილი, 1980 წლის მარტსა და 1983 წლის აგვისტოს შორის ჰერიოდში — სამხრეთ ომანში უდაბნოში გაუშვეს 17 ან-

ტილოპა — მათი დაცვა იკისრეს ბელუნიებმა (მობადი ტომი). ამის შემდეგ დაიბადა სულ მცირე 15 ნაშიერი და მათ შორის ორ თავისუფალ პირობებში შობილ ანტილოპასაც. ომანის გარდა, ეს ანტილოპები გაუშვეს იორდანიაშიც. ლონდონის ზოოპარკში პირველი არაბული ორიქსი დაიბადა 1985 წლის იანვარში.

#### ყველაზე ბავშვური

ანტილოპების სიცოცხლის მაქსიმალური სარწმუნო ხანგრძლივობაა 25 წელი და 4 თვე; ამდენი იცოცხლა ანტილოპა-ადაქსმა (ადაქს ნაზომაკულატუს — *Addax nasomaculatus*), რომელიც 1960 წლის 15 ოქტომბერს მოკვდა ბრუქფილდის ზოოპარკში (ჩიკაგო, ილინისი, აშშ).

### ირმები

#### ყველაზე მსხვილი

ირმების ყველაზე მსხვილი წარმომადგენელია ალიასკური (ამერიკული) ლოსი (ალცეს ალცეს გიგას — *Alces a. gigas*). ზრდასრული მამრები მინდოში საშუალოდ აღწევს 1,83 მ და იწონიან 500 კგ. 2,34 მ სიმაღლის (რქების საფუძვლამდე) დაახლოებით 816 კგ წონის მამრი მოკლული იყო მდ. იოკუნზე (იუკონის პროვინცია, კანადა) 1897 წლის სექტემბერში. ამტკიცებენ, თუმცა დაუსაბუთებლად, რომ ცალკეული ინდივიდები მინდოში აღწევენ 2,59 მ და წონაში 1180 კგ-მდე. რქების სარეკორდო შლილი ე.წ. „საკიდარი“ შეადგენს 199 სმ (ქალას წონა რქებიანად 41 კგ): ეს რქები ეკუთვნის 1897 წლის ოქტომბერში მდ. სტიუარტის სათავეებში (იუკონის პროვინცია) მოკლულ ლოსს. ამჟამად ისინი გამოფენილია საველე მუზეუმში (ჩიკაგო, ილინისი, აშშ).

### ყველაზე წვრილები

დღეს არსებული ირმების (ოჯახი ცერვიდე – cervidae) ყველაზე პატარა წარმომადგენელია – ეკადორსა და კოლუმბიაში მობინადრე – ჩრდილოური პუდუ (პუდუ მეფისტოფელეს – *Pudu mephistofelus*). ზრდასრული ინდივიდები მინდაომი აღწევენ 33-35 სმ სიმაღლეს და იწონიან 7,2-8,1 კგ. ყველაზე პატარა მცოხნელი ცხოველია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სუმატრაზე და ბორნეოზე მობინადრე მალაური ირმულა (ტრაგულუს იავანიკუს – *Tragulus javanicus*). ზრდასრული ინდივიდები მინდაომი აღწევენ 20-25 სმ და იწონიან 2,7-3,2 კგ-ს.

### ყველაზე ბებრები

ირმების სარწმუნო მაქსიმალური სიცოცხლის ხანგრძლივობა შეადგენს 26 წელსა და 8 თვეს; ამდენი იცოცხლა წითელმა ირემმა (ცერეუს ელაფუს სკოტიკუს – *Cervus elaphus scoticus*), რომელიც მოკვდა 1954 წლის 28 ივნისს – მიკუოკის ზოოპარკში (ვისკონსინი, აშშ).

## ჩანთოსნები

### ყველაზე მსხვილები

ჩანთოსნების ყველაზე მსხვილი წარმომადგენელია ცენტრალურ, სამხრეთსა და აღმოსავლეთ ავსტრალიაში მობინადრე წითური კენგურუ (მაკროპუს რუფუს – *Macropus rufus*). ზრდასრული მამრების სიმაღლეა 213 სმ, ტანის სიგრძე კუდიანად – 245 სმ, წონა – 85 კგ.

### ყველაზე წვრილები

ჩანთოსნების ცნობილი ყველაზე პატარა წარმომადგენელია იშვიათად შემხვედრი, ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთში მობინადრე – გრძელკუდა ბრტყელთავა

თავი (პლანიგალე ინგრამი – *Planigale ingrami*). ზრდასრული მამრების ტანის სიგრძე (თავიანად) შეადგენს 55-63 სმ, კულის სიგრძე – 57-60 მმ, წონა – 3,9-4,5 გ.

#### ყველაზე ბებრები

ჩანთოსნების მაქსიმალური სარწმუნო სიცოცხლის ხანგრძლივობა შეადგენს 25 წელს და 22 დღეს; ამდენი იცოცხლა ჩვეულებრივმა ვომბატმა (ვომბატუს ურბიმუს – *Vorbatus ursinus*), რომელიც 1906 წლის 20 აპრილს მოკვდა ლონდონის ზოოპარკში.

#### ყველაზე დიდი სისწრაფი, ყველაზე მაღალი და ბრძოლი ნახტომი

ჩანთოსნებს შორის ყველაზე დიდი სისწრაფე – 64 კმ/სთ დაფიქსირებულია აღმოსავლური რუხი კენგურუს (მაკროპუს გიგანტეუს – *Macropus giganteus*) ახალგაზრდა მდედრის მიმართ. მდედრისაგან თავის დაღწევისას კენგურუ გადაახტა შეშის ხორას, სიმაღლით 3,20 მ, ხოლო 1951 წლის იანვარში წითური კენგურუს მდედრმა, დეენისას, შეასრულა სიგრძივი ნახტომების სერია, რომელთა შორის ერთ-ერთი შეადგენდა 12,80 მ. მონაცემები იმის შესახებ, რომ აღმოსავლური რუხი კენგურუს ნახტომები ვაკეზე შეიძლება აღწევდეს 13,5 მ-ს ჯერ-ჯერობით არ დასტურდება.

#### ცხენები და კონი

ცხენების რიცხოვნობა დედამიწის ზურგზე შეადგენს 75 მილიონ ინდიდს.

#### ყველაზე მსხვილები

ყველაზე მსხვილად აღიარებულია სუფთა სისხლის ბელგიური ჯიშის ქურანი ლურჯა ულაყი, სახელად ბრუკლინ სიუპრიზი (1928-1948), რომელიც ეკუთვნოდა ს.გ. გულს – ოგდენიდან

(აიოვა, აშშ). მისი სიმაღლე იყო 1,98 მ, მაქსიმალური წონა (1938 წელს) – 1,44 ტ. მკერდის გარშემოწერილობა 259 სმ.

1973 წლის აპრილში 1459 კგ წონა რეგისტრირებულია 1,88 მ-ის სიმაღლის ბელგიური ჯიშის (ბრაბანტი) ფაშატთან, სახელად ვილმა დიუ ბოსთან (დაბად. 1966 წლის 15 ივლისს), ანტვერპენიდან მის ახალ მფლობელთან – ქ-ნ ვირჯი არდენტან (რემო, ნევადა) გაგზავნამდე ცოტა ხნით ადრე, თუმცა ამ დროს ეს ფაშატი კარგა ხნის მაკე იყო (ტანის მაქსიმალური გარშემოწერილობა 3,65 მ). ნიუ-იორკში ჩაყვანისას ფაშატი იწონიდა 1399 კგ, კვიცის შობის შემდეგ მისი წონა ნორმას დაუბრუნდა – 1088-1134 კგ.

ბრიტანეთში ყველაზე მძიმედ 5123 გკ რჩება 1,78 მ სიმაღლის ულაყი, საჯაგავი ჯიშის – შაირისა, სახელად პატიოსანი თომი (დაბად. 1884 წელს), რომელიც ეკუთვნოდა ჯეიმს ფორშოუს ლიტლ-პორტიდან (კემბრიჯი): 1891 წელს მისი წონა შეადგენდა 1325 კგ. დღეისათვის ბრიტანეთში ყველაზე მძიმედ ითვლება პერშერონის ჯიშის ჩემპიონი ულაყი, სახელად პინჩბეკ იუნიონ კრესტი (დაბ. 1964 წლის 27 იანვარს); მისი სიმაღლეა 1,76 მ, წონა მერყობს 1143 და 1194 კგ შორის.

### ყველაზე მაღლები

რეგისტრირებული ცხენებიდან ყველაზე მაღლად ითვლება შაირის ჯიშის კასტრირებული საჯაგავი ცხენი (ლაფსა), სახელად სემსონი (მოგვიანებით გადარქმეული მამონტად) (დაბ. 1964 წელს), გაზრდილი თონას კლივერის მიერ (ტოლდინგტონ-მილზი, ბელფორდშირი). 1950 წელს მისი სიმაღლე შეადგენდა 2,19 მ, წონა კი, უფრო გვიანდელი მომაცემებით, – 1524 კგ-ს.

დღეისათვის ბრიტანეთის ყველაზე მაღალი ცხენებია შაირის ჯიშის ორი საჯაგავი ცხენი: სალუდე „იანგ კომპანიზ“-ის (ლონდონი) კუთვნილი გოლიათი (დაბ. 1977 წელს) და სემიუელ სმითის (ტედკასტერი) სალუდე კუთვნილი – ექსტრა სტაუტი (დაბ. 1980 წელს); მათი სიმაღლეა 1,97 მ.

### ყველაზე პატარები

ცხენების ყველაზე წვრილი ჯიშია არგენტინული ფალაბელა, რომელიც გამოყვანილია 70 წლის მანძილზე — თავდაპირველად ქვეყნის სამხრეთ რაიონებში აღმოჩენილი პატარა ცხენების (უქობურების) მცირე ჯგუფის — ინგრიდინგის (ნათესაური შეწყვილება) შეჯვარების გზით. ზრდასრული ინდივიდების უმრავლესობა სიმაღლეში აღწევს 76 სმ და იწონის საშუალოდ 36-45 კგ. უწლიო ფალაბულას (როკო და როკოდან) მიერ გამოყვანილი ზრდასრული ცხენები ყველაზე პატარაა 38 სმ სიმაღლის და 11,9 კგ წონის ფაშატი. 1975 წლის 30 ნოემბერს დოქტორმა თ.ხ. ჰემისონმა სპარტენბერგის ვეტერინარული ცენტრიდან (სამხრეთ კაროლინა, აშშ) დაადასტურა, რომ ჯ.კ. უილიამს-უმცროსის კუთვნილი ულაყი, სახელად ლიტლ-პარმპკინი (დაბადებული 1973 წლის 15 აპრილს) სიმაღლითაა 35,5 სმ და იწონის 9,07 კგ-ს.

### ყველაზე სწრაფები

ერიხ დიბალის (შპაიხერი, შვეიცარია) კუთვნილმა ლიპ-იზანერის ჯიშის ულაყმა, სახელად სიგლვეი სლეივა (დაბადებული 1970 წლის 17 ივნისს) ნახევარი მილის (804,6 მ' სტარტი ადგიულიდან მხედრის გარეშე) დისტანცია გაირბინა 41,8 წამში, ე.ი. საშუალო სიჩქარით 69,3 კმ/ს.

### ყველაზე ბებრები

62 წელი იცოცხლა ედვარდ რობინსონის მიერ ეულსტონში (ლანდკაშირი კლივლენდისა და ლანკაშირის ჯიშის შეჯვარების გზით გამოყვანილმა ბებერმა ბილიმ (დაბადებულმა 1760 წელს). ესაა სარწმუნოდ ცნობილი ცხენების სიცოცხლის მაქსიმალური ხანგრძლივობა 1762 ან 1763 წელს ბებერი ბილი მიჰყიდეს სანავიგაციო კომპანია „მერსი ენდ ირველს“, სადაც იგი მუშაობდა (ბარუების ბუქსირებაზე) 1819 წლამდე, რის შემდეგაც იგი გადაიყვანეს ფერმაზე — ლაჩფორდში, უორინგტონისის „ახლობლად, სადაც იგი მოკვდა 1822 წ. 27 ნოემბერს. ამ ცხენის ქალა ინახება

მანჩესტერის მუზეუმში, ხოლო თავის ფიტული (ხელოვნური კბილებით) გამოფენილი ბედფორდის მუზეუმში. პონისათვის სიცოცხლის სარწმუნო მაქსიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 54 წელს; ამდენი იცოცხლა ცენტრალურ საფრანგეთში ერთ-ერთი ფერმერის კუთვნილმა პონის ულაცმა (დაბადებულმა 1919 წელს). თავისი 43 წლის მიუხედავად, ჯენ და როზი ისბორნების („ცხენოსნობის სასოფლო ცენტრიდან“, უიქემ ბიშოპსი, ესექსი) კუთვნილი პონი, სახელად ჯოე – 1987 წელს მშვენივრად გრძნობდა თავს. ასეთივე წლოვანება დაფიქსირებული იყო ტყუპი ღების – სილვია მურის და მერიონ ატკინსონის (ოლდ ზერლოუ, ესექსი). კვნილი ლურჯა პონისთან, სახელად ტურფა ბონი.

წმინდა დოლის ცხენების სიცოცხლის სარეკორდო ხანგრძლივობა შეადგენს 42 წელს; ამდენი იცოცხლა კარმენ ჯ. კოპერის (ბეირონგარული, ვიქტორია, ავსტრალია) კუთვნილმა ქურანმა კასტრირებულმა ულაცმა (ლაფსამ), სახელად ტანგო ჰერცოვი (დაბად. 1935 წელს). ის მოკვდა 1978 წლის 25 იანვარს.

#### ყველაზე ღონივრები

ამტკიცებენ, რომ ყველაზე მძიმე ტვირთი, რომელიც შეეძლო ადგილიდან დაეძრა წყვილ საჯაგავ ცხენს, იწონიდა 130,9 ტონას. ასეთი წონა გაქაჩა 1893 წელს 26 თებერვალს იუენის ახლოს (მიჩიგანი, აშშ) შაირის ჯიშის საჯაგავი ცხენების წყვილმა – მარხილით – 402 მ-ის სიგრძის მოყინულ გზაზე. მაგრამ ტვირთის წონა მომატებული იყო. ფაქტიურად ტვირთი, რომელიც თეთრი ფიჭვის 50 მორისაგან შესდგებოდა, იწონიდა დახლოებით 42,3 ტ. 1924 წლის 23 აპრილს გამოფენაზე „ბრიტანეთის იმპერია“ (უემბლი) ლივერპულის კუთვნილება შაირის ჯიშის კასტრირებულმა საჯაგავმა, სახელად ვულკანმა, დინამომტრეზე აჩვენა ბიძგი საკმარისი იმისათვის, რომ ადგილიდან დაეძრა 29,47 ტონის წონის ტვირთი; იმავე ჯიშის საჯაგავების წყვილმა ადგილად გაქაჩა 51 ტონა – სარეკორდო წონა, დაფიქსირებული დინამომტრეზე.

## ძალღებუი

ძალღებუი რაოღენობა დიდი ბრიტანეთიი დო ირლანდიიი შეერთებულ სამეფოში შეადგენს 6 300 000 ინდიდს (1987 მონაცემებოთ), ხოლო აშშ-ში – 51 600 000 ინდიდიღს.

### ყველაზე მძიმენი

შინაურ ძალღებს (კანიი ფამილიარიი – *Canis familiaris*) ჯიშთა შორიი ყველაზე მძიმეა სენბერნარი. ჩვენთვიი ცნობილი ეგზემპლარებიდან ყველაზე მძიმედ ითვლება თომას დო ანა ირვინებიი (გრანდ რეპსიდი, მიჩიგანი, აშშ) კუთვნილი ბენედიქტინ-უმცროსი შვარცვალდ ხოფი; იგი დაიბადა 1982 წელს დო 1987 წლიი 20 მარტს იწონიდა 140,6 კგ-ს (მიიი სიმაღლე მინდაოში შეადგენდა 99 სმ).

ბრიტანეთიი ყველაზე მძიმე ძალღი, სენბერნარი, სახელად ჰეი-დან დარკ ბლიუ (დაბადებული 1978 წლიი 23 აპრიღს), წოდებული აგრეთვე ჯეიიონდაც, ეკუთვნოდა ნიკოლ პლამერს სკვეინგტონიდან (ლესტერი). 1981 წლიი დეკემბერში მან მაიღ-წია თავიი წონიი მაქსიმუმს – 138,23 კგ (სიმაღლე მინდაოში 86,3 სმ), მაგრამ 1983 წლიი ინაერიისათვიი, დიეტაზე ყოფნიი შემდეგ იგი გახდა 95,25 კგ-მდე. სიკვდილამდე (1983 წლიი 4 ნოემბერი) ცოტა ხნითა ადრე იგი იწონიდა 93,4 კგ-ს.

### ყველაზე მაღლღები

ძალღებიი ყველაზე მაღალტანიანი ჯიშებიი – გერმანული დოვიი დო ირლანდიური ნაგაზიი წარმომადგენლები სიმაღლით მინდაოში ჭარბობენ 99 სმ-ს. გერმანულ დოგებს შორიი ყველაზე მსხვილ ეგზემპლარად აღიარებულია ცოლ-ქმარ პიტერ კომლიი (მილტონ კეინიი, ბაქსი) კუთვნილი შემგრეტ დანზასი (დაბადებული 1975 წელს) მიიი სიმაღლეა 105,4 სმ, ყალყზე შემდგარი ბალნით კი – 106,6 სმ, წონა 108 კგ. იგი მოკვდა 1984 წლიი 16 ოქტომბერს. მერი ბეინონიი (სუტონ-ეთ-ხოუნი, კენტი) კუთვნილი

ირლანდიური ნაგაზები, სახელად ბროდბიჯ მაიკლი (1920-1929 წ.წ.) ორი წლის ასაკში აღწევდა 100,3 სმ-ს.

**ყველაზე გამომჩენილი ძაღლი (სამართაშორისო გამოფენების პრიზიორი)**

„ჩ. კლეფილდს მონ ამი,, 1975-დან 1987 წლამდე იყო ოთხი კონტინენტის ძაღლების გამოფენების ერთადერთი ათჯერადი ჩემპიონი; ეს ძე გერმანული ნაგაზი დაიბადა 1973 წელს) ეკუთვნოდა ნილ, შარონ, ბაფი და ჰოლი ლისებს უესტ დეს მოინსიდან (აიოვა, აშშ).

**ყველაზე წვრილები**

ძაღლების მსოფლიოში ყველაზე წვრილი ჯიშებია – იორქშირტერიერი, ჩი-ხუა-ხუა და ჯუჯა-პუდელი, რომელთა მინიატურული სახესხვაობები ზრდასრულ ასაკში იწონიან 453 გ-ზე ნაკლებს. ყველაზე პატარა ზრდასრულ ძაღლად ითვლება ასანთის კოლოფის სიმსხო იორქშირტერიერი; იგი ეკუთვნოდა უურნალ „ჩენი ძაღლების,, ყოფილ რედაქტორს არტურ ფ. მარპლს ბლექ ბერიდან (ლანკაშირი). ეს პაწაწინა არსება, რომელიც მოკვდა 1945 წელს, ორამდე წლის ასაკში მინდაოში სიმაღლით აღწევდა 6,3 სმ, სიგრძით – ცხვირის ბოლოდან კუდის საფუძვლამდე 9,5 სმ. იგი არაჩვეულებრივად ცოტას იწონიდა – მხოლოდ 113 გრამს!

**ყველაზე ბებრები**

ძაღლების უმრავლესობის სიცოცხლის ხანგრძლივობა მერყეობს 8-დან 15 წლამდე. ძლიერ იშვიათად გვხვდება სარწმუნოდ მიჩნეული შემთხვევები, როცა ძაღლები ცოცხლობენ 20 წელზე მეტს. ძაღლების სარწმუნო მაქსიმალური სიცოცხლის ხანგრძლივობაა 29 წელი და 5 თვე; ამდენი იცოცხლა ავსტრალიურმა მწყემსმა-ძაღლმა, სახელად ბლიუიმ, რომელიც ეკუთვნოდა ლეს ხოლს როჩესტერიდან (ვიქტორის, ავსტრალია), თავისი პატრონის

ხელში იგი მოხვდა ლეკვეობისას. ამის შემდეგ 20 წლის მანძილზე იგი მწყემსავდა ძროხეულს (ანუ მსხვილფეხა რქოსან საქონელს) და ცხვარს. 1939 წლის 14 ნოემბერს იგი დააძინეს.

ძალლების დღევარძელობის ბრიტანეთის რეკორდი — 27 წელი და 313 დღე დაამყარა შოტლანდიური ნაგაზის — კოლის ზვადმა, სახელად ტეფიმ, რომელიც ეკუთვნოდა ეველის ბრაუნს (უესტ ბრამპიჩი, დასავლეთ მერილენი, აშშ). იგი დაიბადა 1952 წლის 2 აპრილს, მოკვდა 1980 წლის 9 თებერვალს.

### ქალა და ბამბლმოზა

ყველაზე მძიმე ტვირთი, დაძრული ადგილიდან ძალლის მიერ იწონიდა 2905 კგ-ს; ამდენს იწონიდნენ სარკინიგზო რელსები, რომლებიც 80 კგ წონის სენბერნარმა, სახელად რაიტეს ბრენდი ბეარმა დაძრა ადგილიდან 1978 წლის 21 ივლისს — ბოტულში (ვაშინგტონი, აშშ), გაათრია ეს ტვირთი ბეტონიან ზედაპირზე ოთხთვალათი 4,57 მეტრის მანძილზე, 90 წამზე ნაკლები დროის მანძილზე, ამაზე ათი დღით ადრე, ამავე ძალმა ადგილიდან დაძრა 2993 კგ წონის ტვირთი, მაგრამ 12,7 სმ-ით ვერ მიაღწია მინიმალურ დისტანციას — 4,5 მეტრს. ყველაზე ღონიერი ძალლი თვისივე წონის მიმართ პროპორციაში არის ნიუფაუნდლენდი, სახელად ბარბარა ალენს დარკ ხანსი, წონით 44 კგ, რომელსაც 1979 წლის 29 ივლისს გაათრია ბეტონიან ზედაპირზე ტვირთი, წონით 2289 კგ. ეს ძალლი, რომელიც ეკუთვნოდა ტერი ლიკინსონს კენმორიდან (ვაშინგტონი) და მონაწილეობდა აღნიშნულ შეჯიბრებებში, იგი მხოლოდ 12 თვისა. შესაბამელი ძალლების ყოველწლიური აიდიტაროდის მარულას (დაარსებულია 1973 წელს) 1688 კმ დისტანციაზე — ანკორიჯიდან ნომამდე (ალიასკა) სარეკორდო დრო — 11 დღე, 2 საათი, 5 წუთი, 13 წამი — უჩვენა 1987 წელს ძალლების შებმულობამ, რომელიც ეკუთვნოდა სიუზენ ბუტჩერს. ეს იყო მისი ზედიზედ მეორე გამარჯვება.

### ყველაზე იშვიათნი

ძაღლების ყველაზე იშვიათი ჯიშია ჩინუკი, რომელიც თავდაპირველად გამოყვანილი იყო ნიუ-ჰემფშირში XX ს დასაწყისში — შესაბამელ ძაღლად გამოყენებისათვის. პოპულარობის პიკის დროსაც კი ამ ჯიშის ძაღლების რიცხოვნობა შეადგენდა 300 ინდივიდზე ნაკლებს, ხოლო 1966 წლისათვის შემცირდა 125-მდე. 12 წლის შემდეგ ღარჩა ამ ჯიშის მხოლოდ 28 ძაღლი, მაგრამ ამის შემდეგ — ჩინუკების ჯიშის ძაღლების მფლობელთა ასოციაციის ძალისხმევით — მათი რიცხოვნობა გაიზარდა ორჯერ და მეტად. 1985 წლის სექტემბერში ნიუ-იორკში დაიბადა 6 ლეკვი და ჯიში უკვე მოითვლიდა 76 ინდივიდს (ყველა აშშ ფარგლებში).

### უსინათლოს გამყოლი ძაღლი

უსინათლოს გამყოლი ძაღლის აქტიური სამსახურის ყველაზე ხანგრძლივმა ვადამ შეადგინა 13 წელი და ორი თვე. ამდენი იმუშავა ლაბრადორ-რეტრივერის ჯიშის ძე ძაღლმა, სახელად პოლიმ (დაიბადა 1956 წლის 10 ოქტომბერს), რომელიც ეკუთვნოდა როზა რეზნიკს სან-რაფაელოს (კალიფორნია, აშშ). ძაღლი დააძინეს 1971 წლის 15 დეკემბერს.

### ყველაზე დიდი ნაყარი

ცნობილ ნაყარებს შორის ყველაზე დიდი — 23 ლეკვი — 1944 წლის 19 ივნისს შობა ამერიკული ფოქსჰაუდის ჯიშის ძემ, სახელად ლენამ, რომელიც ეკუთვნოდა III რანგის კაპიტანს უნ. ელის ამბლერიდან (პენსილვანია, აშშ). ყველა ლეკვი ცოცხლად გადარჩა. 1975 წლის 6-7 თებერვალს ლიბანის (მისური) მცხოვრებლების — რობერტ და ალისა როდენების კუთვნილმა სენ-ბერნარმა, სახელად უდარდელა ენმა, დაყარა აგრეთვე 23 ლეკვი; მათგან ცოცხალი დარჩა 14.

ბრიტანეთის რეკორდისტია წითელი ირლანდიური ძე სეტერი, სახელად სტერინა ბარონეს მედინა (მოკვდა 1983 წელს), რომე-

ლიც ეკუთვნოდა „ეულ პოლ ცენტრის“ (უეტერბი, დას. იორქშირი) დირექტორს მ.ჯ. ბაკლის. 1974 წლის 10 იანვარს მან დაყარა 22 ლეკვი, მათგან ცოცხლად გადარჩა 15.

#### ყველაზე ნაყოფიერები

ყველა დროის უდიდეს მწარმოებლებად აღიარებულია გრეი-ჰაუნდის ჯიშის ჩემპიონი, სახელად „დაბალი წნევა“, მეტსახელად კი ტიმი, რომელიც დაიბადა 1957 წლის სექტემბერში და ეკუთვნოდა ბუნა ამხერსტს რიჯენტ პარკიდან (ლონდონი). 1961 წლის დეკემბრიდან სიკვდილამდე (1969 წლის 27 ნოემბერი) დროის მანძილზე იგი გახდა 2114 რეგისტრირებული და სულ მცირე 600 არარეგისტრირებული ლეკვის მამა.

#### ყველაზე ძვირად ღირებული

1907 წელს კლარისა ეშტონ კროსმა ესკოტიდან (ბერქშირი) უარპყო ამერიკული ფინანსისტისა და მრეწველის ჯ. პირპონ მორგანის წინადადება: მიეყიდა მისთვის 32 ათას გირვანქა სტერლინგად (ახლანდელი კურსით 865 ათას გირვანქა სტერლინგად!) მისი სახელგანთქმული პეკინესი, სახელად ჩ. ჩერხი ალდერბერნიდან (1904-1914); მორგანი შემდეგ დაბრუნდა „ლია ჩეკით“ და ისევ უარით იქნა გასტუმრებული. ძალღისათვის ყველაზე დიდი შემკვიდრება 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი — 1931 წ. უანდერმა თავის პუდელს სახელად ტობის — ელა ვენდელმა (ნიუ-იორკი).

#### ყველაზე მაღალი და გრძელი ნახტომი

სარეკორდო სიმაღლე, რომელიც ძალღს შეუძლია დასძლიოს ნახტომში ან გლუვ ხის კედელზე (ძელ-კადონის ანდა სხვა დამხმარე საშუალებების გარეშე) აცოცებას — შეადგენს 3,48 მ. ასეთი სიმაღლის კედელს გადაახტა 1980 წლის 18 მარტს — ციხის ძაღლების სკოლაში, ხარაესთან (ზიმბაბვე) ახლოს- გერმანული ნაგაზი, სახელად მაქსი. მწვრთნელი — ციხის დაცვის უფროსი

ოფიცერი ალექ მანი. სამი წლის გერმანული ნაგაზი, სახელად დიუკი, რომელიც ეკუთვნოდა ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების კაპრალს გრემ ურის ნიუტონიდან (ნოტინჰემშირი), 1986 წლის 11 ნოემბერს აფოფხდა 3,58 მეტრის სიმაღლის ძელკადონებიან კედელზე – ბიბისის სატელევიზო გადაცემა „ახალი რეკორდსმენების“ დროს. 1849 წელს გრეისჰაუნდის ჯიშის ძაღლმა, სახელად ბენქსმა, კურდღლის დენისას ბრეკონ ლოჯში (გლოსტერშირი), დაამყარა რეკორდი სიგრძეში ხტომაში – 9,14 მ. ბრევი გადახტა 1,4 მ-ის სიმაღლის კარებს და დაეშვა მაგარ გრუნტზე.

### ნარკოტიკების მემბრეზა

ნარკოტიკების ცნობილ მეძებრებს შორის საუკეთესოდ აღიარებულია გოლდენ-რეტრივერი, სახელად ტრეპი (დაბადებული 1969 წელს), რომელიც ეკუთვნოდა ყოფილ პოლიციელ თომ კეიზოს – დეიდ კაუნტიდან (მაიამი, ფლორიდა, აშშ). ხუთი წლის განმავლობაში (1973-1977) ტრეპმა (ცნობილმა აგრეთვე, როგორც „აგენტმა, კ9-3“) აღმოაჩინა 63 მილიონი დოლარის ღირებულების ნარკოტიკები. მისმა პატრონმა განაცხადა, რომ მისი ძაღლი, რომელსაც შეუძლია 16 სხვადასხვა სახის ნარკოტიკული ნივთიერების მიკვლევა, სამსახურიდან გადადგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიიყვანს ამ რიცხვს მაგიურ ციფრამდე: 100 მილიონი დოლარი. შეძლო თუ არა ტრეპმა ამ მიზნის მიღწევა, ცნობილი არ არის. ერთადერთი ნარკოტიკების მეძებარი, რომელიც მუშაობდა სრულიად უშეცდომოდ, (თითოეულ გაჩხრეკას თან სდევდა დაპატიმრება), იყო გერმანული ნაგაზი, სახელად გენერალი, რომელიც მსახურობდა აშშ არმიაში. 1974 წლის აპრილიდან 1976 წლის მარტამდე პერიოდში ამ მეძებარმა და მისმა გამყოლმა მაილ რ. ხარისმა – სამხედრო პოლიციის 591-ე ასეულიდან (ფორტ ბლანისი, ტენსასი, აშშ) – ჩაატარეს 220 ჩხრეკა, დააპატიმრეს ნარკოტიკების დამალვისათვის 220 ადამიანი და აღმოაჩინეს 330 სამალავი. 1986 წლის იანვარში ცნობილი გახდა, რომ გერ-

მანულმა ნაგაზმა, სახელად ბლიუმ, ლოს-ანჯელესის საპოლიციო სამმართველოდან, ხელი შეუწყო 253 ეჭვიმტანილი დამნაშავის დაპატიმრებას.

### კატები

კატების რიცხოვნობა დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში აღწევს 6 100 000 ინდივიდს, აშშ-ში კი 56 200 000 ინდივიდს.

#### ყველაზე მსხვილები

კატების 330 ჯიშოდან ყველაზე მსხვილია რეგდოლი: მამრის წონა აღწევს 6,8-9,07 კგ. შინაური კატების (ფელის კატუს – *Felis catus*) უმეტესობისათვის ზრდასრული მამრების საშუალო წონა შეადგენს 2,81 კგ. მდედრების საშუალო წონა – 2,45 კგ. სტერტილიზებული ზვადი და ძუ კატები ცოტა უფრო მეტს იწონიან. ყველაზე მძიმე შინაური კატა იყო კასტრირებული ზოლებიანი ზვადი, სახელად ზიმი, რომელიც ეკუთვნოდა თომას ვაიზს – რედლინჩიდან (კეიერნსი, კვისლენდი, ავსტრალია); ის მოკვდა 1985 წლის 12 მარტს, 10 წლისა და 4 თვის ასაკში; ამ დროისათვის იგი იწონიდა 21,3 კგ-ს (კისრის გარშემოწერილობა 38,1 სმ, ტანის გარშემოწერილობა 83,8 სმ, ტანის სიგრძე 96,5 სმ).

ბრიტანეთის ყველაზე მძიმე კატად ითვლებოდა 11 წლის ზოლებიანი ზვადი, სახელად პოპა, რომელიც ეკუთვნოდა გლედის კუპერს – ნიუპორტიდან (გვენტი, უელსი). 1984 წლის ნოემერში იგი იწონიდა 20,19 კგ. მოკვდა 1965 წლის 25 ივნისს.

#### ყველაზე წვრილები

შინაური კატების ყველაზე წვრილი ჯიშია სინგაპურა ანუ სინგაპურული დრაინ-კეტი. ზრდასრული ზვადები საშუალოდ იწონიან 2,72 კგ, ძუები კი – 1,81 კგ. სიამის ჰიბრიდი, სახელად

ებონი-ებ-ზონი, რომელიც ეკუთვნოდა ნგელინა ჯონსონს — ბოიზიდან (აიდაჰო, აშშ), 1984 წლის თებერვალში იწონიდა მხოლოდ 0,79 კგ. მაშინ ის იყო 23 თვის ასაკში.

#### ყველაზე ბიზრები

კატები, ძირითადად, ძაღლებზე დიდხანს ცოცხლობენ. მაგრამ მონაცემებით ერთგვარად აღრეულია იმის გამო, რომ ერთი და იგივე სახის ორ ან სამ და მეტ ცხოველს არქმევენ ერთსა და იგივე სახელს. ყველაზე ბებერად შეიძლება ჩაითვალოს ზვადი კატა, სახელად ჰუსი, რომელიც ეკუთვნოდა ტ. ჰოლვეის — კლეინ-ადონიდან (დევონი). 1939 წლის 28 ნოემბერს მან იზეიმა დაბაების 36-ე წლისთავი და მეორე დღესვე მოკვდა. უფრო გვიანი და უფრო დასაჯერებელი შემთხვევაა — ზოლებიანი ძუ, სახელად მა, რომელიც ეკუთვნოდა ალისა სენტ-ჯორჯ მურს — დრიუსთაინგტონიდან (დევონი); ეს კატა დააძინეს 1957 წლის 5 ნოემბერს — 34 წლის ასაკში.

#### ყველაზე დიდი ნაყარი

ცნობილებს შორის, ყველაზე დიდი ნაყარი — 19 ცინდალი (აქედან 4 მკვდარი) შობა 1970 წლის 7 აგვისტოს მურა ფერის ორწლიანმა ბირმულმა კატამ სახელად თარგველ ანტიგონამ (კატას გაუკეთდა საკეისრო კვეთა). მისმა პატრონმა — ვალერია გეინმა — ჩერჩ უესტიდან (კონგჰემი, ოქსფორდი) განაცხადა, რომ კატა დაორსულდა სიამური ნარევისისხლიანი ზვადავისაგან) ცოცხალი ცინდალიდან 14 იყო ზვადი და 1 — ძუ.

ცოცხალი ცინდლების ყველაზე მეტი რაოდენობა (14, ყველამ იცოცხლა) დაყარა 1974 წლის დეკემბერში სპარსული ჯიშის კატამ, სახელად ბლიუბელმა, რომელიც ეკუთვნოდა ელინორ დოუსონს — ველინგტონიდან (პროვინსის კონცხი, სამხრეთი აფრიკა).

### ყველაზე ნაყოფიერი

მთელი სიცოცხლის განმავლობაში (შობადობის პერიოდში) 420 ცინდალი დაყარა ზოლებიანმა კატამ, სახელად დასტიმ (დაბადებული 1935 წელს) ბომპეშიდან (ტენასი, აშშ). უკანასკნელად მან შობა (1 ცინდალი) 1952 წლის 12 ივნისს.

### ყველაზე ძვირად ღირებულ

1967 წელს ელსპეტ სელარმა – გრაფემიდან (სურეი) უარჰყო ერთი ამერიკელის, რომელიც კატებს ამრავლებდა, წინადადება, მიეყიდა მისთვის ორი ათას გირვანქად (2100 გირვანქა სტერლინგი) თავისი საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებული სპილენძფერთვალა ჯიშის ხვადი, სახელად კოლიუმ მარკუსი (დაბადებული 1965 წლის 28 მარტს). კატა მოკვდა 1978 წლის 14 აპრილს.

როდესაც გრეის ელმა პატერსონი გარდაიცვალა ჯობლინში (მისური, აშშ), 1978 წლის ინვარში, მან მთელი ტავისი ქონება – 250 ათასი დოლერი – დაუტოვა თავის თეთრ უჯიშო კატას, სახელად ჩარლი ჩენს. კატის სიკვდილის შემდეგ, მისი ქონება – სამსაწოლიანი სახლის, პატრონი გაზრდილების 2,9 ჰა-იანი სასაფლაოს, ძვირფასი ანტიკვარიატის კოლექციის ჩათვლით, გაიყიდა აუქციონზე, ხოლო მიღებული თანხები გადაეცემა ადგილობრივსა და ეროვნულ ჰუმანიტარულ საზოგადოებებს.

## ზოგადი ცნობები ფრინველების შესახებ

ფრინველები შეადგენენ ხერხემლიან ცხოველების ერთ – ერთ ყველაზე კარგად შესწავლილ და ბიომასის თვალსაზრისით წონად ჯგუფს. საკმარისია აღინიშნოს, რომ დღეისათვის დედამიწის ზურგზე ბინადრობს 8616 სახის ფრინველი, რომელიც გაერთიანებულია 40 რიგში, 168 ოჯახსა და 2800-მდე გვარში. რაოდენობრივი თვალსაზრისით მათი რიცხვი მთელ მსოფლიოში დაახლოებით 100 მლრ შეადგენს. გავრცელებულნი არიან მთელს მსოფლიოში არქტიკიდან ანტარქტიკამდე, ვერტიკალურად კი აღწევენ 7 ათას მეტრს ზღვის დონიდან; ამასთან ფრინველებისათვის დამახასიათებელია ცხოვრება და მოძრაობა დიდ ფართობზე (მიგრაციები, ნომადობა ანუ მომთაბარეობა).

ფრინველები განსხვავდებიან ხერხემლიან ცხოველთა დანარჩენი ჯგუფებისაგან ტანის საფარველით, ფრენის უნარით, სასიცოცხლო პროცესების ინტენსიურობით, რაც ჰომოიოთერმულობასთანაა დაკავშირებული. ამავე დროს ფრინველთა სხეულის მორფო – ანატომიურ აგებულებაში იმდენი საერთოა ქვეწარმავლებთან, რომ ეჭვს არ იწვევს მათი ნათესაობა.

თანამედროვე ფრინველების განსახლება დამოკიდებულია მათ ეკოლოგიაზე, ცალკეული სახეების წარმოშობის კერაზე, მათ ეკოლოგიაზე, სამიგრაციო გზებსა და საშუალებებზე, ხმელეთის ცალკეული კონტინენტების ისტორიაზე, ჰავის პირობებზე, ადამიანის ზეგავლენაზე და სხვა. აღნიშნული ფაქტორები უმრავლეს შემთხვევაში მოქმედებენ კომპლექსურად.

ფრინველების განსახლების განმსაზღვრელი ერთ – ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მათი ეკოლოგიაა: ცალკეული სახეები არიან ან მონოტოპური და სტენოსრაციური ან პოლიტოპური და ევრისტაციური ფორმები. პირველის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ წითელთავა ღაბუაჩიტი, რომელიც საქართველოში, მხოლოდ სათრძის ტყეში (აბასთუმნის სატყეო) ბინადრობს, ევრისტაციული ფორმებისა კი სოფლის მერცხალი, რუხი ყვავი,

კირკიტა, შავარდენი, გარეული იხვი და სხვა. ცალკეული სახეობების არეალები ცვალებადობებენ მრავალი ფაქტორების ზეგავლენით. სამწუხაროდ, ბოლო წლებში სულ უფრო მწვავედ იჩინა თავი ანტროპომორფულმა ფაქტორებმა.

ფრინველთა სიცოცხლის ხანგრძლივობა მეტად განსხვავებულია და მიუხედავად იმისა, რომ ისინი სქესმწიფობას ადრე აღწევენ საკმაოდ ხანგრძლივია. როგორც წესი, უფრო დიდი ზომის ფრინველები უფრო დღეგრძელები არიან, ვიდრე წვრილი ფორმები. დადგენილია, რომ ფრინველთა დიდი უმრავლესობა იღუპება თავისი გამოჩეკის პირველსავე წელს. ასე მაგალითად ბელურას-ნაირების ბარტყების სიკვდილიანობა ბუდიდან გამოფრენისას, საშუალოდ უდრის 60%-ს. საიპერატორო პინგვინის მართვეების სიკვდილიანობა აღწევდა 77%-ს. „გინესის რეკორდების წიგნის“ მონაცემებით ყველაზე დღეგრძელია დიდი ყვითელქოჩორა კაკადუ სახელად კოკი, რომელიც 80 წლის ასაკში, 1982 წელს მოკვდა; ასევე დღეგრძელია ციმბირული თეთრი წეროს მამალი, რომელმაც იცოცხლა 82 წელი. საერთოდ თოლიები ცოცხლობენ 20 წელზე მეტს, 10 წლამდე ცოცხლობენ კოკორინები, ნამგალები, შაშვები; 5 წლამდე წვრილი ბელურასნაირები, სვაკი 101 წლამდე, კონდორი 78 წლამდე, შინაური ბატი 45, გარეული იხვი 29 წლამდე, რუხი ყანჩა 60 წლამდე ცოცხლობს და ა. შ.

ორნითოლოგიით დაინტერესებული ყველა ჰირისათვის ვფიქრობთ საინტერესო იქნება რამდენიმე ცნობა, რომელიც 2000 წელს გადაიცა ტელეარხით, შემდეგ კი ოფიციალურად გამოქვეყნდა.

ამერიკელმა პროფესორმა ბობ ჩენდერმა არგენტინაში აღმოაჩინა ვეებერთელა ფრინველი – მამონტის, ფრინველი – მკვლელების ნამარხი ნაშთები, რომელიც ფორუსთრაკოიდების ქვეკლას განეკუთვნება, ესენია: ანდალდაორნისი, რომელიც ცხოვრობდა 150 მლნ წლის წინ; დინოზავრების ეს მემკვიდრე არ ფრენდა, თავი ცხენის თავისოდენა ჰქონდა, რომლის დარტყმით მსხვერპლს კლავდა. ბინადრობდა სავანებში.

ანაქტორნისი აღმოჩნდა იქვე, მახლობლად. მისი კალა სიმაღლეში აღწევდა 1 მეტრს.

ფლორიდაში, მდინარე სანტა — ფესთან აღმოჩენილია გიგანტური ფრინველი — ტიტანის ვალერი, რომელსაც ფრენა შეეძლო. მისი სხეულის სიგრძე აღწევდა 2 მეტრს, ფრთების სიგრძე კი — შლილში — 8-9 მეტრს, იწონიდა 80 კგ. ის 3 მლნ წლის წინ, წარმოქმნილი პანამის ყელით, განსახლდა სამხრეთ ამერიკიდან ჩრდილოეთში, შემდეგ კი უკან დაბრუნდა. ამოწყდა როგრც ვარაუდობენ საკვების ნაკლებობის გამო.

ახალ ზელანდიაში 1983 წელს ნახული იქნა ცოცხალი მოა, რომელიც XVII საუკუნემდე ამ გიგანტური ფრინველის 27 სახე იყო ცნობილი, ბოლოსათვის კი ყველა ამოწყდა.

უკანასკნელ წლებში ჩინეთის ჩრდილო — აღმოსავლეთის ზედა იურულ ნალექებში ნაპოვნია სენსაციური დიდი ზომის მორბენალი მტაცებელი ფრინველი — კაულიობტარიქსი, რომელიც ეწეოდა მხეცურ ცხოვრებას, საიდანაც თავს ესხმოდა მსხვერპლს. იკვებებოდა ხვლიკებით, წვრილი ძუძუმწოვრებით და სხვებით.

აქამდე მეცნიერებისათვის აღნიშნული მონაცემები ცნობილი არ იყო.

საქართველოში უახლოესი მონაცემებით 319 სახეობის ფრინველი ბინადრობს. მდიდარია სახეობრივი შემადგენლობით აჭარაც, სადაც 300-მდე სახის ფრინველია გავრცელებული. ფრინველების უმრავლესობა მობინადრე, მომთაბარე ან მიმომფრენია. ფართოდ არიან გავრცელებულნი მთასა თუ ბარში, ტყეებსა და ბუჩქნარებში, მინდვრებსა და თუ ველებში, კულტურულ სავარგულებში. ვერტიკალურად უმრავლესობა გავრცელებულია 2000-3000 მეტრამდე ზღვის დონიდან.

ფრინველები საკვებისადმი დამოკიდებულების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად არიან დაყოფილნი: მცენარეულობით, მათი თესლეათა და ნაყოფებით მკვებავეები; მწერებით მკვებავეები და მტაცებლები, რომლებიც იკვებებიან მცირე ზომის სხვადასხვა სახის ცხოველებით.

ფრინველები არა მარტო ხიბლავს ადამიანს მათი მშვენიერებით, ატკობს მათი ტკბილი გალობითა და ჭიკჭიკით, არამედ შედიან ცხოველთა და მცენარეთა თანასაზოგადოებაში, სადაც ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბუნებაში მიმდინარე საერთო ნივთიერებათა და ენერჯის ცვლაში და წარმოადგენენ ასევე გარკვეულ ბუნებრივ რესურსებს და სიმდიდრეს, რის გამოც დაცვას ექვემდებარებიან.

აჭარაში მოხინაძრე ფრინველებია: ქოჩორა ტოროლა, მინდვრის ტოროლა, წყალწყალა, მთის მწყერჩიტა, წყლის შავში, ჭინჭრაქა, ტყის ჭვინტაქა, გულწითელა, შავი ბოლოცეცხლა, შაშვი, ჩხართვი, ყვითელთავა ნარჩიტა, შავი წიწკანა, წივწივა, ჩვეულებრივი წიწკანა, ჩვეულებრივი ცოცია, მეფეტვია, სკვინჩა, ჩიტბატონა, მწვანულა, ჭივჭავი, ნარჩიტა, მთის ჭვინტა, სტვენია, სახლის ბელურა, ჩხიკვი, ყვავი, ყორანი, ძერა, ქორა, მიმინო, მთის არწივი, შვარდენი, კავკასიური შურთხი, კავკასიური როჭო, ბუ, ოლოლი, ხეკაკუნა, მწვანე კოდალა, დიდი ჭრელი ხეკოდა, პატარა ჭრელი ხეკოდა, გარეული მტრედი და სხვა.

აჭარაში გავრცელებული ფრინველთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიმომფრენი ფრინველებია, რომლებიც აჭარის ტერიტორიის ფარგლებში გაზაფხულ – ზაფხულის პერიოდში ბინადრობენ, ნაწილობრივ შემოდგომითაც, შემდეგ კი დაზამთრებისათვის მიფრინავენ თბილ ქვეყნებში. ამ ჯგუფის ფრინველებია: სოფლის მერცხალი, ქალაქის მერცხალი, მენაპირე მერცხალი, კლდიური მერცხალი, ყვითელიბოლოქანქალა, ტყის მწყერჩიტა, ლაჟო, შავშუბლა ლაჟო, ბულბული, მოლალური, ოფოფი, მკირიე, ნამგალა, გუგული, მწყერი, შაკი, ვერცხლისფერი თოლია, ჩვეულებრივი თოლია და სხვები.

აჭარაში ბინადარ ფრინველთა შორის არის საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომლებიც წარმოადგენენ იშვიათობას და გადაშენების გზაზე დგანენ, რის გამოც ისინი საქართველოს „წითელ წიგნში“ შეტანილი, როგორცაა: კასპიური შურთხი, წითელთავა ლაბუჩიტი, შვარდენი, მთის არწივი, შაკი, კავკასიური როჭო, ორბი, სვაი და სხვა, რომელთა სტატუსი და ბიოეკოლოგიის ზოგიერთი ასპექტებია განხილული წინამდებარე წიგნში.

ფრინველები

ПТИЦЫ

AVES

გამჭრალი ან მოუვალ ადგილებში შემორჩენილი სახეობები

კასპიური შურთხი

КАСПИЙСКИЙ УЛАР

*Tetraogallus caspius* Smelin, 1784

რივი — ქათმისნაირნი — Galliformes

ოჯახი — ხოხბისებრნი — Phasianidae


სტატუსი — CR — მეტარ იშვიათი ფრინველია, მცირე კავკასიონის ენდემია, ხასიათდება კლებადი რიცხოვნობით.

გავრცელება — ბინადრობს მცირე კავკასიონის ქედებზე: ბაზუმის, მურგუზის, პამბაკის, გეგამის აიონცხორის, მროვდავის, ზანგეზურის, მთა არაგაცზე დასხვა. აჭარის ტერიტორიაზე ის ერთეულების სახით გვხვდება: ტბეთის, ბოლოკის, პერანგას, კორდას, ხევას, ღომას და ყანლი — დაღის მდამოებში.



ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა — მისი ადგილსამყოფელია მაღალმთიანი ნიჟეთი — სუბალპური და ალპური სარტყლები, 1600-დან 4000-მდე ზღვის დონიდან, სეზონური ნომადობის დროს შურთხები აღწევენ ტყის ზედა ზონამდე. ამჟამად ადგილსამყოფელის უმრავლესობა დეგრადირებულია.

რიცხოვნობა ბუნებაში — 1964 წლისათვის ამიერკავკასიაში აღირიცხებოდა 800-მდე კასპიური შურთხი, საქართველოში კი 50-მდე ცალი. ამჟამად საქართველოს პოპულაციას სრული გაქრობა ემუქრება.



*გამრავლება* — ვარაუდობენ, რომ შურთხები მონოგამიურად მრავლდებიან. თუმცა სქესთა თანაფარდობა მკვეთრად დარღვეულია (მამლები უფრო მეტია). აპრილში ტიხტიხებენ. ბუდე წარმოადგენს ბალახით ამოვებულ პატარა ორმოს, დებს 6-9 (12-მდე) კვერცხს. კრუნობს მარტო დედალი — დაახლოებით სამ კვირას.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* — შესწავლილი არ არის.

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* — ინტენსიური მესაქონლეობა, მტაცებელი ცხოველები, ბრაკონიერობა.

*ტყვეობაში მყოფი ფრინველების რაოდენობა* — ცნობები არ არის.

*გამრავლება ტყვეობის პირობებში* — ცნობები არ გავაჩნია.

*დასაცავად მიღებული ზომები* — საქართველოში შურთხის მოკვლა აკრძალულია. შეტანილია „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“, „საქართველოს წითელ წიგნში“ და გადაშენების საშიშროების წინაშე მყოფი ვარეული ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის პირველ დანართში.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* — ბუდობების აღრიცხვა — დაცვა, ბრძოლა ბრაკონიერებთან, ზემო აჭარის მოსახლეობაში

ფართო ახსნა- განმარტებითი მუშაობის ჩატარება, სპეციალისტების მონაწილეობით მათი რიცხოვნობის დადგენა და ღირებულების გატარება.

*ინფორმაციის წყაროები* — „საქართველოს წითელი წიგნი“ 1982, „სსრკ წითელი წიგნი“, 1984 წ.

*წითელთავა ღაბუაჩიტი*

**КРАСНОГОЛОВЫЙ КОРОЛЕК**

*Regulus ignicapillus Temminck, 1820*

*რივი — ბელურასნაირნი — Passeriformes*


*ოჯახი — ასპუჩაკასებრნი — Sylviidae*

**სტატუსი** — CR — საქართველოს ვიწრო ლოკალური გავრცელების, იშვიათი და მცირე რიცხოვანი ფრინველია.

**გავრცელება** — წითელთავა ღაბუაჩიტი გავრცელებულია შუა და სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის დასავლეთი ნაწილის კუნძულებზე, მცირე აზიაში, ჩრდილო — დასავლეთ აფრიკასა და კუნძულ ტაივანზე. სამხრეთ საქართველოსათვის ეს ფრინველი თუმცა რამდენიმე ავტორმა აღნიშნა, მაგრამ საკოლექციო ეგზემპლარების გადასინჯვის შედეგად (პროფ. ლ. ა. პორტენკო) გამოირკვა, რომ ეს ეგზემპლარი — ყვითელთავა ღაბუაჩიტი აღმოჩნდა, რომლებიც ძლიერ გვანან წითელთავა ღაბუაჩიტებს. აჭარაში ამ ფრინველების შემოფრენა შემთხვევით ხასიათს ატარებს (ოქტომბერ — ნოემბერ — იანვარი).

**ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მფლობარეობა** — ბინადრობს წიწვან ტყეებში. ამჟამად იმყოფება სანიტარული ჭრის ზონაში.





*რიცხოვნობა ბუნებაში* – არეალის ფარგლებში მრავალრიცხოვანია, საქართველოში მეტად მცირე რიცხოვანია.

*გამრავლება* – ხეზე იკეთებს ბურთისებრი მოყვანილობის ბუდეს. წელიწადში ორჯერ (მაისსა და ივლისში) დებს 7-11 (12-მდე) კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 16 დღე – ღამემდე. კრუხობს დედალი.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* – კონკურენტები და დაავადებები ცნობილი არ არის. მტრებიდან ცნობილია ბუსნაირთა წარმომადგენლები.

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* – ვიწრო – ლოკალური გავრცელება ტერიტორიაზე.

*ტყეობაში მყოფი ფრინველების რაოდენობა* – ცნობები არ გაგვაჩნია.

*დასაცავად მიღებული ზომები* – მოკვლა აკრძალულია.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* – აბასთუმნისა და ადიგენის ტერიტორიიდან აჭარში შემთხვევით მოხვედრილი წითელთავა ღაბუაჩიტის დაფიქსირება, დაცვა, აღწერა.

ინფორმაციის წყაროები — „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982 წ.; „სსსრკ წითელი წიგნი“, 1984 წ.

## ბაღაშენების პირას მისული სახეობები

შავარდენი

**ОБЫКНОВЕННЫЙ СОКОЛ ИЛИ САПСАН**


*Falco peregrinus Gmelin, 1788*

რივი — შავარდენისნაირნი — *Falconiformes*

ოჯახი — შავარდენისებრნი — *Falconidae*


სტატუსი — EN — იშვიათი მცირერიცხოვანი ფრინველი.

გავრცელება — შავარდენი კოსმოპოლიტი ფრინველია, რომელიც ანტარქტიკის გარდა ყველა მატერიკზეა გავრცელებული. ჩრდილოეთის პოპულაციები გადაშენებია, სამხრეთით — მცხოვრებნი — მობინადრენი. საქართველოში შავარდენები ერთეული წყვილების სახით გვხვდება:



საგურამოში, ატენის ხეობაში, ტაბახმელა — შინდისის, მაგლისის, ბირთვისის მიდამოებში, მესხეთში, ჯავახეთში, ხევსურეთში, სამეგრელოში. აჭარაში ბინადრობს კინტრიშის ნაკრძალში, ხულოს, შუახევისა და ქედის ტყეების მომიჯნავე ღია ადგილებში. ვერტიკალურად აღწევს 3000 მეტრს ზღვის დონიდან. ყველგან მცირერიცხოვანი.

ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა — ბინადრობენ ტყეების მომიჯნავე ღია ადგილებში, მაგრამ სრულიად ღია, ვაკე ლანდშაფტს გაურბიან (მაგალიტად შავარდენები არ არიან ევროპის, ციმბირის, ავსტრალიის ველებზე). ამჟამად შავარდენების ადგილსამყოფელი ანთროპოგენური ფაქტორების ზეგავლენის გამო მნიშვნელოვნად მცირდება.



*რიცხოვნობა ბუნებაში* — ზუსტი მონაცემები არ არსებობს: აჭარაში მეტად მცირერიცხოვანია. საერთოდ უკანასკნელი 20-30წლის განმავლობაში მთელ საქართველოში არეალის ფარგლებში მისი რიცხოვნობა მკვეთრად დაეცა.

*ვამრავლება* — ქმნიან მუდმივ წყვილებს (ერთის სიკვდილამდე) და საბუდარ ტერიტორიებს მრავალი წლის განმავლობაში იკავებენ. თვითონ ბუდეს არ იშენებენ და სხვა ფრინველებისათვის წართმეული ან მიტოვებული ბუდეებით საეგებლობენ. ტუნდრაში კვერცხებს დებენ მდინარეების ციცაბო ნაპირებზე, ჩვენში — ხშირად კლდეების ნაცდევებსა და ბზარებში. აპრილში დებს 2-4 კვერცხს. ინკუბაციის ხანგრძლივობა 28-29 დღე — დამეა. კრუხობს ძირითადად დედალი, რომელსაც მცირე ხნით მამალი ენაცვლება. მართვეები გამოჩეკიდან მე-40 დღეზე ტოვებენ ბუდეს. სქესმწიფობას აღწევენ ერთი წლის ასაკში.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* — ცნობები არ გავაჩნია.

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* — მტაცებელი ფრინველების მოკვლისათვის რამოდენიმე წლის წინათ არსებული პრე-

მიების წესი, ახალგაზრდა ფრინველების დაჭერა ბაზუბად (მონადირე ფრინველებად) გამოყენების მიზნით, შესაძლებელია პესტიციდების გამოყენებაც.

*ტყევაში მყოფი ფრინველების რაოდენობა* – ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოიპარკებში, 1976 წლის მონაცემებით იწახებოდა 5 შავარდენი.

*გამრავლება ტყეების პირობებში* – მრავლდება აშშ – ში და გერმანიაში მოწყობილ ე. წ. „გამრავლების ცენტრებში“, არაბეთის რიგ ქვეყნებში.

*დასაცავად მიღებული ზომები* – აკრძალულია შავარდნის მოკვლა „საქართველოს ნადირობის წესებითა და ვადებით“. შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“, „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“, და „საქართველოს საშიშროების წინაშე მყოფი გარეული ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის პირველ დანართში“.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* – სპეციალისტების მონაწილეობით ზუსტი რიცხოვნობისა და საბუდარი ტერიტორიების დადგენა. ჯარიმა მოკვლისათვის. ფართო ახსნა – განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

*ინფორმაციის წყაროები* – „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982 წ.; „სსრკ წითელი წიგნი“, 1984 წ.

*მთის არწივი*

**БЕРКУТ**

*Aquila chrysaetus Linnaeus, 1758*

*რივი – შავარდნისნარნი – Falconiformes*

*ოჯახი – ქორისებრნი – Accipitridae*

*სტატუსი* – CR – იშვიათი ფრინველი, რომლის რიცხოვნობა საგრძნობლად კლებულობს.

*გავრცელება* – გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ჩრდილო აფრიკასა და ჩრდილო ამერიკაში. საქართველოში გავრცელებულია




სპორადულად, ის ძირითადად აჭარაში ბინადრობს. კერძოდ: აჭარისწყლის ხეობაში, არსიანის, კიმერსენისა და საყულაფერდის ქედებს შორის კლდოვან ადგილებში. მცირერიცხოვანია.

*ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა* — კლდეები, მაღალი მეჩხერი ტყეები, ტყისპირები, იშვიათად ვაკე ადგილები, კლდოვანი ქანები. უდაბნოებში — შავი საქსაულის ხეებში. ვერტიკალურად ვრცელდება 2200 მეტრზე ზღვის დონიდან. მრავალი ადგილსამყოფელი

განიცდის ადამიანის სამეურნეო ზეგავლენას.

*რიცხოვნობა ბუნებაში* — ზუსტი მონაცემები არ არის. მთლიანად საქართველოში მთის არწივის 20-მდე წყვილილა თუ იქნება.

*გამრავლება* — სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 4-5 წლის ასაკში. ქმნის მუდმივ წყვილებს (ერთ — ერთის სიკვდილამდე) საქორ-



წინო ფრენას იწყებს თებერვალში. აქვს 2-4 ბუდე, რომელსაც რიგ-რიგობით იყენებს მრავალი წლის მანძილზე. ბუდე წარმოადგენს ტოტების ნაყარს, რომელიც თხლად ამოფენილია მშრალი ბალახით. ყოველწლიური შეკეთების მიზეზით ხშირად ბუდეში 1-3 კვერცხს დებს დედალი. თუ პირველი ბუდობის მართვეები იღუპებიან მეორედ იბუდებს. მართვეები შებუბმლვას იწყებენ მისში და ამთავრებენ ივნისის დამლევისათვის. ბუდეს ტოვებენ 80-მდე დღის ასაკში.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* — ცნობები არ მოგვეპოვება.

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* — ტყეების ჩეხვა, ბუდეების მოშლა, სუსტი მეცნიერული ინფორმაცია მტაცებელ ფრინველთა შესახებ, რამდენიმე წლის წინათ არსებული პრემიის გაცემის წესი მტაცებელ ფრინველთა მოკვლისათვის.

*ტყვეობაში მყოფი ფრინველების რაოდენობა* — ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოოპარკებში 1976 წლის მონაცემებით იმყოფებოდა 38 მთის არწივი, მათ შორის 2 თბილისის ზოოპარკებში. მოყვარული მონადირეების მიერ ეს ფრინველიც გამოიყენება როგორც ბაზი მელაზე, კურდღელზე, იშვიათად მკელზე და სხვა ცხოველებზე სანადიროდ.

*გამრავლება ტყვეობის პირობებში* — ცნობილია ერთი წყვილის გამრავლების ფაქტი კანზასის შტატის ქალაქ ტოპიკაში (აშშ).

დასაცავად მიღებული ზომები — შეტანილია „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“, „საქართველოს წითელ წიგნში“, და გადაშენების საშიშროების წინაშე მყოფი გარეული ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის მეორე დანართში.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* — მთის არწივის ადგილსამყოფელში ტყის ჩეხვის დროებით შეჩერება, ბუდეების გამოვლენა — დაცვა, ჯარიმის დაწესება მოკვლისათვის, ფართო ახსნა — განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

*ინფორმაციის წყაროები* — „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982 წ.; „სსრკ წითელი წიგნი“, 1984 წ.

შაკი  
CKOILA

*Pandion Haliaeetus* Linnaeus, 1758

რივი — შავარდნისნაირნი — *Falconiformes*

ოჯახი — ქორისებრთა — *Accipitridae*

სტატუსი — CR — მეტად იშვიათი, მცირერიცხოვანი ფრინველია.


გავრცელება — შაკი გავრცელებულია ევროპაში, აფრიკაში ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკაში, აზიაში, ავსტრალიაში. მისი არეალი მოიცავს მთლიან დსთ-ს ქვეყნების ტერიტორიას. საქართველოში იშვიათია, გვხვდება ჯავახეთის, ერწოსა და პალაისტომის ტბებთან. აჭარაში ის მდინარე ჭოროხის შესართავთან ბინადრობს. ყველგან წარმოდგენილია ერთეული წყვილების სახით. ვერტიკალურად ვრცელდება 2000 მ-მდე ზღვის დონიდან. ჩვენში მოფრინავს მარტში, ხოლო მიფრინავს ოქტომბრის შუარიცხვებისათვის. იკვებება თევზებით, უფრო იშვიათად ბაყაყებითა და მღრნელებით.



ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა — მაღალი ხეებით გარშემორტყმული გამჭვირვალე წყლიანი, თევზით მდიდარი წყალსატევები.

რიცხოვნობა ბუნებაში — ზუსტი მონაცემები არ მოგვეპოვება.

გამრავლება — ბუდობს ცალკეული წყვილების სახით. ბუდეს იკეთებს ხეზე — წყალსატევებთან ახლოს, იშვიათად კლდეებსა და ნიადაგზე. ბუდე წარმოადგენს უხეში ტოტების გროვას, რომლის დიამეტრი აღწევს 1 მ-ს, სიმაღლე კი ხშირად 50-70 სმ-ს. აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში დებს 2-3 კვერცხს.



ინკუბაციის პერიოდი გრძელდება 35 დღე – ღამეს. კრუხობს დღღალ – მამალი შაკი. მართვეები მოძრაობის დაწყებამდე იმყოფებიან მშობლებთან.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* – კონკურენტებსა და მტრებზე ცნობები არ გაგვანია. დაავადებებიდან რეგისტრირებულია ნემატოდა 91 სახეობა).

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* – ადგილსამყოფელის ათვისება ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით, მოსახლეობაში არასრული ინფორმაცია შაკის შესახებ. რამდენიმე წლის არსებული პრემიების წესი ფრინველთა მოკვლისათვის.

*ტყეოლაში მყოფი ფრინველების რაოდენობა* – „საბჭოთა კავშირის წითელი წიგნის“ მიხედვით, ერთი შაკი მოსკოვის ზოოპარკშია.

*გამრავლება ტყეობის პირობებში* – ცნობები არ გაგვანია.

*დასაცავად მიღებული ზომები* – შეტანილია „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“, 1984 წ; „საქართველოს წითელ წიგნში“, 1982 და გადაშენების საშიშროების წინაშე მყოფი გარეული ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის მეორე დანართში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები — მოსახლეობაში ფართო ახსნა — განმარტებითი მუშაობის ჩატარება, სპეციალისტების მონაწილეობით მათი რიცხოვნობის დადგენა, ბუდობის აღრიცხვა და დაცვითი ღონისძიებების გატარება.

ინფორმაციის წყაროები — „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982 წ.; „სსრკ წითელი წიგნი“, 1984 წ.

კავკასიური როჭო

### КАВКАЗСКИЙ ТЕТЕРЕВ

*Lyrurus mlocosiewiczzi Taczanowskii, 1875*

რივი — ქათმისნაირნი — Galliformes


ოჯახი — როჭოსებრნი — Tetraonidae


სტატუსი — CR — იშვიათი ფრინველია, რომლის რიცხოვნობაც კლებულობს.

გავრცელება — კავკასიის ენდემია. ბინადრობს კავკასიონის ალპურ სარტყელში — მდინარე ფშეხას აუზიდან მოყოლებული მდინარე სამურის აუზამდე. მცირე კავკასიონზე — აჭარა — გურიის

მთებიდან ყარაბაღის ქედამდე. კონკრეტულად: მდინარე კინტრიშის ნაკრძალში, მდინარე ჭვანისწყლის აუზში, გორაკეთ — საფილეთის ქედსა და შავშეთის ქედს შორის, ფურტიოს მიდამოებში. საქართველოს ფარგლებს გარეთ ცნობილია თურქეთის ტერიტორიაზე — ლაზეთში. ბინადრობს 1500-3200 მ ზღვის დონიდან.

ადგილსამყოფელი, მათი აზღანდელი მფლობარეობა — კავკასიური როჭოს საბინადრო ადგილს ზაფხულობით წარმოადგენს





მცენარეულობით მდიდარი ალპური მდელოები, დაბალი არყნარი და როდოდენდრონის ხშირი ბარდები. ზამთარში ის უფრო დაბლა ჩამოდის – სუბალპურ ზოლში, უფრო იშვიათად კი წიწვოვანი ტყის ზედა სარტყელში. ადგილსამყოფელის მეტი ნაწილი წარმოადგენს სასოფლო – სამეურნეო სავარგულებს.

*რიცხოვნობა ბუნებაში* – ზუსტი მონაცემები არ არსებობს. საქართველოს წითელი წიგნის მიხედვით ფშავ – ხევსურეთში აპრილ – მაისში სათიბებსა და მდელოებზე 1 კმ<sup>2</sup> -ზე მოდიოდა 3,5 – 0,5 მამალი.

*გამრავლება* – სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 2 წლის ასაკში. საქორწინო ტიხტიხს იწყებს აპრილში და აგრძელებს მაისის პირველ ნახევრამდე. მამლები თავს აწონებენ და ჩხუბობენ ერთმანეთში. კავკასიური როჭოსებისათვის დამახასიათებელია პოლიგამია, ე. წ. „ოჯახურ გუნდს“ შეადგენს ერთი მამალი და რამდენიმე დედალი. როდოდენდრონის ბარდებში დედალი შენიღბულ ბუდეს აკეთებს ორმოს სახით. იგი ამოგებულა ბალახითა და ბუმბულით. კვერცხს დებს მაისში. თითოეულ ბუდეში 2-9 (საშუალოდ 5-7) კვერცხია. ინკუბაცია გრძელდება 24-25 დღე

– ღამემდე. კრუხობს მხოლოდ დედალი. ივნისში ახლადგამოჩეკილი მართვეების ნაწილი იღუპება ალბურ სარტლემში მკაცრი კლიმატური პირობების გამო, აგვისტოს ბოლოსათვის კი ისინი ქათმის სიდიდეს აღწევენ და მეტად აღარ იზრდებიან. ამის შემდეგ მალე ტოვებენ მშობლებს.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* – ბუდეებსა და ახლადგამოჩეკილ მართვეებს ხშირად თელავს საქონელი. ნაწილი შესაქონლეთა ძაღლების მსხვერპლი ხდება. მტრად შეიძლება ჩაითვალოს მელა. ახლად გამოჩეკილი მართვეები ხშირად ცივდებიან. კონკურენტები ცნობილი არ არის. დაავადებებიდან რევისტირიებულია ორი სახეობის ნემატოდა.

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* – მეტეოროლოგიური პირობების მკვეთრი მერყეობა ადგილსამყოფელში, მეცხოველეობის ინტენსიფიკაცია მთიან რაიონებში, ბუნებრივი მტრების მომრავლება არელის ფარგლებში, ბრაკონიერობა.

*ტყვეობაში მყოფი ფრინველების რაოდენობა* – საქართველოს ზოოპარკებში არ არის.

*გამრავლება ტყვეობის პირობებში* – ცნობები არ მოგვეპოვება.

*დასაცავად მიღებული ზომები* – საქართველოში დაცულია სანაღირეო კანონმდებლობით. შეტანილია „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“, 1984 წ.; „საქართველოს წითელ წიგნში“, 1982 წ და გადაშენების საშიშროების წინაშე მყოფი გარეული ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის მეორე დანართში. არეალი ნაწილობრივ მოიცავს კინტრიშის, თებერდის, რიწის, ლაგოდეხის, ბორჯომის, ანშეტის ნაკრძალების ტერიტორიებს.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* – საბუღარების აღრიცხვა – დაცვა. გამრავლების ადგილებში სეზონური არკვეთილების შექმნა, ნადირობის განუსაზღვრელი დროით აკრძალვა, მაღალმთიანი სოფლების მკვიდრ მოსახლეობაში ფართო ახსნა – განმარტებითი მუშაობის ჩატარება.

*ინფორმაციის წყაროები* – „საქართველოს წითელ წიგნი“, 1982 წ.; „სსრკ წითელ წიგნი“, 1984 წ.

სვაი

## ЧЕРНЫЙ ИЛИ СЕРЫЙ ГРИФ

*Aegyptus monachus* Linnaeus, 1766

რივი — შვარდნისნაირნი — *Falconiformes*

ოჯახი — ქორისებრნი — *Accipitridae*



სტატუსი — EN — სტაბილურად მცირერიცხოვანი ფრინველია.


გავრცელება — სვაი გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და აზიაში. საქართველოში ბინადრობს 300 მდე ზღვის დონიდან. აჭარაში მეტ — ნაკლები რაოდენობით გვხვდება ჭოროხის, აჭარისწყლისა და კინტრიშის ხეობებში.

ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა — სვაუს უყვარს როგოც მთები, ასევე ღია

ადგილები და ხეუბნები. იკვებება მძორით. ადგილსამყოფელის ნაწილი დარღვეულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გამო.

რიცხოვნობა ბუნებაში — ზუსტი მონაცემები არ გავაჩნია, მაგრამ რიცხოვნობა სულ უფრო კლებულობს დაბალი რეპროდუქციის გამო.

გამრავლება — სვაეებისათვის დამახასიათებელია მუდმივი წყვილების შექმნა (ერთ — ერთის სიკვდილამდე) ბუდეს იკეთებენ მაღალ ხეებზე. ბუდე წარმოადგენს უხეში ტოტების გროვას, რომელსაც ახალი ბუდობის დაწყებამდე „შეაკეთებენ“ ხოლმე. მისი დიამეტრი 2 მ-ს აღწევს, სიმაღლე 1 მ. მარტში დებს ერთადერთ კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 55 დღე — ღამეს. კრუხობს დედალ — მამალი მორიგეობით. მათში იჩეკება მართვე, რომელიც საკმაოდ ნელა იმოსება ბუმბულით და იზრდება. სე-



ქტემბრისათვის ახალგაზრდა ფრინველები გუნდებად ერთდებიან და ნომადობენ.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* — მტრები და დაავადებები ცნობილი არ არის. კონკურენტციას ნაწილობრივ ორბები უწევენ.

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* — დაბალი რეპროდუქციის უნარი, ადგილსამყოფელის მოშლა, მტაცებელ ფრინველთა მოკვლისათვის წლების განმავლობაში არსებული პრემიების წესი.

*ტყვეობაში მყოფი ფრინველების რაოდენობა* — კარგად იტანს ტყვეობას, ხშირად ჰყავთ ზოოპარკებში (მათ შორის თბილისის ზოოპარკში).

*გამრავლება ტყვეობის პირობებში* — ცნობები არ გაგვაჩნია.

*დასაცავად მიღებული ზომები* — შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“, საქართველოს სამონადირეო კოდექსით სვავის მოკვლა აკრძალულია.

*ინფორმაციის წყაროები* — „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982 წ.; „სსრკ წითელი წიგნი“, 1984 წ.

ორბი

## БЕЛОГОЛОВЫЙ СИП

*Gyps fulvus hablizl, 1783*

რივი — შვარჯნისნაირნი — *Falconiformes*

ოჯახი — ქორისებრნი — *Accipitridae*

სტატუსი — EN — სპორადულად გავრცელებული ფრინველია.


გავრცელება — ორბი სპორადულადაა გავრცელებული ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. საქართველოში კავკასიონის მთიანეთის სამხრეთით ფერდობებზე გვხვდება. აჭარაში ბინადრობს ქობულეთის, ჩაქვის გორაკეთ — საფილეეთის, საყულაფერდისა და ღომა — წინაველას ქედების ღია ადგილებში.

ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა — მთის მშრალი და ღია ლანდშაფტები. ადგილსამყოფელის ნაწილი დარღვეულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გამო.

რიცხოვნობა ბუნებაში — ცნობები არ გავკანია.

გამრავლება — ბუდეს მიწაზე იკეთებს — კლდეებზე ან ხევის პირას. ორბები ბუდეს აგებენ მსხვილი ტოტებისაგან და შემდეგ მას მრავალი წლის განმავლობაში იყენებენ. ქმნის მუდმივ წყვილს (ერთ — ერთის სიკვდილამდე), ბუდე ამოგებულა პატარა ტოტებით და მშრალი ბალახით. წყვილობს ორბები იანვრის ბოლოს და უკვე თებერვლის მიწურულში დედალი დებს ერთადერთ კვერცხს. ინკუბაციის ხანგრძლივობა 50 დღე — ღამეა. კრუხობენ მორიგეობით დედალ — მამალი. მართვეები ფრენას იწყებენ ივნისის ბოლოს.





*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* – შეიძლება კონკურენცია გაუწიოს სვავმა. მტრები და დაავადებები ცნობილი არ არის.

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* – რეპროდუქციის დაბალი უნარი, მრავალი წლის წინათ არსებული პრემიების წესი ფრინველთა მოკვლისათვის.

*ტყვეობაში მყოფი ფრინველების რაოდენობა* – კარგად იტანს ტყეობას, ხშირად ჰყავთ ზოოპარკებში (მათ შორის თბილისის ზოოპარკებში).

*გამრავლება ტყეობის პირობებში* – ცნობები არ გავგანჩნია.

*დასაცავად მიღებული ზომები* – შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“, საქართველოს სამონადირეო კოდექსით ორბის მოკვლა აკრძალულია.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* – მოსახლეობაში ფართო ასხსნა – განმარტებითი მუშაობის ჩატარება, ჯარიმა მოკვლისათვის.

*ინფორმაციის წყაროები* – „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982 წ.

დიდი ოყარი ანუ დიდ თეთტი ყანჩა

**БОЛЬШАЯ БЕЛАЯ ЦАПЛЯ**

*Egretta alba* Linnaeus, 1758

რივი — ლაკლაკისნაირთა — *Ciconiiformes*

ოჯახი — ყანჩასებრნი — *Ardeidae*

**სტატუსი** — EN — მცირერიცხოვანი ფრინველია.


**გავრცელება** — დიდი ოყარი გავრცელებულია სამხრეთ — არმოსავლეთ ევროპაში, სახრეთ აფრიკაში, მაგადასკარზე, ახალ ზელანდიაში, ანტილიის კუნძულებზე, სამხრეთ ამერიკასა და ჩრდილო ამერიკის სამხრეთ ნაწილში. საქართველოში აღნიშნულია ჯავახეთში, დასავლეთ საქართველოს მდინარეთა შესართავებში და ტბებზე. აჭარაში ის ბინადრობს მდინარე ჭოროხის ხეობაში სოფელ კირნათამდე. ბუდობს კოლხეთის დაბლობზე, სამეგრელოსა და ჯავახეთში.



**ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა** — მდინარეებისა და ტბების ნაპირები — დაჭაობებული ადგილები, ადგილსამყოფელთა უმრავლესობა განიცდის ადამიანის სამეურნეო ზემოქმედებას.

**რიცხოვნობა ბუნებაში** — ცნობები არ მოგვეპოვება.

**გამრავლება** — ბუდობს ცალკეულ წყვილებად აპრილში. ბუდეს იკეთებს ხეზე (ჭირიფი), ლერწამზე ან ნიადაგზე. ბუდეს შებრუნებული კონუსის ფორმა აქვს. დებს 3-4 (იშვიათად 5) კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 25-26 დღე — ღამეს. კრუხობს დედალ — მამალი მორიგეობით.



*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* — კონკურენტებსა და მტრებზე ცნობები არ მოგვეპოვება. რეგისტრირებულია ტრემატოდები (3 სახეობა), ნემატოდები (5 სახეობა) და აკანთოცეფალა (1 სახეობა).

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* — წინათ, როდესაც ქუდებს ბუმბულით ამკობდნენ, დიდ ოყარს განუკითხავად უღუტდნენ ლამაზი ბუმბულის გამო, რომელიც მზრებს ამშვენებს. ადგილსამყოფელთა დეგრადაცია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად.

*ტყვეობაში მყოფი ფრინველების რაოდენობა* — ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. იტანს ტყვეობას, ხშირად ჰყავთ ზოოპარკებში (მათ შორის თბილისის ზოოპარკში). გამრავლება ტყვეობის პირობებში — ცნობები არ გავაჩნია.

*დასაცავად მიღებული ზომები* — შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“, დაცულია საქართველოს სამონადირეო კოდექსით.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* — საბუდარი ადგილების აღრიცხვა — დაცვა. მოსახლეობაში ახსნა — განმარტებითი მუშაობის ჩატარება, ჯარიმა მოკვლისათვის.

*ინფორმაციის წყარო* — „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982 წ.; „სსრკ წითელი წიგნი“, 1984 წ.

პატარა ოყარი ანუ პატარა თეთრი ყანხა

МАЛАЯ БЕЛАЯ ЦАПЛЯ

*Egretta garzetta* Linnaeus, 1766

რივი — ლაკლაკისნაირთა — *Ciconiiformes*

ოჯახი — ყანხასებრნი — *Ardeidae*

**სტატუსი** — EN — მცირე-რიცხოვანი ფრინველია, ხასიათდება კლებადი რიცხოვნობით.

**გავრცელება** — პატარა ოყარი გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, სპორადულად — აფრიკაში, ჩრდილოეთ ავსტრალიაში. ამიერკავკასიაში ბუდობს აზერბაიჯანსა და სომხეთში. აჭარაში გვხვდება მხოლოდ მიმოფრენისას — მარტის ბოლოდან აპრილის პირველ ნახევრამდე და აგვისტოს ბოლოდან სექტემბრის ჩათვლით. ის ძირითადად მდინარე ჭოროხის შესართავ — დაჭაობებულ ნაწილში და მის ახლო მდებარე ჭალებში ბინადრობს.



**ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მფრინავობა** — ჭაობები, მდინარეებისა და ტბების დაჭაობებული ნაპირები. ამჟამად ადგილსამყოფელთა უმრავლესობა განიცდის ადამიანის სამეურნეო ზემოქმედებას.

**რიცხოვნობა ბუნებაში** — ცნობები არ მოგვეპოვება.

**ვამრავლება** — პატარა ოყარი ცხოვრობს ტყის პირას, ჭალებში, მაღალ ბუჩქნარით, ლერწმით დაფარულ ადგილებში. ბუდეს იკეთებს უმეტესად ხეზე, ზოგჯერ ნიადაგზე — ლელიანში. დებს 3-6 კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 25 დღე — ღამე. კრუხობს დედალ — მამალი.



*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* – კონკურენტებსა და მტრებზე ცნობები არ მოგვეპოვება. დაავადებებიდან რეგისტრირებულია ტრემატოდები (2 სახეობა).

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* – ადგილსამყოფელის დეგრადაცია. შესაძლებელია შხამქიმიკატების გამოყენებაც.

*ტყეობაში მყოფი ფრინველების რაოდენობა* – ცნობები არ მოგვეპოვება. ბინადრობს მრავალ ზოოპარკში (მათ შორის პერიოდულად თბილისის ზოოპარკში).

*გამრავლება ტყეობის პირობებში* – ცნობები არ მოგვეპოვება.

*დასაცავად მიღებული ზომები* – შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“, დაცულია საქართველოს სამონადირეო კოდექსით.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* – მოსახლეობაში ახსნა – განმატრებიითი მუშაობის ჩატარება, ჯარიმა მოკვლისათვის.

*ინფორმაციის წყაროები* – „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982 წ.

მეივანი (ყვითელისკატრა) გელი  
**ЛЕБЕДЬ – КЛИКУНЬ**

*Cygnus cygnus* Linnaeus, 1758

რივი – ღერღვებისნაირნი – *Anseriformes*


ოჯახი – იხვისებრნი – *Anatidae*



**სტატუსი** – EN – მცირერიცხოვანი ფრინველია.

**გავრცელება** – მეივანი გელი გავრცელებულია დასავლეთ ევროპასა და ისლანდიაში. ბუდობს კამჩატკიდან დაწყებული – დასავლეთ კამჩატკამდე, სპორადიულად აღწევს სამხრეთით კასპიის ზღვის ჩრდილოეთსა და ყაზახეთამდე, ბაიკალისპირა მხარესა და სამხრეთ სახალინამდე. საქართველოში გვხვდება მხოლოდ მიმოფრენისას. ზამთრობს აფხაზეთში, კოლხეთის დაბლობსა და აჭარაში.

**ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა** – მეივანი გელი ცხოვრობს დიდ ტბებსა და წყალსატევებთან, რომელთა ნაპირი ხშირი მცენარეებითაა დაფარული, ჩვეულებრივ ტყის ზონასა და ტუნდრის სამხრეთ სანაპიროზე. აჭარაში მისი ადგილსამყოფელია შავი ზღვის სანაპირო ზოლი მდინარე ჩოლოქიდან – ჭოროხამდე. ადგილსამყოფელი განიცდის ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ზეგავლენას.



*რიცხოვნობა ბუნებაში* – ზუსტი ცნობები არ გაგვანია.

*გამრავლება* – ცხოვრობს განუწყრელ წყვილებად. ბუდეს იკეთებს მიწაზე, დებს 4-7 კვერცხს. ინკუბაციის ხანგრძლივობა 40 დღე – ღებუა. კრუნობს მხოლოდ დედალი, მამალი კი შორიანხლოსა და იცავს მას.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* – კონკურენტებსა და მტრებსე ცნობები არ მოგვეპოვება. დაავადებებიდან რეგისტრირებულია ტრემატოდები (2 სახეობა), ცესტოდები (2 სახეობა).

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* – ადგილსამყოფელის შემცირება, ბრაკონიერობა, შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.

*ტყეობაში მყოფი ფრინველების რაოდენობა* – დეკორაციული ფრინველია. ჰყავთ პარკებსა და ზოოპარკებში. რიცხოვრივი მონაცემები არ გაგვანია.

*გამრავლება ტყეობის პირობებში* – ცნობები არ მოგვეპოვება.

*დასაცავად მიღებული ზომები* – საქართველოს სამონადირეო კანონმდებლობით ველების მოკვლა აკრძალულია.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* – მოსახლეობაში ახსნა – განმარტებითი მუშაობის ჩატარება, ჯარიმა მოკვლისათვის.

*ინფორმაციის წყაროები* – „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982 წ.

დიდი კოჭობა  
**БОЛЬШАЯ ЧЕЧЕВИЦА**

*Carpodacus rubicilla* Gildenstadt, 1775

რივი – ბელურასნაირნი – *Passeriformes*

ოჯახი – მთიულასებრნი – *Fringillidae*



**სტატუსი** – CR – ვიწროლოკალური გავრცელების, იშვიათი, მცირერიცხოვანი ფრინველია.


**გავრცელება** – დიდი კოჭობა გავრცელებულია კავკასიაში, შუა და ცენტრალურ აზიაში, ტიბეტის, ჰიმალაის, ალტაისა და ხანგაის მონაკვეთში. საქართველოს ფარგლებში ეს ფრინველი ძირითადად კავკასიონის მაღალმთისთვისაა ცნობილი (ყაზბევის, დუშეთის, ბარისახოს მიდამოებში და სხვა).

შემჩნეულია მცირე კავკასიონის მთიანეთიდანაც (ბორჯომი, ბახმარო – 2500 მ ზღვის დონიდან). აჭარაში დიდი კოჭობა მხოლოდ კინტრიშის ნაკრძალში გვხვდება (მთა პერანგას მიდამოებში – 2733 მ ზღვის დონიდან). ზამთარში ვერტიკალურად ნომადობს.

**ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა** – დიდი კოჭობა ბინადრობს ალპურ მდელოებზე – როდოდენდრონის სარტყლის ზემოთ. იანვარში, დიდთოვლობისას ნაწილი განიცდის ღებრადაციას ტყეთა ჩეხვის გამო.

**რიცხოვნობა ბუნებაში** – მცირერიცხოვანია. ზუსტი ცნობები არ გაგვარჩნია.

**კამრავლება** – დიდი კოჭობა ბუდებს იკეთებს აპრილში – კლდეების ნაპრალებში ან შესაძლებელია ბუჩქების ქვედა ტოტებზე. დებს 3-4 (6-მდე) კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება ორ კვირაზე მეტ ხანს. ბუდობს წყვილებად ან მცირერიცხოვანი კოლონიების სახით.



*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* – ცნობები არ არის.

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* – რიცხოვნობა მკვეთრად არ იცვლება. ცვლილებები ძირითადად განპირობებულია ადგილსამყოფელის დარღვევით.

*ტყევაში მყოფი ფრინველების რაოდენობა* – ცნობები არ გაგვანჩნია. თითო – ოროლა წყვილი ჰყავთ მოყვარულებს.

*გამრავლება ტყეობის პირობებში* – ცნობები არ გაგვანჩნია.

*დასაცავად მიღებული ზომები* – ბელურასნაირ მგალობელ ფრინველებზე ნადირობა აკრძალულია საქართველოს სამონადირეო კანონმდებლობით.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* – მოსახლეობაში ახსნა – განმარტებითი მუშაობის ჩატარება, საბუდარი ტერიტორიების ზუსტი აღრიცხვა და ამ ადგილებში სეზონური აღკვეთილების დაარსება.

*ინფორმაციის წყაროები* – „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982 წ.

## ფრინველები „ბინების რეკორდების წიგნიდან“

ყველაზე მსხვილები (უტროპოები ანუ მორბენალები – Ratitae)

არსებული ფრინველებიდან ყველაზე დიდი არის აფრიკული სირაქლემა (*Struthio camelus*), რომლის რიცხოვნობაც ბოლო დროს შემცირდა. იგი ბინადრობს ატლასის მთების სამხრეთით – ზედა სენეგალში, სუდანში, ცენტრალურ ეთიოპიასა და ნიგერიაში. ამ არამფრენი, მორბენალი ფრინველის ზოგიერთი მამალი სიმამლები არწვეს 2,74 მ და იწონის 156,5 კგ (ზრდასრული დედლები უფრო მცირეა).

ყველაზე მსხვილები (ტროპიანი ანუ მფრინავი – Carinatae)

მფრინავი ფრინველებიდან ყველაზე დიდია აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკაში მობინადრე კორისეული სავათი ანუ პაკუ (*Otiskori*). სამხრეთ აფრიკაში მოკლული ზოგიერთი მამალი იწონიდა 18 კგ-მდე. დიდ ბრიტანეთში მობინადრე სისინა გელს (*Cygnus olor*) აგრეთვე შეუძლია მიაღწიოს 18 კგ; პოლონეთში რეგისტრირებული იყო მამალი გელი წონით 22,5 კგ, რომელსაც ფრენა არ შეეძლო.

ყველაზე წვრილები

მსოფლიოში ყველაზე პატარა ფრინველია ფუტკარა – კოლიბრი (*Mellisuga helenae*), რომელიც ბინადრობს კუბაზე და კ. პაინზე. ზრდასრული მამლები (დედლები რამდენადმე დიდია) სიგრძეში აღწევენ 57 მმ, ამასთან ამ სიგრძის ნახევარი მოდის ნისკარტსა და კუღზე; ისინი იწონიან 1,6 გ, ე.ი. ღამის პეპელაზე (2,4 გ) ნაკლებს. ყველაზე წვრილი მტაცებელი ფრინველის ბელურისოდენა თეთრგულა ღაჟო (*Microhierax latifrons*), რომელიც ბინადრობს ბორნეოს ჩრდილო – დასავლეთში. ყველაზე წვრილი ზღვის ფრინველია პატარა ქარიშხალა (*Halocyptera mi-*

chromosome), რომელიც ბუდობს მრავალ წვრილ კუნძულზე კალიფორნიის უბეში, მექსიკიდან ჩრდილო — დასავლეთით. ზრდასრული ინდივიდების სიგრძეა 140 მმ, წონა 28 გ-მდე.

ბრიტანეთში რეგულარულად მობუდარი ყველაზე პატარა ფრინველია — ყვითელთავა დაბუჩაჩიტი (*Regulus regulus*); ზრდასრული ინდივიდების სიგრძეა 90 მმ (ნისკარტისა და კუდის ჩათვლით), წონა 3,8-დან 4,5-მდე.

### ფრთხილის ყველაზე დიდ შლილი

მოხეტიალე ალბატროსს (*Diomedea exulans*) იმისათვის ინახავენ, რომ მან დემონსტრირება გაუკეთოს თავისი ფრთების შლილს. ამ სახეს, არსებულ ფრინველთა შორის, ფრთების ყველაზე დიდი შლილი აქვს, რომელიც საშუალოდ 3,15 მ-ია. 1965 წლის 18 სექტემბერს ტასმანიის ზღვაში დაიჭირეს ვეზემპლარი, რომლის ფრთების შლილმაც მიაღწია 3,63 მ-ს.

### ყველაზე მრავალრიცხოვანი

გარეული ფრინველების ყველაზე მრავალრიცხოვანი სახეა წითელნისკარტა ქველეა ანუ მქსოველა (*Quelea quelea*), რომელიც ბინადრობს აფრიკის გვალვიან რაიონებში — საჰარიდან სამხრეთით, მისი პოპულაციის რიცხოვნობა აღწევს 10 მლრდ ინდივიდს. ზღვის ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრინველი, უთუოდ ანტარქტიდაზე მობინადრე ქარიშხალაა (*Oceanites oceanicus*). არავითარი მონაცემები მისი პოპულაციის რიცხოვნობაზე არ არსებობს, მაგრამ საფიქრალია, რომ ინდივიდთა რაოდენობა შეადგენს ასეულ მილიონებს.

შინაურ ფრინველების ყველაზე გავრცელებულ სახეებს მიეკუთვნება სამხრეთ — არმოსავლეთ აზიაში მობინადრე გარეული ბანკივის ქათმის (*Gallus gallus*) სახესხვაობა. 1982 წელს მის ინდივიდთა რიცხოვნობამ მიაღწია 6 მლრდ 500 მლნ ფრთას, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსოფლიოში თითოეულ ადამიანზე მოდის 1,4 ცალი ქათამი.

დიდ ბრიტანეთში ხეებზე მობუდარი ფრინველებიდან ყველაზე გავრცელებულია შაში (Turdus merula). მისი პოპულაციის მაქსიმალურმა რიცხოვნობამ მიადწია 15 მლნ ცალს. მას მოსდევს: ჭინჭრაქა ანუ ლობეძღვრალა (Troglodytes troglodytes) და გულწითელა (Erithacus rubecula), რომელთა პოპულაციის რიცხოვნობა შესაბამისად შეადგენს 10,5 და 10,0 მლნ ფრთას.

დიდი ბრიტანეთის ყველაზე გავრცელებული ზღვის ფრინველია წვრილნისკარტა კაირა (Uria aalge), რომლის ნაბარტყთა რიცხოვნობა აღწევს 577,0 ათას ცალს. ჩვეულებრივ, ის იშენებს ბუდეებს ნაპირების გაყოლებით. 1969 – 1970 წწ ამ ფრინველების საერთო რაოდენობის 80% ბინადრობდა შოტლანდიაში.

1984 წლის შემაჯამებელი მონაცემებით, დიდი ბრიტანეთის 250 ატასი სამტრედეს პატრონს თითოეულს საშუალოდ ეკუთვნოდა 40 ფრთა მტრედი. პოპულაციის რიცხოვნობამ საშუალოდ შეადგინა 10,0 მლნ ფრთა.

#### ყველაზე იშვიათი ფრინველები

თავისუფლად მცხოვრებ ფრინველთა პოპულაციების შეფასებისას არსებულ სირთულეებთან დაკავშირებით, თითქმის შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რომელი სახესხვაობაა ყველაზე იშვიათი. მაგრამ როგორც ეტყობა, ამის ძირითადი პრეტენდენტია ტყიური მგალობელი (Ammodramus nigrescens), რომელიც ბინადრობს ზღვის ნაპირზე, წინათ კი ბინადრობდა ტიტუსვილის (ფლორიდა, აშშ) ჭაობებში. დღეისათვის დარჩა ამ სახის მხოლოდ ერთი მამალი, დაჭერილი 1987 წლის მარტში კუნძულ დისკავერიზე (ორლანდო). უკანასკნელი დედალი შემწნეული იყო 1975 წ მიუხედავად იმისა, რომ მისი წლოვანება 10-დან 15 წლამდე იყო, იგი ცალთვალა იყო და პადავრა აწუხებდა. მეცნიერებმა ვარაუდი გამოთქვეს, რომ მას კიდევ შეეძლო 1-2 წელი ეცოცხლა.

1987 წლის მარტში დაჭერილი იყო ტყეობაში გამრავლების მიზნით, რათა სახე გადარჩენილიყო სრული გადაშენებისაგან, ჯერ კიდევ თავისუფლად მცხოვრები კალიფორნიული კონდორის

(*Gymnogyps californianus*) უკანასკნელი ორი ეგზემპლარიდან — ერთი (პოპულაციის საერთო რაოდენობა შეადგენს 27 ცალს).

ზღვის ფრინველთა ყველაზე იშვიათი სახეა ფიჯური კუდბოძალა ქარიშხალა ანუ რწვენა (კაჩურკა) (*Pseudobulweria macgillivraya*); დღეისათვის მისი პოპულაცია მოითვლიდა მხოლოდ სამ ინდივიდს, რომელთაგან უკანასკნელი დაიჭირეს 1985 წლის 3 ივლისს, მაგრამ იგი ერთი კვირის სემდეგ მოკვდა.

ბრიტანეთის ორნითოლოგთა კავშირის მონაცემებით, დღეისათვის არის 40-ზე მეტი სახის ფრინველი, რომელიც დიდ ბრიტანეთში აღრიცხულია მხოლოდ თითოჯერ (მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის ბოლოს, 1945 წ). დასავლეთ ინდოეთში მოხინაძრე შავთავა მტრედი (*Pterodroma hasitata*) ის სახეა, რომლის უკანასკნელი წარმომადგენელი დაჭერილი იყო საუტაკრაში (ნორფოლკი) 1850 წლის მარტსა ან აპრილში. 1979 წლის 28-29 მაისს ფარნის კუნძულებზე (ნორტამბერლენდი) აკვირდებოდნენ ალუეტურ თევზიყლაპიას (*Sterna aleutica*). ამ ფრინველის დამახასიათებელ საბინადროდ ითვლებოდა ალიასკისა და აღმოსავლეთ ციმბირის სანაპირო და ადრე იგი არასოდეს არ შეუმჩნევიათ წყნარი ოკენის ჩრდილო ნაწილის ფარგლებს გარეთ. 1986 წლის აგვისტოში ათასობით ფრინველების მოყვარულმა ალყა შემოარტყა ბლექფორდ — სანდის ნაკრძალს — წითელყელა მქეციაშიას (*Calidris ruficollis*) ძებნაში, რომლის წარმომადგენლებიც პირველად იყვნენ აღრიცხული დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე.

თეთრი (თოვლა) ბუ (*Nyctea scandiaca*) წარმომადგენილია დიდ ბრიტანეთში ყველაზე უმნიშვნელო პოპულაციით. 1967 წლიდან 1975 წლამდე პერიოდში ერთი წყვილი რეგულარულად მრავლდებოდა ფეტლარში (შეტლენდის კუნძულები) და გამოჩეკა 21 მართვე, მაგრამ მალე ბებერი მამალი გაფრინდა გაურკვეველი მიმართულებით და თან გაიყოლა ყველა ახალგაზრდა მამრობითი სქესის წარმომადგენელი და ამით მდედრობითი ინდივიდები უპატრონოდ დატოვა. 1979 წლის 19-20 აპრილს ზრდასრული მა-

მალი შემჩნეული იყო კუნძულ ფეაზე, ძველი ადგილსამყოფელიდან დაახლოებით 129 კმ-ის სამხრეთით, მაგრამ ფეტლარზე იგი აღარ დაბრუნებულა. 1984 წ. ოთხი დედალი კვლავ შემჩნეული იყო კ. ფეტლარზე, მაგრამ კვლავ უმაძლოდ.

1926 წელს ინგლისელმა ვირაროსმა (მღვდელმა) შიგნითა გებრიდების ზეგანზე (შოტლანდია) აღმოაჩინა თეთრკუდა არწივის (*Haliaeetus albicilla*) უკანასკნელი ინდივიდის კვერცხები. 1975-1977 წლებში ჩატარდა ცდები ამ შესანიშნავი, იშვიათი ფრინველის აღწარმოებისათვის კუნძულ რუმზე, რისთვისაც ნორვეგიიდან შემოიყვანეს 13 ქულა. 9 ქულა – მტაცებელი ფრინველის მართვეს ჰქვია. 1985 წელს – სამოცდაათი წლის მანძილზე პირველად – დიდ ბრიტანეთში გამოიჩვენეს პირველი ქულები და მომდევნო წელსაც კვლავ გამოჩნდა შთამომავლობა.

დიდი ბრიტანეთის ყველაზე იშვიათი მტაცებელი ფრინველია მღელოს ძელქორი (*Circus pygargus*), რომლის საბინადრო ტერიტორია განისაზღვრება სამხრეთ და აღმოსავლეთ ინგლისის გავრანებული ადგილებითა და ჭაობნარებით. 1974 წ. შთამომავლობა ამ ფრინველს არ მოუცია, მაგრამ ამჟამად იგი წარმატებით მრავლდება. 1986 წელს აღირიცხა შვიდი ახალი წყვილი, რომელთაგან ექვსმა მოგვცა 13 ქულა.

#### ყველაზე სწრაფები და ყველაზე ნელები

მფრინავ ფრინველებს შორის ყველაზე სწრაფად ითვლება იხვები და ღერღუტები (გარეული ბატები – *Anatidae*), ხოლო ისეთ სახეებს, როგორცაა: გრძელნისკარტა ბატასინი (*Mergus serrator*), ჩვეულებრივი სუსხური (*Somateria mollissima*), ჩრდილო ამერიკული ყვინთია – იხვი (*Aythya valisneria*) და ღებებიანი ღერღუტი (*Plectrophenax gambiensis*) – მღვერებისაგან თავდაცვის მიზნით შეუძლიათ ზოგჯერ 108 კმ/სთ სისწრაფის განვითარება.

აზიის რაიონებში მობუდარი ნემსკუდა ნამგალა (*Hirundinarius caudacutus*) და მეკირიე (*Apus melba*) საქორწინო ფრენისას და მეთოწესთან ბრძოლის დროს ავითარებენ მეტად დიდ სისწრაფე-

ებს. დსთ ტერიტორიაზე მეცნიერების დაკვირვებით იგი ავითარებდა 170 კმ-მდე საათში.

საერთო ჯამში კი, შეიძლება ითქვას, რომ მფრენი ფრინველების 50%-ის სწორხაზოვნად ფრენის სისწრაფე არ აღემატება 64 კმ/სთ. ამერიკული ტყის ქათამი (*Scolopax minor*) ჰორიზონტალური ფრენისას ავითარებს მინიმალურ სიჩქარეს, რომელიც არ აღემატება 8 კმ/სთ.

**ფრთების მოქმედის სწრაფი და ყველაზე ნელი ტემპი**  
დადგენილი მონაცემებით, ფრთების აქნევის ყველაზე სწრაფი რიტმი — 90 აქნევა წამში — აღირიცხა სამხრეთ ამერიკის ტროპიკებში ბინადარ რქოსან კოლიბრისთან (*heliactin cornuta*). მსხვილი სვაკები (*Vulturidae*) აწარმოებენ წამში მხოლოდ ერთ აქნევას, კონდორებს კი შეუძლიათ ფრთების სრულიად აუქნევლად — ლივლივით — იფრინონ ჰაერის მუდმივ აღმავალ ნაკადებში 96 კმ-დე მანძილზე.

#### დღეგრძელება

ფრინველთა სიცოცხლის ხანგრძლივობა შეადგენს 80 წელზე მეტს. ასე, დიდი ყვითელქორთა კაკადუს (*Cacatua galerita*) მამალი, სახელად კოკი, დაიჭირეს უკვე ზრდასრულ ასაკში 1902 წელს, 1925 წელს პატრონმა იგი მოათავსა ლონდონის ზოოპარკში, სადაც იგი 1982 წელს მოკვდა.

ბარაბუს (ვისკონსინი, აშშ) წერთა საერთაშორისო აუქციონზე ყველაზე ხანდაზმული აღმოჩნდა ციბირული თეთრი წეროს (*Grus leucogeranus*) მამალი, სახელად ვოლფი. მისი ხნოვანება შეადგენდა არანაკლებ 82 წლისა. როგორც აღირიცხა, ეს ფრინველი მოთავსებული ყოფილა შვეიცარიის ზოოპარკში დაახლოებით 1905 წელს.

1964 წელს მოსკოვის ზოოპარკში 70-ზე მეტი წლის ასაკში მოკვდა ანდებიდან ჩამოყვანილი კონდორი, სახელად კუზია. იგი ზოოპარკში მოათავსეს 1892 წელს უკვე საკმაოდ ხნიერი.

დაგროვილი ფრინველებიდან ყველაზე ხანდაზმული ითვლება სამეფო ალბატროსის (*Diomedea epomorpha*) 58 წლიანი დედალი, რომელიც ყოველწლიურად ბუდობს ტეიარია — ჰედში (ოტაგო, ახალი ზელანდია). მისი პარტნიორის წლოვანება — 45 წელია.

#### ყველაზე ხანგრძლივი ვრენა

არსებული მონაცემებით, ყველაზე დიდი მანძილი — 22530 კმ დაფარა პოლარულმა თევზიყლაყიამ (*Sterna paradisaea*). იგი დარგოლეს 1956 წლის 16 მაისს კრუზობის პერიოდში — ფრემანტლიდან (დას. ავსტრალია) სამხრეთით. ფრინველმა იფრინა სამხრეთის მიმართულებით, შემოუარა აფრიკას, გადასერა ინდოეთის ოკეანე, მაგრამ უკან დაბრუნებას ვეღარ მოესწრა.

#### სიმაღლის რეკორდი

უდიდესი სიმაღლე, რომელზედაც შეუძლია ფრენა ფრინველებს, არის 8230 მ. სწორედ ამ სიმაღლეზე გებრიდების თავზე 1967 წლის 9 დეკემბერს აღმოაჩინა მყევანი გელების (*Cygnus cygnus*) ოცდაათფრთიანი გუნდი სამოქალაქო ავიაციის მფრინავმა, როდესაც ისინი ისლანდიიდან გამოსაზამთრებლად მიფრინავდნენ ავიაციამ დაადასტურა ეს მონაცემები.

#### ყველაზე ხანგრძლივი ვრენა

ფრინველებს შორის ყველაზე ხანგრძლივად მფრენებად ითვლება მუქი თევზიყლაყია (*Sterna fuscata*); ამ სახის ფრინველებს ბუდიდან გამოფრენის შემდეგ შეუძლიათ მუდმივი უძილობის პირობებში იფრინონ ჰაერში 3-4 წლის განმავლობაში მანამდე, სანამ ისინი არ დაბრუნდებიან დედამიწაზე გასამრავლებლად.

ხმელეთური ფრინველებიდან ყველაზე ხანგრძლივად მფრინავენს მიეკუთვნება ჩვეულებრივი ნამგალა (*Apus apus*), რომელიც ჰაერში იმყოფება 2-3 წელიწადს, მანამ, სანამ არ მიაღწევს ზრდასრულობის ხანას — შთამომავლობის მისაცემად.

### ყველაზე სწრაფად მცურავნი, ღრმად მყვინთავნი

ყველაზე სწრაფადმცურავ ფრინველად ითვლება გენტუის პინგვინი ანუ ვირპინგვინი (*Pyngoscelis papua*), რომელიც სპრინტში ავითარებს 27,4 კმ/სთ სისწრაფეს. ანტარქტიკული საიმპერატერო პინგვინი (*APtenodytes forsteri*) ყვინთავს მაქსიმალურად 265 მ-ზე და შეუძლია წყალქვეშ გაჩერება 18 წუთის განმავლობაში.

### ყველაზე მძიმე მტაცებელი ფრინველი

ანდების კონდორი (*Vultur gryphus*) – ყველაზე მძიმე მტაცებელი ფრინველია; მისი წონა საშუალოდ 9,09 – 11,3 კგ-ია.

### მასვილი მხედველობა

საპატრო სამყაროში ყველაზე მასვილი მხედველობა გააჩნიათ მტაცებელ ფრინველებს (*Falciformes*): ის 8-10-ჯერ მაინც უფრო მასვილია, ვიდრე ადამიანისა. ასე მაგალითად, მთის არწივს (*Aquila chrysaetus*) 46 სმ-ის ზომის კურდღელი – კარგი განათებულობისა და კონტრასტული ზედაპირის პირობებში – შეუძლია შემჩნეოს 3,2 კმ-ის მანძილზე, ხოლო შავარდენი ამჩნევს მტრედებს 8 კმ-ზე მეტი მანძილიდან.

### ბადამეტვირთველი

ამერიკელი მეციერებების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ წითელთავა კოდალას (*Melanerpes erythrocephalus*) ნისკარტს – ხის ქერქზე დარტყმის მომენტში – გააჩნია 20,9 კმ/სთ-ში სიჩქარე. ეს ნიშნავს, რომ როდესაც კოდალას თავი უკან გადაქანდა, მისი ტვინი განიცდის 10 G გადამეტვირთვას.

### ყველაზე გრძელი ბუმბული

არსებული მონაცემებით გრძელი ბუმბული გააჩნია ბანკივურ ქათამს (*Gallus gallus*), ინდური გარეული წითელი ქათამის სახესხვაობას, რომელსაც XVII საუკუნის შუა წლებიდან ამრავლებენ

იაპონიის სახმრეთ — დასავლეთში. 1972 წ ამ ჯიშის მამლის „ფენიქსის“ (პატრონი — მასაშა კუბოტა — კოჩიდან (სიკოკუ) კუდის სიგრძედ დაფიქსირებული იყო 10,6 მ. მფრენი ფრინველების კუდის მაქსიმალური სიგრძე აღინიშნა ჩინეთის ცენტრალურსა და ჩრდილოეთ ნაწილში მობინადრე სამეფო ხოხობთან — „რივასთან“ (*Syrmaticus reevisi*). კუდის ორი ძირითადი ბუმბულის, რომლებსაც იგი მუხრუჭებად იყენებს — სიგრძე შეიძლება აღემატებოდეს 2,43 მ-ს.

#### ყველაზე მდიდარი შეზუბლვა

ბუმბულების ყველაზე მეტი რაოდენობა რეგისტრირებულია ამერიკულ გედთან (*Cygnus columbianus*), რომელსაც გააჩნია 25216 ბუმბული, მათგან 20177 — თავსა და კისერზეა. ჩვეულებრივი კოლიბრი — არზილოხუსის (*Archilochus colibris*) ბუმბულების რაოდენობა კი მხოლოდ 940-ია.

#### ყველაზე მცირედი კვერცხები

ყველაზე წვრილ კვერცხებს დებს ვერვენის ანუ ჯუჯა კოლიბრი (*mellisuga minima*) იამაიკაზე. მისი ათმილიმეტრიანი ორი კვერცხი იწონიდა შესაბამისად 0,365 გ და 0,375 გ (შედარებისათვის: ფუტკარა — კოლიბრის კვერცხი იწონის 0,5 გ). არსებული მონაცემებით, დიდ ბრიტანეთში ყველაზე წვრილ კვერცხებს დებს ლაბუაჩიტის დედალი. მათი ზომა 12,2 — 14,5 მმ-ია სიგრძეში და 9,4 — 9,9 მმ დიამეტრში; წონა — 0,6 გ. კვერცხსავლიდან მომწიფებამდე გამოვლბული კვერცხები მხედველობაში არ მიიღება.

#### საინკუბაციო პერიოდი

ყველაზე ხანგრძლივი საინკუბაციო პერიოდი დადგენილია მოხეტიალე ალბატროსთან (*Diomedea exulans*); იგი ჩვეულებრივ შეადგენს 75-დან 82 დღემდე. როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, შეიძლება განვიხილოთ კვერცხების კრუხობის პერიოდი

აესტრალიაში მობინადრე ხალებიანი ნაგვის ქათამის მაგალითზე (იგივე ხალებიანი დედფეხა ქათამი — (*Leipoa ocellata*), რომელიც გრძელდება 90 დღეს, ნაცვლად ჩვეულებრივი საინკუბაციო პერიოდის — 62 დღისა.

ყველაზე მოკლე საინკუბაციო პერიოდი გააჩნია დიდი ჭრელი ხეკოდას (*Dendrocopos major*) დედალს; იგი მხოლოდ 10 დღეს გრძელდება. ანალოგიური საინკუბაციო პერიოდი — 10 დღე — გააჩნია შავნიკარტა გრძელფეხა გუგულსაც (*Coccyzus erythrophthalmus*). ყველზე უდარდელ მამებად ითვლებიან კოლიბრის (ოჯახი *Trochilidae*), სუსხურების (*Somateria mollissima*) და ოქროსფერი ხოხბების (*Chrysophus pictus*) მამლები, რომელთა დედლებიც მარტონი კრუხობენ თავიანთ კვერცხებს — მთელი საინკუბაციო პერიოდის განმავლობაში; კივის (*Apteryx australia*) დედალი ამ უფლებას 75-80 დღის განმავლობაში უთმობს მამალს.

#### ყველაზე მძიმე ბუდე

თეთრთავა ფსოვები (*haliaeetus leucocephalus*) იშენებენ ყველაზე მძიმე ბუდეებს. თავისი ზომებით სარეკორდო სიდიდის ბუდე ნაპოვნი იყო 1963 წელს სანკტ-პეტერბურგთან ახლოს. მისი სიგანე შეადგენდა 2,9 მ, სიღრმე — 6 მ, წონა კი — 3 ტ-ზე მეტს.

#### ნისკარტის სიგრძე

ტანის მიმართ ნისკარტის მაქსიმალური სიგრძე აღინიშნება სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთში მობინადრე მამალ ბუმბერაზ ტუკანთან (*Rhamphastos toco*). მისი ნისკარტი სიგრძეში აღწევს 20 სმ და თიტქმის უტოლდება სხეულის სიგრძეს, ხოლო ანდებში — ვენესუელიდან ბოლივიამდე ტერიტორიაზე მობინადრე მახვილ-ნისკარტა — კოლიბრის (*Ensifera ensifera*) ნისკარტის სიგრძე 10,2 სმ-ია და თუ მხედველობაში არ მივიღებთ კუდს, აჭარბებს ტანის სიგრძეს.

## გუგული

დიდ ბრიტანეთში გუგული (*Cuculus canorus*) გამოჩნდა ხოლმე არა უადრეს 2 მარტისა. ამ რიცხვში აღრიცხა იგი ტრინიდადელმა (როადი, ოქსფორდში) უილიამ ა. ხეინსმა. ტვლეზე გვიან მას აკვირდებოდნენ 1912 წლის 16 დეკემბერს ანსტეისკოვში (ტორკი, დევონი) და 1897 წლის 26 დეკემბერს — ჩიშირში.

## ყველაზე მსხვილი კვერცხი

სირაქლემას მართევმ უნდა ამოტეხოს ყველაზე მსხვილი კვერცხის 1,5 მმ სისქის ნაჭუჭი. სირაქლემას (*Struthio camelus*) კვერცხი ყველაზე მსხვილია. რამდენიმე წუთის შემდეგ სირაქლემას მართვე გამოიჩეკება. სირაქლემას კვერცხი 24 ქათმის კვერცხის მოცულობისაა, მის მოსახარშავად საჭიროა 40 წუთი. ზომები: სიგრძე — 15-20 სმ, დიამეტრი — 71-78,5 მმ, წონა — 340-363 გ.

## ფრინველთა ამოცნობა (ბარკვევა)

ფრინველთა ამოცნობაში (გარკვევაში საველე პირობებში) აბსოლუტური მსოფლიო რეკორდი დაამყარა უიტლელმა (ონტარიო) ნორმან ჩესტერფილდმა (დაბ. 1913 წლის 8 მარტს). 1987 წლის მარტისათვის მან ამოიციწო მეცნიერებისათვის ცნობილი 9016 ფრინველი. სლოუელმა (ბეკინჰემში) რონ ჯომსმა ცხოვრების მანძილზე ამოიციწო 450 სახის ფრინველი, რაც დიდი ბრიტანეთის რეკორდია. ჩელმსფორდელმა (ესექსი) სტევენ უებმა ერთი წლის (1980) განმავლობაში ამოიციწო 329 სახე, რისთვისაც გაიარა 64 ათასი კმ და ველად იყო 150 დღის განმავლობაში. დღე — ღამეში (24 საათი) გამოცნობილ სახეთა სარეკორდო ციფრია — 342; ეს რეკორდი დაამყარეს ტერი სტივენსონმა, ჯონ ფენშოუმ და ენდი რობერტსმა — 1986 წლის 29-30 ნოემბერს კენიაში გამართულ ფრინველთა ამოცნობაზე შეჯიბრების მსვლელობისას. იმავე შეჯიბრებაზე დონ ტერნერმა, დევიდ პირსონმა და ალან რუთმა დაამყარეს რეკორდი ფრინველთა ამოცნობაზე 48 საათის განმავლობაში — 494.

### ყველაზე წვრილი ბუდეები

ყველაზე წვრილ ბუდეებს იშენებს კოლიბრი (Trochilidae). ჯუჯა – კოლიბრის (*mellisuga minima*) ბუდის სიდიდე კაკლის ნაჭუჭის ნახევრის ოდენაა, ფუტკარა – კოლიბრის ბუდის სიღრმე კი საათითურის ოდენაა.

## შინაური ფრინველები

### ყველაზე მსხვილი ფრინველები

ყველაზე მსხვილებად ითვლება თეთრი სულის წიწილები; ეს ჯიშში უესტპოინტელმა (კალიფორნია, აშშ) გრანტ სულენსმა 7 წლის განმავლობაში გამოიყვანა – როდოსის წითელი ქათმის მსხვილი ეგზემპლარების სხვა შეჯვარების გზით.

ვეებერთელა მამალი, სახელად ვიერდუ 1973 წელს იწონიდა 10 კგ და ისეთი აგრესიული იყო, რომ მოკლა ორი კატა და დასახინრა მასთან ახლოს მისული ძაღლი.

ბრიტანეთის ყველაზე მსხვილ ვარიად ითვლება 7,78 კგ წონის მამლუკა. იგი გამოიყვანა ბრენკასტერ – სტიეტსელმა (ლინის საგრაფო, ნორფოლკი) ჰენრი რენსონმა. იგი აწონეს 1975 წელს – უშუალოდ სარდესასწაულო მაგიდაზე მირთმევის წინ.

### მფრინავი ფრინველები

1981 წლის 8 მარტს – სარეკორდო მანძილის – 94,64 მ-ის დაძლევა ჰაერში ფრენისას შეძლო წიწილამ, სახელად შორიშა, მისი პატრონია ზამატცუელი (იაპონია) მორიმიტუ მეირა. დედლები, მამლებთან შედარებით, ფრენის უკეთესი უნარით ხასიათდებიან.

### ყველაზე მძიმე ინდაურები

ინდაურის (მელეაგრის გალოპავო) ყველაზე დიდი წონაა 36,75 კგ. ამ წონის მამალი გამოიყვანა ინგლისის მეფრინველეთა

საზოგადოების ჩესტერის (ჩეშირი) განყოფილებაში. მან გაიმარჯვა ლონდონში 1986 წლის 9 დეკემბრს გამართულ ყოველწლიურ შეჯიბრებაზე – „ყველაზე მძიმე ინდაურის“ პრიზზე. ინდაურები ღიდ ბრიტანეთში შემოიყვანეს მექსიკიდან, ესპანეთის გავლით 1549 წელს.

#### ყველაზე კვირადღირებული ინდაური

აუქციონზე ინდაურში გადახდილმა მაქსიმალურმა თანხამ შეადგინა 3600 გირვანქა სტერლინგმა; იგი 1986 წლის 9 დეკემბერს გადაიხადა ზემოთ აღნიშნული, ყველაზე მძიმე ინდაურის საფასურად დიუხერსტმა – ყასაბმა, ლონდონის სმითფილდის ბაზარზე.

#### ყველაზე დღეგრძელი

შინაური ბატი (*Anser anser domesticus*) ყველაზე დღეგრძელის შინაურ ფრინველთა შორის (სირაქლემას გამოკლებით): მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა ჩვეულებრივ 25 წელია, მაგრამ 1976 წლის 16 დეკემბერს 49 წლისა და 8 თვის ასაკში მოკვდა მამალი ბატი, სახელად ჯორჯი; პატრონმა – ტორნ-ტონელმა (ლანკაშირი) ფლორენს ჰალმა – შეიძინა იგი 1927 წლის აპრილში.

წვრილ ჩიტებს შორის ყველაზე დიდხანს ცოცხლობენ კანარელების ანუ კანარიის ჩიტების (*Serinus canaria*) მამლები. მათ უხუცეს წარმომადგენლებს შეიძლება მიეკუთვნოს ხალელი კ. როსის კუთვნილი 34 წლის მამალი, სახელად ჯოი, რომელიც შეძენილი იყო 1941 წ. კალაბარში (ნიგერია) და მოკვდა 1975 წლის 8 აპრილს. ხუჭუჭა თუთიყუშის (*melopsittacus undulatus*) დედალი, სახელად ჩარლი (პატრონი – სტოუნბრიჯელი (ლონდონი) – დიშისი) – მოკვდა 1977 წლის 20 ივნისს – 29 წლის და 2 თვის ასაკში.

## ყველაზე მოლაპარაკეები

მსოფლიოში ყველაზე მოლაპარაკე ფრინველად ითვლება აფრიკული რუხი თუთიყუშის ანი ჟაკოს (*Psittacus erythacus*) დედალი, სახელად პრადლი; პატრონი – სიფორდელი (აღმ. სუსე-ქსი) ლინ ლოგი. ეს თუთიყუში 12 წლის მანძილზე (1965-დან 1967-მდე) იმარჯვებდა კონკურსში „ყველაზე მოლაპარაკე თუთიყუშის“ პრიზზე – ფრინველთა ეროვნული ჩვენების დროს – ლონდონში. თავის სალექსიკონო ფონდში 800 სიტყვის მარაგის მქონე პრადლი დაჭერილი იყო ჯინიაში (უგანდა) – 1958 წელს. დღემდე ვერავის შეძლო მისი რეკორდის მოხსნა.

## ქვეწარმავლები – Reptilia

ქვეწარმავლები წარმოიშენენ უძველესი ამფიბიებისაგან – სტეგოცეფალებისაგან ჯერ კიდევ პალეოზოურ ერის ქვანახშირის პერიოდში. ტრიასულ პერიოდში ჩნდებიან ნიანგები, იურიულ პერიოდში – ხვლიკები, უფრო მოგვიანებით, ცარცულში – გველები. მაგრამ ქერცლიანების აყვავების ხანა დადგა მესამეულ პერიოდში, დინოზავრების ამოწყდომის შემდეგ. ქვეწარმავლებმა შემდგომში დასაბამი მისცეს ხერხემლიანთა უმაღლეს კლასებს – ფრინველებსა და ძუძუმწოვრებს.

ქვეწარმავლების გაჩენის დღიდანვე ადამიანმა ყურადღება მიექცია ისეთ ცხოველებს, როგორებიც იყვნენ: გველები, ნიანგები, ხვლიკები და კუები. ძველევგეპტურ მითოლოგიაში ეგვიპტელების ღმერთები იყვნენ ნიანგები (სუბეკი), რვა ღმერთბაყაყა, გველი (უშველგელი აპოპი), ნიანგისთავა ლომი (ამთი). ფართოდ იყო გავრცელებული ეგვიპტური ზღაპარი „გველების კუნძული“ და სხვა. რამდენიმე ქვეწარმავალი ცნობილია „ბიბლიიდანაც“: გველად გადაქცეული ეშმაკი, რომელიც ევას ცდუნებაში შეუწყობს ხელს; გველი ასპიტი“, შხამიანი გველები – ბასილისკუსი და ექიღნა; ნიანგი ანუ ლევიფაანი ბერძნულ მითოლოგიაში პითონი იყო პარ-

ნასზე მობინადრე გველი, რომელიც ჰერამ დაადევნა ლეტოსსა და მის შვილებს — აპოლონსა და არტემიდას (იგი აპოლონმა მოკლა). შოთა რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ გველი რამდენჯერმეა ნახსენები, მათ შორის ფართოდაა ცნობილი აფორიზმი: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ და სხვა. საერთოდ გველები სხვადასხვა ხალხის ტოტემი იყო, რამაც ზოგან გამოიწვია გველის კულტის შექმნა — ე. წ. „ოფიოლატრია“. ცნობილია, რომ პენანგში იყო ჩინური ტაძარი, რომელშიც უამრავ გველს ინახავდნენ, რომლებიც მრავალი სასწაულის მოქმედებას მიაწერდნენ. ფიქრობდნენ, რომ გველისათვის ყველა, ცხოველის ენის გაგების მითს აქვს ახსნა, რომ იგი სათავეს იღებს გველით დაკბენილი ადამიანების ჰალუცინაციებში: ნიანგები, კუები სხვადასხვა ტომების ტოტებად ითვლებოდნენ. ქვეწარმავლების ზოგიერთ სახეს მიეკუთვნება მითოლოგიური სახელწოდება ანუ მაგალითადასკლეპიოსის გველი, ბასილიკური (იგუანისებრთა ოჯახის წარმომადგენელი), დიონე (სახეებიანი მცურავი), დრაკონი (პატარა მფრინავი დრაკონი — ხვლიკი), ერიქსი (დასავლური მახრჩობელა), ლახეზისი (შხამიანი გველი), მუტა (შხამიანი გველი, ბუშმეისტერი), პელიასი (ერთ — ერთი გველგესლა), პითონი (დიდი ზომის უშხამო გველი), პოლითემუსი (კუ გოფერი) და ცერასტერი (რქოსანი გველგესლა).

საყოველთაოდ ცნობილია აფთიაქებსა და სამკურნალწამლო პროდუქციის სიმბოლო — გველი, რომელიც ჯამში შხამს ანთხევს და ა.შ.

ქვეწარმავლებისა და ამფიბიების შემსწავლელ მეცნიერებას ჰერპენტოლოგია ეწოდება, რომლის მეცნიერული კვლევის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ მილეთელი ჰეკათეოსის (V — VI ს.ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) მოთხრობა ნილოსის ნიანგის შესახებ და შხამიანი გველის — კერბერის მითის ამოსხნის მცდელობა. მაგრამ ნამდვილი მეცნიერული შესწავლა, ისევე როგორც ზოოლოგიის მრავალი დარგისა, უკავშირდება გენიალურ არისტოტელეს (384-322 წ.წ. ჩვ. წ. აღ. — მდე) სახელს, რომელმაც

იცოდა ის, რომ გველებს მხოლოდ ერთი ფილტვი გააჩნიათ, გველებსლა ცოცხალშობი იყო და სხვა. 1467 წელს გამოიცა მ. რაბანუსის წიგნი, რომელშიც გველებზეა მოთხრობილი. უკვე მაღალ დონეზე იყო დაწერილი კონრად გესნერის „ცხოველთა ისტორია“, რომლის მე-2 და მე-5 წიგნები (1554-1587) ქვეწარმავლებს ეძღვნებოდა. საგანგებოდ ქვეწარმავლებისადმი იყო მიძღვნილი ულის ალდროვანდის წიგნი (1640).

ნამდვილი მეცნიერული შესწავლა ქვეწარმავლებისა იწყება XVI საუკუნის მე-2 ნახევრიდან და გრძელდება დღესაც, რომელშიც უდიდესი წვლილი ამერიკისა და ევროპის მკვლევარებთან ერთად მიუძღვით რუს და ქართველ მეცნიერებსაც, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ამიტომ შეგნებულად ავარიდეთ თავი ამ საკითხს.

### ქვეწარმავლების ზოგადი ნიშნები

ქვეწარმავლები ხმელეთის პირველი ნამდვილი ხერხემლიანები არიან, მრავლებიან კივერცხით, სუნთქვენ მხოლოდ ფილტვებით, კანი რქოვანი საფარველით აქვთ დაფარული, რომელიც ქერცლებისა და ფარების სახით არის წარმოდგენილი (ამიტომაც იგი მშრალია). ამან თავის მხრივ, გამოიწვია ფილტვების მოცულობის გაზრდა. გული სამსაკნინი აქვს (ნიანგებს ოთხსაკნინი), თუმცა პარკუჭში არის არასრული ტიხარი. იმის გამო, რომ ქვეწარმავლებისათვის დამახასიათებელია ცხოვრების აქტიური ნირი, მათი ჩონჩხიც უფრო რთული აგებულებისაა. გართულებულია კუნთოვანი და ნერვული სისტემებიც. მიუხედავად ამისა, ქვეწარმავლები ხმელეთის ბინადართა შორის ორგანიზაციის ყველაზე დაბალ საფეხურზე დარჩნენ: ისინი ცივისსხლიანიანები არიან, მათი ნივთიერებათა ცვლის დონე მეტად დაბალია.

ამჟამად ითვლიან ქვეწარმავლების 7000-ზე მეტ სახეობას, მათგან საქართველოში წარმოდგენილია 40-ზე მეტი სახე.

იქცნენ რა ხმელეთის მობინადრებად, ქვეწარმავლები განსახლებულნი არიან დედამიწის ყველა კლიმატურ ოლქში, პოლუსთან

მიმდებარე ოლქების გარდა. მიუხედავად ამისა მათი განსახლების სპეციფიკა მაინც განსაზღვრულია დაბალ დონესთან, ასევე მრავალ ბიოლოგიურ თავისებურებებთან.

ქვეწარმავლებისათვის დამახასიათებელია დღე-ღამური ციკლურობა, რაც პირდაპირ დაკავშირებულია ტემპერატურასთან. უმრავლესობა დღის ცხოველები არიან, თუმცა გაზაფხულიდან ზაფხულისაკენ ბევრი მათგანის დღის აქტივობა ბინდისა და ღამის აქტივობით იცვლება. საქართველოში ასეთებია გველები, მაგალითად გიურზა, ცხივრქოსანი გველგესლა, რომლებიც შუა ზაფხულში აქტიურნი არიან საღამოთი ან ღამით, აგრეთვე სხვა გველები, მაგალითად მცურავები ან ანკარები წლის ამ დროს ღამის ცხოველებად ვერ ჩაითვლებიან, ისინი დღის სიცხეს ეძალებიან სამალავში ან წყალში.

საქართველოს ყველა ხვლიკს, ასევე კუებს, დღის განმავლობაში აქვს სიმშვიდისა და აქტივობის საათები, რაც განსაკუთრებით მკვეთრად შეიმჩნევა წლის ყველაზე ცხელ დროს.

ჩვენი ფაუნის პრაქტიკულად ყველა რეპტილია ზამთრის ძილს ეძლევა და მხოლოდ მაშინ, როდესაც ზამთარი თბილია, ცალკეული სახეობები (კავკასიური ჯოჯო, გიურზა) შეიძლება აქტიურები იყვნენ ზამთრის თვეებშიც. ზაფხულის ძილქუმს ჩვენში ადგილი არ აქვს.

ქვეწარმავლების, როგორც ნამდვილი ხმელეთის ცხოველების, გამრავლება და განვითარება ხმელეთზე ძიძინარეობს, ახასიათებს შინაგანი განაყოფიერება და ყველას (ჰატერიების გარდა) გააჩნიათ საკოპულაციო ორგანო. ისინი მცირე რაოდენობით დებენ კვერცხებს, განვითარების სისწრაფე ბევრადაა დამოკიდებული ტემპერატურაზე. ჩვენში სახეობათა უმრავლესობაში განვითარება იწყება 12-15 გრადუსზე, თუმცა 40-42 გრადუსი მათვის უკვე დამლუპველია. გველები წელიწადში ერთხელ დებენ კვერცხებს, ხვლიკები – ზოგჯერ ორჯერ. კვერცხების განვითარება გრძელდება 2-3 თვეს.

რბილგარსიანი კვერცხის მქონე რეპტილიებში ხშირად გვხვდება კვერცხ ცოცხალშობიარობა, როდესაც ჩანასახი ვითარდება

მდედრის ორგანიზმში მყოფ კვერცხში (ასეთებია ბოხმეჭა, ველის ანუ დასაველეთის მახრჩობელა, ველის გველგესლა).

ჩვენი ფაუნის კლდის ხვლიკებს შორის გვხვდება პართენოგენეზური გამრავლება. ასეთ ფორმებს, როგორც წესი, მამრები არ ჰყავთ და მდედრები ღებენ გაუნაყოფიერებლ კვერცხებს, რომელთაგან მხოლოდ მდედრები იჩეკებიან. ამიტომ პართენოგენეზური ხვლიკების პოპულაციები ყოველთვის მრავალრიცხოვანია (ეს იმიტომ, რომ ყველა ინდივიდი იძლევა შთამომავლობას).

მსოფლიო ფაუნაში გველის დაახლოებით 2500 სახეობიდან 410 სახეობა ანუ 16% შხამიანია. კატინთვალა და ხვლიკისჭამია გველს გააჩნიათ შხამიანი კბილი, მაგრამ ადამიანისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს.

### ქვეწარმავლების მნიშვნელობა და დაცვა

ქვეწარმავლები, მათი დიდი ბიომასის გამო, საკმაოდ დიდ როლს ასრულებენ ნივთიერებათა მიმოქცევაში, როგორც სხვადასხვა ტროფული დონის კომსუმენტები (მომხმარებლები).

მაგალითად, ჩვენი ფაუნის ხვლიკებს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით მავნე მწერების განადგურებაში. კერძოდ, ზოლებიანი ხვლიკის საკვები რაციონის 80% მავნე მწერებზე მოდის. გველებს შორის უდაოდ, სასარგებლოა ის ფორმები, რომლებიც ძირითადად იკვებებიან მღრნელებით ან მწერებით, ასეთებია გველგესლა და ეირენისი. მსოფლიოში საკვებად გამოიყენება კუს ხორცი და მისი კვერცხები, აგრეთვე სხვა ქვეწარმავლების, როგორცაა “ხვლიკები, გველები და ნიანგების ხორცი, ხოლო ნიანგის ტყავს იყენებენ მრეწველობაში.

დიდია ქვეწარმავლების უარყოფითი როლიც: ანკარა გველები დიდი რაოდენობით ანადგურებენ თევზებს, ლიფსიტებს, რითაც დიდი ზიანი მოაქვთ თევზმეურნეობისათვის; ზოგ ქვეყნებში (განსაკუთრებით ტროპიკებში) დიდია მსხვერპლი შხამიანი გველებისაგან (მაგ. ინდოეთში ყოველწლიურად სათვალეებიანი გველის

(კობრას) დაკბენით 15 000 ადამიანი იღუპება. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული შხამიანი გველის – გიურზას ნაკბენი მეტად საშიშია, ზოლო დასავლეთ საქართველოში კაკკასიური გველგესლას. თუმცა სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში ადამიანის სიკვდილიანობას ადგილი არ ჰქონია.

გველის ნაკბენის შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს დროულად აღმოჩენილ დახმარებას. ამასთან, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაზე უფრო ეფექტური საშუალებაა სპეციალური შრატი „ანტიგიურზა“, ზოლო მოსახლეობაში დანერგილი მეთოდი – დასერვა, მოწვა, ამოწვა და სხვა მხოლოდ ამძიმებს მდგომარეობას. ყველაზე საშიშმა „საშუალებამ“ გადაჭერამ კი შეიძლება გამოიწვიოს განგრენა, რის შედეგადაც შეიძლება მივიღოთ გამოუსწორებელი შედეგი.

მსოფლიოში მოუხედავად ცხოველთა მრავალფეროვნებისა, იშვიათი ცხოველები ექვემდებარებიან დაცვას. ვფიქრობთ, საქართველოში გავრცელებული ქვეწარმავლების იშვიათი სახეები დაცვას საჭიროებენ. მთავარი საფრთხე ქვეწარმავლებს მაინც ადამიანის მხრიდან მოვლით, რაც საბინადრო გარემოს მკვეთრ ცვლილებებში და უშუალოდ დეენაში გამოხატება, რამაც განაპირობა მთელი რიგი სახეობების რიცხოვნობისა და არეალის შემცირება. განსაკუთრებით დაზარალდა გველები და კუები, მათი შიშის გამო უმოწყალოდ ხოცავენ, მოუხედავად იმისა, ის შხამიანია თუ უშხამო. იშვიათი ცხოველების შენარჩუნების მიზნით ქვეწარმავლების მთელი რიგი სახეობები შეტანილია წითელ წიგნში და მას კანონი იცავს, თუმცა ამ შემთხვევაშიც მთლიანად დაცული ისინი არ არიან. საჭიროა უფრო ქმედითი ღონისძიებები – პირველ რიგში ახსნა – განმარტებითი მუშაობა და პროპაგანდის ყველა საშუალებათა გამოყენება. მოსახლეობას უნდა შეეძლოს გაარჩიოს ერთმანეთისაგან შხამიანი და უშხამო გველები, მით უმეტეს ჩვენს პირობებში, სადაც შხამიანი გველების მხოლოდ 4 სახეობაა. საჭიროა იმ ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა, რაც აიბულებს კაცს გველის დანახვისთანავე ხელში ქვა აიღოს და სასიკვდილოდ ესროლოს ის შხამიანი თუ უშხამო.

საჭიროა საქართველოში ჩამოყალიბდეს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც წარმართავს ქვეყანაში ჰერპენტოლოგიურ კვლევას, უზრუნველყოფს იშვიათი ფორმების აღწარმოებას და მათ დაცვას.

აჭარაში ქვეწარმავლების 18 სახე ბინადრობს, რომელთა შორის გრძელი მცურავი, კავკასიური ანუ კაზნაკოვისეული გველგესლა და ცხვირქოსანი გველგესლა ანუ გველგესლა მარტოქრა იმყოფება კრიტიკულ მდგომარეობაში და არსებობს მათი გადაშენების საშიშროება, რის გამოც წიგნში მათი ბიო-ეკოლოგია დაწვრილებითაა განხილული.

*ქვეწარმავლები*  
**ПРЕСМЫКАЮЩИЕСЯ ИЛИ РЕПТИЛИИ**  
*Reptilia*

*იშვიათი სახეობები, რომლებსაც ვერ-ვერობით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ გვხვდება ისე ცოტა ან იმდენად მცირე ტერიტორიაზე, რომ შესაძლოა სწრაფად გადაშენდეს*


*გრძელი მცურავი*  
**ЭСКУЛАП ПОЛОЗ**  
*Elaphe longissima Laurenti, 1768*  
*რივი - ქერცლიანები - Squamata*  
*თაჯახი - ანკარასებრნი - Colubridae*

**სტატუსი** - EN - მცირერიცხოვანი, გადაშენების გზაზე მდგარი ფორმა.

**გავრცელება** - გრძელი მცურავი გავრცელებულია სამხრეთ - დასავლეთსა და ცენტრალურ ევროპაში, დასავლეთ უკრაინაში, მოლდავეთში, კავკასიაში, მცირე აზიაში, ირანში. საქართველოში გვხვდება თბილისის მიდამოებში, ლავოდუხის მიდამოებში, ლიხის ქედზე, სოხუმთან, სამეგრელოში, ქუთაისის რაიონში, ტყიბულთან.

აჭარაში ბინადრობს ბათუმის მიდამოებში, ხელვაჩაურის რაიონში — დაბა ქელამდე.

*ადგილსამყოფელი, მათი აზღანდელი მგვომარეობა* — გრძელი მცურავი ბინადრობს ტყეებში, ბუჩქნარებში, მთის ფერდობზე, თავს აფარებს კლდეთა ნაპრალებს, ხის ფულუროებს, ფიჩხის გროვას, ნაყარ ფოთლებსა და სხვა. კარგად დახობავს ხეებზე. ადგილსამყოფლები განიცდის ადამიანის სამეურნეო ზემოქმედებას.



*რიცხოვნობა ბუნებაში* — მონაცემები არა არის.

*გამრავლება* — გრძელი მცურავების შეუღლება ხდება მაისის დასაწყისში. ივლისის შუა რიცხვებში დედალი ყრის 4-9 კვერცხს. ნაშიერები იჩეკებიან სექტემბერში. ხოლო სქესობრივ სიმწიფეს აღწევენ სამი წლის ასაკში (ვარაუდით).

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* — ცნობები არ არის.


*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* — საბინადრო ადგილების ანტროპოგენიზაცია, შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა, მოსახლეობის მიერ ფიზიკური დახოცვა.

*ტყვეობაში მყოფი ქვეწარმავლების რაოდენობა* — ცნობილი აარ არის.

*გამრავლება ტყვეობის პირობებში* — შეუსწავლელია.

*დასაცავად მიღებული ზომები* — შეტანილია „საერთაშორისო წითელ წიგნში“, „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“, „საქართველოს წითელ წიგნში“.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* — მოსახლეობაში ახსნა — განმარტებითი მუშაობის ჩატარება, საბინადრო ადგილსამყოფე-



ლის ზუსტი აღრიცხვა, რიცხოვნობის დადგენა, მოკვლისათვის ვარაიმის შემოღება.

ინფორმაციის წყაროები – „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982 წ.; „საბჭოთა კავშირის წითელი წიგნი“, 1984 წ.

კავკასიური ანუ კაზნაკოვისეული გველგესლა  
**КАВКАЗСКАЯ ГАДИЮКА ИЛИ ГАДИЮКА КАЗНАКОВА**

*Vipera kaznakovi* Nikolsky, 1910


რივი – ქერცლოანები – *Squamata*

ოჯახი – გველგესლასებრნი – *Viperidae*

სტატუსი – EN – ვიწრო არლის მქონე კავკასიის ენდემური ფორმა

გავრცელება – საქართველოში გვხვდება: აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში, რაჭაში, ქუთაისის რაიონში, ლიხის ქედის დასავლეთ კალთებზე, ბორჯომის ხეობაში (ბანისხევი). აჭარაში მეტნაკლებად გვხვდება თითქმის ყველა რაიონში (ქობულეთის, ხელვაჩაურისა, ქედის, შუახევის, ხელოს).

**ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა** — კავკასიური გველგესლა ბინადრობს ტყეებში, მდინარეთა დაჭაობებულ ხეობებში, სუბალპურსა და ალპურ მდელოებზე. მისი საბინადრო ტერიტორიის დიდი ნაწილი მოქცეულია ინტენსიური ანთროპოგენიზაციის ზონაში.



**რიცხოვნობა ბუნებაში** — მცირერიცხოვანია. ზუსტი რიცხობრივი მონაცემები არ გაგვაჩნია.

**ბიოლოგიური თავისებურებანი** — კავკასიური გველგესლა აქტიურია აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით. იკვებება მღრნელებით, ხვლიკისნაირებით, მსხვილი სწორფრთიანებით. შეუღლება ხდება მაისში, სექტემბერში შობს 4-7 ნაშიერს.

**კონკურენტები, მტრები, დაავადებები** — ცნობები არ არის.


**რიცხოვნობის ცვლილების მიზეზები** — საბინადრო ადგილების ათვისება ადამიანის საქმიანობისათვის, შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.

**ტყვეობაში მყოფი ქვეწარმავლების რაოდენობა** — რამდენიმე ინდივიდი არის მოსკოვისა და ლენინგრადის ზოოპარკებში. წლების მანძილზე ჰყავდათ თბილისის უნივერსიტეტის ჰერპეტოლოგიურ ლაბორატორიაში.

**გამრავლება ტყვეობის პირობებში** — შეუსწავლელია.

**დასაცავად მიღებული ზომები** — შეტანილია „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“, „საქართველოს წითელ წიგნში“.

**დაცვის აუცილებელი ზომები** — მოსახლეობაში ახსნა — განმარტებითი მუშაობის ჩატარება, საბინადრო ადგილსამყოფელის



ზუსტი დადგენა — დაცვა, მოკვლისა და უნებართო მოპოვებისათვის ჯარიმის შემოღება.

ინფორმაციის წყაროები — „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982 წ.; „საბჭოთა კავშირის წითელი წიგნი“, 1984 წ.

ცხვირქოსანი გველგესლა ანუ გველგესლა მარტორკა  
**НОСАТАЯ ГАДИОКА**

*Vipera ammodites* Linnaeus, 1758

რიგი — ქერცლოანები — Squamata


ოჯახი — გველგესლასებრნი — Viperidae

სტატუსი — EN — იშვიათი, მირერიცხოვანი ფორმა.

გავრცელება — ცხვირქოსანი გველგესლა გავრცელებულია სამხრეთ — დასავლეთ ევროპასა და დასავლეთ აზიაში. საქართველოში გვხვდება თრიალეთისა და მესხეთის ქედებზე, სამხრეთით ვრცელდება ახალქალაქამდე. აჭარამდე და თურქეთის ჩრდილო —

აღმოსავლეთით ლაზისტ-  
ანის ქედამდე. ვერტიკალ-  
ურად გავრცელებულია  
1700 მ-მდე ზღვის დონი-  
დან.


**ადგილსამყოფელი,**  
მათი ახლანდელი მდგო-  
მარობა — ცხივქოსანი  
გველგესლა ბინადრობს  
მთების ქვალორიან კალ-  
თებზე, გვხვდება მთის  
ტყეებში, ბუჩქნარებში, ად-  
ამიანის საცხოვრებელი  
ადგილის ახლოს. თავს  
აფარებს ძველ შენობათა  
ნანგრევებს, ქვის ყორეებს,  
ქვებსა და ლოდებს. მისი საბინადრო ადგილსამყოფლები ათვისე-  
ბულია ადამიანის საქმიანობის გამო.



**რიცხოვნობა ბუნებაში** — ზუსტი რიცხოვრივი მონაცემები არ  
არის. „საბჭოთა კავშირის წითელი წიგნის“ მიხედვით მისი  
შეუცვლელი ადგილსამყოფელის ფარგლებში რეგისტრირებულია  
2-3 ინდივიდი 1 ჰა-ზე. შეიმჩნევა მათი გაზაფხულსა და შემოდ-  
გომაზე, ასევე ზამთრობის ადგილებში თავმოყრა 15-20 ინდივი-  
დამდე 1 ჰა-ზე. აჭარაში მცირერიცხოვანია და ისიც ხულოსა და  
შუახევის რაიონებში გვხვდება.

**გამრავლება** — ცხივქოსანი გველგესლები აქტიურება არიან მარტ  
— აპრილიდან დაწყებული ოქტომბრის თვის ჩათვლით. შეუქმლება  
ხდება მაისში. აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში. შობენ  
4-9 ნაშიერს (იშვიათად 20-მდე), რომელთა სიგრძე 20-23 სმ-ია.

**კონკურენტები, მტრები, დაავადებები** — ცნობილი არ არის.  
შესაძლებელია კონკურენცია გაუწიოს კატისთვალა გველმა ან  
სხვა ქვეწარმავალმა.



*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* – საბინადრო ადგილების ათვისება ადამიანის სამეურნეო საქმიანობისათვის, მოპოვება კოლექციისა და სამედიცინო მიზნით, შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.

*ტყეობაში მყოფი ქვეწარმავლების რაოდენობა* – მონაცემები არ გაგვაჩნია. ჩვეულებრივ ჰყავთ მრავალ ზოოპარკში (მოსკოვის, ხარკოვის, თბილისის), ინახავენ ტერარიუმებშიც.

*გამრავლება ტყეობის პირობებში* – მოსკოვისა და ხარკოვის ზოოპარკებში შთამომავლობის მიღება არ მოხერხდა. თბილისის ზოოპარკში კი რამდენიმე გველგესლამ შობა 4-11 ნაშიერი. მათი სხეულის სიგრძე აღწევდა 18-19 სმ, წონა 400-1500 მგ.

*დასაცავად მიღებული ზომები* – შეტანილია „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“, „საქართველოს წითელ წიგნში“, „საერთაშორისო წითელ წიგნში“. ცხვირქოსანი გველგესლას ჭერა მკაცრად რეგლამენტირებულია.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* – მოსახლეობაში ფართო ახსნა – განმარტებითი მუშაობის ჩატარება, ცხვირქოსანი გველგე-

სლების აჭარაში საბინადრო ადგილსამყოფელის ზუსტი აღრიცხვა, მოკვლისა და უნებართვო მოპოვებისათვის ჯარიმის შემოღება.

*ინფორმაციის წყაროები* — „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982 წ.; „საბჭოთა კავშირის წითელი წიგნი“, 1984 წ.

## ქვეყარმავლები „ბინესის რეპორაჟების წიგნიდან“

### ნიანგები

მსოფლიოში ყველაზე დიდ ქვეწარმავლად ითვლება თხემიანი ნიანგი (*Crocodylus porosus*), რომელიც აზიის სამხრეთ — არმოსავლეთის, მაღაის არქიპელაგის, ინდონეზიის, ჩრდილო ავსტრალიის, პაპუა — ახალი გვინეის, ვიეტნამისა და ფილიპინების ბინადარია. ზრდასრული მამრები სიგრძეში აღწავენ 4,2-4,8 მ, იწონიან 408-520 კგ. ნიანგის ყველაზე გრძელი მამრის სიგრძე შეადგენდა 6,20 მ. იგი დაიხრჩო 1979 წელს — მებადურის ბაღეში გახლართვის გამო მდ. ფლაიზე (პაპუა — ახალი გვინეა).

შეუპოწმებელი მონაცემებით მდ. ნორმანის (კვინსლენდი, ავსტრალია) ნაპირზე კრის პავლოვსკიმ, 1957 წელს თოფით მოინადირა მდინარის ნიანგი, რომლის სიგრძე შეადგენდა 8,63 მ-ს.

### ყველაზე პატარები

დღეს მცხოვრები ნიანგებიდან ყველაზე ტანმორჩილად ითვლება ბლაგვდინგა ნიანგი (*Osteolaemus osborni*), რომელიც ბინადრობს მდ. კონგოს (დას. აფრიკა) სათავეებში. მისი სიგრძე იშვიათად თუ ამეტებს 1,2 მ-ს.

### უხნიერმისი

ნიანგის მაქსიმალურმა წლოვანებამ შეადგიან 66 წელი. ამ ხნისა — ადელაიდის (სამხ. ავსტრალია) ზოოპარკში, 1978 წლის 26 სექტემბერს მოკვდა მისისიპის ალიგატორის (*Alligator mississippiensis*) მღერძი, რომელიც აქ მოთავსებული იყო 1914 წლის

5 იენისს, ორი წლის ასაკში. ამავე სახის ნიანგის კიდევ ერთი მდებარი 65 წლის ასაკში მოკვდა გიოტებორგის (შვეცია) მუზეუმ — აკვარიუმში, მას შემდეგ, რაც აუზის ელექტროგამათობი შეცლომით გამოითიშა.

### უიშვიათესი

ნიანგის უიშვიათეს სახელ მთელს მსოფლიოში ითვლება სახელმწიფო დაცვას დაქვემდებარებული ჩინური ალიგატორი (*Alligator sinensis*), რომელიც ბინადრობს მდ. იანცზი — კიანგის ქვემო წელში — ანხოის, ჩუეცინის, ციანსუს პროვინციების ტერიტორიაზე. ამ სახის პოპულაციის რიცხოვნობა შეადგენს 700-1000 ინდივიდს.

## ხვლიკები

### ყველაზე მსხვილები

ხვლიკებიდან ყველაზე მსხვილებად ითვლება გიგანტური ინდონეზიური ანუ კომოდოს ვარანები (*Varanus komodoensis*) — დრაკონის მსგავსი ქვეწარმავლები, აღმოჩენილი ინდონეზიის კუნძულებზე — კომოდზე, რინტიაზე, პადარსა და ფლორესზე. ზრდასრული მამრები საშუალოდ აღწევენ 225 სმ სიგრძეს და იწონიან 59 კგ. არსებობს დაუდასტურებელი ცნობები 30 ფუტამდე (9,14 მ) სიგრძის ცხოველების შესახებ, მაგრამ სარწმუნოდ ითვლება მონაცემები მამრის შესახებ, რომელიც იყო სიგრძით 3,05 მ; 1928 წელს არუქა ამერიკელ ზოოლოგს ბირმის სულთანმა. მოკლე დროის მანძილზე იგი ექსპონირებული ყოფილა სენტ — ლუსის (მისური, აშშ) ზოოლოგიურ ბაღში. ამ დროს მისი სიგრძე აღწევდა 3,10 მ, წონა კი 166 კგ.

მსოფლიოში ყველაზე გრძელ ხვლიკად ითვლება წვრილი სალვადორის ვარანი (*Varanus salvadori*), რომელიც ბინადრობს ახალ გვინეაზე. არსებობენ სარწმუნო მონაცემები იმის შესახებ, რომ მისი სიგრძე აღწევს 4,75 მ-ს.

### ყველაზე წვირილები

მსოფლიოში ყველაზე პატარა ხელიკებია – პაწაწა მრგვალითა გეკონები (*Sphaerodactylus parthenopion*), რომლებიც ბინადრობენ ბრიტანული ვიტჯინის კუნძულთა არქიპელაგის – კუნძულ ვიორჯინ გორდაზე. ეს პოპულაცია მოითვლის 15 ეგზემპლარს, 1964 წლის 10-დან 16 აგვისტომდე აღმოჩენილი მაკე მდედრების ჩათვლით. სამი ყველაზე მსხვილი მდედრი ცხვირის წვერიდან კულამდე იყო 18 მმ სიგრძისა, კულიც ამავე სიგრძისა ჰქონდათ. მრგვალითა გეკონის მეორე სახე (*S. elasmorhynchus*) შესაძლოა უფრო პატარაც კია. მის ერთადერთ წარმომადგენლად ითვლება ზრდასრული მდედრი, აღმოჩენილი ზოტის მასივში (ჰაიტი) – ხის ფესვებში. მისი სხეულის სიგრძე ცხვირის კულამდე შეადგენდა 17 მმ, კულიც ამავე სიგრძისა ჰქონდა.

### დღეგრძელები

დადგენილია, რომ ხელიკებს შორის უხნიერესი იყო ბოხმეჭას (*Anguis fragilis*) მამრი, რომელიც 1892 წლიდან 1946 წლამდე ცხოვრობდა კოპენჰაგენის (დანია) ზოოლოგიურ მუზეუმში და მოკვდა 54 წლის ასაკში.

### ყველაზე სწრაფები

ქვეწარმავლების მაქსიმალური სიჩქარე ხმლეთზე – 29 კმ/სთ დადგენილი იყო 1941 წელს. იგი განავითარა ერთმა მსრბოლია ხვლიკმა ანუ კრემიდოფორუსმა (*Cremidophorus sixlineatus*), რომელიც მაკკორმიკის (სამხ. კაროლინა, აშშ) ახლოს ბინადრობს.

## კუები

### უმსხვილესები

ზღვის ტყავანა – კუს ატლანტური სახესხვაობა (*Dermodochelys coriacea coriacea*) ითვლება დიდი ბრიტანეთის ნაპირებ-

თან აღმოჩენილ ყველაზე მსხვილ კუდ. ამ სახის წარმომადგენელი დაჭერილი იყო 1983 წლის 2 სექტემბერს როზბერგის სანაპიროზე (დონკოლის საგრაფო, ირლანდია). მისი განაზომები იყო: სიგრძე — 200,6 სმ, სივანე 312 სმ, ფარფლების ჩათვლით. რამდენიმე ხნის შემდეგ გაკეთდა ამ კუს ფოტო, რომელიც გამოფენილია არდარში.

ამჟამად მცხოვრები ხმელეთის კუებიდან ყველაზე დიდია გოლიათი კუ (*Geochelone gigantea*), რომელიც ბინადრობს ინდოეთის ოკეანის აღდაბრას, მავრიკისა და სეიშელის (შეყვანილია 1874 წელს) კუნძულებზე. ამ სახის მამრმა, სახელად მარმადუკმა, რომელიც 1951 წელს მოათავსეს ლონდონის ზოოპარკში, თავისი სიკვდილის (1963 წ 27 იანვარი) წინა დღეს მიადწია სარეკორდო წონას — 279 კგ.

#### ყველაზე პატარები

მსოფლიოში ზღვის ყველაზე პატარა კუებად ითვლება ატლანტური რიღლეა (*Lepidochelys kempii*), რომლის ბავის სიგრძეა 50-70 სმ-მდე, წონა კი არ აღემატება 36 კგ-ს.

#### დღებრძელები

ფრანგი აზნაურის დე-ფრესნეს მიერ 1766 წელს სეიშელის კუნძულებიდან კუნძულ მავრიკიაზე ჩაყვანილი და პორტ — ლუის სამხედრო გარნოზინისათვის ნაჩუქარი მარიონის კუს (*Testudo sumerii*) მამრმა — იცოცხლა ყველაზე დიდხანს კუებს შორის: 152 წელი. ეს მამრი 1908 წელს დაბრმავდა, ხოლო 1918 წელს კი შემთხვევით დაიღუპა. დღეგრძელებს შეიძლება მიეკუთვნოს ხმელთაშუაზღვის კუც (თესტულო გრაცეა), რომელსაც მუდმივად მეთვალყურეობდნენ; მან იცოცხლა 116 წ. ზღვის კუებიდან ყველაზე უხნიერესმა — სვაისებრმა კუმ (*Macrochelys temminckii*) ფილადელფიის ზოოპარკში (პენსილვანია, აშშ) იცოცხლა 58 წელი, 9 თვე და 1 დღე; 1949 წლის 7 თებერვალს იგი შემთხვევით მოკლეს.

## ყველაზე სწრაფები და ყველაზე ნელები

მაქსიმალური სისწრაფე, რომელიც ნებისმიერ ქვეწარმავალს შეუძლია განავითაროს წყალში არის 35 კმ/სთ. ასეთ სისწრაფეს ავითარებს შეშინებული წყნარი ოკეანის ტყავანა — კუ. სეიშელის კუნძულებზე ამას წინათ გამართულ სიჩქარეზე შეჯიბრებებში — გოლიათი კუს (*Geochelone gigantea*) მამრმა, მიუხედავად მდედრის მიტყუებისა, გადალახა მხოლოდ 4,57 მეტრის მანძილი — სიჩქარით 43,5 მ/წამში (0,37 კმ/ს). ხმელეთის კუებს შორის ეროვნულ ტურნირში 1977 წლის 2 ივლისს გაიმარჯვა კუმ, სახელად ჩარლიმ, რომელმაც 5,48 მ მთის კალთის აღმართზე 1:12 — დაძლია 43,7 წამში (0,45 კმ/ს).

## ყველაზე იშვიათნი

კუების ყველაზე იშვიათ წარმომადგენლებად ითვლება დაცვას დაქვემდებარებული ჭაობის მოკლეკისერა კუ (*Pseudomydura umbrina*), რომელიც ბინადრობს „ელენ ბრუკის“ და „ტვინის“ ნაკრძალებში პერტის ახლოს (დას. ავსტრალია). დღეისათვის მისი პოპულაცია მოითვლის მხოლოდ 20-25 ეგზემპლარს და კიდევ 22 ეგზემპლარი დაცულია პერტის ზოოპარკში.

## გველები

### ყველაზე ბრკელები

გველებს შორის ყველაზე გრძელად ითვლება (იგულისხმება ზრდასრული გველის საშუალო სიგრძე) ბადებრივი პითონი (*python reticulatus*), რომელიც ბინადრობს სამხრეთ — აღმოსავლეთ აზიაში, ინდონეზიასა და ფილიპინებზე. მისი სიგრძე, ჩვეულებრივ, აღემატება 6,24 მ-ს. 1912 წელს მაღაის არქიპელაგის კუნძულ ჩელეპესის ჩრდილოეთ ნაპირზე, მემსხტეთა ბანაკის ახლოს მოკლეს პითონი, რომლის სიგრძე შეადგენდა 10 მ-ს.

ყველაზე გრძელ გველად, რომელიც კი აღმოჩენილი იყო დიდ ბრიტანეთში, ითვლება ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix natrix*), რომელიც გვხვდება ინგლისის სამხრეთ ნაწილში, უელსში, დამფრისში და ჰოლუეში. ამ სახის უგრძესი ინდივიდი 1887 წელს სამხ. უელსში მოკლული და ზუსტად გაზომილი მდედრი; მისი სიგრძე შეადგენდა 1 მ და 775 მმ. 1826 წლის სექტემბერში მოსამსახურემ ტრიბუნიდან (ანგლესი, ჩრდილოეთ უელსი) მოკლა ამ სახის მდედრი, ტანის მაქსიმალური გარშემოწერილობით 55,8 სმ. იგი წარმოდგენილი იყო ხალხის სანახავად — ლანგეფურიში, შემდგომში მისი ბედი უცნობია.

### ტყვეობაში

ტყვეობაში მყოფთა შორის ყველაზე გრძელი (და ყველაზე მძიმე) გველი იყო ბადებრივი პითონის მდედრი, სახელად კოლოსუსი, რომელიც მოკვდა 1963 წლის 15 აპრილს ქ. ზაილანდის (პენსილვანია, აშშ) ზოოპარკში. მისი სიგრძე შეადგენდა 8,68 მ, მაქსიმალური წონა — 145 კგ.

### ყველაზე მოკლე

ცნობილი გველებიდან ყველაზე მოკლედ ითვლება ორზოლება ვიწროპირა გველი (*Leptotyphlops bilineata*), რომელიც გვხვდება ვესტ — ინდოეთში, კუნძულებზე — მარტინიკა, ბარბადოსი, სანტა ლუჩია.

### ყველაზე მძიმე

ყველა გველთან შედარებით წონა გააჩნია ანაკონდას (*Eunectes murinus*), რომელიც დაახლოებით ორჯერ უფრო მძიმეა იგივე სიგრძის ბადებრივ პითონზე (*Python reticulatus*). დაახლოებით 1960 წელს ბრაზილიაში მოკლული ანაკონდას მდედრი არ აუწონიათ, მაგრამ რადგანაც მისი სიგრძე შეადგენდა 8,45 მ და ტანის გარშემოწერილობა უდრიდა 111 სმ, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მისი წონა უნდა ყოფილიყო 227 კგ.

ანდამატური ჩხრიალა — გველი (*Crotalus adamanteus*), რომელსაც ზურგი რომბისებურად აქვს მოხატული, ბინადრობს აშშ სამხ. — აღმოსავლეთში და ის შხამიან გველებს შორის ყველაზე დიდი წონისაა. ერთი ეგზემპლარის სიგრძემ შეადგინა 2,36 მ, წონამ კი — 15 კგ. 1973 წლის თებერვალში ნიუ — იორკის ზოოპარკში (ბრონქსის ზოოპარკი) რეგისტრირებული იყო სამეფო კობრას (*Ophiophagus hannah*) სიკვდილშემდგომი მაქსიმალური წონა — 12,75 კგ. სხეულის სიგრძე იყო 4,39 მ.

### უხ უცვისნი

არსებული მონაცემებით, გველებს შორის უხუცესად ითვლება ჩვეულებრივი მახრჩობელას (*Boa constrictor constrictor*) მამრი, რომლის წლოვანებამ შეადგინა 40 წელი, 3 თვე და 14 დღე.

### ყველაზე სწრაფები

როგორც ჩანს, ხმელეთის ყველაზე სწრაფი გველია შავი მამბა (*Dendroaspis polylepis*), რომელიც მოკლე მანძილზე — ჰორიზონტალურ ზედაპირზე ავითარებს სისწრაფეს 16 — 19 კმ/სთ. ინგლისური ანკარას მაქსიმალური სისწრაფეა 6,8 კმ/ს.

### ყველაზე უხამიანები

მსოფლიოში ყველაზე უხამიანად ითვლება ფარფლკუდა ზღვის გველი (*Hydrophis belcheri*): მისი შხამი აცსტრალიური ტაიპანის (*Oxyuranus scutellatus*) შხამზე 100-ჯერ უფრო უხამიანია. ამ სახის გველები ბინადრობენ ტიმორის ზღვაში — აშმორის რიფის რაიონში — ავსტრალიის ჩრდ. — დას. სანაპირო ნაწილში.

ხმელეთის ყველაზე უხამიან გველად ითვლება ტაიპანი (*Oxyuranus microlepidotus*), რომლის სიგრძე შეადგენს 2 მ. ამ სახის გველი ბინადრობს მდ. დიამანტინას მიმდებარე რაიონებში და „კუპერს კრიკის“ (ჩენელის საგრაფო, კვისლენდი) სადრენაჟო ბაზაზე. მისი შხამი ავსტრალიის სამხ. ნაწილში და ტასმანიაზე მობინადრე ვეფხვა — გველის (*Notechis scutatus*) შხამზე 9-ჯერ

უფრო შხამიანია. ერთი ასეთი გველისაგან აღებული იყო 110 მგ შხამი, რაც საკმარისია 218 ათასი თაგვის დასაგვესვლად. არსებული მონაცემებით შრი – ლანკაში, გველის დაგვესვლისაგან იღუპება მეტი ადამიანი, ვიდრე ნებისმიერ სხვა მსგავსი ფართობის ტერიტორიაზე. ამ კუნძულზე გველების ნაკებისაგან ყოველწლიურად იღუპება 800 ადამიანი, გველის ნაკების შედეგად გამოწვეული სასიკვდილო შედეგების 97%-ის მიზეზი – ცვილონური კრაიტის ანუ კარაველას (*Bungarus ceylonicus*), ძეწკვა – გველგესლას, ბოიას (*Vipera russelli*) და ინდური კობრას (*Naja naja*) კბენაა.

დიდი ბრიტანეთის ერთადერთი შხამიანი გველია ჩვეულებრივი გველგესლა (*Vipera berus*) 1890 წლიდან დაფიქსირებულია ამ გველის კბენის შედეგად გამოწვეული 10 სასიკვდილო შედეგი (აქედან 6 ბავშვის). უკანასკნელი ტრაგიკული შედეგი მოხდა 1975 წელს: 1 ივლისს ქ. კოლანდერში (პერტშირის საგრაფო) გველმა უკბინა 5 წლის ბავშვს, რომელიც 44 საათის შემდეგ გარდაიცვალა. ამ სახის ყველაზე გრძელ ვგზემპლარად ითვლება მდ. ედრი, მოკლული 1977 წლის აგვისტოში, ფერმაზე „სამოთხე“ ვუსტერის საგრაფოში – გრემ პარკინსონის მიერ. მისი სიგრძე იყო 110,5 სმ.

#### ყველაზე ბრძელი და ყველაზე მოკლე შხამიანი გველები

მსოფლიოში ყველაზე გრძელ შხამიან გველად ითვლება აზიის სამხ. – აღმოსავლეთში და ფილიპინებზე ბინადარი სამეფო კობრა ანუ გამადრიადი (*Ophiophagus hannah*). 1973 წლის აპრილში მალაიაში, დიქსონის ფორტის (შტატი ნეგრი სემბილენი) ახლოს დაიჭირეს 5,54 მ სიგრძის ცოცხალი სამეფო კობრა. მოგვიანებით იგი მოათავსეს ლონდონის ზოოპარკში, სადაც ის დაიღუპა ომის დასაწყისში, 1939 წელს. ამ დროს იგი იყო 5,71 მ-ის სიგრძის.

ყველაზე მუკლე შხამიანი გველია აფრიკის სამხ. – დასავლეთში, ნამიბიაში, ლიტლ ნამაქუალდენში მობინადრე ხალეპიანი

ანდამატური ჩხრიალა — გველი (*Crotalus adamanteus*), რომელსაც ზურგი რომბისებურად აქვს მოხატული, ბინადრობს აშშ სამხ. — აღმოსავლეთში და ის შხამიან გველებს შორის ყველაზე დიდი წონისაა. ერთი ეგზემპლარის სიგრძემ შეადგინა 2,36 მ, წონამ კი — 15 კგ. 1973 წლის თებერვალში ნიუ — იორკის ზოოპარკში (ბრონქსის ზოოპარკი) რეგისტრირებული იყო სამეფო კობრას (*Ophiophagus hannah*) სიკვდილშემდგომი მაქსიმალური წონა — 12,75 კგ. სხეულის სიგრძე იყო 4,39 მ.

### უხ უცხენი

არსებული მონაცემებით, გველებს შორის უხუცესად ითვლება ჩვეულებრივი მახრჩობელას (*Boa constrictor constrictor*) მამრი, რომლის წლოვანებამ შეადგინა 40 წელი, 3 თვე და 14 დღე.

### ყველაზე სწრაფები

როგორც ჩანს, ხმელეთის ყველაზე სწრაფი გველია შავი მამბა (*Dendroaspis polylepis*), რომელიც მოკლე მანძილზე — ჰორიზონტალურ ზედაპირზე ავითარებს სისწრაფეს 16 — 19 კმ/სთ. ინგლისური ანკარას მაქსიმალური სისწრაფეა 6,8 კმ/ს.

### ყველაზე შხამიანები

მსოფლიოში ყველაზე შხამიანად ითვლება ფარფლკუდა ზღვის გველი (*Hydrophis belcheri*): მისი შხამი აცსტრალიური ტაიპანის (*Oxyuranus scutellatus*) შხამზე 100-ჯერ უფრო შხამიანია. ამ სახის გველები ბინადრობენ ტიმორის ზღვაში — აშმორის რიფის რაიონში — ავსტრალიის ჩრდ. — დას. სანაპირო ნაწილში.

ხმელეთის ყველაზე შხამიან გველად ითვლება ტაიპანი (*Oxyuranus microlepidotus*), რომლის სიგრძე შეადგენს 2 მ. ამ სახის გველი ბინადრობს მდ. დიამანტინას მიმდებარე რაიონებში და „კუპერს კრიკის“ (ჩენელის საგრაფო, კვისლენდი) სადრენაჟო ბაზაზე. მისი შხამი ავსტრალიის სამხ. ნაწილში და ტასმანიაზე მობინადრე ვეფხვა — გველის (*Notechis scutatus*) შხამზე 9-ჯერ

უფრო შხამიანია. ერთი ასეთი გველისაგან აღებული იყო 110 მგ შხამი, რაც საკმარისია 218 ათასი თაგვის დასაგვესვლად. არსებული მონაცემებით შრი – ლანკაში, გველის დაგვესვლისაგან იღუპება მეტი ადამიანი, ვიდრე ნებისმიერ სხვა მსგავსი ფართობის ტერიტორიაზე. ამ კუნძულზე გველების ნაკებნისაგან ყოველწლიურად იღუპება 800 ადამიანი, გველის ნაკებნის შედეგად გამოწვეული სასიკვდილო შედეგების 97%-ის მიზეზი – ცვილონური კრაიტის ანუ კარაველას (*Bungarus ceylonicus*), ძეწკვა – გველგესლას, ბოიას (*Vipera russelli*) და ინდური კობრას (*Naja naja*) კებნაა.

დიდი ბრიტანეთის ერთადერთი შხამიანი გველია ჩვეულებრივი გველგესლა (*Vipera berus*) 1890 წლიდან დაფიქსირებულია ამ გველის კებნის შედეგად გამოწვეული 10 სასიკვდილო შედეგი (აქედან 6 ბავშვის). უკანასკნელი ტრაგიკული შედეგი მოხდა 1975 წელს: 1 ივლისს ქ. კოლანდერში (პერტშირის საგრაფო) გველმა უკბინა 5 წლის ბავშვს, რომელიც 44 საათის შემდეგ გარდაიცვალა. ამ სახის ყველაზე გრძელ ვეზემპლარად ითვლება მდ. ედრი, მოკლული 1977 წლის აგვისტოში, ფერმაზე „სამოთზე“ ვუსტერის საგრაფოში – გრემ პარკინსონის მიერ. მისი სიგრძე იყო 110,5 სმ.

### ყველაზე ბრკელი და ყველაზე მოკლე შხამიანი ბველები

მსოფლიოში ყველაზე გრძელ შხამიან გველად ითვლება აზიის სამხ. – აღმოსავლეთში და ფილიპინებზე ბინადარი სამეფო კობრა ანუ გამადრიადი (*Ophiophagus hannah*). 1973 წლის აპრილში მალაიაში, დიქსონის ფორტის (შტატი ნეგრი სემბილენი) ახლოს დაიჭირეს 5,54 მ სიგრძის ცოცხალი სამეფო კობრა. მოგვიანებით იგი მოათავსეს ლონდონის ზოოპარკში, სადაც ის დაიღუპა ომის დასაწყისში, 1939 წელს. ამ დროს იგი იყო 5,71 მ-ის სიგრძის.

ყველაზე მუკლე შხამიანი გველია აფრიკის სამხ. – დასავლეთში, ნამიბიაში, ლიტლ ნამიქუალდენში მობინადრე ხალებიანი

ჯუჯა აფრიკული გველგესლა (*Bitis paucisquamata*). ზრდასრული ინდივიდების სიგრძე საშუალოდ შეადგენს 228 მმ.

#### ყველაზე დიდი უსამკბილეები

ყველაზე დიდი უსამკბილეები გააჩნია ტროპიკულ აფრიკაში მობინადრე გაბონის გველგესლას ანუ კასავას (*Bitis gabonica*). სხეული 1,83 მ სიგრძის შემთხვევაში, მისი კბილების სიგრძე აღწევდა 50 მმ. ერთი ასეთი გაბონის გველგესლა საკუთარი ნაკბენისაგან მოკვდა 1963 წლის 12 თებერვალს ფილადელფიის (პენსილვანია, აშშ) ზოოლოგიურ ბაღში. მეთვალყურეებმა აღმოაჩინეს მკვდარი გველი, რომელიც ეგდო ზურგში ღრმად ჩასობილი საკუთარი კბილებით.

#### უიშვიათესნი

მსოფლიოში უიშვიათეს გველად ითვლება ბოლიერიდების ოჯახში შემაჯალი კასარეა (*Casarea dussumieri*) – რაუნდ აილენდიდან (ინდოეთის ოკეანის დას. ნაწილი); მისი პოპულაციის რიცხოვნობამ 1982 წელს შეადგინა 58 ცალი. დიდი ბრიტანეთის სამი სახის გველიდან ყველაზე იშვიათად ითვლება ინგლისის სამხრეთში მობინადრე სპილენძა (*coronella austriaca*).

## აფიბიები – Amphibia

### ზოგადი დახასიათება

აფიბიებს ცხოველთა სამყაროში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ, რადგანაც ისინი წარმოადგენენ ზმელეთის პირველ და ყველაზე მარტივ ხერხემლიანებს. მათი წარმოშობის საკითხი მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს. აქ საყურადღებოა არა მარტო ის ფაქტი, რომ საქმე გვაქვს არა მარტო ახალი კლასის გაჩენასთან, არამედ ცხოველთა ჯგუფთან, რომლებმაც დატოვეს წყალი და

საცხოვრებელად ხმელეთზე გადავიდნენ, სადაც ცხოვრების უფრო მკაცრი პირობებია, ვიდრე წყალში. ამან განსაზღვრა მათი რთული ევოლუციური განვითარება და განაპირობა შემდგომში, შედარებით რთული ორგანიზმების გაჩენა, როგორცაა — ქვეწარმავლები, ფრინველები და ძუძუმწოვრები.

ამფიბიების წინაპრებად ნამარხი მტევანფარფლიანი თევზები ითვლებიან, რომლებიც პალეოზოური ერის დევონურ პერიოდში ფართოდ იყვნენ გავრცელებულნი, ძირითადად მერხერ წყალსატევებში. კლიმატის ხშირი ცვალებადობის გამო წყალსატევების ღონე თანდათან ეცემოდა და ხშირ შემთხვევაში შრებოდა. თავისთავად წყალსატევებში საგრძნობლად იგრძნობოდა ჟანგბადის უკმარისობა და დგებოდა მათთვის კრიტიკული მომენტი. შექმნილი მდგომარეობის გამო ზოგიერთ თევზს გაუჩნდა პრიმიტიული, ფილტვების ტომსიკები, რომლებმაც მისცა მათ საშუალება ესუნთქათ ატმოსფერული ჰაერით. ეს არ აღმოჩნდა საკმარისი გადარჩენისათვის. საჭირო იყო მყარ სუბსტრატზე გადაადგილება. გადარჩენის საშუალება მიეცათ მხოლოდ ისეთებს, რომლებსაც ფილტვების გარდა ხმელეთზე სამოდრაო კიდურები განუვითარდათ, სწორედ ასეთმა მტევანფარფლიანმა თევზებმა დაუდეს საფუძველი უძველეს ნამარხ ამფიბებს — სტეგლოციფალებს.

სტეგლოციფალების აყვავებისა და გაფურცქვნის პერიოდი დაიწყო პალეოზოურ ერაში და დამთავრდა მეზოზოურ ერაში. წარმოდგენილი იყო მთელი მრავალფეროვნებით, მათი სიგრძე მერყეობდა რამდენიმე სანტიმეტრიდან რამდენიმე მეტრამდე. მეზოზოური ერის ბოლოსათვის კლიმატი შეიცვალა, უფრო მშრალი გახდა, რამაც გამოიწვია უძველესი ამფიბიების — სტეგლოციფალების ამოწყდომა. დღეს შემორჩენილი თანამედროვე ამფიბები წარმოადგენენ მცირე ზომის ცხოველთა ჯგუფს, რომლებიც დაკავშირებული არიან მტკნარ წყალსატევებთან. უძველესი ამფიბიების გარკვეული ჯგუფი შეეგუა შეცვლილ საარსებო გარემოს და დასაბამი მისცა შედარებით პროგრესულ შტოს ქვეწარმავლებს.

ამფიბიების უმრავლესობის ქვირითი მოკლებულია მტკიცე გარსს და მხოლოდ წყალში შეუძლიათ განვითარება, წყალშივე რჩებიან ქვირითიდან გამოჩეკილი თავკომბალებიც, რომლებიც შემდეგ განიცდიან მეტამორფოზს. როგორც ხმელეთზე მცხოვრებნი ამფიბიები სუნთქავენ ფილტვებით, გააჩნიათ სისხლის მიმოქცევის ორი წრე, სამსაკნინი გული, მოძრაობენ ბურთულისებური სახსრებით განწყობილი ხუთთითიანი კიდურების მეშვეობით; ქალა ორი კეფის როკით უმოძრაოდ შეერთებულია კისრის პირველ მალასთან. სასა — კვადრატული შეზრდილია ტვინის კოლოფთან, ქალა აუტოსტილური ტიპისაა; ენისქვეშა რკალის ზედა ელემენტი — საკიდური (ჰიომანდიბულიარი) — გადაქცეულია შუა ყურის ელემენტად — უზანგად; მენჯის სარტყელი ესახსრება გავის მალეების განივ მორჩებს. სმენის ორგანო უფრო სრულყოფილია, ვიდრე თევზებში. წინა ტვინში იქმნება პირველადი თალი — არქიპალიუმი; თვალებს გააჩნიათ მოძრავი ქუთოთოები; წინა ტვინი გაყოფილია ორ ნახევარსფეროდ, მის სახურავზე ნერვული უჯრედების გროვება; მათი სხეულის ტემპერატურა დამოკიდებულია გარემოზე — მის ტემპერატურასა და ტენიანობაზე; მათთვის დამახასიათებელია გავრცელების შეზღუდული შესაძლებლობები, იგივე ითქმის გადაადგილებაზე და ხმელეთზე ორიენტაციაზე, მათი მეტაბოლიზმის დონე თევზებისაზე უფრო მაღალი; მაგრამ მათ ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვთ თევზებისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც: წყლისათვის და აირებისათვის გამჭოლი კანი შეიცავს დიდ რაოდენობით ლორწოს გამოძყოფ ჯირკვლებს; გამოძყოფი ორგანოების ფუნქციებს ასრულებენ მეზონეფროსული თირკმლები და კანი; სხეული ჰიოკილოთერმული ანუ ეგზოთერმულია. კლასი ყველაზე პატარაა სხვა ხერხემლიანებთან შედარებით, მასში გაერთიანებულია სამი რიგი და 2500-3400 სახე. ყველაზე პატარებია კუბური ჯუჯა ბაყაყი, რომლის სიგრძე 1 სმ არ აღემატება და მექსიკური უფილტვებო ჯუჯა სალამანდრა, რომლის სიგრძე 4 სმ-ია; ყველაზე დიდებია გიგანტური სალამანდრა (1,5 მ), დიდი სირენი (1 მ) და ბაყაყი — გოლიათი (40 სმ).

საქართველოში დღეისათვის ბინადრობს 9 სახე. განსაკუთრებით სახეთა მრავალფეროვნებით გამოირჩევიან ბაყაყები და გომბეშობები.

ამფიბიები იკვებებიან სხვადასხვა უხერხემლო ცხოველებით. ისინი პირს ავლებენ ყველაფერს, რაც მოძრაობს, მაშინ როდესაც საკვებად სავსებით ვარგის, მაგრამ უმოძრავო საზრდოს არ ეკარებიან. არც ერთი ამფიბია არ იკვებება მცენარეული საკვებით.

ამფიბიათა დიდ უმრავლესობას ახასიათებს გარეგანი განაყოფიერება, მაგრამ თევზებისაგან განსხვავებით ისინი ერთმანეთს უწყვილდებიან. მაგალითად მამალს წინა თითებით მაგრად უჭირავს დედალი, რასაც დიდ ბიოლოგიური მნიშვნელობა აქვს შეწყვილების დროს. ის უზრუნველყოფს სპერმისა და ქვირითის ერთდრულ გამოყოფას, ამასთან სპერმა უშუალოდ კვერცხებზე გამოიყოფა, რაც ამ უკანასკნელთა განაყოფიერების პროცენტს — ზრდის. ტრიტონების მამრები დებენ სპერმატოფორებს, ისინი წყალში ირგვლივ მყოფ საგნებს ემეგრებიან, დედალი კი იტაცებს მათ კლოაკის კიდეებით. განაყოფიერება მიმდინარეობს ჩვეულებრივად ორგანიზმის შიგნით. ბევრი ამფიბია (მამრები) გამრავლების დროს ხმას გამოსცემენ, რასაც ხელს უწყობს საგანგებო ბგერის პარკები — რეზონატორები, რომლებიც აძლიერებენ მამრის მიერ გამოცემულ ბგერებს.

ამფიბიები ათასობით კვერცხს დებენ. თავკომბალების ზრდისა და განვითარების სიჩქარე დამოკიდებულია ტემპერატურასა და წყალში გამოყოფილი ცხოველმოქმედების პროდუქტების (მეტაბოლიტების) მემეობით განხორციელებულ ურთიერთქმედებაზე, რაც რიცხოვნობის რეგულაციის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ამფიბიათა შორის არიან ისეთი ფორმებიც, რომელთა განვითარება ნაწილობრივ ან სულ არაა დაკავშირებული წყალსატევებთან, რაც „მთამომავლობაზე ზრუნვის“ გამოხატულებაა. განვითარების პროცესში კვერცხები შეიძლება სხეულის სპეციალურ წარმონაქმნებში იმყოფებოდნენ. ასე მაგალითად, ზოგიერთი ამფიბია განაყოფიერებულ კვერცხებს მუცლის არეში

იწებებს, ზოგიც კიდურების მიდამოებში, ზოგიერთი მათგანი განაყოფიერებულ კვერცხს ზურგის ნაოჭებში ითავსებს. ამფიბიების ნაწილი, კერძოდ დარვინისეული რინოდერმა განაყოფიერებულ კვერცხებს რეზონატორებით დაატარებს, ზოგიც პირის ღრუში ითავსებს და თავკომბალების გამოჩენამდე ატარებს. აფრიკის უდაბნოს გომბეშოებს ახასიათებთ ცოცხალმშობიარობა.

ამფიბიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბუნებრივ თანასაზოგადოებებში – ბიოცენოზებში. მათი რიცხვი საკმაოდ დიდია, ზოგჯერ პოპულაციების სიმჭიდროვე საქართველოში აღწევს ათეულ, ზოგჯერ ასეულ ეგზემპლარს 1 ჰა ფართობზე. განსაკუთრებით დიდია თავკომბალებისა და მეტამორფოზდამთავრებული მწვანე გომბეშოების რაოდენობა, რომლებიც წყალსატევებიდან მიგრაციის პერიოდში ქმნიან უზარმაზარ გუნდებს (ზოგჯერ 12მ-ზე მათი რიცხვი ასეულებს შეადგენს). ამფიბიების საკვებში ბევრია მანებლები და დაავადებების გადამტანი მწერი. ამასთან ერთად ამფიბიების უმრავლესობა ნადირობს ღამით, მაშინ როდესაც სძინავთ მწერიჭამია ფრინველებს და მათი რაოდენობა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ფრინველებისა. გარდა ამისა, ისინი იკვებებიან არასასიამოვნო სუნისა და გემოს მქონე მწერებითაც.

ზოგჯერ ტბის ბაყაყებს ზიანის მოტანაც შეუძლია. ისინი თევზმეურნეობებში ლიფსიტებს ანადგურებენ, თუმცა საქართველოს მაგალითზე ისინი უმნიშვნელო როლს თამაშობენ – პირიქით, ამფიბიებს საკვებად იყენებენ ქვეწარმავლები, ფრინველები და ძუძუმწოვრები.

ბაყაყები ოდითგანვე ითვლებოდა და დღესაც ითვლება მთელს მსოფლიოში „ლაბორატორიულ ცხოველებად“, რის გამოც მას „მეცნიერებისაგან წაგებული“ ცხოველი შეარქვეს. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მათ საკვებად იყენებენ, კერძოდ სამხრეთ ამერიკის, აფრიკის, ცენტრალური ევროპისა და აზიის ქვეყნებში მათგან შესანიშნავ კერძებს ამზადებენ, რომელიც ძალზე ძვირად ფასობს.

ამჟამად მრავალ ამფიბიას განადგურება ელის. ამის მიზეზი ბევრია და ყველა მათგანი ასე თუ ისე ადამიანის მოქმედებასთან

არის დაკავშირებული. მთავარი მანც წყალსატევის გაბინძურება და დანაგვიანებაა, ხოლო ზოგ შემთხვევაში წყალსატევის საერთო გაქრობა, რის გამოც მთლიანად მოისპო მცირეაზიური ტრიტონის ზოგიერთი პოპულაცია, საფრთხის წინაშე აღმოჩნდა აგრეთვე საქართველოს ენდემი — კაკასიური სალამანდრა. საქართველოში ის დღეისათვის გავრცელებულია ბორჯომის, კინტრიშისა და აჭარისწყლის ხეობებში, ხოლო მის ფარგლებს გარეშე თურქეთის ჩრდილო — აღმოსავლეთით. თურქეთში ფაუნისტური ექსპედიციის პერიოდში რეგისტრირებული იქნა ჭოროხის სათავეში. არეალის ფარგლებში ყველგან დაუცველია. ბევრი სალამანდრა ილუპება მორების დაცურების დროს, მას დიდი რაოდენობით იჭერდნენ ანგარების მიზნით ჩამოსული საქმოსნებიც, ადგილობრივი მოსახლეობაც საკმაოდ მტრულად უყურებს მას და ანადგურებს კიდევ.

იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგარი ამფიბიების შენარჩუნების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია მოსახლეობაში ფართო ახსნა — განმარტებითი მუშაობის ჩატარება, ეროვნული პარკებისა და ნაკრძალების რეჟიმის მკაცრი დაცვა, ჩაკეტილი წყალსატევების გაბინძურებისაგან დაცვა, ამფიბიების ხელოვნური აღწარმოების ორგანიზება და შემდგომ მათი ბუნებაში გაშვება, ტბის ბაყაყის საექსპორტოდ მასობრივი დამზადების აკრძალვა და მასზედ მკაცრი კონტროლის დაწესება, რადგანაც ჩვენს პირობებში არ არის შესწავლილი ტბის ბაყაყის ბიომასა და კვლავწარმოების ტემპები. უკონტროლობამ შეიძლება ამფიბიების ამ ფორმების სრულ გაქრობამდე მიგვიყვანოს.

წიგნში განხილულია აჭარაში გავრცელებული ამფიბიებიდან, გადაშენების საშიშროების წინაშე მდგარი სახეობები. მოცემულია მათი სტატუსი, გავრცელების დღევანდელი მდგომარეობა და სხვა პარამეტრები.


ამფიბიები  
АМФИБИИ ИЛИ ЗЕМНОВОДНЫЕ  
Amphibia

იშვიათი სახეობები

მცირეაზიური ტრიტონი  
МОЛОАЗИАТСКИЙ ТРИТОН


*Triturus vittatus* Jenyns, 1835

რივი – კუდიანი ამფიბიები – *Caudate*  
ოჯახი – სალამანდრისებრნი – *Salamandridae*



სტატუსი – ამიერკავკასიის ენდემი, იშვიათი, გადაშენების გზაზე მდგომი სახეობაა.

გავრცელება – გავრცელებულია კავკასიაში, მცირე აზიაში, სირიაში. საქართველოში გვხვდება თელავის, ბორჯომის, წყალტუბოს, ოზურგეთის, გაგრის, სოხუმის რაიონებში, თბილისის მიდამოებში, ფოთისა და ლაგოდეხის რაიონებში. აჭარაში ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ბათუმის მიდამოებში გვხვდება. ვერტიკალურად აღწევს 2750 მ-მდე ზღვის დონიდან.



*ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მღვდმარეობა* — ბინადრობს ტბებში, ტბორებში, გუბეებში, ჭაობებში. ზაფხულსა და ზამთარს ატარებს ხმელეთზე. იმალება ქვების ქვეშ, ხეების ქვეშ, მცენარეთა ფესვებში და ჩამოცვენილი ფოთლებისა და ტოტების ქვეშ. სხვა დროს წყალსატევებში ცხოვრობს. ადგილსამყოფელი ძირითადად უცვლელია. ზოგან განიცდის ადამიანის ზემოქმედებას.

*რიცხვონობა ბუნებაში* — ზუსტი ცნობები რიცხვონობის შესახებ არ გავაჩნია. „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნის“ მიხედვით გამრავლების პერიოდში შეიმჩნევა წყალსატევის ირგვლივ 100 მ-ის რადიუსით ტრიტონების თავმოყრა. სხვა დროს ხმელეთზე იშვიათობაა. ყველგან მცირერიცხოვანია.

*გამრავლება* — მრავლდება აპრილ — ივნისში. მდედრი ტრიტონი ქვირითს ყრის წყალში, რომელსაც წყალქვეშა მცენარეებზე ამაგრებს. ლარვა მეტამორფოზს ამთავრებს მაშინ, როდესაც მიაღწევს 28-32 მმ სიგრძეს.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* — კონკურენტები ცნობილი არ არის. ბუნებრივი მტრებიდან აღსანიშნავია, ბაყაყები და თევზები, რომლებიც დიდი რაოდენობით სპობენ თავმოკომბალებს. მათ სპობენ მოცურავე ხოჭოებიც. დაავადებები ცნობილი არ არის.

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* — შესაფერისი ადგილსამყოფელის ნაულებობა, შემაწუხებელი ფაქტორების ზრდა.

*ტყვეობაში მყოფი ამფიბიების რაოდენობა* — დაწვრილებითი ცნობები არ არის. ინახვენ ლაბორატორიებში.

*გამრავლება ტყვეობის პირობებში* — სათანადო ხელშემწყობისას ტყვეობის პირობებში ადვილად მრავლება.

*დასაცავად მიღებული ზომები* — როგორც ვიწრო არეალის მქონე სახეობა შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“, „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* — აჭარაში მცირეაზიური ტრიტონის ადგილ — სამყოფელისა და არეალის დადგენა — დაზუსტება, მოსახლეობაში ახსნა — განმარტებითი მუშაობის ჩატარება.

*ინფორმაციის წყაროები* — „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982 წ.; „საბჭოთა კავშირის წითელი წიგნი“, 1984 წ.

*კავკასიური გრძელკუდა სალამანდრა*

*КАВКАЗСКАЯ САЛАМАНДРА*

*Mertensiela caucasica Waga, 1876*


*რივი* — *კუდიანი ამფიბიები* — *Caudata*

*ოჯახი* — *სალამანდრიანები* — *Salamandridae*

*სტატუსი* — ენდემი.

*გავრცელება* — გავრცელებულია ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში. საქართველოში გვხვდება აჭარა — იმერეთის ქედზე და თრიალეთის ქედის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში. აჭარაში მტირალას მთაზე აღმოჩენილია ამ ცხოველის ახალი ქვესახე — ჯანაშვილის სალამანდრა.


*ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა* — მთის ცივი ნაკადულები, ტენიანი ღელები, 500 მეტრიდან 2800 მეტრამდე ზღვის დონიდან. დროდრო შედის მთასტეპის ზონაში. ეწევა ღამურ



ცხოვრებას. დღისით იმალება კლდეთა ნაპრალებში, პატარა ნაკადულის ჩახერვილ ადგილებში, ქვის ქვეშ, ნიადაგში, სანაპირო ზოლში – გვიმრანაირებში, ბუჩქოვანი მცენარეების ფესვებში.

**რიცხოვნობა ბუნებაში** – საშუალოდ რეგისტრირებულია 10 ინდივიდი 1 კმ-ის ფარგლებში. ოპტიმალურ პირობებში – სანაპირო ზოლის გასწვრივ 40-მდე ინდივიდი. უკანასკნელ წლებში შეინიშნება რიცხოვნობის კლებაღობა.

**გამრავლება** – კვერცხისმდებელია, ივნისს – ივლისში მდებრი 90-მდე კვერცხს დებს წყალში (ზოგიერთი მონაცემებით 30-50),



რომელსაც ამგვრებს ქვებზე ან წყალში ჩაცვენილ ფოთლებზე, ქვიროთის ყრის მთის ნაკალუბის თხელ და წყნარ ადგილებში, რომლებიც ადვილად თება მზისაგან. განვითარების ვადები ცნობილი არ არის.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* — ცნობები არ მოიპოვება.

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* — ცნობები არ მოიპოვება.

*ტყვეობაში ამფიბიების რაოდენობა* — ცნობები არ მოიპოვება.

*გამრავლება ტყვეობის პირობებში* — ცნობები არ მოიპოვება.

*დასაცავად მიღებული ზომები* — დაცულია კინტრიშისა და მტირაღას ნაკრძალებში.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* — მოსახლეობაში ახსნა — განმარტებითი მუშაობის ჩატარება. როგორც ბიოცენტრის, ასევე მეცნიერ — მუშაკების მიერ სალამანდრების მოპოვების აკრძალვა.

*ინფორმაციის წყაროები* — „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982 წ; „საბჭოთა კავშირის წითელი წიგნი“, 1984 წ; რ. ტარტარაშვილი, მ. ბაქრაძე — კავკასიური სალამანდრას ახალი ქვესახე დასავლეთ საქართველოში, საქ. მეც. აკადემიის მოამბე, 133, 1, 1989 წ.

### *კავკასიური ჯვარულა*

### **КАВКАЗСКАЯ КРЕСТОВКА**

*Pelodites caucasicus Boulenger, 1896*

*რივი — უკულო ამფიბიები — Anura*

*ოჯახი — ყოტისებრნი — Pelobatidae*

*(გვარის ერთ — ერთი იმ ორ სახეობათაგან,*

*რომლებიც მსოფლიო ფაუნაშია შეტანილი)*

*სტატუსი* — CR — ამიერკავკასიის ენდემი, იშვიათი, გადაშენების გზაზე მდგარი სახეობაა.


*გავრცელება* — მოიპოვება კავკასიაში, საქართველოში გავრცელებულია ბორჯომის რაიონში, ლაგოდეხის მახლობლად, სახრეთ ოსეთში, სპორადულად აფხაზეთში. აჭარაში ის გვხვდება მეტ — ნაკლებად ყველა რაიონში.

*აღელსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა* – ბინადრობს ტბების, ტბორების, მდინარეების, ნაკადულების სანაპიროებთან. ვერტიკალურად ვრცელდება 2300 მ-მდე ზღვის დონიდან.



*რიცხოვნობა ბუნებაში* – ყველგან მცირერიცხოვანია. ზუსტი ცნობები რიცხოვნობის შესახებ არ გაგვაჩნია. ცნობილია, რომ გამრავლების პერიოდში ხდება მათი თავმოყრა წყალსატევების სანაპირო ზოლში 100 ინდივიდამდე 1 კმ-ზე. უკანასკნელ წლებში შეინიშნება რიცხოვნობის შემცირება.

*გამრავლება* – კავკასიური ჯგირიანა სქესობრივად 3-4 წლის ასაკში მწიფდება. მდედრი ივნისს – აგვისტოში 300-500-მდე ქვირთს ყრის დამდგარ წყალსატევებში ან ნელა გამდინარე მდ-



ინარეებში. ქვირითი პატარ-პატარა პორციების სახით ემაგრება წყალსატევებში ჩაცვნილ ტოტებზე ან მოცურავე ფოთლებზე. ლარვის მეტამორფოზი გრძელდება 75-80 დღემდე და, როგორც წესი, მთავრდება მოძღვენო წლის გაზაფხულზე.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* — კონკურენტები ცნობილი არ არის.

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* — შესაფერისი ადგილსამყოფელის ნაკლებობა, წყალსატევების დაბინძურება, შემაწუნებელი ფაქტორების ზრდა.

*ტყვეობაში მყოფი ამფიბიების რაოდენობა* — ცნობილი არ არის.

*გამრავლება ტყვეობის პირობებში* — ცნობები არ მოგვეპოვება.

*დასაცავად მიღებული ზომები* — შეტანილია „საერთაშორისო წითელ წიგნში“, „საქართველოს წითელ წიგნში“, „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* — მოსახლეობაში ფართო ახსნა — განმარტებითი მუშაობის ჩატარება.

*ინფორმაციის წყაროები* — „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982 წ.; „საბჭოთა კავშირის წითელი წიგნი“, 1984 წ.

## ამფიბიები „ბინჟის რეპორტების წიგნიდან“

### ყველაზე მსხვილები

მყვარების ყველაზე მსხვილი სახეა — გიგანტური ჩინური სალამანდრა ზაი — იუ (*Andrias dividi*), რომელიც ბინადრობს ჩინეთის ჩრდილო — აღმოსავლეთ, ცენტრალურსა და სამხრეთ ნაწილებში. ზრდასრული ინდივიდების საშუალო სიგრძე აღწევს 114 სმ, წონა შეადგენს 25-30 კგ. ზუნანის პროვინციაში დაჭერილია სალამანდრა სიგრძეში აღწევდა 180 სმ და იწონიდა 65 კგ.

დიდ ბრიტანეთში მობინადრე მყვარებიდან უმსხვილესია ჩვეულებრივი გომბეშო (*Bufo bufo*). მარლაპიტ პონდში (ბოქსლი, კენ-

ტი) დაჭერილი მდედრი სიგრძეში — ღინგის წვერიდან კუდამდე — აღწევდა 99 მმ, მისი წონა კი შეადგენდა 118 გ.

#### ყველაზე პატარები

ცნობილი მყვარებიდან ყველაზე პატარად ითვლება მხოლოდ კუბაზე მობინადრე ჯუჯა ბაყაყი (*SMinthillus limbatus*); ზრდასრული ინდივიდების სხეულის სიგრძე ღინგის წვერიდან კუდამდე შეადგენს 8,8 — 12,4 მმ.

დიდ ბრიტანეთში აღწერილი მყვარებიდან უმცირესად ითვლება აკვეზოსანი ტრიტონი (*Triturus helveticus*); მისი ზრდასრული ინდივიდების სიგრძე შეადგენს 7,5 — 9,2 სმ, წონა კი 2,39 გ.

ლერწმის გომბეშოს (*Bufo calamita*) სიგრძე წვერიდან კუდამდე მხოლოდ 80 მმ-ია; ეს ცხოველი გამოირჩევა მეტისმეტი მოუქნელობით.

#### დღეგრძელები

მაქსიმალური წლოვანება დაფიქსირებული მყვარებისათვის უდრის 55 წელს; ამ ასაკში, 1881 წელს ქ. ამსტერდამის (ნიდერლანდები) ზოოპარკში მოკვდა გოლიათი იაპონური სალამანდრა ანუ ხანზაკი (*Megalobatrachus japonicus*).

#### უიშვიათესი

მსოფლიოში უიშვიათეს მყვარად ითვლება ხულეხის ტბაზე მობინადრე მრგვალენიანი ბაყაყი (*Discoglossus nigriventer*). 1940 წლიდან დღემდე აღმოჩენილია ამ ბაყაყის მხოლოდ 5 ეგზემპლარი.

დიდ ბრიტანეთში უიშვიათესი მყვარია ამ ქვეყანაში შემოყვანილი ვასაკა (*Hyla arborea*), რომელიც ამჟამად მხოლოდ ერთ ადგილას ბინადრობს — ლონდონის ზოოპარკში.

#### ყველაზე მსხვილები

ცნობილებიდან ყველაზე მსხვილად ითვლება კამერუნსა და ეკვატორულ აფრიკაში მობინადრე ბაყაყი — გოლიათი (*Conraua*

giliath). 1960 წლის 23 აგვისტოს მდ. მბიაზე (ეკვატორული აფრიკა) მოპოვებული იყო მღვდრი, რომელიც იწონიდა 3306 გ. მისი სიგრძე ღინგის წვერიდან კუდამდე შეადგენდა 34 სმ, ხოლო გაჭიმული ფეხებიანად 81,5 სმ. 1966 წლის დეკემბერში ამავე მდინარეში მოპოვებული იქნა უფრო გრძელი მღვდრი: მისი სიგრძე აღწევდა 35,6 სმ, წონა — 3100 გ.

დიდი ბრიტანეთში უდიდესი ბაყაყია აქ შემოყვანილი ტბის ბაყაყი (*Rana ridibunda*). ზრდასრულ მამრებს ღინგის წვერიდან კუდამდე სიგრძე აქვთ 96 მმ, მღვდრებს კი 133 მმ; მათი წონა მერყეობს 60-დან 95 გ-მდე.

ტყვეობაში მყოფებიდან, დიდ ბრიტანეთში ამჟამად უდიდესია აფრიკული ხარ — ბაყაყას (*Pyxicephalus adspersus*) მამრი, სახელად კოლოსუსი. ეს ბაყაყი „დაიბადა“ 1978 წელს. იგი ეკუთვნის სტივ კრაბტრის (საუთსის რაიონი, ჰრატინგტონი); მისი სიგრძე ღინგის წვერიდან კუდამდე შეადგენს 22,2 სმ, ტანის გარსემოწერილობა — 45,7 სმ, წონა — 1,89 კგ.

#### ყველაზე ბრძელი ნახტომი

ბაყაყების შეჯიბრებები ხტომაში შედგება სამი თანმიმდევრული ნახტომისაგან. მაქსიმალური მანძილი, რომელიც ასეთ სამმაგ ნახტომში დაძლია ბაყაყმა 10,3 მ-ია. ასეთი მანძილი დაფარა სამხრეთაფრიკულმა ვიწროღინგა ბაყაყმა (*Rana oxyrhyncha*), სახელად სანტიემ 1977 წლის 21 მაისს პაულ — პიტერსბურგში (ნატალი) გამართულ შეჯიბრებაში „ბაყაყების დერბი“.

ანჯელს — კემპში (კალიფორნია, აშშ) გამართულ კალავერის ფართოდ ცნობილ ყოველწლიურ სანახტომო იუბილეზე 1986 წლის 18 მაისს ამერიკული კამეჩა — ბაყაყი (*Rana catesbeiana*), სახელად როზი რიბერტი, რომლის პატრონი და მწვრთნელია სანტაკლარელი (კალიფორნია, აშშ) ლი გვიდინი, გადახტა 6,55 მ-ზე. სანტიემ ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა, რადგანაც მონაწილეებისათვის სავალდებულო იყო არანაკლებ 10,16 სმ (ღინგის წვერიდან კუდამდე) „უკანა ნაწილის“ ქონა.

### ყველაზე მსხვილი გომბაეშო

ყველაზე მსხვილი გომბეშოა, როგორც ჩანს, სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ რაიონებში ავა (*Bufo marinus*). ვეებერთელა ზომის მღვდრი ნაპოვნი იყო 1965 წლის 24 ნოემბერს მირაფლორეს ვაუპესში (კოლუმბია) და რამდენიმე ხნის შემდეგ მას აჩვენებდნენ ბრონქსის (ნიუ-იორკი) ზოოპარკის ტერარიუმში. სიკვდილის მომენტისათვის იგი იწონიდა 1302 გ და მისი სხეულის სიგრძე ღინგის წვერიდან კულამდე შეადგენდა 23,8 სმ.

ღიდი ბრიტანეთში უდიდეს და უძიმეს მყვარად ითვლება ჩვეულებრივი გომბეშო. კენტში ნაპოვნი მღვდრი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ზომებით: მისი სიგრძე ღინგის წვერიდან კულამდე შეადგენდა 99 მმ, წონა კი 118 გ.

### ყველაზე პატარა გომბაეშო

მსოფლიოში ყველაზე პატარა გომბეშოდ ითვლება ბეირას გომბეშო (*Bufo beiranus*), პირველად აღმოჩენილი 1906 წ. ბეირასთან ახლოს (მოზამბიკი, აღმოს. აფრიკა). ამ სახის ზრდასრული ინდივიდების სხეულის სიგრძე ღინგის წვერიდან კულამდე აღწევს 24 მმ-ს.

### ყველაზე შხამიანები

ყველაზე აქტიურ შხამად ითვლება ბატრაქოტოქსინი, გამოყოფილი კოლუმბიის (სამხრეთ ამერიკა) დასავლეთ ნაწილში მობინადრე ფოთოლძროშია ბაყაყის კანის ჯირკვლებიდან; იგი 20-ჯერ უფრო შხამიანია ყველა ცნობილი შხამიანი ბაყაყის შხამზე. ზრდასრული ბაყაყის საშუალოდ გააჩნია 1100 მგ შხამი: ამ რაოდენობის შხამს შეუძლია 2200 ადამიანის მოკვლა.

## თევზები – Pisces

საქართველოს შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის ერთ – ერთი მნიშვნელოვანი გეო – პოლიტიკური და ეკონომიკური ადგილი უჭირავს, განსაკუთრებით მდიდარია ჰიდროსერსებით. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე 25000 -ზე მეტი მცირე და დიდი მდინარეა, რომელთა ჯამური სიგრძე 55000 კმ შეადგენს. აქ არის 1000-ზე მეტი ტბა, 1400 მინერალური წყარო, ხოლო შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლი შეადგენს 320 კმ-ს. შიგაწყალსატევებსა (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები) და შავი ზღვის სანაპირო ზოლში გავრცელებულია 169 სახეობის თევზი, რომელთა უმრავლესობა სამრეწველო ხასიათისაა, არიან რელიქტებიც და იშვიათი ფორმებიც, რომლებიც ექვემდებარებიან დაცვას.

ყოველივე ამის გამო უნდა გვეფიქრა, რომ თევზმეურნეობა საქართველოს ერთ – ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი იქნებოდა, რადგანაც მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური თევზმეურნეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს შიგა საჭიროებისა და ნაწილობრივ ექსპორტისთვისაც. მაგრამ ეს ასე არ არის; სამწუხაროდ, კვების მრეწველობის ეს ერთ – ერთი მნიშვნელოვანი დარგი ჩვენში ჯერჯერობით არ არის სათანადოდ განვითარებული, ხშირ შემთხვევაში ის კერძო მრეწველთა ხელში მოექცა, რითაც ზარალდება როგორც ბუნება, ისე სახელმწიფო ხაზინაც.

### მოკლე ცნობები თევზების წარმოშობის შესახებ

თევზების ნაშთები (ანაბეჭდები) ცნობილია გვიანი სილურიდან, ხოლო ქვედა დეკონურ ნალექებში – ნაპონია თევზების უკვე რამდენიმე ჯგუფის ნაშთები. ამრიგად, თევზების ზეკლასის ჩამოყალიბება, პრიმიტიული თევზების წარმოშობა და მათი დივერგენცია – ხდებოდა სილურის დასაწყისში და შუა სილურში. ვარაუდობენ, რომ თევზების წარმოშობა უკავშირდება მტკნარ წყალ-

სატყეებს (რაც პალეონტოლოგიურადაც დასტირდება), უფრო მოგვიანებით კი თევზების სხვადასხვა ჯგუფები დამოიკუდებლად და მრავალჯერადად აღწევდნენ ზღვებამდე და იწყებდნენ იქ ბინადრობას; ამასთან, ზოგიერთები, მეორეულად, კვლავ უბრუნდებოდნენ მტკნარ წყალსატყეებს. თევზების განათხარი ფორმების საერთო სიმცირე და მათი ცუდი დაცულობა განაპირობებს ცალკეული ჯგუფების ჩამოყალიბება — განვითარების, ევოლუციის, გადაშენების არასაკმარისად შესწავლის ხასიათს. რიგ შემთხვევაში ევოლუცია კონკრეტულად მიმდინარეობდა: საკმაოდ დაშორებული ჯგუფების წარმომადგენლები ერთნაირ პირობებში ბინადრობის გამო, იმუშავებდნენ მსგავს შეგუებით თვისებებს და მათი მორფო — ფიზიოლოგიური თავისებურებები მეორეულად ემსგავსებოდნენ ერთმანეთს. სავარაუდოა, რომ თევზები გამოცალკევდნენ მტკნარი წყლის პრიმიტიული პტერასპილდომორფებისაგან (განსხავებულფარიანი მრავალპირიანებისაგან) — სილურის დასაწყისში. პირველადი პრიმიტიული პირყბიანებისაგან წარმოიშვა ორი ჯგუფი: ჯავშნოსნები და ყბალაყუჩიანები.

პლაკოდერმის ანუ ჯავშნოსანი თევზების კლასი აერთიანებს წვრილსა და საკმარისად მსხვილ თევზებს, რომლებსაც თავი და სხეულის წინა ნაწილი დაფარული ჰქონდათ ძვლოვანი ფირფიტებისაგან შედგენილი ერთგვარი ჯავშნით. ამასთან, სხეულის უკანა ნაწილი ან შიშველი რჩებოდა ან ქერცლით იყო დაფარული.

ყბალაყუჩიანი თევზების კლასი აერთიანებდა წვრილი და საშუალო ზომის თევზებს, რომლებსაც ჰქონდათ სხეულის თითისტარისებური ფორმა: ისინი ბინადრობდნენ ჩქარწყლიან მდინარეებში და სწრაფმოძრავნი იყვნენ, მათი თავი და ტანი დაფარული იყო ძვლოვანი ფირფიტებით და მრავალრიცხოვანი ქერცლით, რომლებიც განოიდურ ქერცლებს წააგავდნენ. ქალა ხრტილოვანი იყო, ზოგჯერ ნაწილობრივ გამძალებული. ამ კლასის წარმომადგენლები — შუა დევონიდან ზღვებშიაც განსახლდნენ, ხოლო შუა პერმისათვის კი ამოწყდნენ. ჰიპოთეტური პრიმიტიული ლაყუჩიანებისაგან დევონის დასაწყისში გამოცალკევდნენ ხრტილოვანი

თევზები, ხოლო პრიმიტიული ლაყუჩებიანების მეორე ჯგუფმა კი — სილურის ბოლოსათვის — დასაბამი მისცა ძვლოვან თევზებს.

შუა დევონის ნალექებში გვხვდება ზვიგენისებრი ხრტილოვანი თევზები — კლადოსელახიები, რომლისგანაც შუა დევონში გამოცალკეულნენ ნამდვილი ზვიგენისებრი თევზები — ფირფიტლაყუაჩიანები ანუ ელასმობრანხიები, რომლებმაც შეინარჩუნეს მთელი რივი ნიშნები თავიანთი წინაპრებისაგან.

დევონის ბოლოს და კარბონში უკვე ჩნდებიან — ბრადიოდონტები (ზღვის ფსკერული ფორმები), რომლებიც ძირითადად მოლუსკებით იკვებებოდნენ.

დევონის დასაწყისში და შუაში სარკობტერიგიები დაიყო ორ ჯგუფად — მტევანფარფლიან და ორგვარადმსუნთქავ თევზებად, რომლებმაც განაგრძეს ევოლუცია დამოუკიდებლად.

მტევანფარფლიანები მოიცავდა აქტიურ მტაცებლებს, კარგად განვითარებული კბილებით. უმრავლესობა მტკნარწყლიან წყალსატევებში ბინადრობენ, ხოლო პალეოზოური ერის დასასრულს საცხოვრებლად გადავიდნენ ზღვაში; მრავალრიცხოვანი იყვნენ პალეოზოისა და ტრიასში; ნაპოვნი იქნა ცარცულ ნალექებშიც. სენსაციური იყო ლატიმერიის პოვნა 1938 წელს (დღეისათვის დაფიქსირებულია მათი მთელი ჯგოფი).

ორგვარადმსუნთქავი თევზები ცნობილია შუა დევონიდან. ეს ჯგუფი მრავალრიცხოვანი არასოდეს არ ყოფილა. პალეოზოურ ფორმებს გააჩნდათ ფილტვები; ამ დროს ისინი გავრცელდნენ მთელს მსოფლიოში, მაგრამ ერის დასასრულისათვის ამოწყდნენ. ტრიასში წარმოიშვნენ ფორმები, რომლებმაც დღევანდელამდე მოაღწიეს.

პერმში წარმოიშვნენ ამიისნაირთა და ჯავშნოსნართა რიგებიც, რომლებმაც ძლიერ განვითარებას მიაღწიეს იურულსა და ცარცის დასაწყისში. ამია ცნობილია ეოცენიდან.

ნამდვილი ძვლოვანი თევზები პირველად გამოჩნდნენ შუა ტრიასში, მრავალრიცხოვანი იყვნენ ცარცში და უდიდეს განვითარებას მიაღწიეს კაინოზოურ ერაში. თანამედროვე ძვლოვანი თევზები აერ-

თანებს 20 ათასამდე ამჟამად ცნობილ სახეს (თანამედროვე თევზების 90%), ხოლო 10% მოდის ხრტილივან თევზებზე.

### თევზების ზოგადი ნიშნები

თევზები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ხრტილოვანი და ძვლოვანი, რომელთაც ახასიათებთ განსხვავებული ნიშან — თვისებები, რაც მდგომარეობს შემდეგში (რადგანაც წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის, სპეციალისტებისათვის, სტუდენტებისათვის, მოსწავლეებისათვის მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მათი განხილვა ცალკე — ცალკე):

### ხრტილოვანი თევზები

ამ კლასში გაერთიანებული თევზები ძირითადად ზღვების ბინადრებია, მხოლოდ რამდენიმე სახე ბინადრობს მტკნარწყლიან წყალსატევებში. მათთვის დამახასიათებელია ამფიცელური ტიპის მალეები; ქალა ამფისტილური ან ჰიოსტილურია, არ გააჩნიათ საცურაო ბუშტი; ნაწლავებში გააჩნიათ სპირალური საქრველი; გულთან დაკავშირებულია არტერიული კონუსი; განაყოფიერება შინაგანია; მამრებს მუცლის ფარფლებზე უვითარდებათ საკოპულაციო ორგანო — პტერიგოპოდიუმები, კვერცხები მსხვილია. გარშემორტყმულია რქოვანი გარსით; ზოგიერთი სახე კვერცხ-ცოცხალმშობი ან ცოცხალმშობია; კანი დაფარულია პლაკოიდური ქერცლით ან შიშველია; კუდი პეტეროცრკალურია. სხეულის ზომები მერყეობს 15 სმ-დან (წვრილი სკაროსები) 15-20 მ-მდე (მსხვილი ზვიგენები), წონა რამდენიმე გრამიდან 15-20 ტონამდე.

ხრტილოვანი თევზების უმრავლესობა დღეისათვის ამომწყდარია, არსებული კი წარმოდგენილია ზვიგენებით, სკაროსებით და ქიპერებით. შავ ზღვაში ბინადრობს ორი სახის ეკლიანი ზვიგენი: ქიცვისებური და ლაქებიანი ზვიგენი ანუ კატრანი, რომელთა სიგრძე არ აღემატება 1-2 მ-ს, იკვებებიან კიბოსნაირებით, სხვადასხვა უხერხემლო ცხოველებით და თევზებით, ეწევიან ჯგუფურ ცხოვრებას. სქესმწიფობას აღწევენ 19 წლის ასაკში.

კვერცხოცხალმშობები არიან: განაყოფიერებიდან 6-7 თვის შემდეგ მდღერი ყრის 12-30 ლიფსიტს, ცოცხლობენ 80 წლამდე. გამოიყენება საკვებად. ადამიანისათვის სრულიად უშიშარი.

### კვლოვანი თევზები

ჯგუფის წარმომადგენლები პრაქტიკულად დედამიწის ზურგზე განლაგებულ ყველა აკვატორიებს იკავებენ (მათ შორის მიწისქვეშა წყლებსაც). ხერხემლიან ცხოველთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ფორმებითაა წარმოდგენილი (20-22 ათასამდე სახეობას აერთიანებს). კანი იშვიათ შემთხვევაში შიშველია, საერთოდ დაფარულია განოიდური, ძვლოვანი ან კოსმოიდური ქერცლით; შინაგანი ჩონჩხი ძვლოვანია; ქალა ჰიოსტილური, აუტოსტილური ან აფმისტილურია; კუდი დიფიცერკალური, ჰომოცერკალური ან ჰეტეროცერკალურია. გააჩნია კანის ძვლოვანი სასურავით დაფარული 5 წველი ლაყუნის ნაპრალი; საყლაპავი მილის დასაწყისში ჩნდება საცურავი ბუმბი, რომელიც ზოგიერთ ფორმაში მეორეულადაა რედუცირებული; ზოგიერთ სახეს გააჩნია ფილტვი — საყლაპავი მილის დასაწყისის ვერტიკალური გამობერილობის სახით. უმრავლესობისათვის დამახასიათებელია არტერიული ბოლქვის არსებობა; განაყოფიერება გარეგანია, ხოლო იმ ფორმებში, სადაც განაყოფიერება შინაგანია, მამრების საკოპულაციო ორგანო წარმოიქმნება ანალური ფარფლის შემცვლელი ნაწილით (ხრტილოვანი თევზებში წარმოდგენილია მუცლის სახეშეცვლილი ფარფლებით); კვერცხებს არ გააჩნია რქოვანი კაფსულები. საკვები მეტად განსხვავებულია. სხეულის ფორმა ნაირგვარია. ზომა ვარირებს 1,5 სმ-დან 5,5 მ-მდე, მასა რამდენიმე გ-დან 1,5 ტ-მდე.

თევზების როლი აკვა — ბიოცენოზებში უდიდესია: ისინი არიან ხერხემლიანთა ყველა კლასის წარმომადგენელთა საკვები, განსაკუთრებით დიდია მათი როლი — ადამიანის ცხოვრებაში, რაც შეადგენს ცხოველური ცილებით მისი დაკმაყოფილების 40%-ს. თევზის რეწვის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე არის იაპონია, შემდეგ მოდის ჩინეთი, რუსეთი, შერთებული შტატები და


ა.შ. თევზის ყველაზე მსხვილ ექპორტიორად ითვლება ჩილე. მსოფლიოში ჭერის 56% მოდის წყნარ ოკეანეზე, 39% ატლანტიკის ოკეანეზე, ხოლო 5% – ინდოეთის ოკეანეზე.

როგორც იყო აღნიშნული, შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლის აჭარის მონაკვეთზე ბინადრობს 169 სახის თევზი, რომელთა შორის არიან როგორც მტკნარი, ისე ნახევრად გამსვლელი და ზღვის ბინადარნი, გვხვდებიან ატლანტიკური ოკეანის რელიქტები – 8 სახეობა, კასპიის ზღვის რელიქტები – 27 სახეობა და ხმელთაშუაზლიდან შემოსული ინტროდუცენტები 94 სახე.

დღეისათვის იშვიათობას წარმოადგენენ ზუთხისნაირები, შავი ზღვის ორაგული, მცირეაზიური ხრამული და სხვები, რომელთა ბიო – ეკოლოგია დაწვრილებითაა განხილული წიგნში.

ობიექტები შემთხვევით არაა შერჩეული, სწორედ ზუთხისნაირები და ორაგული განიცდის ანტროპოგენური ფაქტორების უდიდეს ზეგავლენას, რაც გამოიხატება სამოგრაციო გზების დაბინძურებაში, პორტების სიმრავლეში, უკანონო რეწვაში, ბრაკონიერებაში და ა. შ., რის გამოც მათი რიცხოვნობა სასტიკად დაეცა, რაზედაც მიუთითებს 28-ე სურათი. ვფიქრობთ, საჭიროა ქმედითი ღონისძიებების შექმნა, რათა შევინარჩუნოთ ეს უნიკალური ფორმები.

შავ ზღვაში ზუთხისნაირების რიცხოვნობის კლებალობის დიაგრამა წლების მიხედვით




თევზები  
*Pisces*  
РЫБЫ

სვია  
БЕЛУТА

*Huso huso* Linne

რიგი — ზუთხისნაირნი — *Acipenceriformes*

ოჯახი — ზუთხისებრნი — *Asipenseridae*




სტატუსი — CR — იშვიათი, მცირერიცხოვანი, გადაშენების გზაზე მდგარი სახეობაა.

გავრცელება — სვია მოიპოვება კასპიის, ადრიატიკის, აზოვისა და შავი ზღვის აკვატორიებში. მდინარეებში: მტკვარი, ვოლგა, თერგი, ურალი, სეფიდრული, ყუბანი, დნეპრი, დნესტრი, დუნაი და სხვა. საქართველოში ბინადრობს შავი ზღვის სანაპიროებთან, გასამრავლებლად შედის მდინარეებში: ჭოროხი, ხობი, ენგური, კოდორი, ღალიძგა, ბზიფი, ფსოუ.

ადვილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა — შავი ზღვის აჭარის სანაპირო ზოლში სვია, მხოლოდ მდინარე ჭოროხის შესართავ ნაწილში გვხვდება, განსაკუთრებით გამრავლების პერიოდში. სხვა დროს იშვიათობას წარმოადგენს. 60-იან წლებთან შედარებით მდინარე ჭოროხში მისი კვლავ წარმოება საგრძნობლად შემცირდა.

რიცხოვნობა ბუნებაში — ზუსტი მონაცემები სვიას რიცხოვნობის შესახებ აჭარის სანაპირო ზოლში არ მოიპოვება. შეიმჩნევა ჭოროხის შესართავში აპრილ — ივნისში სქესმწიფე ინდივიდების



თავმოყრა. საქართველოს სანაპირო ზოლში მათი კონცენტრაცია ხდება ფოთთან — რიონის შესართავთან, ენგურის შესართავთან — ანაკლიაში და სხვა.

**ვამრავლება** — სვია სქესობრივად მწიფდება გვიან. მამალი 12-14 წლის, დედალი 16-18 წლის ასაკში. მრავლდება 3-4 წელიწადში ერთხელ. ტოფობს აპრილიდან — ივნისამდე ჭოროხის შესართავიდან სოფელ მარადილამდე, ჩქარ ქვაქვიშიან ადგილებში. ქვირითი ფსკერულია, წებოვანი, მისი რაოდენობა 5 მლნ-მდე აღწევს. სექტემბრისათვის ლიფსიტების სიგრძე აღწევს 22-36 სმ-მდე, რომელთა უმეტესობა ეშვება ზღვისაკენ. მათი დაღმართობა გრძელდება გვიან შემოდგომამდე. წლის ბოლომდე წონით 600 გ-მდე აღწევს.

**კონკურენტები, მტრები, დაავადებები** — სვია მტაცებელია. ძირითადად იკვებება თევზებით, ნაწილობრივ ლოკოკინებით, კიბოსნაირებით. ზრდასრულ სვიას არა ჰყავს საკვებში კონკურენტები. მისი ლიფსიტა მდინარეში იკვებება ცხოველური ბენტოსით, სადაც შეიძლება კონკურენცია გაუწიოს მდინარეში ბენტოსური ორგანიზმებით მკვებავმა თევზებმა. მისი ქვირითისა და ლარვების ბუნებრივ მტრებად შეიძლება ჩაითვალოს კოლხური წვერა და ლოქო. დაავადებები ცნობილი არ არის.

რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები — სვიას რიცხოვნობის მკვეთრი შემცირების მიზეზებია: შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლის ბიო — ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება, სატოფე ადვილების დაბინძურება, უკანონო ტერა.

დასაცავად მიღებული ზომები — საქართველოს კანონდებლობით სვიას ტერა შავ ზღვაში აკრძალულია.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები — გამრავლების პერიოდში (აპრილ — ივნისი) მდინარე ჭოროხის შესართავიდან სოფელ მარადიამდე თევზჭერის აკრძალვა. სატოფე ადვილების დაცვა. მოსახლეობაში ფართო ახსნა — განმარტებითი მუშაობის ჩატარება.

ინფორმაციის წყაროები — ნინუა, 1976, 1979; ბოლქვაძე, შავერდაშვილი, 1966; შავერდაშვილი, ბოლქვაძე, ნინუა, 1967; აბულურაჩხმანოვი 1962; „საქართველოს წითელი წიგნი“.

ჯარღალა (ფორეჯი)  
**IIIIV**

*Asipenser nudiventris Lovetzky*


რივი — ზუთხისნაირნი — *Acipeneriformes*

ოჯახი — ზუთხისებრნი — *Asipenseridae*



სტატუსი — CR — იშვიათი, მცირერიცხოვანი, გადაშენების გზაზე მდგარი სახეობაა.

გავრცელება — ფორეჯი ბინადრობს შავ, კასპიის, არალის ზღვებში. ადრე ყოფილა აზოვის ზღვაშიც. კასპიის ზღვიდან მდინარე მტკვარში აღის მინგეჩაურამდე. შავ ზღვაში საქართველოს სანაპიროებთან



გვხვდება იშვიათად. მოიპოვება აგრეთვე პალეოსტომის ტბაში, მდინარე რიონში (სამტრედიამდე) და მდინარე ჭოროხში.

**ადვილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა** — ფორეჯის ორი ფორმა გვხვდება ზღვის გამსვლელი და მტკნარი წყლის ბინადარი. მდინარე რიონში გვხვდება ადვილობრივი ფორმა, ხოლო შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლში გამსვლელი. შავ ზღვაში მცირე რაოდენობის გამო ფორეჯის ბიოლოგია ნაკლებადაა შესწავლილი. მდინარე ჭოროხში მარტის თვიდან შედის.

**რიცხოვნობა ბუნებაში** — იშვიათი და მცირერიცხოვანი ჯგუფია. აჭარის სანაპირო ზოლში ფორეჯის რიცხოვნობის შესახებ მონაცემები არ მოგვეპოვება. მარტ — აპრილში ჭოროხის შესართავთან შეიმჩნევა მწარმოებელთა რამდენიმე თავმოყრა.

**გამრავლება** — სქესობრივად მდებრი მწიფდება 14 წლის ასაკიდან. ისეაიხსნება 12 წლიდან. მამრი 9 წლის ასაკიდან, იშვიათად 6 წლიდან. ნაყოფიერება ცვალებადობს 290 ათასიდან 1290 ათას ქვირითამდე. მდინარე ჭოროხში გასამრავლებლად მარტიდან შედის, ხოლო ტოფობს მაისიდან. ტოფობისათვის არჩევს ქვა — ქვიშთან ადვილებს. ქვირითი წებოვანია — ეკვრის ქვებსა და სხვა საგნებს, ინკუბაციის პერიოდი გრძელდება 5 დღე — ლამეს.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* – ფორეჯი მტაცებელია. აჭარის სანაპირო ზოლში და მდინარე ჭოროხში ის კარგად არის უზრუნველყოფილი საკვებით. იკვებება თევზებით, უმთავრესად ლორჯოებით, წყლის მწერთა მატლებით და ჭუპრებით, ლოკოკინებით, კიბოსნაირებით, თევზის ქვირითითა და სხვა. კონკურენტებად შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ სვია, კოლხური ზუთხი, ტარადანა. ბუნებრივ მტრად მდინარე ჭოროხში შეიძლება ჩაითვალოს ლოქო. დაავადებები ცნობილი არ არის.

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* – შავი ზღვის აჭარის სანაპირო ზოლის, მდინარე ჭოროხის შესართავის და სატოფე ადგილების დაბინძურება სამრეწველო ნარჩენებით. ბრაკონიერობა.

*დასაცავად მიღებული ზომები* – აკრძალულია თევზის ჭერა შავ ზღვაში, იქ სადაც ბინადრობს და ტოფობს ფორეჯი.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* – ბრაკონიერობის აღკვეთა, მდინარე ჭოროხში ფორეჯის სატოფე ადგილების დაზუსტება – დაცვა. მოსახლეობაში ფართო ახსნა – განმარტებითი მუშაობის ჩატარება.

*ინფორმაციის წყაროები* – აბდულრახმანოვი, 1962; ნინუა 1976, 1979; ელანიძე და სხვები (ატლასი), 1970; „საქართველოს წითელი წიგნი“, „საბჭოთა კავშირის წითელი წიგნი“.

*შავი ზღვა-აზოვის (კოლხური) ზუთხი (თართი)*  
**ЧЕРНОМОРСКО-АЗОВСКИЙ (КОЛХИДСКИЙ) ОСЕТЕР**


*Asipenser güldenstedti cjilchicus V. Marti*

*რიგი – ზუთხისნაირნი – Acipenceriformes*

*ოჯახი – ზუთხისებრნი – Asipenseridae*

*სტატუსი* – CR – მცირერიცხოვანი, გადაშენების გზაზე მდგარი სასხეობაა.

*გავრცელება* – გავრცელებულია შავი და აზოვის ზღვებში, შუდის მდინარეებში: ყუბანი, დონი, ბუგი, დნესტრი, დნეპრი, დუნაი და სხვა.



შავი ზღვის საქართველოს სანაპიროებთან ბინადრობს მდინარე ჭოროხიდან ფსოუმდე. გასამრავლებლად შედის მდინარეებში: ჭოროხი, სუფსა, რიონი, ხობი, ეგური, კოდორი, გუბისთა, ბზიფი, ფსოუ.

*ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა* — კოლხური ზუთხის ადგილსამყოფელი შავი და აზოვის ზღვაა. გასამრავლებლად შედის მდინარეებში. 60-იანი წლების შემდეგ ნაწილობრივ შეიცვალა (გაუარესდა) კოლხური ზუთხის საცხოვრებელი გარემო, დაბინძურდა მდინარეებში სატოფე ადგილებიც, რაც დიდ გავლენას ახდენს მის ბუნებრივ კვლავწარმოებაზე.

*რიცხოვნობა ბუნებაში* — კოლხური ზუთხის რიცხოვნობის შესახებ მონაცემები არ გავვაჩნია. მაისს — სექტემბერში შეინიშნება აჭარის სანაპირო ზოლში და მდინარე ჭოროხის შესართავ ნაწილში სქესმწიფე ინდივიდების თავმოყრა.



*გამრავლება* – დედალი სქესობრივად მწიფდება 10-20 წლისა, მამალი – 8-14 წლისა. მდინარე ჭოროხში გასამრავლებლად შედის მაისს – სექტემბერის თვეში. ნაყოფიერება აღწევს 72-837 ათას ქვირითამდე. ქვირითის დიამეტრი 3-3,5 მმ. ქვირითი წებოვანია, ეკვრის ქვებსა და სხვა საგნებს, ინკუბაცია გრძელდება 3-ნ დღე – ღამემდე, წყლის ტემპერატურის მიხედვით. ტოფობის შემდეგ მწარმოებლები დიდხანს არ ჩერდებიან მდინარეში და მალე ეშვებიან ზღვისაკენ, არც ლიფსიტები რჩებიან დიდხანს, ისინი შემოდგომისათვის ჩადიან ზღვაში.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* – კოლხური ზუთხი მტაცებელია. იკვებება ძირითადად ლოკოკინებით, კიბოსნაირებით, ჭიებით, თევზებით. მას კონკურენტობა შეუძლი გაუწიოს ზუთხისნარებმა: სვია, ფორეჯი, ტარალანა. მტრები და დაავადებები ცნობილი არაა.

*რიცხვონობის ცვლილებების მიზეზები* – შავი ზღვის აჭარის სანაპირო ზოლის, მდინარე ჭოროხის შესართავის და სატოფე ადგილების დაბინძურება სამრეწველო ნარჩენებით. ტოფობის პერიოდში მათი ჭერის სიადვილე.

*დასაცად მიღებული ზომები* – საერთაშორისო კანონდებლობით ზუთხისნაირების ჭერა შავ ზღვაში აკრძალულია.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* – მდინარე ჭოროხის აუზში ეკოლოგიური პირობების დაცვა, ბრაკონიერობის აღკვეთა, ზუთხისნაირების ხელოვნური კვლავწარმოებისათვის მდინარე ჭოროხის ზოლში ქარხნის აშენება.


*ინფორმაციის წყაროები* – ნინუა, 1967, 1976; ელანიძე და სხვები 1970; „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982; „საბჭოთა კავშირის წითელი წიგნი“, 1984 წ.

ტარალანა  
CEBPIOTA

*Asipenser stelletus* Pallas

რივი — ზუთხისნაირნი — *Acipenseriformes*

ოჯახი — ზუთხისსებრნი — *Asipenseridae*




სტატუსი — CR — მცირერიცხოვანი, იშვიათი სახეობაა.

გავრცელება — ბინადრობს აზოვისა და შავ ზღვებში, კასპიის ზღვის ჩრდილო ნაწილში, ბოსფორი, მარმარილოს ზღვა, იშვიათად აღრიატიკის ზღვაში. ჭოროხიდან მდინარე გუმისთამდე. შედის გასამრავლებლად მდინარეებში: ჭოროხი, რიონი, ენგური, კოდორი, გუმისთა, ცნობილია პალეოსტომის ტბაში.

ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა — გამსვლელი თევზია, ძირითადად ცხოვრობს ზღვაში. აჭარის სანაპირო ზოლში, ჭოროხის შესართავთან ქმნის პოპულაციურ ჯგუფს. ზაფხულობით იმყოფება სანაპირო თხელ ადგილებში (10-40 მ), ზამთრობით მიდის ღრმა ადგილებში (80-100 მ) მაისიდან სექტემბრამდე ტოფობისათვის შედის მდინარე ჭოროხში. ადგილსამყოფელი განიცდის დაბინძურებას სამრეწველო ნარჩენებით, რაც უარყოფითად მოქმედებს ტარალანას ბუნებრივ კვლავწარმოებაზე.

რიცხოვნობა ბუნებაში — აჭარის სანაპირო ზოლში ტარალანას რიცხოვნობის შესახებ მონაცემები არ გავგაჩნია. გამრავლების პერიოდში (მაისს — სექტემბერი) შეინიშნება სქემწიფე ინდივიდების თავმოყრა ჭოროხის შესართავთან.

გამრავლება — სქესობრივად მამალი მწიფდება 5-7 წლის, დედალი — 10-13 წლის. მრავლება მაისიდან სექტემბრამდე. ნაყოფიერება აღწევს 35,4-633,7 ათას ქვირითამდე. ღიაპეტრი 2,8 —



3 მმ-მდეა. წებოვანია, ფსკერული, ეწებება სუბსტრატს. ქვირითის განვითარებას 2-4 დღე-ღამე ჭირდება. გამოჩევილი ლიფსიტები რამოდენიმე კვირის შემდეგ ზღვისაკენ ეშვებიან.

*კონკურენტები, მტრები, დაავადებები* — ზრდასრული ტარალანა ძირითადად თევზებით, ლოკოკინებით, კიბოსნაირებით, ჭიებით იკვებება. აქ შეიძლება მას კონკურენტობა გაუწიოს სვიამ, ფორეჯმა, კოლხურმა ზუთხმა. მტრები და დაავადებები ცნობილი არ არის.

*რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები* — ადგილსამყოფელის, სატოფე ადგილების დაბინძურება, განაყოფიერებული ქვირითის დაბალ გამოსავლენობა (დაყრილი ქვირითის მხოლოდ 30%-მდე გადარჩება), ბრაკონიერობა.

*დასაცავად მიღებული ზომები* — კანონმდებლობით აკრძალულია ზუთხისნაირების ჭერა შავ ზღვაში, შიდა წყალსატევებში.

*დაცვის აუცილებელი ღონისძიებები* — ჭოროხის აუზში ეკოლოგიური პირობების დაცვა, ზუთხისნაირების ხელოვნური კვლავწარმოებისათვის ჭოროხის შესართავში ქარხნის აშენება.

*ინფორმაციის წყაროები* — ნინუა, 1976; 1979; ელანიძე და სხვები, 1970; „საქართველოს წითელი წიგნი“ 1982წ; „საბჭოთა კავშირის წითელი წიგნი“, 1984.

ატლანტური ზუთხი  
**АТЛАНТИЧЕСКИЙ ОСЁТР**

*Asipenser sturio* Linne, 1758

რივი — ზუთხუნსაირნი — *Acipenceriformes*

ოჯახი — ზუთხისებრნი — *Asipenseridae*




**სტატუსი** — CR — იშვიათი, მცირერიცხოვანი, გადაშენების გზაზე მდგარი სახეობა.

**გამრავლება** — ისტორიულად ზუთხისნაირ თევზებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო. ატლანტური ზუთხი მოხსენებულია ევროპის ყველა ენაზე, რაც ადასტურებს მის ფართო არეალს წარსულში. ამჟამად ბინადრობს: ჩრდილოეთის, ხმელტაშუა, ბალტიის და შავი ზღვების აუზებში.

**ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდებარეობა** — ატლანტური ზუთხი ევროპისა და ჩრდილო ამერიკის აღმოსავლეთ ნაწილის მდინარეებში ფაქტიურად მოიხსოვ. გადარჩენილია შავი ზღვის სამხრეთ — აღმოსავლეთ ნაწილში. საქართველოში მდინარე რიონია ერთ — ერთი, სადაც აღინიშნება ამ სახეობის ბუნებრივი კვლავწარმოება. შავი ზღვის აჭარის სანაპირო ზოლში ატლანტური ზუთხი ნავარდობს და იკვებება.

**რიცხოვნობა ბუნებაში** — ზუსტი მონაცემები ატლანტური ზუთხის შესახებ არ მოგვეპოვება. მდინარე რიონში გამრავლების დროს სქესმწიფე მწარმოებლების რიცხვი არ აღემატება 100 ეგზემპლარს, რაც საკმარისად ითვლება სახეობის ბუნებრივი გამრავლებისათვის. აჭარის სანაპირო ზოლში ის მცირეოდენი, დაუზუსტებელი ჯგუფების სახით შემოდის.



**გამრავლება** – ატლანტური ზუთხი ქვირითს ყრის 3-4 წელიწადში ერთხელ. მდინარეში გასამრავლებლად სვლას იწყებს აპრილიდან ივნისამდე. ტოფობს ზღვიდან 120-130 კმ-ის დაშორებით მდინარე რიონში, სოფელი ბაში, ვარციხის მონაკვეთზე.

**კონკურენტები, მტრები, დაავადებები** – ატლანტური ზუთხი მტაცებელია, შავ ზღვაში საკვებით კარგად არის უზრუნველყოფილი. ძირითადად იკვებება ქაფშიითა და სხვა წვრილი თევზებით. ლიფსიტებს არა ჰყავთ საკვებში კონკურენტები, ვინაიდან როგორც სიცივის ამტანი თევზი, ზუტხისნაირებში ყველაზე ადრე იწყებს მიგრაციას გამრავლებისათვის. ლარვების ბუნებრივ მტრად შეიძლება ჩაითვალოს: წვერა, ლოქო და სხვა. ატლანტური ზუთხის ნაწლავებში აღმოჩენილი იქნა ორი სახეობის ნემატოდა, ერთი სახეობის ტრემატოდა და ერთი სახეობის აკანთოცეფალი.

**რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები** – ზუთხის რიცხოვნობის კატასტროფული დაცემის მიზეზებია: მდინარეთა ღინების რეგულირება, კაშხლების აშენება, სატოფე ადგილების დაბინძურება სამრეწველო ნარჩენებით, ტოფობის პერიოდში მისი ჭერის სიადვილე და უკანონო რეწვა ზღვაში.

დასაცავად აუცილებელი ზომები – აკრძალულია ზუთხის-ნაირთა ჭერა შავ ზღვაში და განსაკუთრებით მდინარე რიონის იმ ნაწილში, სადაც ბინადრობს ატლანტური ზუთხი. ის შეყვანილია საერთაშორისო, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს წითელ წიგნებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები – ატლანტური ზუთხის გავრცელების ფარგლებში ნაკრძალების შექმნა, მდინარე რიონზე ხელოვნური კვლავწარმოებისათვის ქარხნის აშენება.

ინფორმაციის წყაროები – ნინუა, 1976; „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982; „საბჭოთა კავშირის წითელი წიგნი“, 1984.


შვი ზღვის ორაგული

**ЧЕРНОМОРСКАЯ КУМЖА**

*Salmo fario morpha labrax Pallas*

რიგი – კაშაყისნაირნი – *Clupeiformes*

ოჯახი – ორაგულისებრნი – *Salmonidae*



სტატუსი – CR – მცირერიცხოვანი, გადაშენების გზაზე მდგარი სახეობაა.


გავრცელება – ბინადრობს შავ ზღვაში. საქართველოს სანაპიროებთან შედის მდინარეებში: ჭოროხი, მაჭახელა, კინტრიში, ნაწილობრივ ჩაქვისწყალი. გარდა ამისა, მისი სანავარდო მდინარეებია:

დასაცავად აუცილებელი ზომები — აკრძალულია ზუთხის-ნაირთა ჭერა შავ ზღვაში და განსაკუთრებით მდინარე რიონის იმ ნაწილში, სადაც ბინადრობს ატლანტური ზუთხი. ის შეყვანილია საერთაშორისო, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს წითელ წიგნებში.

დაცვის აუცილებელი ღონისძიებები — ატლანტური ზუთხის გაერცელების ფარგლებში ნაკრძალების შექმნა, მდინარე რიონზე ხელოვნური კვლავწარმოებისათვის ქარხნის აშენება.


ინფორმაციის წყაროები — ნინუა, 1976; „საქართველოს წითელი წიგნი“, 1982; „საბჭოთა კავშირის წითელი წიგნი“, 1984.

შავი ზღვის ორაგული  
**ЧЕРНОМОРСКАЯ КУМЖА**  
*Salmo fario morpha labrax Pallas*  
რივი — ქაშყისნაირნი — *Clupeiformes*  
ოჯახი — ორაგულისებრნი — *Salmonidae*



სტატუსი — CR — მცირერიცხოვანი, გადაშენების გზაზე მდგარი სახეობაა.

გავრცელება — ბინადრობს შავ ზღვაში. საქართველოს სანაპიროებთან შედის მდინარეებში: ჭოროხი, მაჭახელა, კინტრიში, ნაწილობრივ ჩაქვისწყალი. გარდა ამისა, მისი სანავარდო მდინარეებია:



ენგური, კოდორი, გუმისთა, შავწყალა, ბზიფი. ყირიმის მდინარეებიდან: დნეპრი, დუნაი, ყუბანი და სხვა.

*ადგილსამყოფელი, მათი ახლანდელი მდგომარეობა* — შავი ზღვის ორაგულის ადგილსამყოფელია შავი ზღვის სანაპირო ზოლი და მასში ჩამდინარე მდინარეები. ის გამსვლელი თევზია. გასამრავლებლად შეღის მდინარეებში. ფაქტურად ორაგულისა და კალმახის ახალგაზრდა თაობა მდინარეებში ერთიან ფონდს შეადგენს, რაც ცხოვრების მეორე წელს ცალკეედება (ითიშება) — ზღვაში ჩამსვლელ ორაგულად და მდინარეში დამრჩენ კალმახად. როგორც წესი ზღვაში მდებარეების 80 — 90 % ეშვება, მდინარეში კი მამრობითი სქესი რჩება.

*რიცხოვნობა ბუნებაში* — ზუსტი მონაცემები შავი ზღვის ორაგულის რიცხოვნობის შესახებ არ გავაჩნია. ცნობილია, რომ უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში ორაგულის საცხოვრებელი გარემო საგრძნობლად გაუარესდა და შეიცვალა, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა ორაგულის ბიოლოგიაზე. მისი რიცხოვნობა სწრაფი ტემპით მცირდება და საკითხი დგას მისი გადარჩენის შესახებ. მიუხედავად ამისა, მარტის თვიდან შეიმჩნევა საქართვე-

ლოს სანაპირო ზოლში მათი თავმოყრა და მდინარეებში აღ-  
მასვლა.

**გამრავლება** — სქესობრივად მწიფდება 3-4 წლის საკში. მდ-  
ინარეებში შედიან ჯერ მსხვილი ინდივიდები 80-100 სმ სიგრძისა,  
შემდეგ მცირე ინდივიდები 50-60 სმ სიგრძისა. ტოფობა გრძელ-  
დება ოქტომბრიდან თებერვლამდე. ორაგულის სატოფო ადგილები  
განლაგებულია შუა და ზედა დინებებში. თხელწყლიან, ქვა —  
ქვიშიან ადგილებში. ქვირითს ყრის თავის მიერ ამოთხრილ ორ-  
მოში, 4-8 გრადუს ტემპერატურისას. ნაყოფიერება აღწევს 2,5 —  
15,5 ათას ქვირითს. ორაგულის ქვირითის განაყოფიერებაში მონ-  
აწილეობს მდინარის კალმახიც. ორაგული ტოფობის შემდეგ  
ბრუნდება ისევ ზღვაში, ქვირითის განვითარება დამოკიდებულია  
წყლის ტემპერატურაზე 9-10 გრადუსის პირობებში. ინკუბაცია  
გრძელდება 4-50 დღე — ღამე.

**კონკურენტები, მტრები, დაავადებები** — მდინარეში ორაგული  
იკვებება კობოსნაირებით, მწერთა მატლებით, ხმელეთიდან ჩაცვე-  
ნილი ჭიანჭველებით და სხვა მრავალი მწერებით. ამ მხრივ არ  
შეიძლება კონკურენცია გაუწიოს კოლხურმა წვერამ. ხოლო ზედა  
სატოფე ადგილებში მას ფაქტიურად კონკურენტი არა ჰყავს. ზღ-  
ვაში ძირითადად იკვებება თევზებით (ქაფშია, ქარსალა და სხვა-  
დასხვა უხერხემლო ცხოველები). ზღვაში მას კონკურენციას  
უწევს ზუთხისნაირები, ქაშაყისნაირები, კატრანი. საერთოდ ორაგ-  
ული სწრაფი მტაცებელი თევზია. ის ზღვაში უკვე საკმაოდ გან-  
ვითარებული 1-2 წლის ასაკში ხდება და მას მტრები ფაქტიურად  
არა ჰყავს. დაავადებებიდან შეიძლება გამოიყვით აკანთოცეფალების  
(თავეკლიანი ჭიები) წარმომადგენლები. ის რეგისტრირებულია  
ორაგულებში, კალმახში და საკალმახე მეურნეობაში.

**რიცხოვნობის ცვლილებების მიზეზები** — ორაგულის რიცხ-  
ვნობის მნიშვნელოვანი შემცირება აჭარის სანაპირო ზოლში  
პირველ რიგში გამოწვეულია შავი ზღვის საქართველოს სანაპირო  
ზოლის დაბინძურებით, შავ ზღვაში არალიცენზირებული უკანონო

ჭერითა და შიგა წყალსატევებში ბრაკონიერთა მოქმედებით (წყლის მოწავლა, აფეთქება, ელექტროდენი და სხვა).

**დასაცავად მიღებული ზომები** – შავი ზღვის აჭარის სანაპირო ზოლში ორაგულის საერთოდ ჭერის აკრძალვა 10 წლის ვადით. აჭარის მდინარეებში განსაკუთრებით ტოფობის პერიოდში (ოქტომბერი – მარტი) მკაცრი კონტროლის დაწესება თევზჭერაზე, ბრაკონირობის აღკვეთა.


**დაცვის აუცილებელი ღონისძიებები** – აჭარის მოსახლეობაში, მოსწავლე – ახალგაზრდობაში, ფართო ახსნა – განმარტებითი მუშაობის ჩატარება. ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა პასუხისმგებლობის გაზრდა. შავი ზღვის ორაგულის კვლავწარმოებისათვის აჭარის საორაგულე მდინარეების ბაზაზე (მაჭახელა, კინტრიში) ორაგულის ანუ კუმუას სადედე ჯოგის შექმნა, განხორციელდეს მისი რეპროდუქცია და შევერცხლილი ახალმოზარდების ანუ სმოლტების (სიგრძე 16-21 სმ, მასა 26-30 გ) გამოზრდა და გაშვება მდინარეებში, შესაძლებელია ზღვაშიც.

**ინფორმაციის წყაროები** – ელანიძე და სხვები, 1970; ელანიძე, 1983; „საბჭოთა კავშირის წითელი წიგნი“, 1984; ცინცაძე და სხვები, 1994; გორაძე, გოგმაჩაძე, 1995;

**მცირეაზიური ხრამული**  
**МАЛОАЗИЯТСКАЯ ХРАМУЛЯ**  
**Varicorhinus tinca Heckel**  
რივი – კობრისნაირნი – *Cypriniformes*  
ოჯახი – კობრისებრნი – *Cyprinidae*


**სტატუსი** – CR – საქართველოს ენდემი, მცირერიცხოვანი და გადაშენების გზაზე მდგარი სახეობა.

**გავრცელება** – მცირე აზიური ხრამული საქართველოში მხოლოდ აჭარაში არის გავრცელებული. ის გვხვდება ჭოროხის აუზში და მის შენაკადებში: აჭარისწყალი, მაჭახელა, თხილნარის



წყალი, ჭარხალიწყალი. საქართველოს ფარგლებს გარეთ ის გავრცელებულია მცირე აზიაში, ტრაპიზონთან მდინარე წიქვილის ხეობაში, არტანუჯისა და თორთუმის წყლებში.

